

თავისუფლების ინსტიტუტი

წინადაცხმულობის ხელშეწყობის პროგრამა



ეს გამოცემა თავისუფლების ინსტიტუტმა განახორციელა ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს წარმომადგენლობის (USAID) ფინანსური დახმარებით, საერთაშორისო კვლევისა და გაცვლების საბჭოსგან (IREX) მიღებული გრანტის მეშვეობით. მიუხედავად ამისა, მხოლოდ თავისუფლების ინსტიტუტი აგებს პასუხს ამ გამოცემის შინაარსზე. მასში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ გამოხატავდეს საერთაშორისო კვლევისა და გაცვლების საბჭოს (IREX), ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს წარმომადგენლობის (USAID) ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ოფიციალურ პოზიციას.

ავტორი: მანიკო ოქრუაშვილი

სტილის

რედაქტორი: ანა ჭაბაშვილი

რედაქტორი: აკაკი მინაშვილი

კორექტორი: დალი ცქიტიშვილი

დიზაინი: ბესიკ დანელია

სარჩევი

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის უფლების ისტორიული საფუძვლები	9
პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის უფლების განვითარება შეერთებულ შტატებში	9
პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის უფლება	12
ბუნებითი სამართალი და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის უფლება	17
პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვა ამერიკის შეერთებულ შტატებში	22
პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევა, როგორც სამართლებრივი დელიქტი	22
შეერთებული შტატების ფედერალური კანონმდებლობის მიმოხილვა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის უფლების სფეროში	24
კომპიუტერები, ციფრული ტექნოლოგია, ინტერნეტი და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის უფლება	25
ტელემარკეტინგი და ინფორმაციის მეორადი გამოყენება	30
სატელეფონო საუბრები, ელექტრონული ფოსტა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის უფლება	33
ეროვნული უსაფრთხოება და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის უფლება	36
პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვა ევროპაში	39
პირადი მონაცემების დაცვა ევროპის კავშირში	39
ევროპის კავშირისა და შეერთებული შტატების ერთობლივი შეთანხმება ე.წ. Safe Harbor Concept	44

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება	
ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა	
კონვენციის მიხედვით	47
შესავალი	47
პირადი ცხოვრება	48
შინაარსი	48
რეგულირება	49
პირადი ინფორმაციის შეგროვება, დამუშავება და შენახვა	49
გამოძიების ინტერესები	50
ეროვნული უსაფრთხოება	50
პირადი ინფორმაციის მესამე პირებისათვის გადაცემა	50
სამედიცინო ინფორმაციის გამჟღავნება	51
ტრანსსექსუალებთან დაკავშირებული ინფორმაცია	51
სქესობრივი ურთიერთობის თავისუფლება	51
სახელის უფლება	52
ფიზიკური და მორალური ხელშეუხებლობა	52
ოჯახური ცხოვრება	53
შინაარსი	53
საცხოვრებელი ადგილი	55
შინაარსი	55
რეგულირება	56
საცხოვრებელი ადგილის დაცვა	56
საცხოვრებელი ადგილის ჩხრეკა	56
მიმონწერა	58
შინაარსი	58
რეგულირება	58
პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის უფლება	
საქართველოს კანონმდებლობაში	61
მიმოხილვა	61
სამართალდამცავთა საქმიანობა და პირადი ცხოვრების	
ხელშეუხებლობის დაცვა	63
საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებები	
პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის უფლების სფეროში	67
საქართველოს სასამართლოები და	
პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის უფლება	67

სასამართლო პრაქტიკა	68
ამერიკის შეერთებული შტატები	68
Le Mistral Inc. Columbia Broadcasting Systems წინააღმდეგ	68
ლორენსი ტეხასის შტატის წინააღმდეგ	70
უეილენი როუს წინააღმდეგ	73
კატცი შეერთებული შტატების წინააღმდეგ	76
„თაიმი“ ჰილის წინააღმდეგ	79
„ფლორიდა სტარი“ ბ.ჯ.ფ.-ს წინააღმდეგ	81
კოქსის სამაუწყებლო კორპორაცია კონის წინააღმდეგ (1975)	86
ნიქსონი Administration of General Services-ის წინააღმდეგ	89
უილსონი ლენის წინააღმდეგ	93
სიდისი F-R Publishing Corp-ის წინააღმდეგ	96
კაილო შეერთებული შტატების წინააღმდეგ	97
Board of Education of Independent School District No. 92 of Pottawatomie County et al. v. EARLS et al.	100
ქალაქი ინდიანაპოლისი ედმონდის წინააღმდეგ	103
დეიტმანი Time Inc. წინააღმდეგ	105
ZaCini Scripps-Howard Broadcasting Co.-ს წინააღმდეგ	107
სმიტი Daily Mail Publishing Co.-ს წინააღმდეგ	110
დონალდ გალელა ჟაკლინ ონასისის წინააღმდეგ	112
ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო	115
კლასი და სხვები გერმანიის წინააღმდეგ, 1978	115
დანჯენი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ	119
პრინცესა კაროლინა გერმანიის წინააღმდეგ	119
ჰალფორდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, 1997	122
ლამბერტი საფრანგეთის წინააღმდეგ, 1998	125
ჩაპელი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, 1989	127
გასკინი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, 1989	131
სილვერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, 1983	132
კოპი შვეიცარიის წინააღმდეგ, 1998	136
ნიმეცი გერმანიის წინააღმდეგ, 1992	138

P.G. და J.H. გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, 2001	141
როტარუ რუმინეთის წინააღმდეგ, 2000	143
Z ფინეთის წინააღმდეგ, 1997	145
პეკი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, 2003	147
ლინდერი შვედეთის წინააღმდეგ, 1987	150
მალოუნი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, 1984	152
გაერთიანებული სამეფოს მართლმსაჯულება	156
მაიკლ დუგლასი და კეტრინ ზეტა ჯონსი	
„Hello!“ -ს წინააღმდეგ, 2000-2001	156
ნაომი კემპელი (Cambell) MNG წინააღმდეგ	158
კანადის უზენაესი სასამართლოს მართლმსაჯულება	162
დაგი კანადის ფინანსთა სამინისტროს წინააღმდეგ	162
გოდბოუტი ლონგუელის წინააღმდეგ	164
R. ბერნშოუს წინააღმდეგ	166
R. ბელნაეისისის წინააღმდეგ	167
R. ევანსის წინააღმდეგ	170
M.A. რაიანის წინააღმდეგ	171
R. გაროფოლის წინააღმდეგ	173
R. ვაისის წინააღმდეგ	175

**პირადი ცხოვრების
ხელშეუხებლობის დაცვის
უფლების ისტორიული
საფუძვლები**

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ფორმალური, იურიდიული დაცვის მექანიზმები პირველად მეოცე საუკუნეში, შეერთებული შტატების სამართალში ჩნდება. შესაბამისად, ე.წ. „პრაივისის“ სამართლებრივი ცნება ამერიკული სამართლის პირმოთა. მაგრამ ის ინტელექტუალური და ისტორიული საფუძვლები, რომლებიც იურიდიულ მექანიზმებს დაედო საფუძვლად, უძველეს ხანაშივე არსებობდა. ბერძნული და რომაული პოლიტიკური ფილოსოფიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი გახლდათ კერძო და საჯარო სფეროების ერთმანეთისაგან გამიჯვნა. სოკრატესა და არისტოტელეს დროიდან მიმდინარეობს დისკუსიები პიროვნებისა და სახელმწიფოს როლის შესახებ, რამაც გარკვეულად გამიჯვნა კერძო და საჯარო სფეროები. მიუხედავად იმისა, რომ განსხვავება და საზღვრები კერძო და საჯარო სფეროებს შორის მუდმივად სადავოა სოციალურ, პოლიტიკურ და სამართლებრივ თეორიებში, იგი მაინც არსებობს.

**პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის უფლების
განვითარება შეერთებულ შტატებში**

შეერთებული შტატების სამართლებრივ სისტემაში პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის მექანიზმები მეცხრამეტე საუკუნის ბოლო ხანებამდე თითქმის არ არსებობდა. ეს უფლება მანამდე დაცული იყო შეერთებული შტატების კონსტიტუციის ისეთი მუხლებით, რომლებიც პირდაპირ არ ეხება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის გარანტიებს. მაგალითად, კონსტიტუციის პირველი შესწორება, რომელიც ადგენს პრესისა და გაერთიანებების თავისუფლების გარანტიებს; კონსტიტუციის მესამე შესწორება, რომელიც კრძალავს პირის საცხოვრებელ სახლში სამხედრო ნაწილების შესვლას; კონსტიტუციის მეოთხე შესწორება, რომელიც აწესებს გარანტიებს

თვითნებური და უკანონო ჩხრეკისა და ამოღების წინააღმდეგ, დაბოლოს, კონსტიტუციის მეხუთე შესწორება, რომელიც პირს თვითინკრიმინაციისგან იცავს და უფლებას აძლევს ყველას, არ მისცეს ჩვენება საკუთარი თავის წინააღმდეგ. გარდა ზემოაღნიშნულისა, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის გარანტიები გვხვდება ნორმებში კერძო საკუთრებაში შეღწევისასთან, პირადი საუბრების მოსმენის აკრძალვასთან დაკავშირებით და სხვა.

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვასთან დაკავშირებით აკადემიურ ნრეებში მსჯელობა იქამდეც იყო, ვიდრე ამის შესახებ შეერთებული შტატების სასამართლოების გადაწყვეტილებებში გამოჩნდებოდა რაიმე. პირველი ასეთი სასამართლო გადაწყვეტილება 1881 წელს მიჩიგანის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება აღმოჩნდა. სასამართლომ ზიანის ანაზღაურება დააკისრა პირს ქალის წინააღმდეგ, რომელსაც მოპასუხე აკვირდებოდა მშობიარობის დროს მისი თანხმობის გარეშე. სასამართლოს ერთსულოვანი აზრის წარმოდგენისას მოსამართლე მარსტონმა განაცხადა: „მოსარჩელეს ყოველგვარი კანონიერი უფლება აქვს იმის სადავოდ, რომ მას საკუთარ სახლში პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის გარანტიები აქვს, მესამე პირებს კი კანონი სთხოვს ამ უფლების დაცვას და მისი დარღვევისაგან თავის შეკავებას“¹.

ერთი წლის შემდეგ მოსამართლე ტომას ქულიმ ერთ-ერთ სასამართლო გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ უფლება „დარჩე მარტო“ წარმოადგენს სამოქალაქო დელიქტების ერთ-ერთ ნაწილს. 1873 წელს ზემოაღნიშნულს მოჰყვა სერ ჯეიმს, ფიცჯეიმს სტეფანის ფილოსოფიური ნაშრომი, სადაც ლაპარაკი იყო პირადი ცხოვრების დაცვის მნიშვნელობაზე.²

ამ აკადემიური ნაშრომებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების მიუხედავად, რომელთა შედეგადაც პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის უფლებაზე ლაპარაკი გარკვეულ აკადემიურ კლიშედ იქცა, მისი საბოლოო განვითარება და ჩამოყალიბება უკავშირდება სემუელ უორენისა და ლუის ბრანდისის სტატიას, რომელიც გამოქვეყნდა ჰარვარდის უნივერსიტეტის სამართლის ჟურნალში 1890 წელს.

უდავოა, რომ არც ერთ პუბლიკაციას ისე არ უმოქმედია სამართლის განვითარებაზე, როგორც უორენისა და ბრანდისის სტატიას. ეს სტატია ჩვენი სამართლის ისტორიაში ყველაზე აღიარებული, ხშირად მოხსენიებული და დაფასებული პუბლიკაციაა. ძნელად თუ წარმოვიდგენთ და დავასახელებთ პუბლიკაციას, რომელსაც ასეთი მნიშვნელობა ჰქონდეს. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის უფლების ოფიციალურმა თეორიამ, რომელზეც 1890 წლამდე ბევრჯერ დაწერილა, უცბად შეისხა ხორცი უო-

¹ De May v. Roberts, 9 N.W. 146 (Mich 1881)

² James, Fitzjames Stephen, Liberty, Equality, Fraternity (1st ed. 1873)

რენისა და ბრანდეისის სტატიაში. როგორც პროფესორი უელინგტონი აღნიშნავს, უორენისა და ბრანდეისის სტატია არაჩვეულებრივი ესეა, რომელმაც მრავალ გამოცდას გაუძლო. მისი ერთ-ერთი უნიკალური დამახასიათებელი ნიშანი კი ის გახლავთ, რომ ეს სტატია ცვალებადი მორალური პრინციპისაგან სამართლებრივი პრინციპის განვითარების წარმატებულ მცდელობას წარმოადგენს.³

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის უფლება ის ფასეულობაა, რომელიც ყოველდღიურ ცხოვრებაში აისახება. უორენი და ბრანდეისი წერდნენ, რომ დრო იყო სამართლებრივადაც ელიარებინათ უფლება, რომელიც ბევრად უფრო ადრე იყო აღიარებული სოციალურ და მორალურ ფასეულობად. მათ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის უფლების შემდეგნაირი განმარტება შემოგვთავაზეს: ისინი აცხადებდნენ, რომ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის უფლების საქმეებში ძირითადი პრინციპი ინდივიდის „პიროვნულობის ხელშეუვალობა“ გახლავთ. როგორც პროფესორი უელინგტონი აცხადებს, უორენმა და ბრანდეისმა ეს პრინციპი მორალური კონცეფციიდან აიღეს და განავითარეს. მათი სტატიის გამოქვეყნება კი ერთმა ჩვეულებრივმა ამბავმა განაპირობა.

1890 წელს ქალბატონი სემუელ უორენი, ცნობილი ბოსტონელი სენატორის ქალიშვილი და ცნობილი იურისტის მეუღლე, საკუთარ სახლში წვეულებებს ხშირად მართავდა, სადაც იმდროინდელი ბოსტონის ელიტა იყრიდა თავს. იმ დროს შეერთებულ შტატებში ყვითელი პრესის ბუმი იდგა. ბოსტონი კი ის ქალაქი გახლდათ, სადაც საზოგადოებას ძალიან არ უყვარდა პირად საკითხებზე პრესასთან საუბარი. ბოსტონის გაზეთები კი დაინტერესებულნი იყვნენ ქალბატონი უორენის წვეულებებით. პრესა ინტენსიურად ამუქებდა ამ მოვლენებს და საგაზეთო პუბლიკაციებში, როგორც წესი, ამ წვეულებების პირად, ინტიმურ და, ხშირ შემთხვევაში, სამარცხვინო ამბებზე ინერებოდა. ამ ამბებმა პიკს მაშინ მიაღწია, როდესაც ბატონი უორენის ქალიშვილის ქორწილის შესახებ ბოსტონის პრესაში უამრავი ჭორი გამოქვეყნდა. ბატონი უორენი ისე განრისხდა, რომ ეს განრისხება შეერთებული შტატების პრესამ და სარეკლამო ინდუსტრიამ მომდევნო სამოცდაათი წლის მანძილზე ცუდად იწვინა.

ბატონი უორენი თავის მეგობარ ლუის ბრანდეისს დაუკავშირდა და მათ გადაწყვიტეს ჰარვარდის იურიდიულ ჟურნალში სტატია გამოექვეყნებინათ.

ქვემოთ წარმოგიდგენთ ნაწყვეტებს უორენისა და ბრანდეისის ცნობილი სტატიიდან.

³ Harry H. Wellington, Common Law Rules and Constitutional Double Standards: Some Notes on Adjudication, 83 Yale Law Journal 221, 249-51 (1973)

სემუელ უორენი და ლუის ბრანდისი

პირადი ცხოვრების ხელშეხებლობის დაცვის უფლება

ნაწყვეტი

ის, რომ ინდივიდს თავისი პიროვნებისა და საკუთრების დაცვის სრული უფლება აქვს, უძველესი პრინციპია. მიუხედავად მისი სიძველისა, ეს პრინციპი დროთა განმავლობაში მუდმივად განახლდებოდა და ხდებოდა მისი ხელახალი ინტერპრეტირება. პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ცვლილებები ახალი უფლებების აღიარებას იწვევს და საერთო სამართალიც მუდმივად ახალგაზრდავდება, რათა მან საზოგადოების განვითარების მოთხოვნებს უპასუხოს. ძველად პირი კანონით იყო დაცული სხვა პირების ფიზიკური ჩარევისაგან. თავისუფლება ნიშნავდა უშუალო, ფიზიკური შეზღუდვისგან თავისუფლებას, საკუთრების უფლება კი პირის მიწასა და შინაურ ცხოველებზე ვრცელდებოდა. მოგვიანებით სამართალში შემოვიდა პირის სულიერი მხარის, მისი გრძნობებისა და ინტელექტის ცნებები. თანდათანობით ამ უფლებების მასშტაბი გაიზარდა და დღეისათვის სიცოცხლის უფლება გულისხმობს – სიცოცხლის კარგად გატარების უფლებას, მარტო დარჩენის უფლებას; საკუთრების უფლება კი ვრცელდება როგორც მატერიალურ, ასევე არამატერიალურ ფასეულობებზე.

ამრიგად, იქიდან გამომდინარე, რომ სამართლებრივი დაცვა პირის გრძნობებსაც შეეხო, პირისათვის ფიზიკური ზიანის მიყენების გარდა, აიკრძალა ასეთი ზიანის მუქარაც, რათა პირი დაცულ იქნეს ისეთი განცდებისაგან, რომლებიც ასეთ მუქარას ან მოლოდინს ახლავს თან. თანდათანობით პირის იმუნიტეტი მისი ფიზიკური იმუნიტეტიდან პირის ემოციებზეც გავრცელდა. დაცულ იქნა პირის რეპუტაცია, საიდანაც განვითარდა კანონმდებლობა ცილისწამებისა და შეურაცხყოფის შესახებ. კანონის დაცვის ქვეშ მოექცა ისეთი არამატერიალური ფასეულობები, როგორიცაა პირის ინტელექტუალური საკუთრება, კომერციული საიდუმლო, სავაჭრო ნიშნები და სხვა.

სამართლის განვითარება გარდაუვალია. ინტენსიურმა ინტელექტუალურმა და ემოციურმა ყოფამ, გაძლიერებულმა ემოციურმა მდგომარეობამ, რომელიც ცივილიზაციის განვითარებას მოჰყვა თან, ადამიანისთვის ცხადი გახადა, რომ ცხოვრების ტკივილი და სიხარული მხოლოდ მატერიალურ საგნებთან არ არის დაკავშირებული. პირის

ემოციები, გრძნობები და ფიქრები იურიდიულ დაცვასა და აღიარებას მოითხოვს. ამის გამო საერთო სამართლის განვითარების თავისებურად ლამაზმა ფორმამ საშუალება მისცა მოსამართლეებს, ყოველივე ზემოაღნიშნული იქამდე ეღიარებინათ, ვიდრე ამას კანონმდებლობა გააკეთებდა.

ბოლოდროინდელმა გამოგონებებმა და ბიზნესის განვითარებამ წინ წამოსწია პიროვნების ისეთი უფლებების დაცვა, რომელსაც მოსამართლე ქული უწოდებს „მარტო დარჩენის უფლებას“. საგაზეთო ინდუსტრიის განვითარებასთან ერთად მომენტალურად და საიდუმლოდ გადაღებული ფოტოების გამოქვეყნებით ხშირად ხდება შეჭრა პირის წმინდა და უკიდურესად პირად სფეროებში. წლების განმავლობაში მიმდინარეობდა დებატები, რომ პირის ნებართვის გარეშე მისი ფოტოების გამოქვეყნებისთვის გარკვეული პასუხისმგებლობა უნდა არსებობდეს. საგაზეთო ინდუსტრიის მიერ პირად ცხოვრებაში შეჭრის საკითხს ბოლო წლებში ხშირად ეხებოდნენ აკადემიურ წრეებშიც.

რამდენიმე თვის წინ ნიუ-იორკის ერთ-ერთ ტრიბუნალში განხილული ცნობილი საქმე მოიცავდა სწორედ ამ საკითხს, არსებობს თუ არა ფოტოების გავრცელების უფლება და არსებობს თუ არა ამ შემთხვევაში პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის უფლება. ბოლო დროს პრესა ნესიერების და საკუთრების ყოველგვარ საზღვრებს გადასცდა. ჭორი უკვე აღარ წარმოადგენს უსაქმურთა გასართობს, იგი ვაჭრობის საგნად იქცა, რომელსაც უტიფრად მისდევს კერძო ბიზნესი. საგაზეთო პუბლიკაციებში უხამსი ინტერესების დასაკმაყოფილებლად ინერება სხვათა და სხვათა სქესობრივი ცხოვრების დეტალებზე. უსაქმურთა ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად კი ყოველად უსაფუძვლო ჭორებს წერენ გაზეთებში, რომელთა მოპოვება ხდება პირების პირად ცხოვრებაში უნებართვო შეჭრით. ცხოვრების სირთულისა და დაძაბულობის გამო ადამიანი ბევრად უფრო მგრძნობიარე გახდა საჯაროობისადმი და მას სულ უფრო ხშირად უჩნდება განმარტოების სურვილი. შესაბამისად, თანამედროვე ადამიანისათვის, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის უფლება სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება. მიუხედავად ამისა, თანამედროვე გამოგონებებისა და განვითარების გამო ხშირად ხდება ადამიანის პირად ცხოვრებაში შეჭრა, მისთვის სტრესისა და ფსიქიკური ზიანის მიყენება, რომელიც უფრო ძლიერია, ვიდრე ფიზიკური ტკივილი. ეს ზიანი მხოლოდ იმ პირებით არ შემოიფარგლება, ვისაც იგი უშუალოდ

მიადგა. ყოველი უხამსი ჭორი მეორე ახალი ჭორის სანინდარია, რომლებიც საბოლოოდ სოციალურ და მორალურ სტანდარტებს ამდაბლებენ ჩვენს საზოგადოებაში. თუნდაც უვნებელი ჭორის ფართოდ გავრცელებაც კი მაინც გამოიწვევს რაიმე უარყოფითს.

ამ სტატიის ავტორების მიზანია გაარკვიონ, არსებობს თუ არა რაიმე იურიდიული ნორმა ჩვენს სამართლებრივ სისტემაში, რომელიც გარკვეულ დაცვას მიანიჭებდა პირის პირად ცხოვრებას და, თუკი იგი არსებობს, ჩვენი მიზანია გავარკვიოთ, რამდენად დიდია მისი დაცვის ფარგლები და როგორ მოქმედებს ის.

საერთო სამართალი უფლებას ანიჭებს პირს, თვითონ განსაზღვროს, რამდენად გაუზიაროს სხვას თავისი ფიქრები, ემოციები და გრძნობები. ჩვენი სახელმწიფო წყობის პირობებში პირს ვერასოდეს აიძულებენ (იმ შემთხვევების გამოკლებით, როცა ის მოწმედ გამოდის სასამართლოში) გამოთქვას თავისი გრძნობები, ფიქრები ან ემოციები და, მიუხედავად იმისა, რომ პირი თავად გადაწყვეტს მათ გაზიარებას, იგი კვლავ ინარჩუნებს უფლებას, თვითონვე გადაწყვიტოს მათი გაზიარების ფორმა და მასშტაბები. ამ შემთხვევაში არანაირი მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ რა მეთოდით ხდება გაზიარება. ასევე უმნიშვნელოა ემოციის ღირებულება და ფასი ამა თუ იმ პირისათვის. არა აქვს მნიშვნელობა, წერილი იქნება ეს, პატარა ჩანაწერი, ლექსი თუ რაიმე ნაჯღაბნი. მის ავტორს უფლება აქვს, თავად გადაწყვიტოს მათი ბედი. არავის არ გააჩნია უფლება გამოაქვეყნოს და სხვებს გააცნოს იგი ამ პირის თანხმობის გარეშე. ეს უფლება არ არის დამოკიდებული ამ უფლების საგნის ფორმასა თუ შინაარსზე. უფლება იკარგება, როდესაც პირი თავად გადაწყვეტს საზოგადოებისათვის მის გაცნობას – სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, როდესაც მას გამოაქვეყნებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს უფლება სრულიად დამოუკიდებელია ინტელექტუალური საკუთრების უფლებისაგან. ინტელექტუალური საკუთრების შესახებ კანონმდებლობის მიზანია ამა თუ იმ ნაწარმოების ავტორისათვის ამ ნაწარმოებისგან შემოსული მთელი შემოსავლისა და მოგების შენარჩუნება და დაცვა. ამ კანონმდებლობით ავტორი გამოქვეყნებას აკონტროლებს. განსხვავება საავტორო უფლებებსა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის უფლებას შორის ის გახლავთ, რომ პირველ შემთხვევაში გამოქვეყნების შემდეგ უფლება არ იკარგება, მეორე შემთხვევაში კი გამოქვეყნების დროს უფლება უკვე დარღვეულია.

საკითხავია, რა წარმოადგენს გამოქვეყნების აკრძალვის უფლების საფუძველს? ამ უფლების საწყისი იმის გარანტიაა, რომ დაცულ იქნეს საკუთრების უფლება, და ამ მოსაზრების წინააღმდეგ სხვა არგუმენტები არ არსებობს. რადგან ამ საკუთრებას ბევრი მახასიათებელი აქვს, რომელიც მას

მატერიალურ საკუთრებას ამსგავსებს: ისინი გადაცემადია, მათ ღირებულება აქვს, და მათი ფასი პუბლიკაციითა და ხელახალი პუბლიკაციით განისაზღვრება. მაგრამ, როდესაც ამგვარი საკუთრების ფასი განისაზღვრება არა მისი პუბლიკაციიდან მიღებული შემოსავლებით, არამედ მისი ავტორის გონებრივი და სულიერი მდგომარეობით, რომელსაც იგი იმ ფაქტიდან იღებს, რომ შეუძლია სულაც აკრძალოს პუბლიკაცია, მას, მისი საყოველთაოდ მიღებული განმარტების თანახმად, საკუთრების უფლებას ვეღარ დავარქმევთ.

ადამიანი თავის ვაჟს წერილში სწერს, ან სულაც დღიურში წერს თავისთვის, რომ გუშინ საღამოს თავის ცოლთან ერთად არ ისადილა. არავის არა აქვს უფლება, ეს წერილი ან დღიურის ჩანაწერი გამოაქვეყნოს, მიუხედავად იმისა, კანონიერად აქვს თუ არა ეს ჩანაწერი ამ პირს. რა არის ამ შემთხვევაში დაცული? ნათელია, რომ აქ წერილის შექმნის ინტელექტუალური ქმედება კი არ არის დაცული, არამედ თავად ფაქტის საიდუმლოება, რომ პირმა თავის ცოლთან ერთად არ ისადილა. ეს ინტელექტუალური შემოქმედების პროდუქტი არ გახლავთ. იგი მხოლოდ და მხოლოდ საყოფაცხოვრებო წერილმანია. ადამიანი წლის განმავლობაში შეიძლება ასობით წერილს სწერდეს სხვადასხვა პირს. თუ წერილი ან დღიურის ნაწილი დაცულია, როგორც ლიტერატურული ნაშრომი, კანონმდებლობის მიხედვით იგი გამოქვეყნებისგან ისევეა დაცული. მაგრამ კანონმდებლობა ინტელექტუალური საკუთრების შესახებ არ შეზღუდავდა სხვა პირების უფლებას გამოექვეყნებინათ ამ წერილების ჩამონათვალი ან აღწერათ წერილში მოთხრობილი ფაქტები. მხატვრობის შემთხვევაში, ინტელექტუალური საკუთრების შესახებ კანონმდებლობით აიკრძალებოდა ამ ნახატის რეპროდუქციის გაკეთება და გავრცელება, მაგრამ არ აიკრძალებოდა მისი აღწერა სტატიაში. ცნობილ სასამართლო გადაწყვეტილებაში *პრინცი ალბერტი სტრეინჯის წინააღმდეგ*, სასამართლომ დაადგინა, რომ საერთო სამართალი კრძალავს არა მხოლოდ ნახატის ან სკეჩების გამოქვეყნებას არამედ მათ აღწერასაც, რადგან პრინციმა ალბერტმა და დედოფალმა ვიქტორიამ სადავო ჩანახატი შექმნეს თავისი სიამოვნებისთვის თავისუფალ დროს.

უფრო და უფრო ნათელი ხდება, რომ ასეთი ნამუშევრების დაცვა არ არის დამოკიდებული იმაზე, აქვს თუ არა ამა თუ იმ საგანს ლიტერატურული ან მხატვრული ღირებულება.

სასამართლოებმა ბოლო პერიოდში განამტკიცეს აზრი, რომ მათი გადაწყვეტილებები იმ არგუმენტს ემყარება, რომ დაცულ უნდა იქნეს ინტელექტუალური საკუთრება. თუმცა არსებობს უფრო ლიბერალური მიდგომაც. ზემოხსენებულ გადაწყვეტილებაში საქმეზე *პრინცი ალბერტი სტრეინჯის წინააღმდეგ* სწორედ ამგვარი მიდგომაა ასახული. სასამართლომ

გააფართოვა საკუთრების უფლება. ლორდმა კოტენჰემმა განაცხადა, რომ პირს უფლება აქვს დაიცვას ის საგნები, რომელიც ექსკლუზიურად მისი საკუთრებაა. მან მოიყვანა ციტატა ერთ-ერთი სასამართლო გადაწყვეტილებიდან: „ჯორჯ მესამის რომელიმე ექიმს რომ დღიური ეწარმოებინა და ჩაენერა მის მიერ მოსმენილი საუბრები, არც ერთი სასამართლო არ დართავდა მას ნებას, რომ ისინი გამოექვეყნებინა“. შესაბამისად, ლორდმა კოტენჰემმა დაასკვნა, რომ ამ საქმეში⁴ სადავო უფლება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის უფლება გახლავთ.

ყოველივე ზემოაღნიშნული გვაძლევს საფუძველს დავასკვნათ, რომ დაცვა, რომელიც ვრცელდება ფიქრებზე, გრძნობებსა და ემოციებზე, წარმოადგენს უფრო ზოგად უფლებას – ინდივიდის მართო დარჩენის უფლებას. ეს ისეთივე უფლებაა, როგორც უფლება, არ გცემონ, არ დაგწამონ ცილი და სხვა. თუ ეს დასკვნა სწორია, მაშინ იგულისხმება, რომ ჩვენი სამართლის სისტემაში არსებობს პრინციპები, რომელთა თანახმადაც პირი დაცულია პრესის მხრიდან მის პირად ცხოვრებაში უკანონო ჩარევისაგან, ან თანამედროვე მონყობილობების საშუალებით მისი საუბრების მოსმენისა და ჩაწერისაგან. ამასთან, იმისათვის, რომ დაცვა გავრცელდეს ზემოხსენებულ სიკეთეებზე, არ არის მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი ის ფორმა, რომლითაც ადამიანის ფიქრები, ემოციები და გრძნობები გამოიხატება. იგივე დაცვა ვრცელდება ემოციებზე, რომელიც მუსიკალურ ნაწარმოებში, თეატრალურ წარმოდგენაში, პანტომიმში ან ლექსის წარმოქმნისას გამოიხატება.

მას შემდეგ, რაც სასამართლო სისტემაში გაჩნდა გადაწყვეტილებები, სადაც უარს ამბობდნენ, გამოექვეთათ განსხვავება ისეთ ლიტერატურულ მხატვრულ ნაწარმოებებს შორის, რომლებიც გამოსაქვეყნებლად მზადდება და იმ ნაშრომებს ან ჩანაწერებს შორის, რომლებიც გამოსაქვეყნებლად არ არის განკუთვნილი, ყველა სხვა არგუმენტი – ნაწარმოების ლიტერატურული და მხატვრული ღირებულება, მისი ფასი, გამოქვეყნების მიზანი – გარდა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის უფლებისა – უკანა პლანზე უნდა გადავწიოთ. შესაბამისად, დარღვევა საკუთრების უფლებასთან დაკავშირებით კი არ უნდა ვეძებოთ, არამედ ხელშეკრულების, ნდობის ან კონფიდენციალურად განდობილი ინფორმაციის გამჟღავნების გამო.

საქმეში აბერნეტი ჰაჩინსონის წინააღმდეგ⁵ მოსარჩელე, გამოჩენილი ქირურგი, ცდილობდა აღეკვეთა ლონდონის წმ. ბართლომეს საავადმყოფოში მის მიერ წაკითხული ლექციების კურსის გამოქვეყნება. ლორდმა ელდონმა განაცხადა, რომ მას ეჭვი ეპარება, არსებობს თუ არა ლექციების კურსზე

⁴ Prince Albert v. Strange, 1 McN. & G. 25 (1849)

⁵ Abernethy v. Hutchinson, 3L.J.Ch. 209 (1825)

საკუთრების უფლება. თუმცა მან დააკმაყოფილა ქირურგის სარჩელი, რადგან დაადგინა, რომ, მიუხედავად იმისა, რომ სასწავლებელში ჩარიცხულ სტუდენტებს შეეძლოთ ჩაენერათ ლექცია, მათ არ ჰქონდათ მისი გამოქვეყნებისა და აქედან შემოსავლის მიღების უფლება.

საქმეში პრინცი ალბერტი სტრეინჯის წინააღმდეგ⁶ ლორდმა კოტენჰემმა დააკმაყოფილა პრინცი ალბერტის სარჩელი და დაადგინა, რომ გარდა იმისა, რომ პრინცი ჰქონდა საკუთრების უფლება სადავო ჩანახატებზე, პრინცის მიმართ დამატებით დაირღვა კონფიდენციალურად განდობილი ინფორმაციის საიდუმლოდ შენახვის ვალდებულება.

როგორც ჩანს, სასამართლოებმა, რაიმე პრინციპის ძებნაში, რომ აეკრძალათ კერძო ჩანაწერების გამოქვეყნება, გამოიგონეს პასუხისმგებლობა კონფიდენციალურად განდობილი ინფორმაციის გამჟღავნებისათვის. თუმცა ეს დოქტრინაც არ გახლავთ სრულყოფილი. რა მოხდება მაშინ, როდესაც სრულიად უცნობი პირი არღვევს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის უფლებას? პირი, რომელმაც თავისი მეგობრისგან წერილი მიიღო და იგი გამოაქვეყნა, ცხადია, პასუხს აგებს ზემოხსენებული დოქტრინის საფუძველზე, მაგრამ წარმოიდგინეთ ადამიანი, რომელმაც შეცდომით მიიღო წერილი სხვა პირისგან და მისი გახსნა და წაკითხვა გადაწყვიტა. უდავოა, რომ ამ პირს არანაირი კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულება არ გააჩნია. ერთადერთი, რისი დაცვის ვალდებულებაც მას აქვს, ეს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის უფლებაა.

შესაბამისად, ჩვენ ვადგენთ, რომ უფლება, რომელზეც ამ სტატიის ვლარაკობთ, არ არის უფლება, რომელიც სპეციალური ნდობიდან ან კონფიდენციალური ურთიერთობიდან აღმოცენდება. ეს არც საკუთრების უფლებაა. ეს არის უფლება მთელი დანარჩენი სამყაროს წინააღმდეგ.

ბუნებითი სამართალი და

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის უფლება

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის უფლების აღიარების ძირითადი არგუმენტი და საფუძველი ბუნებითი სამართლის ფილოსოფიაში ძვეს. სწორედ ბუნებით სამართალში პოულობს ასახვას მორალური პრინციპები, რომლებიც დროთა განმავლობაში საერთო სამართლის უფლებებად იქცევა.

⁶ იხ. სქოლიო №8

უორენისა და ბრანდეისის კავშირი ბუნებითი სამართლის ფილოსოფიასთან იმიტაც დასტურდება, რომ ერთგან სტატიამო მოყვანილია ციტატა ედვინ ლორენს გოდკინის სტატიიდან, სადაც იგი აცხადებს, რომ ინდივიდის უფლება, თავად გადაწყვიტოს, თუ რამდენად ეცოდინება საზოგადოებას მისი პირადი ცხოვრების შესახებ, ბუნებითი უფლებაა.⁷ პროფესორი ბარნი დაობს, რომ სწორედ გოდკინის სტატიამ შეუქმნა უორენისა და ბრანდეისის სტატიას კონცეპტუალური საფუძველი.⁸ ბუნებითი სამართლის მნიშვნელობა პირველივე სასამართლომ აღიარა, რომელმაც პირველად დაადგინა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის უფლება. ჯორჯიის უზენაესმა სასამართლომ განაცხადა, რომ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის უფლება ბუნების ნაწილია და, შესაბამისად, იგი ბუნებითი სამართლიდან წარმოიშვა.⁹

თავდაპირველად სასამართლოები დიდი ენთუზიაზმით არ შეხვედრიან ამ ორი ადამიანის მოწოდებას, რომ შექმნილიყო პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის მკაფიო სამართლებრივი გარანტიები. სტატიის გამოქვეყნებიდან თორმეტი წლის შემდეგ ნიუ-იორკის სააპელაციო სასამართლომ უარი თქვა ელიარებინა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის უფლება სამოქალაქო სამართლებრივ დელიქტად¹⁰. მაგრამ თხუთმეტი წლის შემდეგ ჯორჯიის უზენაესი სასამართლოს მოსამართლე რეიდმა განაცხადა, რომ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის უფლება ჯორჯიის შტატის სამართლის ნაწილია¹¹. სასამართლოს ეს გადაწყვეტილება კლასიკური მაგალითია იმისა, თუ როგორ განვითარდა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის უფლება საერთო სამართალსა და ბუნებით სამართალში. ქვემოთ მოყვანილია ნაწყვეტი სასამართლოს გადაწყვეტილებიდან.

Pavesich v. New England Life Ins. Co. 50 S.E. 68, 69-70 (Ga. 1905)

მოპასუხე სადაზღვევო კომპანიამ ქალაქ ატლანტის ერთ-ერთ გაზეთში სარეკლამო განცხადება გამოაქვეყნა, სადაც მოსარჩელის ფოტო იყო გამოსახული. ფოტოსთან ერთად სარეკლამო განცხადებას ახლდა წარწერა: „ჩემი ჯანსაღი და ნაყოფიერი ცხოვრების დროს შევიძინე დაზღვევის პაკეტი New England Life Ins. Co“-ში. დღეს ჩემი ოჯახი დაზღვეულია და ვიღებ დივიდენდებს ჩემი ყოველწლიური სადაზღვევო პოლისით.

⁷ Edwin Lorence Godkin, *The Rights of Citizen IV. _ To his Own Reputation*, 8 *Scribner's Magazine* 58, 65 (1890)

⁸ James H. Barron, Warren & Brandeis, *The Right to Privacy*, 4 *Harvard Law Review*, 193 (1890): *Demystifying a Landmark Citation*, 13 *Suffolk U.L.Rev.* 875, 876 (1979)

⁹ Pavesich v. New England Life Ins. Co. 50 S.E. 68, 69-70 (Ga. 1905)

¹⁰ Robertson v. Rochester Folding Box Co, 64 N.E. 442 (N.Y. 1902)

¹¹ Pavesich v. New England Life Ins. Co 50 S.E. 68 (Ga. 1905)

გაზეთში განთავსებული ფოტო მოსარჩელის თანხმობის გარეშე იქნა მოპოვებული. მოსარჩელეს არასოდეს უყვია სადაზღვევო პოლისი მოპასუხის კომპანიისაგან. მოსარჩელემ სარჩელი შეიტანა სადაზღვევო კომპანიის წინააღმდეგ და დაობდა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის უფლების დარღვევის თაობაზე და მოითხოვდა 25 000 აშშ დოლარს ზიანის კომპენსაციის სახით. ქვედა ინსტანციის სასამართლოებში მოსარჩელემ საქმე წააგო. ჯორჯიის უზენაესი სასამართლო წინა ინსტანციის სასამართლოს არ დაეთანხმა და მისი გადაწყვეტილება გააუქმა.

ნაწყვეტი ჯორჯიის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებიდან:

„ინდივიდი საზოგადოების წინაშე ბევრ უფლებასა და პრივილეგიაზე ამბობს უარს, რომელთა განხორციელებაც მას საზოგადოების არარსებობის შემთხვევაში თავისუფლად შეეძლებოდა. მაგრამ იგი ამ უფლებებზე უარს ამბობს საზოგადოების წევრობის სანაცვლოდ. თუმცა ინდივიდი ყველა უფლებას როდი ტოვებს და, შესაბამისად, საზოგადოებას არ გააჩნია არანაირი უფლება, რომ შეიჭრას ინდივიდის იმ უფლებებში, რომლებსაც იგი იყენებს თავისი ცხოვრების პირადი ნაწილის დასაცავად. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის უფლების საფუძვლები ბუნებაში უნდა ვეძიოთ. იგი ქვეცნობიერად (ინტუიციურად) არის აღიარებული და მისი არსებობის მოწმედ მხოლოდ გონება შეიძლება მოვიხმოთ. ნებისმიერი ინდივიდი, რომელსაც გონება და ინტელექტი ნორმალური აქვს, აცნობიერებს, რომ ყველა ინდივიდის ცხოვრებაში არსებობს კერძო და საზოგადოებრივი მხარე. ინდივიდი ისევე განიცდის თავისი საზოგადოებრივი უფლებების შელახვას, როგორც იმ უფლებებისას, რომლებიც მის პირადი ცხოვრებას ეხება. შესაბამისად, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის უფლება ბუნებითი სამართლის ნაწილია...

...ყველა აღიარებს, რომ ინდივიდს, რომელსაც სურს, რომ განმარტოებით იცხოვროს, ვერავინ აიძულებს, მისი თანხმობისა და სურვილის გარეშე სხვაგვარად მოიქცეს. გამონაკლისი ასეთი განმარტოებისაგან მხოლოდ იმ შემთხვევაში არსებობს, როდესაც ინდივიდი ვალდებულია შეასრულოს თავისი სამოქალაქო მოვალეობები – იმსახუროს ნაფიც მსაჯულად სასამართლო პროცესზე, ჩვენება მისცეს სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოწმის სახით და სხვა. როდესაც სამოქალაქო მოვალეობებს შეასრულებს, ინდივიდს, თუ უნდა, ისევე აქვს უფლება განმარტოებით განაგრძოს ცხოვრება. პირს უფლება

აქვს, მაშინ განმარტოვდეს, ან მაშინ გამოჩნდეს საზოგადოებაში, როდესაც მას სურს.

შესაბამისად, სასამართლო ადგენს, რომ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის უფლების დარღვევა ინდივიდის სამართლებრივი უფლებების ხელყოფას წარმოადგენს. ასეთი დარღვევა სამართლებრივი დელიქტია და არ არის აუცილებელი, რომ პირდაპირ იყოს კანონში გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევისათვის, რომ ინდივიდმა ზიანის ანაზღაურება მოითხოვოს. ზიანის ანაზღაურება ამგვარ საქმეებში ისევე უნდა მოხდეს, როგორც ამგვარ დელიქტებში ხდება. თუ არსებობს ზიანის ანაზღაურების საშუალება სხვა უფლებების დარღვევისას ემოციური განცდების გამო, მაშინ რატომ არ უნდა ანაზღაურდეს ზიანი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევისას განცდილი მორალური ზიანის გამო?

როგორც უკვე განვაცხადეთ, ბევრ საქმეში ძნელია სადემარკაციო ხაზის გავლება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის უფლებასა და სხვა ფართოდ აღიარებულ უფლებებს შორის. მაგრამ ამ საქმეში სასამართლო ადგენს, რომ სადაზღვევო კომპანიამ მისი თანხმობის გარეშე მოსარჩელის ფოტოს გამოქვეყნებით დაარღვია პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის უფლება. მოპასუხეს არ შეუძლია იდაოს, რომ მას, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების პრინციპებიდან გამომდინარე, იმუნიტეტი აქვს. ჩვენი გადანყვეტილება არ შეიძლება იქნეს გაგებული და ინტერპრეტირებული, როგორც კონსტიტუციის პირველი შესწორებით გარანტირებული სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების ხელყოფა.

სასამართლო გადანყვეტილების კომენტარი:

ზემოაღნიშნულ საქმეში მოსამართლე კობსის მოსაზრება, რომელიც სასამართლოს ყველა წევრმა გაიზიარა, იმის გასაოცარ მაგალითს წარმოადგენს, თუ როგორ ავითარებს ბუნებითი სამართალი საერთო სამართლით დადგენილ უფლებებს. ბუნებითი სამართალი სამართლის წყაროდ მორალისა და სამართლიანობის იდეალებს აღიარებს. ამ მოსაზრების საფუძველზე მოსამართლეს სრული უფლება აქვს, რომ პოზიტიურ სამართალს გასცდეს და მორალისა და სამართლიანობის პრინციპებში ეძიოს საქმეების გადანყვეტის საფუძველი. იდეა, რომ უფლებები ადამიანის ბუნებიდან იღებს სათავეს, ბუნებითი სამართლის ყველაზე მნიშვნელოვანი პრინციპია. თუმცა

მისი ერთ-ერთი ქვაკუთხედი ის გახლავთ, რომ ბუნება, ღმერთი და საღი გონება ადგენს სამართლისა და უფლებების სტანდარტებს. ბუნებითი სამართლის მიმდევრები აცხადებენ, რომ საზოგადოებას შეუძლია იმსჯელოს სამართლიანობისა და უსამართლობის შესახებ მორალური, სოციალური და ობიექტური პრინციპების საფუძველზე. წმინდა ავგუსტინემ, მეთოთხმეტე საუკუნის ჩრდილოაფრიკელმა ქრისტიანმა ფილოსოფოსმა, ბუნებით სამართალს ერთი ცნობილი გამოთქმა შემატა: „უსამართლო კანონი კანონი არ არის“.

შესაბამისად, როგორც ზემოხსენებულიდან ჩანს, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის უფლების საფუძველი თავდაპირველად ბუნებით სამართალში არსებობდა.

პირადი ცხოვრების
ხელშეუხებლობის დაცვა
ამერიკის შეერთებულ
შტატებში

**პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევა,
როგორც სამართლებრივი დელიქტი**

1939 წელს, როდესაც დელიქტური სამართლის წიგნი გამოქვეყნდა, მასში შესული იყო პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის უფლება. ეს ყოველივე მას შემდეგ მოხდა, რაც პროფესორმა ბოულენმა განაცხადა, რომ უორენისა და ბრანდისის ბრძოლა დამარცხდა. მიუხედავად ამისა, მოგვიანებით პროფესორ ფეინბერგის ნაშრომში გამოიკვეთა აშშ-ს ცხრა შტატი, სადაც პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის უფლებაა აღიარებული.¹² ამასთან, 1960 წელს, პროფესორმა უილიამ დინ პროზერმა გამოაქვეყნა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სტატია, სადაც მან მიმოიხილა იმ დროისათვის შეერთებულ შტატებში სააპელაციო სასამართლოს 300 გადაწყვეტილება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის უფლების საქმეებში.¹³

პროსერის სტატიაში გამოჩნდა, რომ 1960-იან წლებში პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის უფლება, როგორც დელიქტური სამართლის ნაწილი, უკვე ფართოდ იყო აღიარებული შეერთებულ შტატებში. რაც შეეხება მის კონსტიტუციურ გარანტიებს, ამ დროისათვის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლო პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის უფლებას მხოლოდ კონსტიტუციის მეოთხე და მეხუთე შესწორებების კონტექსტში აღიარებდა.

მაგრამ 1965 წელს ეს ვითარება შეიცვალა, როდესაც შეერთებული შტატების უზენაესმა სასამართლომ განიხილა საქმე *გრისვოლდი კონექტიკუტის წინააღმდეგ*¹⁴. ამ საქმეში სასამართლომ პირველად აღიარა პირადი

¹² Wilfred Feinberg, Recent Developments in the Law of Privacy, 48 Columbia Law Review 713 (1948)

¹³ William, L. Prosser, Privacy 48 California Law Review 383 (1960)

¹⁴ Griswold v. Connecticut, 381 U.S. 479 (1965)

ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის უფლება კონსტიტუციის მეოთხე და მეხუთე შესწორებებისაგან დამოუკიდებლად.

დღეისათვის შეერთებულ შტატებში პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის უფლება ფართოდაა აღიარებული დელიქტურ სამართალში. მაგრამ, მიუხედავად ამისა, სასამართლოები ისევე აწყდებიან გარკვეულ პრობლემებს სასამართლოში საქმეების განხილვისას და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის უფლება კვლავ ფართო დებატების საგნად რჩება.

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის უფლება იურიდიულ კონტექსტში წარმოადგენს გარკვეული უფლებების ერთობლიობას, რომელიც შეერთებული შტატების სამართლებრივ სისტემაში უფლებათა იერარქიის ზედა ნაწილშია განთავსებული. თუ სახელმწიფოს ან ინდივიდის გარკვეული ქმედებები საზოგადოებისათვის სასარგებლოა, ისინი შეიძლება მაინც უკანონოდ ჩაითვალოს, რადგან ამ ქმედებებით ირღვევა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის უფლება. სახელმწიფოს მოეთხოვება, რომ დაასაბუთოს თავისი ჩარევა, როდესაც ამას ადგილი აქვს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის უფლებაში. საკმაოდ ხშირ შემთხვევებში პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის უფლება გადაწონის, ან, როგორც დონალდ დეორკინი ამბობს, „ამარცხებს“ იმას, რაც ზოგადად საზოგადოებისათვის შეიძლება სასარგებლო იყოს. მიუხედავად ამისა, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის უფლება, ისევე როგორც სხვა უფლებები, არ არის აბსოლუტური. სასამართლოში საქმის განხილვისას ნათლად ჩანს ის კოლიზიები, რაც პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის უფლებასა და სხვა უფლებებს ან სახელმწიფოს ინტერესებს შორის წარმოიშობება. ამ ბრძოლაში არცთუ ისე იშვიათად პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის უფლება მარცხდება.

ისევე როგორც სხვა ამგვარი უფლებები, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის უფლება მოიცავს ორ ელემენტს: *prima facie* ზიანის დადგენასა და გამამართლებელი გარემოებების არარსებობას. როდესაც ინდივიდი, სახელმწიფო ან რომელიმე იურიდიული პირი სხვა პირის უფლებას არღვევს, ამ პირს უფლება აქვს მოითხოვოს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დაცვა. იმისათვის, რომ დადგინდეს პირველი ელემენტი, აუცილებელია, რომ ფაქტების მეშვეობით დამტკიცდეს უფლების დარღვევა. რაც შეეხება მეორე ელემენტს, პირის სარჩელი წარმატებული იქნება იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ იმ კონკრეტულ შემთხვევაში არ არსებობდა დამრღვევის მხარეს მისი გამამართლებელი გარემოებები. ასეთი გამამართლებელი გარემოებებიდან მნიშვნელოვანია: 1. პირის თანხმობა; 2. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის უფლების გადამწონი სხვა კერძო ან საჯარო ინტერესი. თანხმობის შემთხვევაში კანონი პირის პასუ-

ხისმგებლობას გამოორიცხავს, რადგან პირმა საკუთარი ნებით განაცხადა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის უფლებაში ჩარევის შესახებ.

რაც შეეხება მეორე გამამართლებელ გარემოებას, ისიც ხშირად გამოიყენება როგორც პასუხისმგებლობის გამომრიცხავი გარემოება, რადგან, თუ დადგინდა კერძო ან საჯარო ინტერესის არსებობა, მაშინ არსებობს შესაძლებლობა, რომ ამ ინტერესმა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დაცვა გადაიწიოს. დაცვის მექანიზმები გახლავთ ახალი ამბების გაშუქება და ზოგადად კონსტიტუციის პირველი შესწორებით გარანტირებული უფლებების განმტკიცებაც, რადგან პრესას გარკვეული პრივილეგიები აქვს და ხშირ შემთხვევაში მისი პასუხისმგებლობა იზღუდება, როდესაც პრესის მხრიდან პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევას აქვს ადგილი.

შეერთებული შტატების ფედერალური კანონმდებლობის მიმოხილვა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის უფლების სფეროში

1968-1978 წლებში, დაახლოებით ათი წლის განმავლობაში, შეერთებული შტატების კონგრესში პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დაცვის ხანა დაიწყო. ამ პერიოდში კონგრესმა დაახლოებით ექვსი კანონი მიიღო, რომელიც ამ სფეროს უკავშირდება, პირველი იყო დანაშაულის კონტროლისა და უსაფრთხო ქუჩების აქტი¹⁵, რომელიც არეგულირებდა ტელეფონის მოსმენისა და ფარული მიყურადების საკითხებს სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიების დროს. ამავე წლებში იქნა მიღებული კანონი, რომელიც ადგენს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის უფლებას საკრედიტო ურთიერთობებისას.¹⁶ 1974 წელს კონგრესმა მიიღო კანონი, რომელიც მოსწავლეებისა და მშობლების უფლებებს იცავს სასკოლო ჩანაწერებთან დაკავშირებით.¹⁷ ფედერალური უწყებების მიერ ელექტრონული სახით შენახული ინფორმაციისა და ფინანსური და საბანკო მონაცემების დაცვის მიზნით კონგრესმა მიიღო ფინანსური მონაცემების დაცვის აქტი¹⁸. 1980 წელს მიღებული პერსონალური მონაცემების დაცვის აქტით კი რეგულირდება სამართალდამცავი ორგანოების მიერ პირადი მონაცემების შემონახვისა და მუდის ხელთ არსებულ ინფორმაციასთან დაშვების საკითხები.¹⁹

¹⁵ Omnibus Crime Control and Safe Street Act of 1968, U.S.C. 2510-2520

¹⁶ Fair Credit Reporting Act of 1974, 15 U.S.C. 1681-81t

¹⁷ Family Educational Rights and Privacy Act of 1974, 20 U.S.C. 1232 g(a) 1232 g (g)

¹⁸ Financial Privacy Act of 1978, 12 U.S.C. 3401

¹⁹ Right to Privacy Protection Act of 1980, 42 U.S.C. 2000 aa

1986 წელს კონგრესმა მიიღო ელექტრონული კომუნიკაციების მონაცემების დაცვის აქტი²⁰. ამ აქტის მიღება გამოიწვია სატელეკომუნიკაციო სექტორის განვითარებამ და ციფრული ტექნოლოგიების შემოღებამ. ტელეკომუნიკაციების შესახებ აქტი²¹ დამატებით რეგულირდება სატელეკომუნიკაციო ოპერატორების მიერ მომხმარებელთა შესახებ ინფორმაციისა და მათი პერსონალური მონაცემების გამჟღავნების წესები. ამავე წელს მიღებული კანონი მოქალაქეებს იცავს ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციასთან დაკავშირებით. კანონით რეგულირდება ჯანმრთელობის დაზღვევის დროს პერსონალური მონაცემების დაცვა.²² ასევე, 1984 წელს მიღებული კანონით მომხმარებლები დაცულნი არიან საკაბელო სატელევიზიო მომსახურების დროს საკაბელო მაუწყებლების მიერ მათი პერსონალური მონაცემების ბოროტად გამოყენებისგან.²³

კომპიუტერები, ციფრული ტექნოლოგია, ინტერნეტი და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის უფლება

კომუნიკაციების და მონაცემთა შეგროვების და გადამუშავების სფეროში რევოლუციები შეერთებულ შტატებში ისევე ხდება, როგორც სხვა ქვეყნებში. ამ რევოლუციის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო მაგალითი გახლავთ ინტერნეტი. ინტერნეტი ერთმანეთთან დაკავშირებული კომპიუტერების ქსელია, რომელთა შორისაც კავშირია დამყარებული და ხდება მონაცემთა გაცვლა. მონაცემთა გაცვლის ამ საშუალებას კიბერ-სივრცე უწოდეს. არ არსებობს ორგანო, რომელიც ამ ერთმანეთთან დაკავშირებულ კომპიუტერებს ცენტრალიზებული წესით გააკონტროლებდა. 1972 წელს არტურ მილერი წერდა, დღეს მსოფლიოში ასი ათასამდე კომპიუტერი მუშაობსო. იგი ვარაუდობდა, რომ 1995 წლისათვის ეს რიცხვი მილიონ-ნახევრამდე გაიზრდებოდა. ასეც მოხდა და თანაც ეს კომპიუტერები ინტერნეტშია ჩართული. ინტერნეტისა და კიბერსივრცის არსებობა დამოკიდებულია ციფრულ ტექნოლოგიებზე. სწორედ ამ ტექნოლოგიების, ინტერნეტის მოხმარებისა და კიბერსივრცის ზრდამ გამოიწვია ის, რომ 70-იანი წლებიდან მოყოლებული, აკადემიურ წრეებში აქტიურად დაიწყო დებატები ახალ გარემოში პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის უფლებაზე.

²⁰ The Electronic Communications Privacy Act (ECPA) 18 U.S.C. 2510-2522

²¹ The Telecommunications Act of 1996, 47, U.S.C. 222

²² The Health Insurance Portability and Accountability Act of 1996 (HIPAA)

²³ The Cable Communications Policy Act (1984) 47 U.S.C. Sec 551

ციფრულმა ტექნოლოგიებმა გაზარდა მონაცემთა შეგროვებისა და მასთან დაშვების პოტენციალი. მონაცემები შეიძლება შეგროვდეს, შესაძლებელია ისინი შეუდარდეს სხვა მონაცემთა ბაზას, გადაამუშავდეს და დაიგზავნოს სხვა პირებთან. პირადი ცხოვრება უპრეცედენტოდაა დაუცველი სწორედ ციფრული ტექნოლოგიების პირობებში. ციფრული ტექნოლოგიის მეშვეობით შესაძლებელია გამოიყოს მონაცემთა გადაცემის სამი სტადია: 1. მონაცემთა შეკრება; 2. მონაცემთა შეერთება და შედარება; 3. მონაცემთა დახარისხება. ციფრული ტექნოლოგიების წყალობით, მას შემდეგ, რაც ერთ კომპიუტერში გაჩნდება მონაცემები, შესაძლებელია მისი გადაგზავნა, შედარება და ინკორპორირება სხვა მონაცემებთან. ცხადია, ციფრული ტექნოლოგიების გამოგონებამდე პერსონალური თუ სხვა მონაცემების ამგვარი მოძრაობა შეუძლებელი იყო.

პერსონალური მონაცემები, რომელიც გროვდება და იცვლება სხვადასხვა კომპიუტერების ურთიერთკავშირის მეშვეობით, წარმოადგენს ამ მონაცემების სუბიექტის ქცევისა და მოქმედების ამსახველ ფორმას. როჯერ კლარკი დაობს, რომ მონაცემების ამგვარი მიმოცვლის და შერწყმის პირობებში გაჩნდა „ციფრული ადამიანის“ ცნება. ციფრული ადამიანის განმარტება შემდეგნაირია: ციფრული ადამიანი არის ინდივიდის საზოგადოებრივი პიროვნულობის მოდელი, რომელიც ეფუძნება ამ პირის მიერ განხორციელებული ტრანსაქციების მონაცემებს.²⁴ კლარკი განასხვავებს ორგვარ ციფრულ ადამიანს: პირველი, რომელიც იქმნება თვით ამ სუბიექტის მიერ შექმნილი პერსონალური მონაცემებით, რომელზე ზემოქმედებაც მხოლოდ თვითონ შეუძლია, და მეორე, რომელიც იქმნება მესამე პირების მიერ შექმნილი მონაცემებით, რომელზე ზემოქმედების მოხდენაც ამ მონაცემების სუბიექტს არ ძალუძს.

პიტერ სუაირი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვაზე ფინანსური ტრანსაქციების კუთხით. იგი აცხადებს, რომ ნაღდი ფულიდან საკრედიტო და სადებეტო ბარათებზე გადასვლამ შესაძლებლობა მისცა სხვადასხვა კომპანიებს, რომ პირის მონაცემები ავტომატურად შეიყვანონ მონაცემთა ბაზებში, საიდანაც შეიძლება მოხდეს მათი შერწყმა პირის მისამართთან და, საბოლოოდ, პირის მიერ სხვადასხვა ნივთისა და მომსახურების შეძენის საკმაოდ დეტალური ისტორია მივიღოთ. სუაირი დაობს, რომ ამგვარი გარემოებები საფრთხეს უქმნის პირის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას.²⁵

²⁴ Roger Clarke, *The Digital Persona and Its Application to Data Surveillance*, *The Info. Soc.*, 10,2 (June 1994)

²⁵ Peter P. Swire, *Financial Privacy and the Theory of High-Tech Government Surveillance*, 77 *Wash. Univ. L.Qart.* 461 (1999)

90-იანი წლებიდან 2000 წლის ბოლომდე აქტუალური იყო კითხვა, უნდა რეგულირდებოდეს თუ არა ინტერნეტი? შეერთებული შტატების კონგრესის პასუხი ამ კითხვაზე გახლავთ შემდეგი: სახელმწიფომ უნდა დაარეგულიროს ინტერნეტისა და ინტერნეტის ეკონომიკის გარკვეული სეგმენტები. ასეთი მარეგულირებელი სქემები ორგვარია: პატერნალისტური, მაგალითად, როგორცაა აქტი ბავშვთა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის შესახებ ინტერნეტში²⁶ და ე.წ. ლაისსეზ ფაირე ნორმები, რომლებიც ნაახალისებს ბიზნესის წარმომადგენლებს, რომ შექმნან ნებაყოფლობითი ქცევის წესები პირადი მონაცემების დასაცავად. მაგრამ მაინც აქტუალურია კითხვა, როგორ უნდა მოხდეს ინტერნეტის შედეგად გაჩენილი პრობლემების რეგულირება, განსაკუთრებით კი პერსონალური მონაცემების დაცვის თვალსაზრისით?

პროფესორ ლარი ლესიგის წიგნი²⁷ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წვლილი გახლავთ ინტერნეტის რეგულირების მეთოდებისა და მიზნების შესახებ. ლესიგი ყურადღებას უთმობს არა მხოლოდ მთავრობის მიერ ინტერნეტის რეგულირების საკითხს, არამედ სხვა ალტერნატიულ მეთოდებსაც. ლესიგი დაობს, რომ სახელმწიფო რეგულირების არარსებობის შემთხვევაში ინტერნეტის არქიტექტურა და მისი შიდა წესები კანონად იქცევა. ლესიგის წიგნს ბევრი წინააღმდეგობა შეხვდა. მარკ როტენბერგმა ლესიგის წიგნის გამოქვეყნების შემდეგ დაწერა სტატია, სადაც აკრიტიკებს ლესიგის მიდგომას. როტენბერგი აცხადებს, რომ ლესიგს არასწორად ესმის როგორც არსებული კანონები პერსონალური მონაცემების დაცვის სფეროში, ასევე სახელმწიფოსა და საზოგადოების პოტენციური ამ უფლებების დასაცავად. ქვემოთ მოგვყავს ძირითადი ნაწყვეტები ორივე ავტორის პუბლიკაციებიდან.

ლოურენს ლესიგი

პირადი ცხოვრების არქიტექტურა

ნაწყვეტი

ჩვენ ვუახლოვდებით იმ ხანას, როდესაც პირადი ცხოვრების დაცვის უფლება ფუნდამენტურად შეიცვლება – ერას, როდესაც მონიტორინგის და მონაცემთა ძიების შესაძლებლობები უპრეცედენტო გახდება. ჩვენ შეიძლება ამ ცვლილებებს გზა დავუთმოთ, ან საპასუხოდ რაიმე მოვიმოქმედოთ. ჩემი მიზანია განვიხილო რამდენიმე გამოსავალი.

²⁶ Children's Online Privacy Protection Act

²⁷ Lawrence Lessig, Code and Other Laws of Cyberspace (1999)

პირადი ცხოვრების დაცვის კანონმდებლობა შეერთებულ შტატებში არც ისე ძლიერია და მის გაძლიერებას დღევანდელ პირობებში აღარ უნდა ველოდეთ. არსებობს თუ არა კანონის ალტერნატივები, რომლებმაც, შესაძლოა, ის ხარვეზები შეავსოს, რომლებიც ჩვენი პირადი ცხოვრების დაცვის რეჟიმში არსებობს?

ერთი ალტერნატივა ნორმების შექმნაა. ეს გზა კლინტონის ადმინისტრაციამ აირჩია. კლინტონის ადმინისტრაციას სურდა, რომ ბიზნესს თავად შეექმნა ქცევის წესები პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებით და თავადვე გაეტარებინა ისინი ცხოვრებაში. ამ სქემით ბიზნესი თვითრეგულირების მექანიზმებს შექმნიდა და სახელმწიფოც ამ თვითრეგულირების იმედად იქნებოდა და ის თავისი მოქალაქეების პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას დაიცავდა. ამ მიდგომასთან დაკავშირებით ბევრი სკეპტიკური მოსაზრება არსებობს. ერთ-ერთი ის გახლავთ, რომ ბიზნესის ინტერესები სრულიად განსხვავდება ინდივიდის ინტერესებისაგან. მიუხედავად ამისა, ეს მიდგომა ერთ-ერთ ალტერნატივას მაინც წარმოადგენს, რომლის ეფექტურობაც ჯერ არ დადგენილა.

მეორე ალტერნატივაა არქიტექტურა – ტექნოლოგიები პირადი ცხოვრების დაცვის გარდასაქმნელად იმ სეგმენტში, სადაც ახალმა ტექნოლოგიებმა ეს უფლება სრულიად წაშალა. ამის ყველაზე ნათელი მაგალითი ინფორმაციის კოდირება (*Encryption*) გახლავთ. ამ სისტემის მეშვეობით ინდივიდებს საშუალება ეძლევათ ეფექტურად დამალონ ფაქტები საკუთარი თავის შესახებ, რომელთა გახმაურებაც მათ არ სურთ. მაგრამ კოდირების მეშვეობით არ იმალება, მაგალითად, მონაცემები ტრანსაქციების შესახებ, ტელეფონით საუბრის ხანგრძლივობა და სხვა. ცხადია, კოდირებით ასევე არ იმალება მესამე პირების მიერ ჩვენს შესახებ შექმნილი პერსონალური მონაცემებიც. უფრო მეტიც, კოდირების მეშვეობით იზრდება მონიტორინგისა და ძიების ტექნოლოგიები, რადგან კოდირების მეშვეობით იმალება როგორც ვარკვეული მონაცემები პირის შესახებ, ასევე შესაძლებელია პირის იდენტიფიკაციაც. სწორედ ამის გამო, ვფიქრობ, რომ კოდირების ტექნოლოგიები გაზრდის პირადი მონაცემების დაცვის ხარისხს. უკეთესი გამოსავალი, ჩემი აზრით, გახლავთ დასაცავი არქიტექტურის საბაზრო მექანიზმებთან დაკავშირება. ინფორმაცია საკუთრებაა. ესაა რესურსი, რომლის ღირებულებაც უფრო და უფრო იზრდება.

ამის შემდეგ ლესიგი გვთავაზობს ისეთ სქემას, სადაც პირს თავის პირად მონაცემებზე საკუთრების უფლება ექნებოდა და მასთან დასაშვებად სხვები გარკვეულ საფასურს გადაიხდიდნენ. ამის შემდეგ ლესიგი მიმოიხილავს საფასურის გადახდისთვის მოსალაპარაკებლად საჭირო ისეთ ტექნოლოგიებს, როგორცაა P3P, W3C და სხვა.

ლესიგის აზრით, ეს არის რეჟიმი, სადაც ორი პირი თავად ზრუნავს თავისი პირადი ცხოვრების დაცვისათვის, რომელსაც კანონი მათ ვერ სთავაზობს.

მარკ როტენბერგი

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის უფლების არქიტექტურა (რა არ ესმის ლარის)

ნაწყვეტი

ლარი ლესიგის წიგნმა წინ წამოსწია აზრი, რომ ქცევის კოდექსი იგივეა, რაც კანონი. ამ მოსაზრების თანახმად, ინტერნეტის არქიტექტურა და ქცევის სხვადასხვა წესები ისევე აკონტროლებენ პირის ცხოვრებას, როგორც კანონები. ამ მოსაზრებას ბევრი წინააღმდეგობა შეხვდა ლიბერალურ წრეებში. ლესიგი ერთი კონცეფციიდან მეორეზე გადადის და მის წიგნში ერთი საკანონმდებლო აქტიც კი არ არის სრულყოფილად განხილული, რომ მისი დასკვნა მათ არაეფექტურობაზე საფუძვლიანი აღმოჩნდეს. ლესიგს არ განუხილავს არც ერთი ფედერალური კანონი, მაგალითად, საკაბელო ტელევიზიის მომხმარებელთა პერსონალური მონაცემების დაცვის აქტი²⁸ ან კანონმდებლობა ტელეფონის მოსმენის შესახებ, როგორც მოდელი ინტერნეტში პერსონალური მონაცემების დაცვისათვის.

ლესიგი არასწორად აღიქვამს კანონმდებლობის განვითარებას პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის შესახებ და, განსაკუთრებით, დირექტივას ევროპის კავშირის პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ. იგი აცხადებს, რომ ამ უფლების დაცვის საკანონმდებლო მიდგომა ევროპულია და არა ამერიკული. ეს განცხადება, ცოტა არ იყოს, უცნაურია, რადგან ამ უფლების დაცვის პირველი მოწოდება შეერთებულ შტატებში გაისმა უორენისა და ბრანდისისაგან 1890 წელს. ევროპულმა აკადემიურმა წრეებმა მას მალევე უწოდეს „ამე-

²⁸ Cable Act of 1984

რიკული დელიქტი“. ასევე ამერიკული წარმოშობისაა პირველი საკანონმდებლო აქტები, რომლებიც ინდივიდებს იცავს თვალთვალისა და მოსმენისაგან. ამის მაგალითია ტელეფონის მოსმენის ფედერალური აქტი, 1974 წლის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის აქტი, აქტი საკაბელო მაუწყებლობის შესახებ, ელექტრონული კომუნიკაციების ხელშეუხებლობის აქტი და სხვა.

ცხადია, ევროპული დირექტივა ამ უფლების დაცვის უფრო ერთიან მიდგომას ირჩევს კერძო სექტორში, ვიდრე ეს შეერთებულ შტატებშია. ევროპული დირექტივა წარმოადგენს პასუხს ევროპული ერთიანი ბაზრის შექმნაზე, რაც 1990-იანი წლებიდან დაიწყო, შეერთებული შტატების კანონმდებლობა კი ახალი ტექნოლოგიების გაჩენით პირადი ცხოვრების დაუცველობის გამო შეიქმნა.

როტენბერგი აკრიტიკებს ლესიგის მიდგომას და ასკვნის, რომ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დაცვისათვის სახელმწიფო ძალისხმევაა საჭირო.

ტელემარკეტინგი და ინფორმაციის მეორადი გამოყენება

ბოლო წლების მანძილზე პერსონალური მონაცემების დაცვაზე საუბრისას საკმაოდ პრობლემატური გახდა ინფორმაციის ე.წ. „მეორადი გამოყენების“ პრობლემა. ტერმინი „ინფორმაციის მეორადი გამოყენება“ ნიშნავს ინფორმაციის გამოყენებას იმ მიზნისათვის, რომელიც ამ ინფორმაციის მოპოვების თავდაპირველი მიზანი არ გახლდათ. ინფორმაციის მეორადი გამოყენება ძირითადად შესაძლებელი გახდა ციფრული ტექნოლოგიების გაჩენის შედეგად. წარმოიდგინეთ ადამიანი, რომელიც რეკავს ტელეფონის ნომერზე რაიმე პროდუქტის შესაძენად. ოპერატორს, რომელიც ზარს იღებს, ტელეფონის ნომრის ამომცნობი აპარატის მეშვეობით შეუძლია თავის კომპიუტერში გადაიტანოს აბონენტის ტელეფონის ნომერი. ტელეფონის ნომერთან ერთად შესაძლებელია ამ პირის საიდენტიფიკაციო და საკრედიტო ბარათის ნომრების შეტანაც ელექტრონულ ბაზაში. ეს ინფორმაცია, შესაძლოა შეუერთდეს მანამდე არსებულ ინფორმაციას და შეიქმნას სია მომხმარებელთა პერსონალური მონაცემებით, რომელსაც სხვადასხვა ბიზნესის წარმომადგენლები ტელემარკეტინგით დაკავებულ ფირმებს მიჰყიდენ. ირღვევა თუ არა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის უფლება ინფორმაციის მეორადი გამოყენებისას?

ამ პრობლემის გადასაჭრელად არსებობს რამდენიმე გამოსავალი, რომელიც დღეს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მოქმედებს. ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი დამცავი მექანიზმი ინფორმაციის მეორადი გამოყენების წინააღმდეგ არის წერილობითი თანხმობის წესი: იმისათვის, რომ ინფორმაცია პირის შესახებ კვლავ გამოიყენონ სარეკლამო თუ სხვა მიზნებისათვის, საჭიროა ამ პირის წინასწარი წერილობითი თანხმობა. შეერთებული შტატების კანონმდებლობაში საკმაოდ ბევრია შემთხვევა, როდესაც ასეთი წინასწარი წერილობითი თანხმობა საჭირო ინფორმაციის მეორადი გამოყენებისთვის. მაგალითად, სამედიცინო ინფორმაციის, შიდათ დაავადებულთა შესახებ პერსონალური მონაცემების, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიის გამო სამკურნალო პროგრამებში ჩართული პირების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებისთვის საჭიროა ამ პირთა წინასწარი წერილობითი თანხმობა.

რაც შეეხება სხვა მონაცემებს, ამ მხრივ არსებობს ორი შედარებით ნაკლებად მკაცრი წესი. ერთ-ერთი მათგანის მიხედვით ინფორმაციის მეორადი გამოყენება იკრძალება მანამდე, სანამ პირი არ განაცხადებს, რომ თანახმაა მისი პერსონალური მონაცემები გამოიყენონ სხვა მიზნებისათვის. (**e.w. Opt In Rule**). მეორე წესის თანახმად, პირის შესახებ ინფორმაციის გამოყენება არ იკრძალება, თუ იგი ამის შესახებ არ შეატყობინებს იმ პირს, რომელსაც ეს ინფორმაცია აქვს (**e.w. Opt Out Rule**). ბოლო დროს შეერთებულ შტატებში შექმნილი კანონმდებლობა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის სფეროში სწორედ ამ სამ წესს იყენებს. მაგალითად, საკაბელო მაუწყებლობის შესახებ აქტის თანახმად, საკაბელო მომსახურების მიწოდების გარდა, იკრძალება აბონენტების პერსონალური მონაცემების სხვა მიზნებისთვის გამოყენება. ამისათვის საკაბელო მაუწყებლებს თავისი მომხმარებლების თანხმობა საჭირდებათ. ინტერნეტში ბავშვთა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის აქტის თანახმად კი აუცილებელია არასრულწლოვანთა მშობლების ან არასრულწლოვანთა კანონიერი წარმომადგენლების თანხმობა მათ შესახებ ინფორმაციის გასამჟღავნებლად. 1991 წლის ფედერალური კომუნიკაციების კომისიის აქტით ტელემარკეტინგის ფორმებს ეკრძალებათ იმ მომხმარებლებთან რეკლამირება, რომლებმაც წინასწარ განაცხადეს, რომ არ სურთ რეკლამის მიღება. როგორც ჩანს, შეერთებულ შტატებში ერთიანი ფედერალური კანონმდებლობა არ არსებობს, რომელიც იცავს ელექტრონულ პერსონალურ მონაცემებს. კანონმდებლობა ძირითადად შედგება დარგობრივი კანონებისაგან, რომლებიც პერსონალური მონაცემების გამოყენებას არეგულირებს კონკრეტულ სფეროებში.

1999 წელს ინფორმაციის მეორად გამოყენებასთან დაკავშირებით კომუნიკაციების ფედერალურმა კომისიამ საინტერესო საქმე²⁹ განიხილა. 1996

²⁹ U.S. West v. F.C.C. 182 F. 3d 1224 (10th Cir. 1999)

ნლის კომუნიკაციების აქტის თანახმად, სატელეკომუნიკაციო ოპერატორები ვალდებული იყვნენ, თავისი მომხმარებლებისგან მოეპოვებინათ წინასწარი თანხმობა მათი პერსონალური მონაცემების მარკეტინგისათვის გამოყენებაზე. სატელეკომუნიკაციო ოპერატორებმა ეს წესი სასამართლოში გაასაჩივრეს, სადაც დაობდნენ, რომ ე.წ. **Opt In Rule**³⁰ ანტიკონსტიტუციური იყო, რადგან იგი სატელეკომუნიკაციო ოპერატორების კომერციული გამოხატვის უფლებას ეწინააღმდეგებოდა. მეათე ოლქის სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ ეს წესი მართლაც არღვევდა ოპერატორთა უფლებებს. მოსამართლე ტამამ, რომელმაც სასამართლოს გადაწყვეტილება წარმოადგინა, განაცხადა, რომ სადავო წესი სახელმწიფოს მიერ კომერციული გამოხატვის რეგულირებას წარმოადგენს. მომხმარებელთა პერსონალური მონაცემების გამოყენება კი მიზნად ისახავდა სხვა მომსახურების შეთავაზებას ან მის განევას, რაც ჯდება კომერციული გამოხატვის კლასიკურ განმარტებაში. სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფომ ვერ დაამტკიცა სამი გამამართლებელი გარემოება, რომელიც კომერციული გამოხატვის რეგულირების საფუძველია. იმისათვის, რომ სახელმწიფომ კომერციული გამოხატვა დაარეგულიროს, აუცილებელია, სახელმწიფომ დაამტკიცოს, რომ: 1. არსებობს ამ გამოხატვის რეგულირების მნიშვნელოვანი სახელმწიფო ინტერესი; 2. რეგულირება ამ ინტერესს პირდაპირ უკავშირდება; 3. რეგულირება არ არის საჭიროზე ფართო და მკაცრი. სახელმწიფომ ამ საქმეში ვერ აჩვენა, რომ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა საფრთხის ქვეშ იდგა. სასამართლომ ასევე განაცხადა, რომ სახელმწიფომ ვერ დააკმაყოფილა ზემოხსენებული ტესტის მესამე მოთხოვნა. სახელმწიფოს შეეძლო უფრო ნაკლებად შემზღუდველი წესის, ანუ ე.წ. **Opt Out Rule**-ის გამოყენება. ამასთან, ყველამ დაადასტურა, რომ მომხმარებელთა დიდი ნაწილი აცხადებდა, რომ ე.წ. **Opt Out Rule** მათ უფლებებს სათანადოდ დაცავდა.

სასამართლოს გადაწყვეტილება მკვეთრად გაყოფილი ხმებით მიიღეს და რამდენიმე მოსამართლემ განსხვავებული აზრით წარმოადგინა, სადაც ისინი დაობდნენ, რომ სასამართლომ უმეტრება გამოიჩინა და სათანადოდ დაცვა არ მიანიჭა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის უფლებას³¹.

³⁰ ამ წესის თანახმად, ინფორმაციის მეორადი გამოყენება იკრძალება მანამდე, სანამ პირი არ განაცხადებს, რომ თანახმაა, მისი პერსონალური მონაცემები სხვა მიზნებისათვის გამოიყენონ.

³¹ *Dissenting Opinion of Judge Briscoe U.S. West v. F.C.C.* 182 F. 3d 1224 (10th Cir. 1999)

სატელეფონო საუბრები, ელექტრონული ფოსტა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის უფლება

ჯერ კიდევ 1928 წელს მოსამართლე ტაფტი გადანყვეტილებაში საქმეზე *ომლსტედი შეერთებული შტატების წინააღმდეგ*³² აღნიშნავდა, რომ, რადგან ტელეფონის მოსმენაზე არ ვრცელდებოდა კონსტიტუციის მეოთხე შესწორება და ნორმები ჩხრეკის შესახებ, საჭირო იყო გარკვეული ახალი კანონმდებლობის მიღება, რომელიც სატელეფონო საუბრების ხელშეუხებლობას დაიცავდა. 1934 წელს კონგრესმა მიიღო კომუნიკაციების ფედერალური აქტი³³ – პირველი საკანონმდებლო აქტი, რომელიც სატელეფონო საუბრების დაცვას ისახავდა მიზნად. მიუხედავად ამისა, აქტის რეგულირების სფერო შეზღუდული გახლდათ: იგი არ ვრცელდებოდა შტატების მიერ ტელეფონის მოსმენაზე, რაც უპრობლემოდ დაიშვებოდა კანონიერ მტკიცებულებად სასამართლო პროცესებზე. საბოლოოდ, გამოძიების ფედერალურმა ბიურომ და შეერთებული შტატების იუსტიციის დეპარტამენტმა აქტის ინტერპრეტაცია იმგვარად მოახდინეს, რომ იგი კრძალავდა მხოლოდ ისეთ მოსმენას, რომლის შესახებაც ინფორმაცია გამჟღავნდებოდა. ამასთან, შეერთებული შტატების უზენაესმა სასამართლომაც საკმაოდ შეზღუდა აქტის მოქმედება, როდესაც გადანყვეტილებაში საქმეზე *გოლდმანი შეერთებული შტატების წინააღმდეგ*,³⁴ დაადგინა, რომ ოფისის კედლის გარეთ მიმავრებული დიქტოფონით საუბრის ჩანერა აქტის მიზნებისათვის საუბრის მოსმენას არ წამოადგენდა.

ასეთი შეზღუდული გამოყენების საპასუხოდ, ბერგერისა³⁵ და კატცის³⁶ კონსტიტუციური სტანდარტების გამო და აგრეთვე ორგანიზებული დანაშაულის პრობლემის გამო, შეერთებული შტატების კონგრესმა, რომელსაც ეფექტურად აკონტროლებდნენ დემოკრატები ლინდონ ჯონსონის პრეზიდენტობისას, მიიღო პირველი სრულყოფილი ფედერალური კანონი, რომელიც მოიცავდა დაცვის მექანიზმებს თითქმის ყველა ფორმის საუბარსა და ელექტრონული თვალთვალის ფორმაზე.

დანაშაულის კონტროლისა და უსაფრთხო ქუჩების აქტით³⁷ დაცული გახდა როგორც ფედერალური და შტატის მთავრობის, ასევე კერძო პირთა მიერ

³² *Omlstead v. U.S.* 277 U.S. 428 (1928)

³³ Federal Communications Act of 1934 CH. 652, # 605, 48 Stat. 1103 (1934) amended by 47 U.S.C. # 605 (1968)

³⁴ *Goldman v. United States*, 316 U.S. 129 (1942)

³⁵ *Berger v. United States*. 295 US 78 (1935)

³⁶ იხ. გვერდი 76

³⁷ Omnibus Crime Control nad Safe Streets Act of 1968 18 U.S.C. 2510-2520

საუბრების მოსმენა და ფარული ელექტრონული თვალთვალი. აქტის პირველი ნაწილი (თავდაპირველად მესამე ნაწილი) წარმოადგენს გარკვეულ კომპრომისს სახელმწიფოსა და ინდივიდის ინტერესებს შორის, კერძოდ, დანაშაულის კონტროლსა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის უფლებას შორის. აქტის პირველი ნაწილით რეგულირდება სახელმწიფოს მიერ სატელეფონო საუბრების მოსმენა და ფარული თვალთვალი. 1986 წელს აქტის ამ ნაწილში შევიდა ცვლილებები, რაც გამოწვეული იყო ტექნოლოგიური რევოლუციით. აქტს დაემატა ელექტრონული კომუნიკაციების ცნება. აქტის მეორე ნაწილი არეგულირებს ქმედებებს, რომლითაც ხდება საფოსტო და ისეთი კომუნიკაციის კონტროლი, რომელსაც უკვე ჰქონდა ადგილი, მაგრამ მის შესახებ ინფორმაცია ინახება. აქტის მესამე ნაწილით რეგულირდება სატელეკომუნიკაციო ოპერატორების მიერ განხორციელებული ზარების, საბილინგო ინფორმაციის გამოთხოვა და ტელეფონის მეშვეობით პირის ადგილსამყოფელის დამდგენი აპარატურის გამოყენება.

კანონის თანახმად, სამართალდამცავი ორგანოები ვალდებული არიან მოიპოვონ სასამართლოს ბრძანება იმისათვის, რომ განახორციელონ აქტით რეგულირებული საქმიანობა, ტელეფონის მოსმენა, თვალთვალი და სხვა. უნდა აღინიშნოს, რომ შეერთებული შტატების კანონმდებლობით ამგვარი საქმიანობა მკაცრად რეგულირდება და მასზე კონტროლი სასამართლოს ევალება. კანონმდებლობაში საკმაოდ მკაცრი წესები არსებობს უკანონოდ მოპოვებული მტკიცებულებების შესახებ. სასამართლოს სხდომაზე ისინი არ დაიშვება. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დაცვა ამ მხრივ ე.წ. „მინიმიზაციის წესებია“, რომლის თანახმადაც, სამართალდამცავი ორგანოები ვალდებული არიან თავი შეიკავონ საუბრების მოსმენისაგან ანდა მინიმუმამდე დაიყვანონ ისეთი მოსმენა, რომელიც კონკრეტულ ეჭვმიტანილს ან გამოსაძიებელ დანაშაულს არ უკავშირდება, მაგალითად, ეჭვმიტანილის მეუღლის ან შვილების სატელეფონო საუბრები, რომლებიც უსარგებლოა დანაშაულის დასადგენად. ცხადია, როდესაც საქმე ეხება ტელეფონის მოსმენას, საკმაოდ რთულია ამ წესის დაცვა. ამ პრაქტიკული სირთულეების გამო სასამართლოებს გაუჭირდათ სახელმწიფოს პასუხისმგებლობის დადგენა ამ წესის დარღვევისათვის. ამ მხრივ მნიშვნელოვან პრეცედენტს წარმოადგენს შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე *სკოტი შეერთებული შტატების წინააღმდეგ*³⁸. ამ საქმის გარემოებების მიხედვით ნარკოტიკების საქმის გამოძიებისას სასამართლომ ერთი თვის ვადით გასცა სატელეფონო საუბრების მოსმენის ბრძანება. მოსმენის დროს სამართალდამცავებს არ მიუღიათ არანაირი ზომები, რომ გამოერიცხათ

³⁸ Scott v. United States, 436 U.S. 128 (1978)

არარელევანტური საუბრების მოსმენა. სატელეფონო საუბრების მოსმენის მთელი ნაწილიდან მხოლოდ 40% ეხებოდა ნარკოტიკულ დანაშაულს, რომლის გამოძიებაც მომდინარეობდა. ბრალდებულმა სასამართლოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა, სადაც დაობდა, რომ დაირღვა მინიმუმაციის წესი.

სასამართლოს უმრავლესობა, რომლებსაც მოსამართლე რენკვისტი წარმოადგენდა, არ დაეთანხმა მოსარჩელეს, რომ მინიმუმაციის წესი იმას ნიშნავს, რომ სამართალდამცავები ვალდებული არიან კეთილსინდისიერად მოიქცნენ და მინიმუმამდე დაიყვანონ არარელევანტური საუბრების მოსმენა. სასამართლომ დაადგინა, რომ მინიმუმაციის წესის დარღვევის თუ არდარღვევის დასადგენად საჭიროა დადგინდეს, რამდენად გონივრულად მოქმედებდა პოლიციელი. ამასთან, მხოლოდ პროცენტული შეფარდება რელევანტურ და არარელევანტურ საუბრებს შორის არ წარმოადგენს წესის *a priori* დარღვევას. სასამართლომ დაადგინა სამი ფაქტორი, რომელიც გამოიყენება მინიმუმაციის წესის დარღვევის დასადგენად: 1. გათვალისწინებულ უნდა იქნეს იმ დანაშაულის ტიპი, რომელსაც იძიებენ; 2. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მოსასმენი ობიექტი (საცხოვრებელი სახლის ტელეფონი, საზოგადოებრივი ტაქსოფონი, ოფისის ტელეფონი თუ სხვა); 3. ასევე გათვალისწინებულ უნდა იქნეს იმ საუბართა ხასიათი, რომლებიც არარელევანტურია (მოკლე საუბრებია თუ არა, როდის მოხდა ამ საუბრების ჩანერა თავდაპირველად – მოსმენის დაწყებისას თუ შემდგომ, როდესაც უკვე გარკვეულია ეჭვმიტანილი). შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ წინამდებარე საქმეში კანონი არ დარღვეულა, რადგან საუბრების უმეტესობა მოკლე და ერთჯერადი (სხვადასხვა პირების მიერ განხორციელებული) იყო და მათი მოსმენის გარეშე მათი რელევანტურობის დადგენა შეუძლებელი იქნებოდა.

მოსამართლეებმა ბრენანმა და მარშალმა განსხვავებული მოსაზრებები წარმოადგინეს. ისინი არ დაეთანხმნენ სასამართლოს, როდესაც მან დაადგინა, რომ სამართალდამცავები არ არიან ვალდებული კეთილსინდისიერად დაიყვანონ მინიმუმამდე არარელევანტური საუბრები. მათი აზრით, გონივრულობის ტესტი, რომელიც უმრავლესობამ განავითარა, სავალალო შედეგებს მოიტანს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის უფლებისათვის. ეს გადაწყვეტილება აკადემიურ წრეებშიც მრავალჯერ გაუკრიტიკებიათ და სხვადასხვა შტატები ხშირად მას არ ემორჩილებოდნენ და სამართალდამცავებისგან მოითხოვდნენ, რომ ისინი კეთილსინდისიერად მოქცეულიყვნენ მინიმუმაციის წესის დასაცავად³⁹.

³⁹ People v. Brenes, 364 N.E. 2d 1322, 1327 (N.Y. 1977)

რაც შეეხება ტელეფონის მოსმენებს, რომლებიც სახელმწიფო უსაფრთხოების მიზნით ხორციელდება, მათ არეგულირებს აქტი კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ⁴⁰, რომლის შესახებაც ქვემოთ ვრცლად ვილაპარაკებთ.

ეროვნული უსაფრთხოება და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის უფლება

როგორც ზემოთ აღინიშნა, ეროვნული უსაფრთხოების დაცვის მიზნით ტელეფონის მოსმენას, ელექტრონულ თვალთვალს და ამგვარ ქმედებებს არეგულირებს აქტი კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ. ამ აქტის მიღება გარკვეულწილად განაპირობა შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებამ საქმეზე *შეერთებული შტატები შეერთებული შტატების ოლქის სასამართლოს წინააღმდეგ*⁴¹. ამ საქმეში რამდენიმე პირი ბრალდებულად ცნეს შეერთებული შტატების სახელმწიფო ქონების განადგურებისთვის, კერძოდ კი მიჩიგანის შტატის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ოფისის აფეთქებისათვის. ბრალდება ეფუძნებოდა ტელეფონის მოსმენას, რომელიც განხორციელდა შეერთებული შტატების გენერალური პროკურორის ბრძანების საფუძველზე, მაგრამ მოსამართლის თანხმობის გარეშე. სასამართლო პროცესზე ბრალდებულებმა მოითხოვეს ამ ჩანაწერების განხილვა სასამართლოს მიერ და მათი კანონიერების განსაზღვრა. სახელმწიფო დაობდა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ამ საქმეში არ არსებობდა სასამართლოს თანხმობა, მოსმენა განხორციელდა შეერთებული შტატების პრეზიდენტის დისკრეციული უფლების თანახმად, რომელიც ქვეყნის პრეზიდენტს გააჩნია ეროვნული უსაფრთხოების დაცვისათვის გენერალური პროკურორის მეშვეობით.

შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლო შეერთებული შტატების მთავრობას არ დაეთანხმა და ტელეფონის მოსმენა უკანონოდ ცნო. სასამართლომ განმარტა, რომ არსებობს რამდენიმე გამონაკლისი, როდესაც შესაძლებელია საგამოძიებო მოქმედებების განხორციელება სასამართლოს ბრძანების გარეშე,⁴² მაგრამ ამ საქმეში ასეთი გარემოებები არ არსებობს. სასამართლოს თანხმობა კარგად გამოცდილ მექანიზმს წარმოადგენს ეფექტური საგამოძიებო მოქმედებებისა და კონსტიტუციის მეოთხე შესწორებით

⁴⁰ Foreign Intelligence Surveillance Act of 1978, 50 USC 1801.

⁴¹ United States v. United States District Court, 407 U.S. 297 (1972)

⁴² Katz v. United States იხ. გვერდი

დაცული უფლებებისათვის. ამასთან, სასამართლო განმარტავს, რომ იგი არ ეხება პრეზიდენტის უფლებამოსილებას, როდესაც საქმე ეხება ეროვნული უსაფრთხოების საკითხს და სადაც სუბიექტი უცხო ქვეყნის მოქალაქეა. ამ საქმეში ბრალდებულები შეერთებული შტატების მოქალაქეები არიან, შესაბამისად, ისინი უცხო ძალას არ წამოადგენენ.

როგორც ჩანს, ეს გადაწყვეტილება ადგენს მკვეთრ საზღვარს უფლებამოსილებებს შორის, რომლებიც უცხო ძალის წინააღმდეგ მიმართულ საქმიანობას ეხება და რომლებიც შეერთებული შტატების ქვეყნის შიგნით მომხდარ ქმედებებს უკავშირდება. სასამართლომ დაადგინა, რომ, მიუხედავად ეროვნული უსაფრთხოების საკითხისა, როდესაც საქმე ეხება ქვეყნის შიგნით ჩადენილ დანაშაულებებს, მაშინ ამ საქმეებზე კონსტიტუციის მეოთხე შესწორებით დადგენილი სტანდარტები მოქმედებს. სასამართლოს არაფერი უთქვამს „უცხო ძალების“ მოსმენასა თუ თვალთვალზე. შესაბამისად, სასამართლომ კონგრესს ეს საკითხი ღიად დაუტოვა. რის შემდეგაც კონგრესმა 1978 წელს მიიღო სპეციალური კანონი, რომელიც ამ საკითხებს არეგულირებს – აქტი კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ. ეს აქტი საკმაოდ რთული საკანონმდებლო დოკუმენტია. ქვემოთ მოცემულია კანონის ძირითადი პრინციპები და პროცედურები.

აქტის თანახმად, შექმნილია სპეციალური სასამართლოები, რომლებიც აქტით რეგულირებულ საქმეებს განიხილავენ. სასამართლოს შემადგენლობას შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ადგენს შეერთებული შტატების ფედერალური სააპელაციო ოლქის სასამართლოს მოსამართლეებისაგან. ამ მოსამართლეთაგან სამი – სააპელაციო ინსტანციის მოსამართლეა, რომლებიც განიხილავენ აქტის საფუძველზე მიღებულ სააპელაციო განცხადებებს. 2004 წლის მონაცემებით სასამართლოები ყოველთვის აკმაყოფილებენ ფედერალური ოფიცრის შუამდგომლობას. აქტით რეგულირებული საქმიანობის განხორციელება სასამართლოს ბრძანების გარეშეც დასაშვებია.

კანონის თანახმად, საჭიროა, რომ სასამართლოს ფედერალურმა ოფიცრმა მიმართოს, რომელსაც წინასწარ უკვე მოპოვებული აქვს შეერთებული შტატების გენერალური პროკურორის თანხმობა. მან სასამართლოს უნდა წარუდგინოს პირის იდენტიფიკაცია და დაამტკიცოს, რომ ქმედება აუცილებელია დაზვერვითი საქმიანობის ფარგლებში და არა ჩვეულებრივი გამოძიების კონტექსტში. მოსამართლე უფლებამოსილია გასცეს ბრძანება, თუკი არსებობს დასაბუთებული ეჭვი და მინიმუზაციის პროცედურები კანონს შესაბამეა. უნდა აღინიშნოს, რომ დასაბუთებული ეჭვის სტანდარტი ამ კანონით ბევრად უფრო დაბალია, ვიდრე ეს ჩვეულებრივი სისხლის სამართლის დანაშაულის დროსაა მიღებული. სახელმწიფოს არ აკისრია ვალდებუ-

ლება, დაასაბუთოს, რომ არსებობს გონივრული ეჭვი, რომ კონკრეტულმა სუბიექტმა დანაშაული ჩაიდინა. სახელმწიფოს ევალება, დაადასტუროს, რომ პირი წარმოადგენს კანონით განსაზღვრულ „უცხო ძალას“ და რომ არსებობს ინფორმაციის მოპოვების შესაძლებლობა. შესაბამისად, აქტივით გავალისწინებული სასამართლოს პროცედურებიც უფრო ნაკლებად მკაცრია, ვიდრე სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისას. შეჯიბრებითობის პრინციპიც შესუსტებულია სასამართლო განხილვისას. სამართალდამცავებს არ ევალება სასამართლოს პერიოდულად შეატყობინონ მოსმენის ან თვალთვალის მიმდინარეობის შესახებ და წარუდგინონ ამოღებული მტკიცებულებების ჩამონათვალი ბრძანების გამცემ მოსამართლეს, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება ხოლმე.

როგორც ჩანს, ამ კანონმდებლობას საკმაოდ ფართო მოქმედების ფარგლები აქვს და მას ხშირად აკრიტიკებენ, მისი მოქმედება უფრო გაიზარდა 11 სექტემბრის შედეგად, მას შემდეგ, რაც **Patriot Act** მიიღეს.

პირადი ცხოვრების
ხელშეუხებლობის დაცვა
ევროპაში

პირადი მონაცემების დაცვა ევროპის კავშირში

ევროპის კავშირში პირადი მონაცემების დაცვა ძირითადად უზრუნველყოფილია ევროპის პარლამენტის და საბჭოს 1995 წლის 24 ოქტომბრის დირექტივით „პირთა დაცვის შესახებ მათი პირადი მონაცემების გადამუშავების პროცესში და ასეთი მონაცემების თავისუფალი მიმოქცევის შესახებ“ (*Directive 95/46/EC on the protection of individuals with regard to the processing of personal data and on the free movement of such data*). დირექტივა მიზნად ისახავს, დაცულ იქნეს ბალანსი პირთა პირადი მონაცემების დაცვასა და ევროპის კავშირში პირადი მონაცემების თავისუფალ მიმოქცევას შორის. დირექტივა აწესებს მკაცრ შეზღუდვებს პირადი მონაცემების შეგროვებასა და გამოყენებაზე და მოითხოვს, რომ ყოველმა წევრმა სახელმწიფომ შექმნას დამოუკიდებელი ეროვნული ორგანო, რომელიც პასუხისმგებელი იქნება ამ მონაცემების დაცვაზე.

დირექტივა გამოიყენება იმ მონაცემების მიმართ, რომელთა გადამუშავება ხდება ავტომატიზებული საშუალებებით (მაგალითად, მონაცემთა კომპიუტერული ბაზა მომხმარებელთა შესახებ) და იმ მონაცემების მიმართ, რომელიც ავტომატური ფაილების სისტემების (ქალაქის ტრადიციული ფაილები) ნაწილს წარმოადგენს.

დირექტივა არ გამოიყენება შემდეგ მონაცემთა გადამუშავების მიმართ:

- რომელსაც ახდენს ფიზიკური პირი მხოლოდ პირადი თუ ოჯახური მიზნებისათვის;

- ისეთი საქმიანობის დროს, რომელიც სცილდება ევროპის თანამეგობრობის სამართლის (*Community Law*) ფარგლებს, მაგალითად, ოპერაციებს საზოგადოებრივი უსაფრთხოების, თავდაცვისა და სახელმწიფო უშიშროების სფეროებში.

დირექტივა მიზნად ისახავს დაიცვას პირთა უფლებები და თავისუფლებები პირადი მონაცემების გადამუშავების პროცესში, იმ სახელმძღვანელო პრინციპების დანესებით, თუ როდის შეიძლება ჩაითვალოს ეს პროცესი კანონიერად. სახელმძღვანელო პრინციპები უკავშირდება:

- **მონაცემების ხარისხს:** პირადი მონაცემების გადამუშავება უნდა მოხდეს სამართლიანად და კანონიერად, ხოლო მისი შეგროვება მოხდეს კონკრეტული, მკაფიო და ლეგიტიმური მიზნებით;
- **მონაცემთა გადამუშავების ლეგიტიმურობას:** პირადი მონაცემების დამუშავება შესაძლებელი უნდა იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტულმა პირმა გარკვევით განაცხადა თავისი თანხმობა ამაზე, ან თუ ამ მონაცემების შეგროვება-დამუშავება აუცილებელია:
 - კონტრაქტის შესრულებისთვის, რომლის მხარესაც ეს პირი წარმოადგენს;
 - სამართლებრივი ვალდებულების შესრულებისთვის, რომელსაც ეს პირი ექვემდებარება;
 - მაკონტროლებლის არსებითი ინტერესების დასაცავად;
 - საზოგადოებრივი ინტერესის მქონე ამოცანის შესასრულებლად;
 - მაკონტროლებლის ლეგიტიმური ინტერესების უზრუნველსაყოფად.
- **მონაცემთა დამუშავების სპეციალურ კატეგორიებს:** აკრძალულია ისეთი პირადი მონაცემების შეგროვება-დამუშავება, რომელიც შეეხება რასობრივ თუ ეთნიკურ წარმომავლობას, პოლიტიკურ მოსაზრებებს, რელიგიურ თუ ფილოსოფიურ რწმენას, პროფკავშირების წევრობას, პირის ჯანმრთელობას და სექსუალურ ცხოვრებას. ეს დებულებები და მათი გამოწვევები კვალიფიცირდება, მაგალითად, იმ შემთხვევაში, როდესაც ამგვარი ინფორმაციის შეგროვება-დამუშავება აუცილებელია ამ პირის სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად ან პრევენციული მედიცინისა თუ სამედიცინო დიაგნოსტიკისთვის.
- **ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომია თავად ამ პირისთვის:** მაკონტროლებელმა გარკვეული ინფორმაცია უნდა მიანოდოს იმ პირს, რომლისგანაც მან მოიპოვა ინფორმაცია (მაკონტროლებლის

- ვინაობა, ინფორმაციის შეგროვება-დამუშავების მიზნები, მონაცემების მიმღები პირები და სხვ);
- **ამა თუ იმ პირისათვის ამ მონაცემების ხელმისაწვდომობას:** ყოველ პირს, რომლის შესახებაც შეგროვდა ანდა დამუშავდა ინფორმაცია, უფლება აქვს, მაკონტროლებლისგან მოითხოვოს:
 - დასტური, რომ მის შესახებ ინფორმაციას აგროვებენ ანდა ამუშავებენ;
 - ისეთი მონაცემების უარყოფა, ნაშლა თუ დაბლოკვა, რომლის შეგროვება-დამუშავება არ შეესაბამება ამ დირექტივის დებულებებს, კერძოდ, მონაცემების არასრული ან არასწორი ხასიათის გამო, და ამ ცვლილებების შესახებ იმ პირთა ინფორმირება, რომელთათვისაც ხელმისაწვდომი გახდა ეს მონაცემები.
 - **გამონაკლისებს და შეზღუდვებს:** მონაცემების ხარისხთან დაკავშირებული პრინციპები, ამა თუ იმ პირისათვის გასამუდავნებელი ინფორმაცია, ხელმისაწვდომობის უფლება და შეგროვება-გადამუშავების საჯაროობა შეიძლება შეიზღუდოს ისეთი ინტერესების დასაცავად, როგორცაა ეროვნული უსაფრთხოება, თავდაცვა, საზოგადოებრივი უშიშროება, დანაშაულთა დევნა, ნევრ-სახელმწიფოს ან ევროკავშირის მნიშვნელოვანი ეკონომიკური თუ ფინანსური ინტერესი ან თავად მოცემული პირის დაცვა;
 - **მონაცემთა შეგროვება-დამუშავების წინააღმდეგობის უფლებას:** პირს უფლება უნდა ჰქონდეს, კანონიერ საფუძველზე წინ აღუდგეს მასთან დაკავშირებული ინფორმაციის შეგროვება-დამუშავებას. მას ასევე უფლება უნდა ჰქონდეს საკუთარი სურვილით და უფასოდ წინ აღუდგეს იმ პირადი მონაცემების შეგროვება-დამუშავებას, რომლის გამოყენებასაც მაკონტროლებელი აპირებს პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისთვის. მას უნდა ეცნობოს, ვიდრე მის შესახებ ინფორმაცია მიეწოდებათ მესამე პირებს პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისთვის და გარკვევით მიეცეს ამგვარი გამუდავნებისათვის წინააღმდეგობის განხრის უფლება;
 - **მონაცემთა შეგროვება-დამუშავების კონფიდენციალურობას და უსაფრთხოებას:** არც ერთმა პირმა, რომელიც მოქმედებს მაკონტროლებლის ან შემგროვებლის ანდა დამუშავებლის უფლებამოსილებით, რომელსაც ხელი მიუწვდება პირად მონაცემებზე, არ უნდა მოახდინოს ინფორმაციის შეგროვება-დამუშავება მაკონტროლებლის შესაბამისი ინსტრუქციების გარეშე. ასევე, მაკონტროლებელმა უნდა მიიღოს შესაბამისი ზომები, რათა

დაცულ იქნეს პირადი მონაცემები შემთხვევითი თუ უკანონო განადგურების ან დანაკარგისაგან, შეცვლისა თუ უკანონო გამჟღავნებისაგან;

- **თანამდებობრივად მაღლა მდგომი პირის ინფორმირებას შეგროვება-გადამუშავების შესახებ:** მაკონტროლებელმა უნდა აცნობოს ეროვნულ ზედამხედველ ორგანოს (*national supervisory authority*), ვიდრე იგი განახორციელებს პირად მონაცემებთან დაკავშირებულ რაიმე ოპერაციას (*processing operation*). ამგვარი შეტყობინების მიღების შემდეგ ეროვნულმა ზედამხედველმა ორგანომ უნდა შეაფასოს ამ პირის უფლებებისა და თავისუფლებებისათვის შექმნილი რისკი. მიღებულ უნდა იქნეს აუცილებელი ზომები შესაბამისი ოპერაციების საჯაროობისათვის და საზედამხედველო ორგანოებმა უნდა აწარმოონ რეესტრი ამ ოპერაციების შესახებ.

ყოველ პირს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს მისი ნებისმიერი უფლების დარღვევის შესახებ, რომელიც გარანტირებული აქვს ეროვნული კანონმდებლობით პირადი მონაცემების დაცვის შესახებ. ასევე, ყოველ პირს, რომელსაც ზიანი მიადგება მისი პირადი მონაცემების უკანონოდ შეგროვება-დამუშავების გამო, უფლება აქვს მიიღოს კომპენსაცია განცდილი ზიანის ასანაზღაურებლად.

ნებადართულია პირადი მონაცემების გადაცემა ევროკავშირის წევრ-სახელმწიფოდან იმ მესამე სახელმწიფოში, სადაც მოქმედებს დაცვის ადეკვატური დონე. ამასთან, ეს ინფორმაცია არანაირ შემთხვევაში (გარდა დირექტივაში ჩამოთვლილი გამონაკლისი შემთხვევებისა) არ შეიძლება გადაეცეს ისეთ მესამე ქვეყანას, სადაც დაცვის რეჟიმი დაბალია.

დირექტივა მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს ეროვნულ და თანამეგობრობის დონეზე ქცევის კოდექსების შემუშავებას, რაც, თავის მხრივ, ნაყოფიერი იქნება ეროვნული და თანამეგობრობის დებულებების შესრულების პროცესში.

ევროკავშირის ყოველი წევრ-სახელმწიფო ვალდებულია განსაზღვროს ერთი ან მეტი დამოუკიდებელი სახელმწიფო ორგანო, რომელიც პასუხისმგებელი იქნება ამ დირექტივის შესაბამისად წევრ-სახელმწიფოების მიერ მიღებული კანონმდებლობის შესრულებაზე.

ევროკავშირის დონეზე შეიქმნება სპეციალური სამუშაო ჯგუფი (*A Working Party on the Protection of Individuals with regard to the Processing of personal Data*), რომელშიც შევლენ ეროვნული საზედამხედველო სტრუქტურების, თანამეგობრობის ინსტიტუტებისა და ორგანიზაციების საზედამხედველო ფუნქციების მქონე თანამდებობის პირთა და ევროკომისიის წარმომადგენლები.

ევროკავშირში პირადი მონაცემების დაცვის კონტექსტში ასევე უნდა მივიხილოთ შემდეგ დოკუმენტებზე:

- კომისიის 2004 წლის 14 მაისის გადაწყვეტილება 2004/535/EC (Commission Decision 2004/535/EC of 14 May 2004 on the adequate protection of personal data contained in the Passenger Name Record of air passengers transferred to the United States Bureau of Customs and Border Protection).

ამ გადაწყვეტილებაში კომისიამ მიიჩნია, რომ მონაცემები ევროკავშირის საჰაერო მგზავრების შესახებ, რომლებიც გადაეცემა აშშ-ის ხელისუფლებას, ექვემდებარება „ადეკვატურ დაცვას“, რაც დადგენილია 95/24/EC დირექტივით ევროკავშირის გარეთ მონაცემების გადაცემის შემთხვევისთვის. აღსანიშნავია, რომ 2001 წლის 11 სექტემბრის მოვლენების შემდეგ აშშ-ის კონგრესმა მიიღო კანონი, რომელიც აშშ-ში, აშშ-დან ან აშშ-ის გავლით საჰაერო რეისების განმარტაცი-ელზელი ავიაკომპანიებისგან მოითხოვს ხელმისაწვდომი გახადოს მგზავრთა სახელებისა და გვარების ჩანაწერები (*Passenger Name Records (PNR)*). ამის შემდეგ ევროკომისიამ დაიწყო ინტენსიური მოლაპარაკებები აშშ-ის ხელისუფლებასთან იმის უზრუნველსაყოფად, რომ აშშ-მ სრულად დაიცვას მგზავრთა უფლებები მათი მონაცემების დაცვასთან დაკავშირებით და მკაფიო იყოს სამართლებრივი სურათი (*reinforcing legal certainty*).

- ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2002 წლის 12 ივლისის 2002/58/EC დირექტივა (Directive 2002/58/EC of the European Parliament and of the Council of 12 July 2002 concerning the processing of personal data and the protection of privacy in the electronic communications sector).

2002 წელს ამ დირექტივის მიღება მიზნად ისახავდა ახალი სამართლებრივი მარეგულირებელი რეჟიმის ამოქმედებას ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში. იგი შეიცავს დებულებებს მთელი რიგი მეტ-ნაკლებად პრობლემური თემების შესახებ, როგორცაა წევრ-სახელმწიფოების მიერ მონაცემების შენახვა პოლიციის მიზნებისთვის (*retention of data for the purposes of police surveillance*), ელექტრონული ფოსტის გაგზავნა, პირადი მონაცემების შეტანა საჯარო დირექტორიებში და სხვა (მაგალითად, *the use of cookies*).

- ევროპის პარლამენტის და საბჭოს 2000 წლის 18 დეკემბრის 45/2001 რეგულაცია (Regulation (EC) No 45/2001 of the European Parliament and of the Council of 18 December 2000 on the protection of individuals with regard to the processing of personal data by the Community institutions and bodies and on the free movement of such data).

ევროპის კავშირისა და შეერთებული შტატების ერთობლივი შეთანხმება ე.წ. Safe Harbor Concept

ევროპის კომისიის დირექტივა ევროპაში პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ⁴³ 1998 წელს შევიდა ძალაში. როგორც ზემოთ აღინიშნა, დირექტივის მიხედვით ევროპის კავშირის ქვეყნებს ეკრძალებათ პერსონალური მონაცემების გადაცემა კავშირის არანწევრებისათვის, რომლებიც არ აკმაყოფილებენ ე.წ. „ევროპული ადეკვატურობის სტანდარტს“ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის სფეროში. ცნობილია, რომ ევროპის კავშირის მსგავსად, შეერთებული შტატების ერთ-ერთი მიზანი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დაცვა და პოპულარიზაციაა. მიუხედავად ამისა, ევროპის კავშირისგან განსხვავებით, შეერთებულ შტატებში ამ სფეროში ერთიანი კანონმდებლობა არ მიუღიათ. შეერთებულ შტატებში სექტორული კანონები მოქმედებს, რომლებიც სხვადასხვა სფეროში არეგულირებს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის უფლებას. ევროპის კავშირი სხვაგვარ მიდგომას ირჩევს. აქ შეიქმნა ერთიანი დირექტივა, რომელიც ზოგადად ყველა სფეროში არეგულირებს პერსონალურ მონაცემთა დაცვას, მოითხოვს, რომ წევრმა სახელმწიფოებმა შექმნან ეროვნული ორგანოები პერსონალური მონაცემების დასაცავად და სხვა.

⁴³ Directive 95/46/EC on the protection of individuals with regard to the processing of personal data and on the free movement of such data

ამ განსხვავებების გამო ცხადი იყო, რომ დირექტივის ძალაში შესვლის მომენტიდან ამერიკულ კომპანიებს დიდი პრობლემები შეექმნებოდათ ევროპაში ბიზნესის წარმოების დროს. ამ პრობლემის გადასაჭრელად შეერთებული შტატების სავაჭრო დეპარტამენტმა ევროპულ კომისიასთან ერთად დაიწყო კონსულტაციები ე.წ. **Safe Harbor Concept**-ის შესაქმნელად. ეს შეთანხმება ევროპის კავშირმა 2000 წელს დაამტკიცა. ეს ქმნის წარმატებულ და ეფექტურ მექანიზმს პერსონალური მონაცემების დასაცავად, როდესაც ეს მონაცემები ევროპის კავშირის საზღვარს გადაკვეთს.

ნებისმიერ ორგანიზაციას, რომელიც შეერთებულ შტატებშია რეგისტრირებული, შეუძლია ნებაყოფლობით მიმართოს შეერთებული შტატების სავაჭრო დეპარტამენტს და მოითხოვოს იმ სიაში შეყვანა, რომელიც შეთანხმების საფუძველზე იქმნება. აუცილებელია, რომ კომპანიამ წარმოადგინოს თავისი განაცხადი პერსონალური მონაცემების დაცვასთან დაკავშირებით და დააკმაყოფილოს კიდევ ერთი მოთხოვნა: აუცილებელია, რომ კომპანიამ ან თავად შექმნას და წარმოადგინოს პერსონალური მონაცემების დაცვის პოლიტიკა, რომელიც შეთანხმებას არ ეწინააღმდეგება, ან შეუერთდეს პერსონალური მონაცემების დაცვის უკვე არსებულ პროგრამას.

ამასთან, აუცილებელია, რომ კომპანია აკმაყოფილებდეს შეთანხმების შვიდ პრინციპს:

შეტყობინება. ორგანიზაცია ვალდებულია, რომ პირს შეატყობინოს იმ მიზნის შესახებ, რის გამოც გროვდება და შემდგომში გამოიყენება პერსონალური მონაცემები. ამ წესში უნდა არსებობდეს ორგანიზაციასთან დაკავშირების პროცედურა, საჩივრების შეტანის მექანიზმი, მესამე პირთა ჩამონათვალი, რომლებსაც შეიძლება გადაეცეთ ინფორმაცია და სხვა საშუალებები, რაც პირს შეუძლია გამოიყენოს, რომ შეზღუდოს თავისი პერსონალური მონაცემების გამჟღავნება და გამოყენება.

არჩევანი. ორგანიზაცია ვალდებულია მისცეს პირებს შესაძლებლობა, რომ მათ უარი თქვან პერსონალური მონაცემების სხვა პირებისათვის გადაცემას ან გამოყენებაზე (ანუ გამოიყენოს ე.წ. **Opt Out Rule**). განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მონაცემების შემთხვევაში კი კომპანია ვალდებულია გამოიყენოს ე.წ. **Opt In Rule**, რა შემთხვევაშიც ინფორმაციის გაცემა ან სხვა მიზნებისათვის გამოყენება იკრძალება, სანამ პირი თანხმობას წერილობით არ დაადასტურებს.

შემდგომი გადაცემა (მესამე პირებისათვის გადაცემა). იმისათვის, რომ პერსონალური მონაცემები კომპანიამ მესამე პირებს გადასცეს, მან უნდა გამოიყენოს შეტყობინებისა და არჩევანის პრინციპები. ამასთან, კომპანიამ მესამე პირებისგან უნდა მოითხოვოს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის უფლების შეთანხმებასთან შესაბამისი პროგრამა.

დაშვება. პირს უფლება უნდა ჰქონდეს, რომ მიიღოს მის შესახებ არსებული ინფორმაცია, შეასწოროს, დაამატოს ან წაშალოს გარკვეული ინფორმაცია, იმ შემთხვევების გამოკლებით, როდესაც დაშვება სხვა პირთა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის უფლებას შეუქმნის საფრთხეს.

უსაფრთხოება. ორგანიზაცია ვალდებულია მიიღოს გონივრული ზომები პირის პერსონალური მონაცემების დასაცავად და თავიდან აირიდოს მათი დაკარგვა, ბოროტად გამოყენება, მასთან უკანონო დაშვება, შეცვლა და განადგურება.

მონაცემთა ერთიანობა. პერსონალური მონაცემები უნდა მიესადაგებოდეს იმ მიზნებს, რისთვისაც ისინი შეიქმნა ან შეგროვდა.

განხორციელება. იმისათვის, რომ შეთანხმების ნორმები დაცულ იქნეს და ინდივიდებს უფლებების აღდგენა შეეძლოს, ორგანიზაცია ვალდებულია: 1. შექმნას საჩივრების მიღებისა და განხილვის დამოუკიდებელი, ეფექტური და სწრაფი საშუალებები და ზიანის ანაზღაურების მექანიზმები; 2. შეიმუშაოს პროცედურები, რომლითაც დაადგენს, რომ მესამე პირები ემორჩილებიან შეთანხმების პრინციპებს და მათთვის ინფორმაციის გადაცემა უსაფრთხოა; 3. შექმნას პროცედურები უფლებების აღსადგენად მათი დარღვევის დადგენის შემთხვევაში. სანქციები გონივრულად მკაცრი უნდა იყოს, რათა კომპანიებმა თავი არ აარიდონ ვალდებულებების შესრულებას.

მას შემდეგ, რაც კომპანია ან რომელიმე ორგანიზაცია შეერთებული შტატების სავაჭრო დეპარტამენტის სიას შეუერთდება, იგი სარგებლობს შემდეგი პრივილეგიებით:

○ ევროპის კავშირის ყველა წევრ-სახელმწიფო ვალდებულია დაემორჩილოს ევროპის კომისიის გადაწყვეტილებას ადეკვატურობის დადგენის შესახებ.

○ ჩაითვლება, რომ რეგისტრირებული კომპანიები აკმაყოფილებენ ადეკვატურობის პრინციპებს და მათი მონაცემების გაცვლა გაგრძელდება;

○ წევრ-სახელმწიფოები ავტომატურად მისცემენ მონაცემთა გაცვლის დასტურს;

○ ევროპის კავშირის მოქალაქეების საჩივრებს შეერთებული შტატების სასამართლო სისტემაში გარკვეული გამოწვევებით განიხილავენ.

შეთანხმება ითვალისწინებს მარტივ და იაფ პროცედურებს ადეკვატურობის დასადასტურებლად, რომელიც ხელმისაწვდომია როგორც დიდი, ასევე მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენელთათვის. ევროპის კავშირში რეგისტრირებულ ნებისმიერ ორგანიზაციას შეუძლია გადაამოწმოს კომპანიის რეგისტრაცია შეერთებული შტატების სავაჭრო დეპარტამენტის ვებ გვერდზე, რომელიც რეგულარულად განახლდება.⁴⁴

⁴⁴ იხ. ვებ გვერდი <www.export.gov.safeharbor>

პირადი ცხოვრების
ხელშეუხებლობის უფლება
ადამიანის უფლებათა და
ძირითად თავისუფლებათა
კონვენციის მიხედვით

შესავალი

ევროპის ადამიანის უფლებათა და ფუნდამენტურ თავისუფლებათა კონვენცია იცავს ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას. კონვენციის მე-8 მუხლი განმარტავს:

„1. ყველას აქვს უფლება პატივი სცენ მის პირად და ოჯახურ ცხოვრებას, მის საცხოვრებელსა და მიმონერას.

2. დაუშვებელია საჯარო ხელისუფლების ჩარევა ამ უფლების განხორციელებაში, გარდა ისეთი ჩარევისა, რაც დაშვებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესებისათვის ან უნესრიგობის ან დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, ჯანმრთელობის ან ზნეობის ან სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად.“

როგორც კონვენციის მე-8 მუხლის პირველი პუნქტიდან ჩანს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა რამოდენიმე ელემენტისაგან შედგება. ესენია

1. პირადი ცხოვრება
2. ოჯახური ცხოვრება
3. საცხოვრებელი ადგილის უფლება
4. მიმონერა

პირადი ცხოვრება

შინაარსი

ევროპის სასამართლოს პრაქტიკამ დაამკვიდრა პირადი ცხოვრების ფართო გაგება. იგი არ ფარავს მხოლოდ პიროვნების შინაგან სამყაროს, ე.წ. „შინაგან წრეს“, არამედ პირის შესაძლებლობას იქონიოს კონტაქტი გარე სამყაროსთან, სხვა ადამიანებთან. პირადი ცხოვრების კატეგორიაში სასამართლომ აგრეთვე მოაქცია პირის პროფესიული საქმიანობის ფარგლებში დამყარებული ურთიერთობებიც.⁴⁵

სახელმწიფოს ან მესამე პირის მიერ პირადი ინფორმაციის შეგროვება ითვლება პირად ცხოვრების არეალში შეჭრად. პირადი კომუნიკაციების დარღვევა ამ კომუნიკაციის შინაარსის მიუხედავად ასევე ხვდება მე-8 მუხლის დაცვის ფარგლებში. სახელმწიფო ორგანოში შენახულ საკუთარ პირად მონაცემებზე ხელმისაწვდომობა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ნაწილია.⁴⁶

პირადი ცხოვრების არეალში ხვდება ადამიანის სქესობრივი ცხოვრებაც და დაცულია ევროკონვენციის მე-8 მუხლით. სქესობრივი ურთიერთობები, მათ შორის ორიენტაცია, პირის ინტიმურ სამყაროს წარმოადგენს და შესაბამისად მასში ჩარევა უფლების დარღვევად ჩაითვალა.⁴⁷

ევროსასამართლოს მართლმსაჯულებამ ადამიანის სახელი და გვარი, ასევე სხვა სახის პირის მაიდენტიფიცირებელი ინფორმაცია მე-8 მუხლის დაცვის სფეროში მოაქცია, ასევე პირის სურვილის არსებობის შემთხვევაში გასაიდუმლოებას ექვემდებარება სქესის შეცვლის შემდეგ ძველი პირადობის დამადასტურებელი ინფორმაცია.⁴⁸

⁴⁵ Niemietz v. Germany, 16/12/1992 წლის გადაწყვეტილება

⁴⁶ Gaskin v. the United Kingdom 7/06/1989 წლის გადაწყვეტილება

⁴⁷ Dungeon v. the United Kingdom, 22/09/1997 წლის გადაწყვეტილება

⁴⁸ B v. France, 25/03/1992 წლის გადაწყვეტილება

პირის ფიზიკური და ფსიქოლოგიური ხელშეუხებლობა პირადი ცხოვრების ერთ-ერთი ფუნდამენტური შემადგენელი ნაწილია და მე-8 მუხლში დაცვის ფარგლებში შედის. პირის მიმართ განხორციელებული ფიზიკური ძალადობა, სხეულებრივი სასჯელები, თუ იგი ცდება დაშვებულ ფარგლებს, წარმოადგენს ევროკონვენციის დარღვევას. ფიზიკური და მორალური ხელშეუხებლობის კატეგორიაში შედის იძულებითი სამედიცინო მკურნალობა ან ანალიზები⁴⁹, მათ შორის სავალდებულო ვაქცინაციაც. შესაბამისად თუ დაცული არ არის გარკვეული მოთხოვნები, მსგავსი იძულებითი მოქმედება ჩაითვლება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევად.

თავად პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობაც შინაარსის მიხედვით შეიძლება რამოდენიმე ძირეულ ელემენტად დაიყოს:

- პირადი ინფორმაციის შეგროვება დამუშავება და შენახვა;
- სქესობრივი ურთიერთობების თავისუფლება
- სახელის უფლება
- ფიზიკური და მორალური ხელშეუხებლობა

რეგულირება

ევროპის სასამართლოს მართლმსაჯულების მიხედვით სახელმწიფოს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის შეზღუდვისას გააჩნია გარკვეული შეფასების ფარგლები. ამ ფარგლებში მან უნდა განსაზღვროს, ერთი არსებული ლეგიტიმური მიზანის ბუნება და მნიშვნელობა და ჩარევის სახე და ბუნება.

პირადი ინფორმაციის შეგროვება, დამუშავება და შენახვა

სშირია სხვადასხვა ორგანოების მიერ ადამიანის შესახებ პირადი ინფორმაციის შეგროვების შემთხვევები, მაგალითად აღწერა. ასეთი ინფორმაციის თავმოყრა პირის თანხმობის გარეშე ხვდება ევროკონვენციის მეათე მუხლის დაცვის ქვეშ. თუმცა არსებობს ამავე მუხლით გათვალისწინებული გამოწვევებიც. პირის თანხმობის გარეშე ხდება ორ ძირითად შემთხვევაში:

1. დანაშაულთან ბრძოლა და გამოძიების ინტერესები; ან
2. ეროვნული უსაფრთხოება და ეროვნულ უშიშროება.

⁴⁹ Peters v. the Netherlands, 6/04/1994 წლის გადაწყვეტილება

თითოეული კონკრეტული საქმის განხილვისას სასამართლო ამონმებს თავად ინფორმაციის მოცულობას და ამონმებს რამდენად აუცილებელი იყო დემოკრატიული საზოგადოებისათვის მსგავსი შეზღუდვის დაწესება.

გამოძიების ინტერესები

პირადი მონაცემების შეგროვება დასაშვებია გამოძიების მიმდინარეობისას ეჭვმიტანილი პირის მიმართ. ტერორისტული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისას პირადი ცხოვრების დაცვის სტანდარტი კიდევ უფრო დაბალია ამ დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მწვავე საზოგადოებრივი მოთხოვნებიდან გამომდინარე. ამ შემთხვევაში სამართალდამცავ ორგანოებს ეძლევათ უფლება ინფორმაცია შეაგროვონ იმ პირებზე, რომელთა მიმართაც არ არსებობს დანაშაულში მონაწილეობის დასაბუთებული ეჭვი.⁵⁰

ეროვნული უსაფრთხოება

ევროპის სასამართლოს მართლმსაჯულების მიხედვით სახელმწიფოს აქვს ლეგიტიმური უფლება შეზღუდოს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა ეროვნული უსაფრთხოების დაცვის მოტივით. ეჭვს გარეშეა, რომ საფრთხის არსებობისას სახელმწიფოს შესაბამისი ორგანოები უფლებამოსილები არიან შეაგროვონ პირადი ინფორმაცია, და შემდგომში გამოიყენონ უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. მაგრამ სახელმწიფოს ეს უფლება არ არის შეუზღუდავი. ერთი, ამ შემთხვევაში უნდა მოხდეს სახელმწიფოს ინტერესის და შეზღუდვის ფორმის და ზომის დაბალანსება. მეორე, სახელმწიფოს უნდა გააჩნდეს ადეკვატური და ეფექტური სამართლებრივი გარანტიები გადამეტებული ჩარევის წინააღმდეგ.⁵¹ ეს გულისხმობს პირველ რიგში ინფორმაციის შეგროვების საფუძვლები, წესი და ფარგლები უნდა იყოს კანონით განსაზღვრული. მეორე, უნდა არსებობდეს დამოუკიდებელი და ეფექტური ზედამხედველობის სისტემა. მაგალითად, დამოუკიდებელი ომბუდსმენის ინსტიტუტი შეიძლება ჩაითვალოს ასეთად.

პირადი ინფორმაციის მესამე პირებისათვის გადაცემა

ევროპის სასამართლოს საქმეებიდან გამომდინარე პირადი ინფორმაციის მესამე პირებისათვის გადაცემა ჩაითვლება მე-8 მუხლით დაცული პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევად. თუმცა არსებობს შემთხვევები, როდესაც ამ ინფორმაციის მესამე პირებისათვის გადაცემის საზოგადოებრივი მნიშვნელობა გადაწონის პირადი ინფორმაციის დაცვის ინტერესს.

⁵⁰ McVeigh, O'Neill and Evans v the United Kingdom 18/03/1981 წლის გადაწყვეტილება

⁵¹ Leander v Sweden, 26/03/1987 წლის გადაწყვეტილება

ევროპის სასამართლომ ეჭვმიტანილის ფოტოსურათის მესამე პირებისათვის გადაცემა ლეგიტიმურად ჩათვალა, ვინაიდან ეს მხოლოდ და მხოლოდ ემსახურებოდა დანაშაულის გამოძიებას და თავად ფოტოსურათი მოპოვებული იყო პროცესუალური ნორმების დაცვით.⁵²

სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან პრესისათვის პირადი ინფორმაციის გადაცემა დაიშვება მხოლოდ ზოგადი ფაქტებისა და ინფორმაციის ფარგლებში.

სამედიცინო ინფორმაციის გამჟღავნება

ზოგადი წესის შესაბამისად პირის სამედიცინო ინფორმაცია პირადი საიდუმლოს კატეგორიას განეკუთვნება, თუმცა არსებობს შემთხვევები, როდესაც ასეთი ინფორმაციის გამჟღავნება დასაშვებია დანაშაულის ეფექტურად გამოძიების და სამართლიანი სასამართლოს უფლების უზრუნველსაყოფად. ევროპის სასამართლომ დაადგინა რომ თითოეული ასეთი შემთხვევა ინდივიდუალურად უნდა იქნეს განხილული ვითარებისა და კონკრეტული ფაქტებიდან გამომდინარე.⁵³

ტრანსსექსუალებთან დაკავშირებული ინფორმაცია

სქესის შეცვლასთან დაკავშირებულია გარკვეული თავისებურებები, კერძოდ ხდება ადამიანის პირადი ინფორმაციის შეცვლა, რაც გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული. საიდენტიფიკაციო ნიშნების შეცვლა ინვესს გარკვეულ სირთულეებს, მართლწესრიგის დაცვის და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით. ამის გამო სტრასბურგის სასამართლომ სახელმწიფოებს მიანიჭა შეფასების ფართო ზღვარი სქესის შეცვლასთან დაკავშირებული საკითხების რეგულირებისას. ზოგადი ტენდენციის მიხედვით პირს აქვს უფლება მოითხოვოს მის პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტებში მონაცემების შეცვლა. თუმცა ეს არ ეხება ისეთ დოკუმენტებს, რომლებიც კონკრეტული ფაქტის არსებობას მოწმობენ, მაგალითად დაბადების მოწმობა.

სქესობრივი ურთიერთობის თავისუფლება

ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ ერთმნიშვნელოვნად განაცხადა, რომ სექსუალური ორიენტაციის გამო სანქციების დაწესება წარმოადგენს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის პირდაპირ დარღვევას.⁵⁴ სასა-

⁵² Doorson v. Netherlands, 29/11/1993 წლის რეზოლუცია

⁵³ Z. v. Finland, 25/02/1997 წლის გადაწყვეტილება

⁵⁴ Dudgeon v. the United Kingdom 22/09/1981 წლის გადაწყვეტილება

მართლოს განმარტებით დემოკრატიული სახელმწიფოს ერთ-ერთი ძირითადი ფუნდამენტია და მიუღებელი შოკის მომგვრელი იდეებისა და ქმედებების შემწყნარებლობა. სახელმწიფო უფლებამოსილია გამოიყენოს შეფასების ფართო ზღვარი და ამკრძალავი ზომები, თუ საკითხი ეხება არასრულწლოვანთა ინტერესების დაცვას.⁵⁵ ამავე დროს სასამართლომ არ გაავრცელა მე-8 მუხლით გათვალისწინებული დაცვა სადომაზოხისტურ, ჯგუფურ სექსუალურ ქმედებებზე, რომელიც მიზნად ისახავდა ამ ქმედებებში ახალი ადამიანების ჩართვას, სცენების გადაღებასა და გავრცელებას.⁵⁶ ამავე დროს სასამართლომ ჯგუფური სექსი, რომელშიც ჩაბმული პირები მიზნად არ ისახავდნენ ამის შესახებ ინფორმაციის გავრცელებას, პირად, ინტიმურ სამყაროში შეიყვანა და შესაბამისად გაავრცელა მე-8 მუხლის დაცვა.⁵⁷

სახელის უფლება

ევროპის სასამართლოში დავების ძირითადი ნაწილი ეხება სახელისა და გვარის შეცვლის საკითხს. ამ კუთხით სახელმწიფოს მიენიჭა შეფასების ფართო ზღვარი, ვინაიდან არსებობს რეგისტრაციის და პირადობის დამადასტურებელი მონაცემების სტაბილურობის ინტერესი.

ფიზიკური და მორალური ხელშეუხებლობა

ევროპის სასამართლო მე-8 მუხლის დაცვის ქვეშ აქცევს ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ძალადობის მსხვერპლს. ამ შემთხვევაში სახელმწიფოს ეკისრება პოზიტიური ვალდებულება დაზარალებული უზრუნველყოს ეფექტური და ადეკვატური დაცვის საშუალებით, იმის და მიუხედავად ძალადობა განახორციელა სახელმწიფოს წარმომადგენელმა თუ კერძო პირმა.⁵⁸

იძულებითი სახის სამედიცინო ღონისძიებები არ ითვლება ევროკონვენციის მე-8 მუხლის დარღვევად, თუ ამას მოითხოვს ჯანსაღი გარემოს და ჯანმრთელობის დაცვის ინტერესი. ადამიანის სხეულებრივი ჩხრეკა მე-8 მუხლის დარღვევად, თუ მიზანია მართლწესრიგის და ეროვნული უშიშროების დაცვა და არა პირის შეურაცხყოფა ან განზრახ დამცირება.

⁵⁵ Norris v. Ireland ირლანდიის წინააღმდეგ, 26/09/1988 წლის გადაწყვეტილება

⁵⁶ Laskey, Jaggard and Brown v. the United Kingdom, 19/02/1997

⁵⁷ ADT v. the United Kingdom, 31/06/2000 წლის გადაწყვეტილება

⁵⁸ X and Y v. Netherlands, 26/03/1985 წლის გადაწყვეტილება

ოჯახური ცხოვრება

შინაარსი

ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო ოჯახურ ურთიერთობებს მიაკუთვნებს ადამიანის შინაგანი სამყაროს, პრივატულობის ნაწილს და შესაბამისად მასზე ავრცელებს მე-8 მუხლის დაცვას. ამავე დროს ამ მუხლის მიზნებისათვის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობაში არ შედის ოჯახის შექმნისა და შვილების ყოლის უფლებაც, რაც კონვენციის სხვა მუხლითაა დარეგულირებული.

„ოჯახურ“ ურთიერთობებს სასამართლო განმარტავს ფართო კონტექსტში თითოეული შემთხვევის კონკრეტული ფაქტების გათვალისწინებით. ოჯახურ ცხოვრებად სასამართლო ერთმნიშვნელოვნად აღიარებს ქორწინების ფარგლებში არსებულ მეუღლეებსა და შვილებს შორის ურთიერთობას, თუ ქორწინების მიზანია ოჯახის შექმნა და არა ფიქტიური კავშირი გარკვეული შეღავათების ან სტატუსის მიღების მიზნით. ოჯახური ცხოვრების კატეგორიაში შედის აგრეთვე სამართლებრივი გაფორმების გარეშე პირთა და მათი შვილების თანაცხოვრება, თუ ამ თანაცხოვრებას აქვს ხანგრძლივი და სტაბილური ხასიათი.⁵⁹ გამონაკლის შემთხვევაში მე-8 მუხლით გათვალისწინებული დაცვა გავრცელდება პირებზე მიუხედავად თანაცხოვრების არსებობისა. ეს ძირითადად ეხება მშობლებისა და შვილების ურთიერთობებს.⁶⁰

ოჯახურ ურთიერთობად ჩაითვლება ნათესაური კავშირები აგრეთვე ბებია-ბაბუა და შვილიშვილებს შორის⁶¹, დებსა და ძმებს შორის,⁶² ბიძა-დეიდას და დისშვილ-ძმიშვილს შორის არსებული ურთიერთობა, თუ არსებობს მათ შორის გარკვეული ნათესაური ურთიერთობა, აგრეთვე ურთიერთობები მშვილებელსა და ნაშვილებს შორის.⁶³

⁵⁹ Johnston v. Ireland, 18/12/1986 წლის გადაწყვეტილება

⁶⁰ Soderback v. Sweden, 28/09/ 1998 წლის გადაწყვეტილება

⁶¹ Boughanemi v.France, 24/04/1986 წლის გადაწყვეტილება

⁶² იხ. სქოლიო 90

⁶³ იხ. სქოლიო 89

სასამართლოს განმარტებით სისხლით ნათესაობა არ არის მე-8 მუხლით დაცული ოჯახური ურთიერთობის აუცილებელი წინაპირობა. მაგალითად ნაშვილები ბავშვი ჩაითვლება ოჯახური ცხოვრების ნაწილად.⁶⁴ ამავე დროს არც სისხლისმიერი კავშირი უპირობოდ გულისხმობს ოჯახურ ურთიერთობებს, მაგალითად სპერმის დონორის შემთხვევაში.

ოჯახური ურთიერთობების შეწყვეტა კონვენციის მე-8 მუხლის მიზნებიდან გამომდინარე შეიძლება მოხდეს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში. მე-8 მუხლი იცავს ურთიერთობებს განქორწინების და გაშვილების შემთხვევაშიც.⁶⁵

⁶⁴ X, Y and Z v. the United Kingdom, 22/04/1997 წლის გადაწყვეტილება

⁶⁵ Anderson v. Sweden, 25/02/1992 წლის გადაწყვეტილება

საცხოვრებელი ადგილი

შინაარსი

საცხოვრებელი ადგილი არის კერძო ტერიტორია სადაც ადამიანს აქვს „მარტო ყოფნის“ პრივატულობის მოლოდინი. შესაბამისად სტრასბურგის სასამართლომ მნიშვნელოვნად ჩათვალა მე-8 მუხლით გათვალისწინებული დაცვის გავრცელება საცხოვრებელ ადგილზე. ამასთან სასამართლომ აიღო „საცხოვრებელი ადგილის“ ცნების გაფართოვების გეზი. სასამართლოს განმარტებით „საცხოვრებელი სახლისა“ და „პირადი ცხოვრების“ ცნებების ვინ-რო ინტერპრეტაცია ქმნის საფრთხეს, რომ სხვადასხვა შემთხვევაში არათანაბრად იქნეს დაცული პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა. საცხოვრებელ ადგილად ითვლება აგარაკიც, დროებითი საცხოვრებელი ადგილი და დამხმარე შენობა ნაგებობები. მე-8 მუხლის მიზნებისათვის ამა თუ იმ ტერიტორიაზე საკუთრების უფლება არ არის განმსაზღვრელი, ჩაითვლება თუ არა იგი საცხოვრებელ ადგილად. გადამწყვეტია პირს ჰქონდეს სტაბილური კავშირი საცხოვრებელ ადგილთან.⁶⁶

საქმეში ნიმეცი გერმანიის წინააღმდეგ სასამართლომ საცხოვრებელი ადგილის დაცვის სტანდარტი გაავრცელა სამუშაო ადგილზეც. „პირადი ცხოვრების“ ცნება მოიცავს ბიზნესსა და პროფესიულ საქმიანობასაც, რადგან ურთიერთობის დიდი ნაწილი სწორედ საქმიანობის პროცესში მყარდება.

⁶⁶ Gillou v. the United Kingdom, 24/11/1986 წლის გადაწყვეტილება

რეგულირება

საცხოვრებელი ადგილის დაცვა

სასამართლომ დაადგინა, რომ ადამიანს უნდა ჰქონდეს საცხოვრებელი ადგილით მშვიდობიანად სარგებლობის უფლება. მე-8 მუხლი ადამიანს იცავს ტერიტორიის კანონსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან.⁶⁷ დავის განხილვისას შიდა ორგანოებმა უნდა მოახდინონ პირადი და საზოგადოებრივი ინტერესის სამართლიანი ბალანსი.

საცხოვრებელი ადგილის ხელშეხებლობის დარღვევად ჩაითვლება ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენება ადგილზე ზემოქმედების გზით. ამ შემთხვევაში პირი სარგებლობს მე-8 მუხლის დაცვით. აღსანიშნავია, რომ მანვე ზიანის განსაზღვრისისა მთავარია დადგინდეს ამ ზიანის დადგომის შესაძლებლობა და არა მხოლოდ უკვე დამდგარი შედეგი.⁶⁸ ვინაიდან ბუნებრივი დაბინძურება ხელს შეუშლის ადამიანს ისარგებლოს საცხოვრებელი ადგილით, რაც თავის მხრივ დაარღვევს პირადი ცხოვრების ხელშეხებლობას.

გერემოს შესახებ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა ევროპის სასამართლომ მე-8 მუხლის დაცვის ქვეშ მოაქცია და აღნიშნა, რომ ასეთი ინფორმაციის გაცემისათვის ხელის შეშლა ადამიანის პირადი ცხოვრების ხელყოფაა.⁶⁹

საცხოვრებელი ადგილის ჩხრეკა

სახელმწიფოს მიენიჭა გარკვეული შეფასების ზღვარი, მოახდინოს ამავე მუხლით დაცული ადგილის ჩხრეკა მე-8 მუხლის მეორე ნაწილით განსაზღვრული ლეგიტიმური მიზნებისათვის. ამავე დროს უნდა არსებობდეს ამ პროცესუალურ მოქმედებებზე ზედამხედველობის ეფექტური და ადეკვატური მექანიზმი.

საქმეში კამენზინდი შვეიცარიის წინააღმდეგ სასამართლომ შეიმუშავა სარეკომენდაციო მითითებები ზედამხედველობის ადეკვატური და ეფექტური მექანიზმის დანერგვისათვის:

1. ჩხრეკის უფლება გაცემული უნდა იქნას სპეციალურად უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს მიერ;
2. ჩხრეკა უნდა ჩაატაროს სპეციალურად განსაზღვრულმა თანამდებობის პირებმა;
3. ჩხრეკა შეიძლება ჩატარდეს, თუ არსებობს ეჭვმიტანილის ან დანაშაულის საგანის აღმოჩენის ვარაუდი;

⁶⁷ Akdivar and Others v. Turkey, 16/09/1996 წლის გადაწყვეტილება

⁶⁸ Lopez Ostra v. Spain, 9/12/1994 წლის გადაწყვეტილება

⁶⁹ Guerra and Others v. Italy 19/02/1998 წლის გადაწყვეტილება

4. ჩხრეკა არ უნდა ჩატარდეს უქმე დღეებში. გამონაკლისია გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევა;
5. პირს უნდა გააცნონ ჩხრეკის მიზანი და ჩხრეკის ჩამტარებელი თანამდებობის პირის პირადობის დამადასტურებელი მონშობა;
6. ჩხრეკისას უნდა შედგეს შესაბამისი დოკუმენტი;
7. ჩხრეკას უნდა ესწრებოდნენ პირის ნათესავები;
8. პირს უნდა ჰქონდეს ჩხრეკის კანონიერების გასაჩივრების უფლება;
9. უკანონო ჩხრეკის შემთხვევაში პირს უნდა ჰქონდეს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება

მიმონერა

შინაარსი

ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს განმარტებით კონვენციის მე-8 მუხლის მიზნებისათვის მიმონერა არ გულისხმობს მხოლოდ წერილობითი კორესპონდენციის გაცვლას, არამედ ინფორმაციის ტელეკომუნიკაციის მეთოდების, მათ შორის ელექტრონული საშუალებებით გაზიარებას.⁷⁰ ამასთან სასამართლომ ნათლად განაცხადა, რომ მიმონერა სარგებლობს კონვენციის დაცვით მიუხედავად მიმონერის შინაარსისა.⁷¹

რეგულირება

ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით ადამიანის კორესპონდენცია შედის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების ფარგლებში და შესაბამისად დაცულია კონვენციით. თუმცა პირადი მიმონერა არ არის აბსოლუტურად დაცული და იგი შეიძლება შეიზღუდოს დემოკრატიულ სახელმწიფოში აუცილებელი მე-8 მუხლის მეორე პუნქტით გათვალისწინებული ლეგიტიმური მიზნების მისაღწევად. კანონმდებლობის თანახმად, აუცილებელია გარკვეული პირობების დაკმაყოფილება, სანამ მისი შეზღუდვის გამოყენება დაიწყება, კერძოდ, კომუნიკაციების კონტროლი შეიძლება დაწესდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ფაქტობრივი მტკიცებულებები, რომ ესა თუ ის პირი ეჭვმიტანილია მძიმე სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში ან მომზადებაში. ეს ზომა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება იქნეს მიღებული, როდეს-

⁷⁰ *Klass and Others v. Germany*, 6/09/1978 წლის გადაწყვეტილება

⁷¹ *A v. France*, 23/11/1993 წლის გადაწყვეტილება

საც სხვა საგამოძიებო მოქმედებები უკვე ჩატარებულია და ისინი არაეფექტური აღმოჩნდა, ან როდესაც მათი ჩატარება შეუძლებელია გარკვეული გარემოებების გამო. ასევე სადავო კანონმდებლობით იკრძალება ე.წ. „ზოგადი კონტროლი“ და კანონმდებლობა აწესებს მოთხოვნას, რომლის მიხედვითაც დაიშვება მხოლოდ ეჭვმიტანილის საუბრების კონტროლი.⁷²

ევროპის სასამართლოს პრაქტიკა ძირითადად ეხება თავისუფლება აღკვეთილ პირთა მიმოწერის თავისუფლებას. სასამართლო აცხადებს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ასეთ პირთა მიმართ დანესებული შეზღუდვები კანონზომიერი და აუცილებელია, მათ მაინც გააჩნიათ კომუნიკაციების ხელშეუხებლობის უფლება შეკვეცილ ფარგლებში. სამართლიანი სასამართლოს უფლებიდან გამომდინარე სასამართლომ განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა პატიმარსა და მის ადვოკატს შორის ინფორმაციის გაცვლას. სახელმწიფოს ამ კორესპონდენციის გახსნა შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს დასაბუთებული ეჭვი, რომ წერილის შიგთავსი უკანონოა და ამოწურულია ყველა სხვა საპროცესო საშუალება კანონდარღვევის აღმოსაჩენად. დასაბუთებული ეჭვი სასამართლომ განმარტა შემდეგი ტესტის გამოყენებით: „ინფორმაცია, რომელიც ობიექტური დამკვირვებელის მიერ ჩაითლება უფლების ბოროტად გამოყენებად“. ამასთან სახელმწიფოს წარმომდგენელს აკრძალული აქვს წერილის შინაარსის გაცნობა. წერილის წაკითხვა დაიშვება მხოლოდ მკაცრად განსაზღვრულ გამონაკლის შემთხვევაში, როდესაც საფრთხე ექმნება ციხეში არსებულ წესრიგს, სხვების უსაფრთხოებასა და მართლწესრიგს.⁷³

სახელმწიფო ვალდებულია კორესპონდენციების შემოწმების და თვალთვალის საიდუმლო მეთოდების კონტროლის ეფექტური და ადეკვატური სისტემა დანერგოს. შესაბამისად, უნდა არსებობდეს კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული პროცედურები ამ მეთოდების თვითნებურად გამოყენების აღსაკვეთად. კონტროლი უნდა განხორციელდეს სამ სტადიად: პირველი, თვალთვალის დაწყების ეტაპზე; მეორე, თვალთვალის განხორციელების პროცესში და მესამე, როდესაც იგი დასრულდა. რაც შეეხება პირველ ორ სტადიას, ცხადია, რომ საიდუმლო კონტროლის არსი ის არის, რომ ინდივიდმა არ უნდა იცოდეს მის მიმართ გატარებული ზომების შესახებ. სწორედ ამიტომ უნდა არსებობდეს ისეთი მექანიზმები, რომ დაცული იყოს ინდივიდის უფლებები. კანონის უზენაესობის პრინციპის თანახმად, რომელიც ევროპული კონვენციის პრეამბულაშია აღიარებული, საჭიროა, რომ აღმასრულებელი ხელისუფლების ქმედებებზე, რომლებიც ინდივიდის უფ-

⁷² იხ. სქოლიო 88

⁷³ Campbell v. the United Kingdom, 25/03/1992 წლის გადაწყვეტილება, პარაგრაფი 48

ლებებს ეხება, არსებობდეს ეფექტური კონტროლი. ასეთი ეფექტური კონტროლი, როგორც წესი, სასამართლომ უნდა განახორციელოს, რადგან ამ შემთხვევაში უზრუნველყოფილია დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობის და სათანადო პროცედურების დაცვის გარანტიები.⁷⁴

⁷⁴ იხ. სქოლიო 88

პირადი ცხოვრების
ხელშეუხებლობის დაცვის
უფლება საქართველოს
კანონმდებლობაში

მიმოხილვა

საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულია პირის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის უფლება. კონსტიტუციის მეოცე მუხლის თანახმად: „ყოველი ადამიანის პირადი ცხოვრება, პირადი საქმიანობის ადგილი, პირადი ჩანაწერი, მიმოწერა, საუბარი სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებით, აგრეთვე ტექნიკური საშუალებებით მიღებული შეტყობინებანი ხელშეუხებელია. აღნიშნული უფლებების შეზღუდვა დაიშვება სასამართლოს გადაწყვეტილებით ან მის გარეშეც, კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას.“

2. არავის არა აქვს უფლება შევიდეს საცხოვრებელ ბინაში და სხვა მფლობელობაში მფლობელ პირთა ნების საწინააღმდეგოდ, აგრეთვე ჩაატაროს ჩხრეკა, თუ არ არის სასამართლოს გადაწყვეტილება ან კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობა.“

მიუხედავად კონსტიტუციური გარანტიებისა, საქართველოში პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის უფლების სფეროში სხვა საკანონმდებლო აქტები იშვიათად გვხვდება. საქართველოში პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის ცალკე ერთიანი კანონმდებლობა არ არსებობს, შესაბამისად, ამ უფლების გარანტიები ძირითადად სხვადასხვა კანონებშია გაბნეული. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის თანახმად, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევა სამოქალაქო სამართლებრივ დელიქტად არის აღიარებული. სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის თანახმად :

„2. პირს უფლება აქვს სასამართლოს მეშვეობით, კანონით დადგენილი წესით დაიცვას საკუთარი პატივი, ღირსება, პირადი ცხოვრების საიდუმლოება, პირადი ხელშეუხებლობა ან საქმიანი რეპუტაცია შელახვისაგან.
(24.06.2004 N 222)

3. თუ პირის პატივის, ღირსების, საქმიანი რეპუტაციის ან პირადი ცხოვრების საიდუმლოების შემლახველი ცნობები გავრცელებულია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, მაშინ მათი უარყოფაც უნდა მოხდეს ამავე საშუალებებით. თუ ამგვარ მონაცემებს შეიცავს ორგანიზაციის მიერ გაცემული საბუთი, მაშინ ეს საბუთი უნდა შეიცვალოს და ამის შესახებ ეცნობოს დაინტერესებულ პირებს.

4. პირს, რომლის პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობებიც გამოქვეყნდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, უფლება აქვს გამოაქვეყნოს საპასუხო ცნობები ინფორმაციის იმავე საშუალებებში.

5. ამ მუხლის პირველ და მე-2 ნაწილებში გათვალისწინებული მოთხოვნის უფლება აქვს პირს მაშინაც, როცა მისი გამოსახულება (ფოტოსურათი, კინოფილმი, ვიდეოფილმი და ა.შ.) გამოქვეყნდება მისი თანხმობის გარეშე. პირის თანხმობა არ არის საჭირო, როცა ფოტოგადაღება (ვიდეოგადაღება და ა.შ.) დაკავშირებულია მის საზოგადოებრივ აღიარებასთან, დაკავებულ თანამდებობასთან, მართლმსაჯულების ან პოლიციის მოთხოვნებთან, სამეცნიერო, სასწავლო ან კულტურულ მიზნებთან, ანდა ფოტოგადაღება (ვიდეოგადაღება და ა.შ.) მოხდა საზოგადო ვითარებაში, ანდა პირმა პოზირებისათვის მიიღო საზღაური.

6. ამ მუხლით გათვალისწინებული სიკეთის დაცვა ხორციელდება, მიუხედავად ხელმყოფის ბრალისა. ხოლო, თუ დარღვევა გამონეუულია ბრალეული მოქმედებით, პირს შეუძლია მოითხოვოს ზიანის (ზარალის) ანაზღაურებაც. ზიანის ანაზღაურება შეიძლება მოთხოვილ იქნეს იმ მოგების სახით, რომელიც წარმოექმნა ხელმყოფს. ბრალეული ხელყოფის შემთხვევაში უფლებამოსილ პირს უფლება აქვს მოითხოვოს არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურებაც. მორალური ზიანის ანაზღაურება შეიძლება ქონებრივი ზიანის ანაზღაურებისაგან დამოუკიდებლად.“

როგორც ჩანს, სამოქალაქო კოდექსის საფუძველზე შესაძლებელია პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის უფლების აღდგენა და, ამასთან, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაც. თუმცა, სამოქალაქო კოდექსის ამ მუხლის გამოყენება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დასაცავად არც ისე ხშირად ხდება და შესაბამისი სასამართლო პრაქტიკაც თითქმის არ არსებობს.

სამოქალაქო კოდექსის გარდა, პერსონალური მონაცემების დაცვის განხორციელება გეხვედება 2000 წელს მიღებულ საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში. ადმინისტრაციული კოდექსის მეხამე თავის თანახმად, აღიარებულია ინფორმაციის თავისუფლება და ინფორმაციის მიღების პროცედურები. სწორედ აქ არის განმარტებული პერსონალური მონაცემების ცნება. კოდექსის თანახმად, პერსონალური მონაცემები განმარტებულია

როგორც: „საჯარო ინფორმაცია, რომელიც პირის იდენტიფიკაციის შესაძლებლობას იძლევა;“ ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, ყველას აქვს უფლება მიიღოს ადმინისტრაციულ ორგანოებში მის შესახებ დაცული ინფორმაცია და საჭიროებისამებრ შეასწოროს იგი.

კიდევ ერთი საკანონმდებლო აქტი, სადაც პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის უფლების გარანტიები ძვეს, გახლავთ 2004 წელს მიღებული კანონი სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ. ამ კანონით დადგინდა „პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის გონივრული მოლოდინის“ სტანდარტი, რომელზეც ქვემოთ ვრცლად ვისაუბრებთ.

სამართალდამცავთა საქმიანობა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვა

პირის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის თვალსაზრისით ერთ-ერთი ყველაზე საფრთხილო სამართალდამცავთა საქმიანობა გახლავთ. სამართალდამცავთა მიერ პირის პირადი ცხოვრების სფეროში შეჭრა – ტელეფონის მოსმენა, ჩხრეკა, ამოღება და სხვა საგამოძიებო მოქმედებები – რეგულირდება საქართველოს კანონით ოპერატიული და სამძებრო საქმიანობის შესახებ. კანონი 1999 წელს იქნა მიღებული და საკმაოდ ფართო უფლებამოსილებებს ანიჭებს სამართალდამცავებს. ოპერატიული და სამძებრო საქმიანობის მიზნები ჩამოთვლილია კანონის მეორე მუხლში: „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ამოცანებია:

ა) დანაშაულის ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედების გამოვლენა, აღკვეთა და თავიდან აცილება;

ბ) იმ პირის დადგენა, რომელიც ამზადებს, ჩადის ან რომელსაც ჩადენილი აქვს დანაშაული ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედება;

გ) იმ პირის ძებნა და შესაბამის სახელმწიფო ორგანოში წარდგენა, რომელიც ემალება წინასწარ გამოძიებას, სასამართლოს, თავს არიდებს სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელის ან იძულებითი ხასიათის სხვა ღონისძიებათა მოხდას;

დ) დანაშაულებრივი ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ხელყოფის შედეგად დაკარგული ქონების ძებნა და დადგენა;

ე) უგზოუკვლოდ დაკარგული პირის ძებნა;

ვ) სისხლის სამართლის საქმეზე აუცილებელი ფაქტობრივი მონაცემების მოპოვება.“

ამ კანონით გათვალისწინებული საქმიანობათა სახეები, რომლებიც საინტერესოა პირის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის თვალსაზრისით,

შემდეგია: ვიზუალური კონტროლი, ინფორმაციის შეგროვება, სატელეფონო საუბრების მოსმენა და ჩანერა, ინფორმაციის მოხსნა და ფიქსაცია კავშირგაბმულობის არხიდან, საფოსტო სატელეგრაფო გზავნილთა კონტროლი, ფარული ვიდეო- და აუდიო ჩანერა, კინო- და ფოტოგადაღება და ელექტრონული თვალყურის დევნება ტექნიკური საშუალებებით.

კანონის თანახმად, მოსამართლის ბრძანება საჭიროა მხოლოდ შემდეგი საქმიანობის განსახორციელებლად: სატელეფონო საუბრების მოსმენისა და ჩანერის, კავშირგაბმულობის არხიდან ინფორმაციის მოხსნისა და ფიქსაციის, საფოსტო სატელეგრაფო გზავნილთა კონტროლის, ფარული ვიდეო- და აუდიოჩანერის, კინო- და ფოტო- გადაღების და ტექნიკური საშუალებებით ელექტრონული თვალყურის დევნებისათვის. კანონი ითვალისწინებს აგრეთვე გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში მოსამართლის ბრძანების გარეშე ზემოაღნიშნული საქმიანობის განხორციელებასაც, რაც 48 საათში უნდა ეცნობოს მოსამართლეს. მოსამართლეს უფლება აქვს დააკანონოს, ან უარი თქვას ამა თუ იმ ზომის დაკანონების შესახებ. მოსამართლის ეს გადაწყვეტილება საბოლოოა და მისი გასაჩივრება არ დაიშვება⁷⁵.

საყურადღებოა ვადები, რომლის ფარგლებშიც კანონით დაიშვება ოპერატიული სამძებრო საქმიანობის განხორციელება. ვადები ზემოაღნიშნული ზომებისათვის შეიძლება 6 თვემდე გაგრძელდეს, ამის შემდგომ გენერალური პროკურორის მოადგილის ან უფლებამოსილი ორგანოს ხელმძღვანელის მოადგილის თანხმობით, – 9 თვემდე, ხოლო გენერალური პროკურორის თანხმობით, – 12 თვემდე.⁷⁶ ოპერატიული და სამძებრო საქმიანობა „მკაცრად გასაიდუმლოებულია“ მისი გამჟღავნება დაიშვება 25 წლის გასვლის შემდეგ.

როგორც კანონიდან ჩანს, იგი საკმაოდ მწირ მექანიზმებს მოიცავს პირის უფლებების დაცვის თვალსაზრისით. კანონში არ ძევეს არანაირი მექანიზმი, რომელიც მტკიცების მაღალ სატანდარტს დაადგენდა ბრალდების მხარისათვის. კანონში არ არის ასახული ე.წ. „მინიმიზაციის“ წესები, რომლებიც, მოკლედ რომ განვმარტოთ, წარმოადგენს წესებს, რომლის თანახმადაც, სამართალდამცავი ორგანოები ვალდებული არიან მაქსიმალურად აიცილონ თავიდან იმ საუბრების მოსმენა, რომლებიც მათ მიერ გამოსაძიებელ დანაშაულს ან კონკრეტულ ექვმიტანილს არ უკავშირდება. რამდენიმე წელია, საქართველოს კანონმდებლობის რეფორმის შესახებ აქტიური დებატები მიმდინარეობს და მომზადდა კიდევც საკანონმდებლო აქტის პროექტი, რო-

⁷⁵ იხ. ოპერატიული და სამძებრო საქმიანობის შესახებ კანონი მუხლი 7 პუნქტი 5

⁷⁶ იხ. ოპერატიული და სამძებრო საქმიანობის შესახებ კანონი მუხლი 8 პუნქტი 2,3,4

მელიც სრულიად ცვლის სამართალდამცავთა საქმიანობას ოპერატიული და სამძებრო თვალსაზრისით და ადამიანის უფლებების, კერძოდ კი პერსონალური მონაცემების და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის უფლების საერთაშორისო სტანდარტებს მიესადაგება. ამ ინიციატივებზე ქვემოთ ვრცლად ვისაუბრებთ.

როგორც ცნობილია, სამართალდამცავთა საქმიანობა სისხლის სამართლის დანაშაულის გამოძიებისას და დაზვერვითი თუ კონტრდაზვერვითი საქმიანობისას, რომელიც ეროვნული უსაფრთხოების საკითხებს უკავშირდება, ერთმანეთისაგან საკმაოდ განსხვავდება. ამ უკანასკნელ შემთხვევაში სამართალდამცავებს უფრო ფართო უფლებამოსილება ენიჭებათ და პროცედურებიც, შესაბამისად, გასაიდუმლოებულია. დღეისათვის ასეთი განსხვავება საქართველოს კანონმდებლობაში არ არსებობს. საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის მიერ ბოლო თვეების განმავლობაში მომზადდა კანონპროექტი კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ. კანონპროექტი მომზადებულია შეერთებული შტატების კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ აქტის⁷⁷ საფუძველზე. კანონპროექტი ჯერ დამუშავების პროცესშია და მისი საბოლოო ვარიანტი ჯერჯერობით არ არსებობს. თუმცა მისი ძირითადი პრინციპები მაინც საინტერესოა. კანონპროექტის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტს, გენერალური პროკურორის დასაბუთებული მოთხოვნის შესაბამისად, უფლება აქვს გასცეს თვალთვალის ნებართვა სასამართლოს სანქციის გარეშე კონტრსადაზვერვო ინფორმაციის მოსაპოვებლად, არა უმეტეს ერთი წლის ვადისა. კანონის საფუძველზე გენერალურ პროკურორს ევალება მინიმიზაციის წესების შემუშავება. როგორც კანონპროექტიდან ჩანს, ოპერატიული და სამძებრო საქმიანობის შესახებ კანონისგან განსხვავებით, ამ პროექტში ძვეს მინიმიზაციის წესების სავალდებულო დაცვის მოთხოვნა. პროექტის თანახმად, მინიმიზაციის წესები განმარტებულია როგორც:

„ა) საქართველოს გენერალური პროკურორის მიერ შემუშავებული სპეციფიკური პროცედურები, რომლებიც, კონკრეტული თვალთვალის მიზნებიდან და განხორციელების ტექნიკიდან გამომდინარე, გონივრულად იქნება შერჩეული იმისათვის, რომ მოხდეს არასაჯარო ინფორმაციის მოპოვებისა და შენახვის მინიმიზება და აიკრძალოს ინფორმაციის გავრცელება, რომელიც შეეხება საქართველოს პირს და მოპოვებულია მისი თანხმობის გარეშე, და რომელიც შესაბამისობაშია საქართველოს საჭიროებასთან, მოიპოვოს, აწარმოოს და გაავრცელოს კონტრსადაზვერვო ინფორმაცია;

⁷⁷ Foreign Intelligence Surveillance Act of 1978

ბ) პროცედურები, რომლებიც მოითხოვს, რომ ის არასაჯარო ინფორმაცია, რომელიც არ წარმოადგენს კონტრსადაზვერვო ინფორმაციას, არ იქნეს გავრცელებული იმ სახით, რომ შესაძლებელი გახდეს საქართველოს პირის იდენტიფიცირება მისი თანხმობის გარეშე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამ პირის იდენტიფიცირება აუცილებელია კონტრსადაზვერვო ინფორმაციის გასაანალიზებლად ან მისი მნიშვნელობის შესაფასებლად;

გ) პროცედურები, რომლებიც შესაძლებელს ხდის იმ სახის ინფორმაციის შენახვასა და გავრცელებას, რომელიც უკვე ჩადენილი დანაშაულის, მიმდინარე დანაშაულის და ჩასადენად გამიზნული დანაშაულის მტკიცებულებას წარმოადგენს და ინფორმაციის მოპოვება თუ გავრცელება განპირობებულია ოპერატიულ-სამძებრო და საპროცესო მიზნებისათვის;

დ) ამ კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული თვალთვალის შემთხვევაში, პროცედურები, რომლებიც მოითხოვს, რომ აიკრძალოს იმ კომუნიკაციის ან მისი ნაწილის გახმაურება, გავრცელება, ან ნებისმიერი მიზნისათვის გამოყენება ან შენახვა 72 საათზე მეტი ვადის განმავლობაში, რომელშიც მონაწილეობს საქართველოს პირი, ამ კანონის მე-6 მუხლით გათვალისწინებული სასამართლო სანქციის გარეშე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საქართველოს გენერალური პროკურორი მიიჩნევს, რომ ინფორმაცია მიაწოდებს ნებისმიერი პირისათვის სიკვდილის ან სხეულის სერიოზული დაზიანების საფრთხეზე;

კანონპროექტი ითვალისწინებს სპეციალური სასამართლო კოლეგიის შექმნას, რომელიც განიხილავს კანონპროექტით გათვალისწინებულ შუამდგომლობებს, კოლეგია შედგება თბილისის საოლქო სასამართლოს მოსამართლეებისაგან, რომლებსაც ირჩევს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე. ამ კოლეგიის გადაწყვეტილებების გასაჩივრება დაიშვება ზედა ინსტანციაში, რომელიც უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებისგან შედგება და მასაც, მსგავსად ქვედა ინსტანციის კოლეგიისა, ირჩევს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე. კოლეგიის გადაწყვეტილებები კონფიდენციალურია, თუკი მათ კანონიერებაზე სასამართლო წესით არ დაობენ.

ქვემოთ ვრცლად ვისაუბრებთ შეერთებული შტატების კანონის შესახებ.⁷⁸

⁷⁸ იხ. გვერდი 27

საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებები პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის უფლების სფეროში

საქართველოს, რომელიც ევროპის საბჭოს წევრია, ხელმოწერილი და რატიფიცირებული აქვს ევროპის ადამიანის უფლებების კონვენცია. 2001 წლის 21 ნოემბერს საქართველომ ხელი მოაწერა კონვენციას პირთა დაცვის შესახებ პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას. საქართველოს ამ კონვენციის რატიფიცირება არ მოუხდენია.

საქართველოს სასამართლოები და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის უფლება

როდესაც ზემოთ საქართველოს კანონმდებლობაზე გვექონდა ლაპარაკი, უკვე აღვნიშნეთ, რომ საკანონმდებლო ნორმების გამოყენება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის სფეროში იშვიათად ხდება და ამ მხრივ სასამართლო პრაქტიკა თითქმის არ არსებობს.

მიუხედავად ამისა, არსებობს რამდენიმე საქმე პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის საკითხებზე. ერთ-ერთი პირველი სასამართლო გადაწყვეტილება 2001 წელს მიიღეს. 2004 წლის განმავლობაში არსებობს მხოლოდ ერთი სასამართლო გადაწყვეტილება საქმეზე ს.ს. გაზეთ „კვირის პალიტრის“ წინააღმდეგ. საქმე ეხება გაუპატიურების მსხვერპლს, რომლის სახელიც გაზეთმა „კვირის პალიტრამ“ გამოაქვეყნა. სასამართლო სხდომა, როგორც ამას საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მოითხოვს, დახურულ სხდომაზე წარიმართა, მაგრამ სასამართლოს გადაწყვეტილება ღია სხდომაზე გამოცხადდა და მსხვერპლის სახელიცა და გვარიც საჯარო გახდა. სასამართლო დაეყრდნო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის იმ მუხლს, რომლის თანახმადაც, სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება ღია სხდომაზე ცხადდება, მიუხედავად იმისა, რომ საქმე დახურულ სხდომაზე განიხილებოდა. როდესაც დანაშაულის მსხვერპლმა სასამართლოში იჩივლა, საოლქო სასამართლომ პასუხისმგებლად ჟურნალისტი და გაზეთი გამოაცხადა და მათ 500 ლარის გადახდა დააკისრა ს.ს.-ს სასარგებლოდ. სასამართლოში საქმის განხილვისას არ დამდგარა თავად ამ საქმის განმხილველი სასამართლოს პასუხისმგებლობის საკითხი, რომლის მხრიდანაც საჯაროდ გახდა ცნობილი დანაშაულის მსხვერპლის სახელი და გვარი.

სასამართლო პრაქტიკა

ამერიკის შეერთებული შტატები

**Le Mistral Inc. Columbia Broadcasting Systems წინააღმდეგ,
402 N.Y.S.2d 815.**

ფაქტები

1976 წელს ნიუ-იორკის ჯანდაცვის დეპარტამენტმა გამოაქვეყნა მოხსენება, სადაც ნათქვამი იყო, რომ ნიუ-იორკის შტატში რამდენიმე რესტორანს ბრალად ედება ჯანდაცვისა და სანიტარიული წესების დარღვევა. ამავე წლის 6 ივლისს სატელევიზიო კომპანია სი-ბი-ეს-მა თავისი თანამშრომელი, ქალბატონი რიჩი, ოპერატორის თანხლებით, ფრანგულ რესტორან **Le Mistral**-ში გაგზავნა სიუჟეტის მოსამზადებლად, რადგან ეს რესტორანი მოხსენიებული იყო ჯანდაცვის დეპარტამენტის მოხსენებაში. რესტორნის მეპატრონეს კორესპონდენტის მისვლამდე რესტორნის მონესრიგება რომ არ მოესწრო, ტელეკომპანიის წარმომადგენლები რესტორანს წინასწარ არ შეუთანხმდნენ და იქ ისე მივიდნენ. მისვლისთანავე რესტორნის პრეზიდენტმა კორესპონდენტს და ოპერატორს რესტორნის დატოვება მოსთხოვა, მაგრამ ისინი სასადილო ოთახში მაინც შევიდნენ და გადაღება დაიწყეს. კორესპონდენტმა და ოპერატორმა რესტორანში დაახლოებით ათი წუთი დაყვეს. ამ ხნის განმავლობაში კამერა ჩართული იყო და იღებდა. მოწმეების თქმით, რესტორანში მყოფი კლიენტები მაგიდის ქვეშ იმალებოდნენ. ნაწილი რესტორნიდან გაიქცა ისე, რომ არც გადაუხდია, მათ კი, ვინც მაგიდას ელოდებოდა, სასწრაფოდ დატოვა იქაურობა. რესტორნის მეპატრონემ სი-ბი-ეს-ის წინააღმდეგ სარჩელი შეიტანა სასამართლოში. საქმის განხილვისას სი-ბი-ეს-ის მთავარმა მოწმემ, კორესპონდენტმა, ქალბატონმა რიჩმა განაცხადა, რომ მათ ინსტრუქცია ჰქონდათ მიღებული, რომ ამგვარ შემთხვევაში გადაღების ან სადმე შესვლის ნებართვა კი არ ეთხოვათ, არამედ შეუმჩნევ-

ლად შესულიყვნენ და გადალება ისე დაენყოთ. ამ ჩვენების საფუძველზე ნაფიცო მსაჯულები დარწმუნდნენ, რომ ქალბატონი რიჩი და ოპერატორი რესტორანში ძალით შევიდნენ და გადალება ისე დაინყეს, ე.ი. ისინი კერძო საკუთრებაში უკანონოდ შეიჭრნენ. ნაფიცმა მსაჯულებმა სი-ბი-ეს-ს მოსარჩელის სასარგებლოდ ზარალის ანაზღაურება და სადამსჯელო ჯარიმის⁷⁹ გადახდა დააკისრეს, რაც ტელეკომპანიამ გაასაჩივრა. გასაჩივრებისას სასამართლომ ძალაში დატოვა ნაფიცო მსაჯულების გადანყვეტილება ზარალის კომპენსაციის შესახებ, მაგრამ გააუქმა სადამსჯელო ჯარიმის დაკისრება. რესტორნის მეპატრონეებმა კვლავ გაასაჩივრეს სასამართლოს გადანყვეტილება ნიუ-იორკის შტატის უზენაეს სასამართლოში, სადაც ითხოვდნენ სადამსჯელო ჯარიმის დაკისრებას ტელეკომპანია სი-ბი-ეს-ისათვის.

ნიუ-იორკის შტატის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება

მოპასუხე, ტელეკომპანია სი-ბი-ეს-ი, ამ საქმეში დაობს, რომ, მიუხედავად იმისა, რომ კერძო საკუთრებაში შეჭრით მან დანაშაული ჩაიდინა, იგი მაინც თავისუფალია პასუხისმგებლობისაგან, რადგან კონსტიტუციის პირველი შესწორებითაა დაცული. ცხადია, კონსტიტუციის პირველი შესწორება არ არის დამცავი ფარი, რომლის წინაშეც ყველა სხვა უფლება ძალას კარგავს. სასამართლო თვლის, რომ პირველი შესწორებით დაცული უფლებებით სარგებლობა იმავდროულად გულისხმობს ვალდებულებასაც, რომ ეს უფლებები ბოროტად არ იქნეს გამოყენებული. როგორც ბევრ სხვა გადანყვეტილებაშიც უთქვამს უზენაეს სასამართლოს, პირველი შესწორება არ არის იმუნიტეტი დანაშაულის ჩადენისაგან. კერძოდ, ის არ არის კერძო საკუთრებაში უნებართვოდ შეჭრის ლიცენზია. მოპასუხე ასევე დამატებით დაობს, რომ მისი ქმედება არ წარმოდგენდა კერძო საკუთრებაში უნებართვოდ შეჭრას, რადგან რესტორანში შესვლა, მისი არსიდან გამომდინარე, ყველას შეუძლია. თუმცა, სასამართლო თვლის, რომ აქ მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ არც კორესპონდენტს – ქალბატონ რიჩს და არც მის ოპერატორს, მიზნად არ ჰქონიათ ესარგებლათ რესტორნის მომსახურებით, კერძოდ, შეეძინათ სასმელი ან რესტორანში ესადილათ.

შესაბამისად, სასამართლო მხარს უჭერს წინა ინსტანციის სასამართლოს გადანყვეტილებას იმ ნაწილში, სადაც სი-ბი-ეს-ს დაეკისრა რესტორნისათვის მიყენებული ზარალის კომპენსაცია, რაც გამოიხატა დაკარგული შემოსავლის ანაზღაურებაში.

⁷⁹ სადამსჯელო ჯარიმის (Punitive Damages) გადახდა სამოქალაქო საქმეში პირს ეკისრება ზარალის ანაზღაურებისგან განცალკევებით. მისი მიზანია პირის დასჯა მის მიერ ანტისოციალური და უკანონო ქმედებების ჩადენისათვის.

რაც შეეხება სადამსჯელო ჯარიმას, როგორც ცნობილია, ასეთი ანაზღაურება სადამსჯელო ხასიათისაა და განსხვავდება ზარალის კომპენსაციისგან, როგორც თავისი დანიშნულებით, ისე ფორმითაც. ასეთი სადამსჯელო ჯარიმის დაკისრება ზარალის კომპენსაციასთან ერთად იმ შემთხვევაში დაიშვება, როდესაც მხარე, რომელსაც იგი დააკისრეს, ისჯება. სადამსჯელო ჯარიმას პრევენციული ფუნქცია აქვს და მიზნად ისახავს ამგვარი ქმედების აღმოფხვრას. სადამსჯელო ჯარიმა დაშვებულია კერძო საკუთრებაში უნებართვოდ შეჭრის შემთხვევებშიც, თუმცა, საჭიროა დადგინდეს, მოქმედებდა თუ არა მხარე, რომელსაც ჯარიმა ეკისრება, უკანონოდ, ბოროტი განზრახვით ან სხვათა უფლებებს განზრახ უგულებელყოფდა.

სასამართლო თვლის, რომ ზემოაღნიშნული პირობები, რომელსაც ადგილი უნდა ჰქონოდა ასეთ დროს სადამსჯელო ჯარიმის დაკისრებისათვის, აქ არ არის. ამის გამო მოსარჩელის სარჩელი სადამსჯელო ჯარიმასთან დაკავშირებით არ დაკმაყოფილდება.

ლორენსი ტეხასის შტატის წინააღმდეგ

ფაქტები

ტეხასის შტატის ქალაქ ჰიუსტონში შემოსული განცხადების საფუძველზე პოლიციის ბრიგადა მივიდა ერთ-ერთ ბინაში იარაღის გასროლის გამო. პოლიცია შევიდა ბინაში, სადაც განმცხადებელი ჯონ გედის ლორენსი ცხოვრობდა. პოლიციელებმა ბინაში ნახეს ლორენსი და კიდევ ერთი მამაკაცი, რომლებიც სქესობრივ აქტს ამყარებდნენ. პოლიციამ ორივე მამაკაცი დააპატიმრა. მოგვიანებით ლორენსმა და მისმა მეგობარმა მამაკაცმა გარიგება დადეს სასჯელზე (*Plea of Nolo Contendere*), და ტეხასის სასამართლომ ისინი დამნაშავედ ცნო კანონის მიხედვით, რომლის თანახმადაც, დასჯადად ცხადდება „ქმედება, როდესაც პირი ჩართულია გაუკუღმართებულ სქესობრივ აქტში თავისივე სქესის პირთან“. გაუკუღმართებულ სქესობრივ აქტად კანონით ორალური და ანალური სექსი ითვლება.

განმცხადებლებმა მოგვიანებით ისარგებლეს დე ნოვო სასამართლოს უფლებით⁸⁰ და სადავო აქტის ანტიკონსტიტუციურად ცნობა მოითხოვეს, რადგან, მათი მტკიცებით, აქტი ეწინააღმდეგებოდა შეერთებული შტატების კონსტიტუციის მეთოთხმეტე შესწორებას, რომელიც განამტკიცებს თანასწორობის უფლებას. ეს არგუმენტი სასამართლომ უარყო და, შესაბამისად, განმცხადებელთა მიმართ სასჯელი და სისხლის სამართლის პასუხისმგებ-

⁸⁰ გასაჩივრების სახე, როდესაც სააპელაციო ინსტანციაზე ხდება საქმის არსებითი განხილვა.

ლობაც ძალაში დატოვა. ტეხასის შტატის უზენაესმა სასამართლომაც უარყო განმცხადებელთა არგუმენტი.

ლორენსმა და მისმა პარტნიორმა სარჩელი შეერთებული შტატების უზენაეს სასამართლოში შეიტანეს.

შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება

ჩვენ ეს საქმე წარმოებაში მივიღეთ, რათა პასუხი გავცეთ სამ კითხვას:

1. არღვევს თუ არა ტეხასის ჰომოსექსუალური ქმედებების აქტი, რომელიც დასჯადად აცხადებს გაუკუღმართებულ სქესობრივ ქმედებებს ერთი და იმავე სქესის პირებს შორის, თუმცა გაუკუღმართებული სქესობრივი აქტი დასჯადი არ არის სხვადასხვა სქესის პირებს შორის, შეერთებული შტატების კონსტიტუციის მეთოთხმეტე შესწორებას, რომელიც თანასწორობის უფლებას ადგენს?

2. არღვევს თუ არა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა საკუთარ სახლში არაძალადობრივი სქესობრივი აქტისათვის განმცხადებელთა პირადი ცხოვრების და თავისუფლების ხელშეუხებლობას, რომელიც ასევე მეთოთხმეტე შესწორებით არის დაცული?

3. ძალაში უნდა დარჩეს თუ არა გადაწყვეტილება საქმეზე *ბოუერსი ჰარდუიკის წინააღმდეგ*⁸¹?

იმ დროისათვის, როდესაც მათ ზემოაღნიშნული ქმედება ჩაიდინეს, ორივე განმცხადებელი სრულწლოვანი იყო. სქესობრივ აქტს ადგილი არ ჰქონია საჯარო ადგილას და მოხდა სახლში ორივე პირის თანხმობით.

სასამართლო თვლის, რომ საქმის გადასაწყვეტად განხილულ უნდა იქნეს, ჰქონდათ თუ არა განმცხადებლებს უფლება, კონსტიტუციის მეთოთხმეტე შესწორების თანახმად, ჩაედინათ ეს ქმედება. ამისათვის საჭიროა განხილულ იქნეს ამავე სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე *ბოუერსი ჰარდუიკის წინააღმდეგ*⁸².

ბოუერსის საქმე რამდენადმე წააგავს ჩვენს მიერ გადასაწყვეტი საქმის ფაქტებს. ბოუერსის საქმეში სადავო გახდა ჯორჯიის შტატის კანონი, რომელიც კრძალავდა სოდომურ სქესობრივ კავშირს, მიუხედავად იმისა, რომელ სქესს მიეკუთვნებოდნენ პარტნიორები. ამ საქმეში კი ადგილი აქვს აკრძალვას, რომელიც მხოლოდ ერთი და იმავე სქესის პირებს ეხება. საქმეში *ბოუერსი ჰარდუიკის წინააღმდეგ* სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი არ დამდგარა, თუმცა მან გაასაჩივრა ჯორჯიის შტატის კანონი და დაობდა, რომ ამ კანონის საფუძველზე ირღვეოდა მისი, როგორც

⁸¹ *Bowers v. Hardwick*, 478 US 186 (1986)

⁸² შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც ძალაში დატოვეს ჯორჯიის შტატის კანონი, რომელიც კრძალავდა სოდომურ სქესობრივ კავშირებს.

აქტიური ჰომოსექსუალის, კონსტიტუციური უფლებები. ამ საქმეზე მოსამართლეთა აზრები საკმაოდ განსხვავდებოდა ერთმანეთისგან. გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ექვსი ხმით სამის წინააღმდეგ. ამასთან, დაინერა შვიდი თანმხვედრი და განსხვავებული აზრი.

ბოუერსის საქმეში სასამართლომ პირველივე კითხვა არასწორად დასვა: აქვთ თუ არა ჰომოსექსუალებს კონსტიტუციური უფლება, დაამყარონ სქესობრივი კავშირი თავისივე სქესის წარმომადგენლებთან? შესაბამისად, უნდა გაუქმდეს თუ არა ბევრი შტატის სოდომის წინააღმდეგ მიმართული კანონმდებლობა? სასამართლო თვლის, რომ ბოუერსის საქმეში დასმული ეს შეკითხვა არსობრივად მცდარია. სასამართლომ მთლიანად ვერ გაიაზრა ინდივიდის თავისუფლება ამ თვალსაზრისით. იმის თქმა, რომ ბოუერსის საქმეში მთავარი პრობლემა ის არის, აქვთ თუ არა ჰომოსექსუალებს სქესობრივი კავშირის დამყარების უფლება, იმის ტოლფასია, რომ განგვეცხადებინა: ქორწინება არის მხოლოდ და მხოლოდ უფლება სქესობრივ აქტზე. როგორც ბოუერსის, ისევე წინამდებარე საქმეში, სადავო კანონები უფრო მეტს კრძალავს, ვიდრე სქესობრივი აქტის აკრძალვაა. ისინი იჭრებიან ინდივიდის პირად საქმეში, სქესობრივ ცხოვრებაში და მათ პირად საცხოვრებელ ბინებსა და ადგილებში. სადავო კანონები ცდილობენ, გააკონტროლონ ინდივიდების პირადი ურთიერთობები, რომლებიც, მიუხედავად იმისა, აღიარებულია თუ არა დაცულად კანონის თანახმად, პირის თავისუფლების ნაწილია.

ბოუერსის ისტორიული და ფილოსოფიური არგუმენტები, რომლის თანახმადაც შეერთებულ შტატებში ყოველთვის აკრძალული იყო ერთი და იმავე სქესის პირებს შორის სქესობრივი კავშირი, დაუსაბუთებელი და გადამეტებულია. ამ ქვეყანას (შეერთებულ შტატებს) სულაც არ გააჩნია ამგვარი ამკრძალავი კანონების არსებობის გრძელი ისტორია. ისინი მხოლოდ მეოცე საუკუნის დასაწყისში შეიქმნა.

წინამდებარე საქმე არ შეეხება არასრულწლოვანებს. იგი ასევე არ ეხება პირებს, რომლებიც, შესაძლოა, დაეშინებინათ, ან ადვილად დაეყოლიებინათ სქესობრივ აქტზე. საქმე არ გვაქვს სქესობრივ აქტთან, რომელიც საჯარო ადგილას მოხდა, ან პროსტიტუციასთან. საქმე არ ეხება მოთხოვნას, რომლის თანახმადაც სახელმწიფოს მოსთხოვდნენ, დაეკანონებინა ფორმალური ჰომოსექსუალური ურთიერთობები. საქმე ეხება ორ ზრდასრულ ადამიანს, რომლებმაც ურთიერთთანხმობით ჩაიდინეს ქმედება, რომელიც საკმაოდ ტიპურია ჰომოსექსუალური ცხოვრების წესისათვის. განმცხადებლებს აქვთ უფლება, რომ მათ პირად ცხოვრებას პატივი სცენ. თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლების თანახმად, მათ უფლება აქვთ სახელმწიფოს ჩარევის გარეშე იმოქმედონ. ტეხასის შტატის სადავო კანონი ვერ ამართლებს

და ასაბუთებს ვერანაირ სახელმწიფო ინტერესს, რომელიც პირის პირად ცხოვრებაში ჩარევას გაამართლებდა.

ვინც კონსტიტუციის მეთოთხმეტე და მეხუთე შესწორებებს წერდა და მათ რატიფიცირებას ახდენდა, ადამიანის თავისუფლებების ასეთი მრავალფეროვნება რომ სცოდნოდა, იგი მათ უფრო კონკრეტულად ჩამოაყალიბებდა. კონსტიტუციის მამებმა ვერ გაითვალისწინეს ასეთი შემთხვევა. მათ იცოდნენ, რომ ანმეოს, შესაძლოა, დაებრძავებინა ხალხი და მხოლოდ მომავალი თაობები მიხვდებოდნენ, რომ მოქმედი კანონები მხოლოდ ზენოლას და რეპრესიებს ემსახურება. რაც უფრო ძველდება კონსტიტუცია, მით უფრო მეტი შესაძლებლობა ეძლევათ მომავალ თაობებს, რომ ის თავისუფლებების საძიებლად და დასაცავად გამოიყენონ.

ტეხასის ოლქის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება გაუქმებულია და, ამ გადაწყვეტილების შესაბამისად, საქმე დაბრუნებულია ხელახლა განსახილველად.

უეილენი როუს წინააღმდეგ 429 U.S. 589 1977

1972 წელს ნიუ-იორკის საკანონმდებლო ორგანომ მიიღო კანონი, რომლის თანახმადაც ნიუ-იორკის შტატში ცენტრალიზებული სახით უნდა შენახულიყო ინფორმაცია მეორე კატეგორიის⁸³ ნარკოტიკების გამოყენების შესახებ, მიუხედავად იმისა, ლეგალური იყო თუ არა ამ ნარკოტიკების გამოყენება. ცენტრალიზებულ სისტემაში უნდა შესულიყო იმ პირის გვარი, სახელი, მისამართი, რომელიც მეორე კატეგორიის მედიკამენტებს იღებდა, მედიკამენტის დასახელება, მედიკამენტის რეცეპტის გამცემი ექიმის სახელი, გვარი და მისამართი.

კანონის თანახმად, მეორე კატეგორიის მედიკამენტებზე რეცეპტი გაცივმოდა სამ ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ინახებოდა ექიმთან, მეორე – აფთიაქში, ხოლო მესამე იგზავნებოდა შტატის ჯანდაცვის დეპარტამენტში, სადაც შესაბამისი ინფორმაცია ცენტრალიზებული სახით ინერება ერთ ტერმინალში. რეცეპტები ჯანდაცვის დეპარტამენტში ხუთი წლის განმავ-

⁸³ ნიუ-იორკის შტატში მედიკამენტები/ნარკოტიკები კლასიფიცირებულია ხუთ კატეგორიად: პირველ კატეგორიაში შედის ისეთი ნარკოტიკები, რომლებსაც სამედიცინო დანიშნულება არ გააჩნიათ (ჰეროინი, ელ ეს დე, ექსტაზი, ჩაინა უაიტი და ასე შემდეგ), მეორე კატეგორიაში გაერთიანებულია მედიკამენტები, რომლებიც აკრძალულია, თუმცა მათი ექიმის მიერ დანიშნვა გარკვეულ შემთხვევებში შესაძლებელია (მეტალონი, კოკაინ მეტაბოლიტი, ეფედრინი, მეტამფეტამინი და სხვ.).

ლობაში ინახება და შემდეგ ისინი ნადგურდება. ტერმინალში შენახული ინფორმაციის გამჟღავნება დაუშვებელია. მასალასთან მხოლოდ შეზუდული რაოდენობის პერსონალი და საგამოძიებო ორგანოები დაიშვებიან.

კანონის ძალაში შესვლამდე რამდენიმე დღით ადრე სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა რამდენიმე პაციენტმა, რომლებიც მეორე კატეგორიის მედიკამენტებს იღებდნენ, რამდენიმე ექიმმა და ექიმთა ორმა ასოციაციამ. მოსარჩელები დაობდნენ, რომ, მიუხედავად იმისა, რომ მათ ეს მედიკამენტები სჭირდებოდათ, ისინი ხშირად ამბობდნენ უარს მათ მიღებაზე, რადგან მონაცემების სხვა მიზნებისთვის გამოყენების გამო ისინი, შესაძლოა, ნარკომანებად ჩათვალით და პრობლემები შექმნოდათ.

ოლქის სასამართლომ დაადგინა, რომ ექიმისა და პაციენტის ურთიერთობა კონსტიტუციით დაცულ სფეროში ხვდება და, შესაბამისად, კანონის თანახმად, პაციენტის იდენტიფიკაცია უსაფუძვლოდ არღვევს პირის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას. ამიტომ სასამართლომ შეაჩერა აქტის ძალაში შესვლა.

ოლქის სასამართლოს გადაწყვეტილება შეერთებული შტატების უზენაეს სასამართლოში გასაჩივრდა.

შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება

სასამართლოს გადაწყვეტილება წარმოადგინა მოსამართლე სტივენსმა.

სასამართლო დგას კითხვის წინაშე: აქვს თუ არა უფლება ნიუ-იორკის შტატს ცენტრალიზებული წესით მოაგროვოს და შეინახოს ინფორმაცია იმ პაციენტების შესახებ, რომლებიც მეორე კატეგორიის მედიკამენტებს იღებენ, მიუხედავად იმისა, ნებადართულია თუ არა ამ მედიკამენტების კანონიერად მიმოქცევა ბაზარზე. ზოლქის სასამართლომ შეაჩერა კანონის მოქმედება, რომლის საფუძველზეც შეიქმნა ასეთი ცენტრალიზებული მონაცემთა ბაზა, რადგან ჩათვალა, რომ იგი მოსარჩელების პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას არღვევდა.

ბევრი მედიკამენტის გამოყენება ნებადართულია რეცეპტით ან აკრძალულია. ნიუ-იორკის შტატის კანონი დაინერა იმის საპასუხოდ, რომ ბევრ აკრძალულ მედიკამენტს არადანიშნულებისამებრ იყენებდნენ. შესაბამისად, არ არსებობდა ეფექტური მექანიზმი იმისათვის, რომ გაეკონტროლებინათ რეცეპტების განმეორებით გამოწერა, ვადაგასული რეცეპტებით მედიკამენტების მიღება, ექიმების მიერ რამდენიმე მედიკამენტის ერთად დანიშვნა და სხვა. იმხანად, როცა სასამართლო პროცესი მიმდინარეობდა, ნიუ-იორკის შტატში ყოველთვიურად 100,000 პაციენტი იღებდა რეცეპტით მედიკამენტს. პროცესის მიმდინარეობის დროისათვის ცენტრალიზებულ სისტემაში ინფორმაციასთან დაიშვებოდა შტატის ჯანდაცვის დეპარტამენტის 17

თანამშრომელი. ამავე დროს 24 გამომძიებელს ჰქონდა სისტემაში მუშაობის ნებართვა იმისათვის, რომ გამოეძიებინათ მედიკამენტების არადანიშნულებისამებრ გამოყენების ფაქტები.

მოსარჩელები დაობენ, რომ კანონი არღვევს მათი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას. საქმეები პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის შესახებ, როგორც წესი, მოიცავს ორ ელემენტს: პირველი, ინდივიდის ინტერესს, თავიდან აიცილოს პერსონალური ინფორმაციის გამჟღავნება და მეორე, ინტერესს, დამოუკიდებლად იქნეს მიღებული კონკრეტული გადაწყვეტილებები ინდივიდის მიერ. მოსარჩელები დაობენ, რომ ამ საქმეში სახეზეა ორივე ინტერესის დარღვევა, რადგან ისინი, ვინც მეორე კატეგორიის მედიკამენტებს იყენებს, შიშობენ, რომ მათი პერსონალური ინფორმაცია გამჟღავნდება, რითაც საფრთხე ექმნება მათ რეპუტაციას, რაც შეეხება მეორე ინტერესს, მოსარჩელები დაობენ, რომ თავისი რეპუტაციის შელახვის საფრთხის გამო პაციენტები არ იღებენ ექიმის დანიშნულ მედიკამენტებს, რაც მათ ხელს უშლის გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღებაში.

მიუხედავად ამისა, სასამართლო თვლის, რომ სადავო კანონი საფრთხეს არ უქმნის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას.

პერსონალური ინფორმაციის გამჟღავნებას, შესაძლოა, ადგილი ჰქონდეს სამ შემთხვევაში: შტატის ჯანდაცვის დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ კანონის დარღვევისას, პაციენტის ან ექიმისათვის ბრალის წაყენების დროს იმ შემთხვევაში, როდესაც ჯანდაცვის დეპარტამენტის ინფორმაცია შეიძლება გამოყენებულ იქნეს მტკიცებულებად სასამართლო პროცესზე და გამოძიების ეტაპზე და მესამე, როდესაც ექიმი, აფთიაქარი ან პაციენტი საკუთარი სურვილით ამჟღავნებს ინფორმაციას.

მესამე შემთხვევა სასამართლოს მსჯელობის საგანს არ წარმოადგენს. რაც შეეხება პირველ ორ შემთხვევას, არც ერთი მათგანი არ წარმოადგენს ამ საქმეში სადავო კანონის გაბათილების საფუძველს. ორ შტატში, სადაც ამგვარი ცენტრალიზებული მონაცემთა ბაზის სისტემა არსებობს, რომლითაც იხელმძღვანელა ნიუ-იორკის საკანონმდებლო ორგანომ, არ ყოფილა ინფორმაციის ბოროტად გამოყენების მაგალითები. რაც შეეხება ამ ინფორმაციის სისხლისსამართლებრივი დევენისათვის გამოყენებას, ეს საგნებით ლოგიკურია და ამ კანონის მიღებამდეც არსებობდა ამგვარი შესაძლებლობა.

როგორც საქმიდან ჩანს, არ არსებობს პერსონალური ინფორმაციის ბოროტად გამოყენების მაგალითები. ამასთან, შტატს არ აუკრძალავს მეორე კატეგორიის მედიკამენტების გამოყენება, არც ის დაუნებსებია, რომ პაციენტს და ექიმს სჭირდებოდეთ სახელმწიფო მოხელის ან რომელიმე დაწესებულების თანხმობა მის გამოყენებაზე. შესაბამისად, მედიკამენტის გამოყენების არჩევანი მთლიანად პაციენტისა და მისი ექიმის ხელშია.

სასამართლო თვლის, რომ პერსონალური ინფორმაციის ბოროტად გამოყენების საფრთხე და პაციენტის მიერ მეორე კატეგორიის მედიკამენტების გამოყენების არჩევანის შეზღუდვა არ არის საკმარისი საფუძველი შტატის კანონის გასაუქმებლად.

მიუხედავად ამისა, ჩვენ ვაცნობიერებთ საფრთხეს, რომელიც პერსონალური ინფორმაციის ამგვარ შეგროვებას ახლავს თან. სახელმწიფო ხშირად აგროვებს ამგვარ ინფორმაციას, თუმცა მისი გამოყენება ნამდვილად არ არღვევს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას. უფრო მეტიც, ამ საქმეში ასეთი ფაქტები არ დასტურდება.

ოლქის სასამართლოს გადაწყვეტილება გაუქმებულია.

კატცი შეერთებული შტატების წინააღმდეგ

389 U. S. 347, 1967

ფაქტები

მოსარჩელე კატცი დამნაშავედ ცნეს კალიფორნიის სამხრეთი ოლქის სასამართლოში რვა ბრალდების გამო, მათ შორის ტელეფონის გამოყენებით აზარტული თამაშებისა და სანაძლეობის დადებისათვის. სასამართლო პროცესზე სახელმწიფო ბრალმდებელს ნება დართეს, ბრალდებულის პროტესტის მიუხედავად, წარმოედგინა მტკიცებულებები, რომლებიც მოპოვებულ იქნა კატცის სახლთან მდგარი ტელეფონის ჯიხურის კედელზე გარედან დამაგრებული მოსასმენი აპარატის მეშვეობით. საქმის განმხილველმა სასამართლომ უარყო კატცის შუამდგომლობა, რომლის თანახმადაც იგი დაობდა, რომ მტკიცებულებები მოპოვებულ იქნა კონსტიტუციის მეოთხე შესწორების დარღვევით. სასამართლომ განმარტა, რომ მეოთხე შესწორება არ დარღვეულა, რადგან იმ ადგილას, კერძოდ, ტელეფონის ჯიხურში, სადაც ბრალდებული იმყოფებოდა, არავინ შესულა. მოსასმენი აპარატი მასზე გარედან იყო მიმაგრებული.

კატცმა სარჩელი შეერთებული შტატების უზენაეს სასამართლოში შეიტანა, სადაც დაობდა, რომ მის მიმართ დაირღვა კონსტიტუციის მეოთხე შესწორება⁸⁴.

შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება
სასამართლოს გადაწყვეტილება წარმოადგინა მოსამართლე სტიუარტმა.

⁸⁴ ხალხის პიროვნული საცხოვრებელი ადგილის, მიმონერის ხელშეუხებლობის უფლება, უსაფუძველი ჩხრეკით არ შეიძლება დაირღვეს.

მოსარჩელემ სასამართლოს წინაშე დააყენა ორი საკითხი: 1. არის თუ არა საზოგადოებრივი ტელეფონის ჯიხური კონსტიტუციით დაცული ადგილი და, შესაბამისად, ირღვევა თუ არა პირის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა ასეთი ადგილიდან საუბრის მოსმენით? 2. აუცილებელია თუ არა კონსტიტუციით დაცულ ადგილში ფიზიკური შეღწევა იმისათვის, რათა ჩაითვალოს, რომ ჩხრეკა და ამოღება არღვევს შეერთებული შტატების კონსტიტუციის მეოთხე შესწორებას?

სასამართლო მხედველობაში არ იღებს მოსარჩელის მიერ საკითხების ამგვარ წარმოდგენას. კონსტიტუციის მეოთხე შესწორება არ შეიძლება გაგებულ იქნეს, როგორც პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის გარანტია შეერთებული შტატების კონსტიტუციაში. ეს შესწორება სახელმწიფოს ჩარევისაგან იცავს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის მხოლოდ რამდენიმე ასპექტს, თუმცა მისი დაცვის მექანიზმი უფრო შორს მიდის, რაც სულაც არ ეხება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას. სწორედ ამგვარი გაუგებრობის გამო მიანიჭეს მხარეებმა დიდი მნიშვნელობა საზოგადოებრივ ტელეფონის ჯიხურს. მოსარჩელე დაობს, რომ ეს კონსტიტუციით დაცული ადგილია, ხოლო მოპასუხე ამას უარყოფს. ამ საკითხის განხილვას სასამართლო არასწორი გზით მიჰყავს და წყვეტს მას საკითხის არსისაგან. მეოთხე შესწორება იცავს ინდივიდებს და არა ადგილებს. ის, რაც ინდივიდს თავის ოფისში ან სახლში აქვს საკუთარი სურვილით, საზოგადოებისათვის გამჟღავნებული არ არის და დაცულია მეოთხე შესწორებით, ხოლო ის, რასაც იგი პირად ინფორმაციად თვლის, მიუხედავად იმისა, საჯარო ადგილას არის ისინი თუ არა, შეიძლება დაცული იყოს მეოთხე შესწორებით.

სახელმწიფოს წარმომადგენლები დაობენ, რომ ბრალდებულ კატციის მიერ გამჭვირვალე მინისგან დამზადებული საზოგადოებრივი ტელეფონის ჯიხურის გამოყენება ტელეფონით საუბრებისთვის იგივეა, რაც ტელეფონის ჯიხურს გარეთ ყოფნა. თუმცა სასამართლო თვლის, რომ, როდესაც კატცი ტელეფონის ჯიხურში შედიოდა, მას სწორედ იმის იმედი ჰქონდა, რომ მის საუბარს ვერავინ მოისმენდა. როდესაც პირი საზოგადოებრივ ტელეფონის ჯიხურში შედის, იხდის ფულს და ტელეფონით საუბრობს, ის ელის, რომ მის ნალაპარაკეს მთელი მსოფლიო არ გაიგებს. კონსტიტუციის ვინროდ ინტერპრეტირება ნიშნავს კერძო კომუნიკაციების სფეროში ტელეფონის, როგორც ინსტრუმენტის, მნიშვნელოვანი როლის იგნორირებას.

სახელმწიფო დაობს, რომ მისი აგენტების მიერ გამოყენებული ტექნოლოგიით ადგილი არ ჰქონია ტელეფონის ჯიხურში ფიზიკურ შეღწევას. მათ გამოიყენეს ისეთი მონაცემილობა, რომლითაც საუბრის მოსმენა შესაძლებელი იყო ჯიხურის კედელზე გარედან მიმაგრებული მცირე ზომის აპარატით. თუმცა ასეთი წინაპირობის არარსებობა ერთ დროს მეოთხე შესწორებას

რების დაცვას გამოორიცხავდა, რადგან შესწორება ინდივიდს იცავდა ჩხრეკისა და ამოღებისგან რომელიც მატერიალურ ნივთებზე ხორციელდება. გადანყვეტილებაში საქმეზე ოლმსტედი შეერთებული შტატების წინააღმდეგ⁸⁵, სასამართლოს აზრი მკვეთრად გაიყო. დადგინდა, რომ მიყურადება ფიზიკური შეღწევის გარეშე არ არღვევდა მეოთხე შესწორებას. სასამართლო უარს ამბობს ასეთ ინტერპრეტაციაზე, რადგან თვლის, რომ მეოთხე შესწორება ვრცელდება არა მხოლოდ მატერიალური ნივთების ჩხრეკასა და ამოღებაზე, არამედ ხმისა და საუბრის ჩანერაზეც. მეოთხე შესწორება იცავს ინდივიდებს და არა ადგილებს. ამრიგად, ნათელია, რომ მეოთხე შესწორება ვრცელდება იმ შემთხვევაშიც, როდესაც არ დგინდება დაცულ ადგილას ფიზიკური შეღწევის ფაქტი. სასამართლო თვლის, რომ ოლმსტედისა და გოლდმენის საქმეების⁸⁶ გადანყვეტილებები არასწორად განმარტავს კონსტიტუციას. „ფიზიკური შეღწევის დოქტრინა“ (trespass doctrine), რომელიც ამ საქმეებში განვითარდა, არ შეიძლება ჩაითვალოს სწორ ინტერპრეტაციად. შესაბამისად, სატელეფონო საუბრის მოსმენა ამ საქმეში ჩხრეკად და ამოღებად ითვლება. ხოლო იმ ფაქტს, რომ მოსასმენ აპარატს არ „გადაულახავს“ სატელეფონო ჯიხურის კედელი, კონსტიტუციური მნიშვნელობა არ გააჩნია.

სასამართლომ უნდა განიხილოს კიდევ შემდეგი საკითხი: არის თუ არა ამ საქმეში არსებული ჩხრეკა და ამოღება კონსტიტუციური? სახელმწიფოს წარმომადგენლები დაიბენ, რომ აგენტებს არ ჩაუტარებაით მოსასმენი ოპერაცია იქამდე, ვიდრე არ დადგინდა, რომ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ კატცი საზოგადოებრივ ტელეფონს აზარტული თამაშების შესახებ ინფორმაციის გადასაცემად იყენებდა. თანაც, აგენტები ისმენდნენ დროის მხოლოდ იმ მონაკვეთებში, როდესაც ბრალდებული ტელეფონს იყენებდა. ამრიგად, სახელმწიფო დაიბენ, რომ სატელეფონო საუბრების მოსმენისას მას უფლებამოსილება ბოროტად არ გამოუყენებია.

ამასთან, სახელმწიფოს წარმომადგენლები დაიბენ, რომ ოლმსტედის და გოლდმენის საქმეში, ისინი ეყრდნობოდნენ დადგენილ წესებს. მათ არ მიუმართავთ ფედერალური მოსამართლისათვის ჩხრეკისა და ამოღების სანქციის მისაღებად, რადგან, მანამდე დადგენილი წესების თანახმად, ტელეფონის მოსმენა არ განიხილებოდა ჩხრეკად და ამოღებად, რისთვისაც მოსამართლის სანქცია იქნებოდა საჭირო. უზენაეს სასამართლოს არასოდეს დაუდგენია, რომ უსანქციო ჩხრეკა და ამოღება კონსტიტუციურია, თუნდაც არსებობდეს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მოპოვებული იქნება გარკვე-

⁸⁵ Olmstead v. United States, 277 U.S. 438, 1928

⁸⁶ Goldman v. United States US Supreme Court 316 US 129, 1942

ული მტკიცებულებები. ნებისმიერი ჩხრეკა და ამოღება მოსამართლის სანქციის გარეშე *per se* ანტიკონსტიტუციურია, გარდა ზუსტად დადგენილი გამონაკლისებისა, რომლებიც ამ საქმეში არ ყოფილა. სახელმწიფო არ დაობს, რომ ამ საქმეში ასეთი გამონაკლისი იყო, მაგრამ სახელმწიფოს წარმომადგენლები დაობენ, რომ ამას უნდა ეწოდოს ერთ-ერთი გამონაკლისი შემთხვევა, როდესაც სანქციის წინასწარ მოპოვება არ იყო საჭირო. ჩვენ სახელმწიფოს ამ საკითხში ვერ დავეთანხმებით. ტელეფონის მოსმენის სანქციის დაკანონება სრულიად დაუშვებელია, რადგან იგი ინდივიდებს არ უტოვებს არანაირ გარანტიას და პოლიციის დისკრეციის ქვეშ ტოვებს მათი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას.

გამომდინარე იქიდან, რომ ამ საქმეში ინდივიდს არ ჰქონდა კონსტიტუციის მეოთხე შესწორებით დადგენილი გარანტიები, სასამართლო ადგენს, რომ კონსტიტუცია დაირღვა, რის შედეგადაც ბრალდებული დამნაშავედ ცნეს.

სასამართლოს გადაწყვეტილება გაუქმებულია.

„თაიმი“ ჰილის წინააღმდეგ 385 U.S. 374 (1967)

ფაქტები

1952 წელს ფილადელფიაში ჯეიმს ჰილი და მისი ოჯახი საკუთარ სახლში სამმა პირმა მძევლად აიყვანა. ჰილების ოჯახის არც ერთი წევრი ამ დროს არ დაზარალებულა. მათ გასაოცრად კარგად ეპყრობოდნენ. როგორც ჯეიმს ჰილმა მოგვიანებით განაცხადა, ამ ინციდენტის შესახებ ერთი წლის შემდეგ გამოვიდა წიგნი სათაურით „საშინელი საათები“, სადაც აღწერილი იყო ერთი ოჯახის მძევლად აყვანის ისტორია მამასა და ვაჟზე ძალადობის, ქალიშვილის მიმართ კი ვერბალური სექსუალური შეურაცხყოფის სცენების აღწერით. ამ წიგნის მიხედვით ბროდვეიზე შოუც დაიდგა, რომლის შესახებაც ჟურნალ *Life*-ში გამოქვეყნდა სტატია სათაურით „სპექტაკლი, რომელსაც სინამდვილეში მომხდარი დანაშაული უდევს საფუძვლად“, სტატიაში აღნიშნული იყო, რომ სპექტაკლში გადმოცემულია 1952 წელს ფილადელფიაში მომხდარი ამბები. სტატიას თან ახლდა ფილადელფიაში ჰილების საცხოვრებელი სახლის ფოტო. აქვე უნდა აღნიშნოს, რომ ამ დროისთვის ჰოლივუდში უკვე იღებდნენ ფილმს, სადაც ჯეიმს ჰილის როლი ენტონი ჰოპკინსს, ხოლო მისი ვაჟისა – მიკი რურკს უნდა შეესრულებინათ.

სარჩელის შეტანის დროისათვის ჰილების ოჯახი კონექტიკუტში იყო გადასული საცხოვრებლად, რათა თავიდან აეცილებინათ პრესის ყურადღე-

ბა. ჰილბის ოჯახმა ჟურნალ *Life*-ში გამოქვეყნებული სტატიის გამო ნიუ-იორკის შტატის სასამართლოს მიმართა, სადაც დაობდა მათი ოჯახის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევისა და მცდარი ფაქტების გავრცელების გამო.

ჰილბის სარჩელი ნაფიცმა მსაჯულებმა დააკმაყოფილეს და ჟურნალის გამომცემელ კომპანია „ტაიმს“ 75 000 დოლარის გადახდა დააკისრეს. სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილება უცვლელი დატოვა, თუმცა ზიანის ასანაზღაურებელი თანხა 30 000 დოლარამდე შეამცირა. ჟურნალის მესაკუთრე კომპანია „ტაიმმა“ შეერთებული შტატების უზენაეს სასამართლოს მიმართა, სადაც დაობდა, რომ „ნიუ-იორკ ტაიმსი“ სალივანის წინააღმდეგ⁸⁷ საქმის სტანდარტი უნდა გამოყენებინათ („ბოროტი განზრახვის სტანდარტი“) და რომ მისი გამოყენებლობით დაირღვა შეერთებული შტატების კონსტიტუციის პირველი შესწორება.

შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება სასამართლოს მოსაზრება წარმოადგინა მოსამართლე ბრენანმა.

ამ სასამართლოს წინაშე დგას კითხვა: დაირღვა თუ არა ჟურნალის გამომცემლის კონსტიტუციით დაცული სიტყვისა და პრესის თავისუფლება ნიუ-იორკის კანონის გამოყენებით, რომლის თანახმადაც მოსარჩელეს ზიანის ანაზღაურება დაეკისრა, რადგანაც გამოაქვეყნა ინფორმაცია, რომ ბროდვეის ახალი სპექტაკლი ასახავდა მოპასუხისა და მისი ოჯახის მიერ გადატანილ ამბავს.

ნიუ-იორკის სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ ამგვარი სტატიის გამოქვეყნება იკრძალება კანონით შტატის სამოქალაქო უფლებების შესახებ და არ ხვდება არანაირ გამონაკლისებში, რომლებიც ახალ ამბებს ეხება. სააპელაციო სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ ამ კანონის გამოყენებისათვის აუცილებელია დადგინდეს მნიშვნელოვანი შეცდომების არსებობა პუბლიკაციაში მოყვანილ ფაქტებში, თუმცა არ არის ნათელი, საჭიროა თუ არა ამ შეცდომების წინასწარ ცოდნის ან მათი განზრახ უგულებელყოფის ფაქტის დადგენა. საქმეში „ნიუ-იორკ ტაიმსი“ სალივანის წინააღმდეგ უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ შტატებს ეზღუდებათ უფლება, ზიანის ანაზღაურება დააკისრონ პირებს ოფიციალური პირების სასარგებლოდ, თუ არ დადგინდება ბოროტი განზრახვის არსებობა. მხოლოდ ფაქტობრივი შეცდომა ან ცილისმწამებლური განცხადება ოფიციალური პირის წინააღმდეგ – არც ერთი არ წარმოადგენს საკმარის საფუძველს ზიანის ანაზღაურებისათვის, თუ არ დადგინდება, რომ ასეთი განცხადება ბოროტი

⁸⁷ NEW YORK TIMES CO. v. SULLIVAN, 376 US 254 (1964).

განზრახვით გაკეთდა. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ ამ შემთხვევაზე ეს სტანდარტი არ უნდა გავრცელდეს.

თუ ამით სააპელაციო სასამართლო იმას გულისხმობდა, რომ წინასწარი განზრახვა ან შეცდომის განზრახ უგულვებლყოფის მტკიცება არ არის საჭირო კანონის გამოყენებისას, უზენაესი სასამართლო სააპელაციო სასამართლოს არ ეთანხმება. უზენაესი სასამართლო ადგენს, რომ პრესისა და სიტყვის თავისუფლების კონსტიტუციური გარანტიების თანახმად, გამოირიცხება ნიუ-იორკის შტატის სადავო კანონის გამოყენება მცდარი ფაქტების შემცველი პუბლიკაციების წინააღმდეგ, თუკი არ დადგინდება, რომ ასეთი მცდარი ფაქტების აღნიშვნა ბოროტი განზრახვით მოხდა.

მცდარი განცხადებები დემოკრატიულ საზოგადოებაში და დებატებში გარდაუვალია და ისინი დაცული უნდა იყოს, რათა, თავის მხრივ, გადასარჩენად სასუნთქი ჰაერი დაეუტოვოთ გამოხატვის თავისუფლებას. ჩვენ პრესას მძიმე ტვირთს დავაკისრებთ, თუ დავავალებთ, რომ ახალი ამბების აღწერისას აუცილებელი უნდა იყოს ყოველი ასპექტის მკაცრი სიზუსტის დადგენა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ცილისმწამებლურ განცხადებასთან არ გვაქვს საქმე.

რადგან ნაფიც მსაჯულებს პირველი ინსტანციის სასამართლოში არ განუმარტეს ბოროტი განზრახვის დოქტრინა, გადაწყვეტილება გაუქმებულია და წინა ინსტანციის სასამართლოში უნდა დაბრუნდეს ხელახალი განხილვისათვის.

**„ფლორიდა სტარი“ ბ.ჯ.ფ-ს წინააღმდეგ
491 U.S. 254 (1989)**

ფაქტები:

გაზეთმა „ფლორიდა სტარმა“ ამ საქმეში გაუპატიურების მსხვერპლის სახელი მოიპოვა სასამართლოს ჩანაწერებიდან, რომელიც ღია იყო საზოგადოებისთვის; ამ ფაქტზე თავის მოსაზრებაში დაჟინებით მიანიშნებდა მოსამართლე უატი. ერთ-ერთი მიზეზი, რომელიც კოქსის სამაუწყებლო კომპანიის საქმეში სასამართლომ გამოიყენა დაკისრებული ზიანის ანაზღაურების გასაუქმებლად, იყო პრესის მნიშვნელოვანი როლი სასამართლო პროცესების საზოგადოების სამსჯავროზე გამოტანაში და, ამასთანავე, მათი სამართლიანობის გარანტირებაში. ეს როლი პირდაპირ არ იგულისხმება იმ შემთხვევაში, თუ განსახილველი ინფორმაცია მომდინარეობს პოლიციის ჩანაწერებიდან, რომლებიც მომზადებული და გავრცელებულია იმ დროს, როდესაც, არათუ არ დაწყებულა სისხლის სამართლის შეჯიბრებითი

პროცესი, არამედ ჯერ ექვმიტანილის ვინაობაც კი არ არის დადგენილი. ასე მოხდა მოცემულ შემთხვევაშიც.

აპელანტმა სადავო ინფორმაცია მიიღო ხელისუფლების ახალი ამბების გამოცემიდან, რაც ამტკიცებს, რომ პასუხისმგებლობის დაწესებას თვით-ცენზურა უნდა მოჰყოლოდა. ახალი ამბების გამოცემაზე დაყრდნობა გაზეთების მუშაობის დამკვიდრებული ტექნიკაა. ხელისუფლების მიერ გამოცემული ასეთი პუბლიკაცია ცენზურის გარეშე შეიძლება გადაეცეს მხოლოდ იმ ადრესატს, რომლის მიმართაც გავრცელება კანონიერად ჩაითვლება, მისგან კი ამ ინფორმაციის შემდგომი გავრცელებაა მოსალოდნელი.

შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება

სასამართლოს აზრით, ზიანის ანაზღაურების დაკისრება აპელანტისთვის, ბ.ჯ.ფ.-ს სახელის გამოქვეყნების გამო, არღვევს კონსტიტუციის პირველ შესწორებას, თუმცა არა იმ მიზეზით, რომელზეც აპელანტი თავის მოთხოვნას აფუძნებს. მიუხედავად ამ საქმის დიდი მსგავსებისა *კოქსის სამაუწყებლო კომპანიის* საქმესთან, ამ შემთხვევაში, ეს უკანასკნელი არ შეიძლება ჩაითვალოს წარმმართველად. სასამართლო მიიჩნევს, რომ მგრძნობიარობის და ინტერესის მნიშვნელობის დაპირისპირება გამოიხატება შეზღუდულ პრინციპებზე დაფუძნებულ კონსტიტუციის პირველ შესწორებასა და პირადი საიდუმლოების უფლების დაცვას შორის შეჯახებაში, რომელიც იმაზე ფართოდ არ ვრცელდება, ვიდრე ეს ამ შემთხვევას შეესაბამება.

სასამართლოს აზრით, ამ საქმის ანალიზი, კონსტიტუციის პირველი შესწორების შეზღუდულ ინტერესთან მიმართებაში სათანადოდ მოხდა. ფაქტობრივად, ეს ის შემთხვევაა, რომელიც სასამართლომ დაწვრილებით ჩამოაყალიბა გამოცემაში „*დეილი მელი*“ ადრე განხილულ საქმეთა შორის, რომლებშიც იყო სწორი პუბლიკაციისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების მცდელობა: „თუ გაზეთი კანონიერად მოიპოვებს სწორ ინფორმაციას საზოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხზე, სახელმწიფო თანამდებობის პირებს უფლება არა აქვთ, კონსტიტუციურად პასუხისმგებლობა დააწესონ ამ ინფორმაციის პუბლიკაციისთვის, თუ ეს სახელმწიფოს უზენაესი ინტერესებიდან არ გამომდინარეობს“. პრესის მიხედვით, ამ პრინციპით უზრუნველყოფილი სათანადო დაცვა გამყარებულია სამი სხვადასხვა მოსაზრებით მაინც; რა თქმა უნდა, ამას ემატება გავრცელებული „სიმართლის გავრცელებისას საზოგადოებრივი ინტერესი, რომელიც დაცულია კონსტიტუციით“, (*კოქსის სამაუწყებლო კომპანიის საქმე*). საქმეები, რომელსაც „*დეილი მელი*ს“ სინთეზი ეფუძნებოდა, ამ მოსაზრებებს გამოხატავს.

1. ვინაიდან „*დეილი მელი*ს“ ფორმულირებით დაცულია მხოლოდ ისეთი ინფორმაციის გამოქვეყნება, რომელიც გაზეთს „მოპოვებული [აქვს] კანონ-

ნიერად“ (443 აშშ., 103), ხელისუფლება ინარჩუნებს იმ ინტერესების დაცვის მნიშვნელოვან საშუალებებს, რომლებსაც შეიძლება პუბლიკაცია შეეხოს. მათ შორისაა გაუპატიურების მსხვერპლის ანონიმურობის დაცვა. იმ ფარგლებში, რომელშიც დელიკატური ინფორმაცია პირად სფეროში რჩება, ხელისუფლებას გარკვეულ გარემოებებში შეუძლია აკრძალოს მისი მოპოვება მსხვერპლის თანხმობის გარეშე, ამასთან, წინ წამოსწიოს „დეილი მეილის“ პრინციპი ასეთი გზით მოპოვებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით. რადგან დელიკატური ინფორმაცია ხელისუფლების კონტროლს ექვემდებარება, მას უფრო მეტად ძალუძს, აღკვეთოს ან შეამციროს მისი გამოქვეყნებით გამონვეული ზიანი. ხელისუფლებამ შეიძლება მოახდინოს გარკვეული ინფორმაციის კლასიფიცირება, დაანესოს და განახორციელოს პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს მის რედაქტირებულად გამოცემას და გაავრცელოს ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ხელისუფლებაზე ან მის თანამდებობის პირებზე, როდესაც ხელისუფლების მიერ დელიკატური ინფორმაციის ბოროტად გამოყენებას მოჰყვება მისი გავრცელება. როდესაც ხელისუფლებას ინფორმაციას გაანდობენ, თითქმის ყოველთვის მოიძებნება სწორი ინფორმაციის პუბლიკაციისთვის გათვალისწინებულ სასჯელზე უფრო ნაკლებად მკაცრი საშუალებები, პირადი ფაქტების გავრცელებისგან დასაცავად.

2. მეორე მოსაზრებით, რომელიც „დეილი მეილის“ პრინციპს ამყარებს, პრესის პასუხისგებაში მიცემა იმ ინფორმაციის გავრცელებისთვის, რომელიც უკვე ცნობილია საზოგადოებისთვის, ნაკლებად ეხმაურება იმ ინტერესებს, რომელთა დასაცავადაც შტატი მოქმედებს. რა თქმა უნდა, ყოველთვის არ ხდება ისე, რომ პრესის მიერ კანონიერად მოპოვებული ინფორმაცია ცნობილი ან მისანვლომი გახდეს სხვებისთვის. თუმცა, როდესაც გარკვეული ინფორმაცია ხელისუფლების მიერ საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომად აქცეული, სრულიად ანომალური იქნებოდა, დასჯილიყო სხვა ვინმე, გარდა იმ პირებისა, რომლებიც ინფორმაციის გამოქვეყნების წყაროს წარმოადგენენ. „დეილი მეილის“ ფორმულირების მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული ინფორმაცია ხელმისაწვდომი იყო საზოგადოებისთვის, სინამდვილეში იყო მხოლოდ რამდენიმე შემთხვევა, როდესაც, პრესის მსგავსად, არსებითი საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, სხვა პირებსაც აეკრძალათ გამოცემის გაგრძელება. ოკლაჰომის გამომცემლობის საქმის ანალიზისას „დეილი მეილში“ აღნიშნულია, რომ, „როდესაც სწორი ინფორმაცია „საჯაროდ გამომხეურებული“ ან „საზოგადოების ხელში“ იყო, სასამართლოს აღარ შეეძლო კონსტიტუციურად შეეზღუდა მისი გავრცელება“ (443 აშშ., 103).

3. მესამე მოსაზრება შეეხება „მორიდებულობასა და თვითცენზურას“, რაც შეიძლება მოჰყვეს გარკვეული სწორი ინფორმაციის პუბლიკაციისთვის

მედიის პასუხისგებაში მიცემას. *კოქსის მაუწყებლობის საქმეში (496) კოქსის მაუწყებლობა* გამოთქვამდა პრეტენზიას ზედმეტი წინააღმდეგობების გამო, ოფიციალური სასამართლო ჩანაწერების მეშვეობით ინფორმაციის საჯაროდ ქცევისთვის, თუმცა, მედიის ზედმეტი თვითშეზღუდვის საფრთხე ვრცელდება ხელისუფლების ცენზურის გარეშე სხვა ინფორმაციის გამოქვეყნებაზეც. საწინააღმდეგო წესი, რომელიც დაცვის გარეშე დატოვებდა მათ, ვინც დამოკიდებულია ხელისუფლების მიერ მითითებულ კანონიერებასა და გავრცელებაზე, მედიას დააკისრებდა ვალდებულებას, ანალიზი გაეკეთებინა ხელისუფლების საგაზეთო გამოცემების, რეპორტაჟებისა და განცხადებებისთვის, რათა ამოელო პუბლიკაციიდან მასალა, რომლის კანონიერება სადავო იქნებოდა; ეს კი პრესას მძიმე ტვირთად დაანგებოდა.

მეორე საკითხია, რამდენად ემსახურება აპელანტისთვის პასუხისმგებლობის დაკისრება 794.03 მუხლის მიხედვით „სახელმწიფოს უზენაეს ინტერესებს“ (*„დეილი მეილი“*, 443 აშშ, 103). აპელაციის მოპასუხე მხარე ამტკიცებს, რომ პუბლიკაციისთვის სასჯელის გამოყენების წესი ემსახურება სამ ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ ინტერესს: სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა პირადი საიდუმლოების დაცვას; იმ მსხვერპლთა ფიზიკურ უსაფრთხოებას, რომლებზეც შეიძლება შური იძიონ, თუ მათი სახელები ცნობილი გახდება თავდამსხმელებისთვის; და ასეთი დანაშაულების მსხვერპლთა ხელშეწყობის მიზანს, რომ გამოაშკარავების შიშის გარეშე განაცხადონ ამ სამართალდარღვევების შესახებ. იმ დროს, როდესაც ყოველდღიურად ხდება გაუპატიურების შემთხვევები, უდავოდ ძალიან მნიშვნელოვან ინტერესებს ემსახურება ფლორიდის კანონმდებელთა აშკარა მცდელობა, დაიცვან ეს ინტერესები ისეთი სისხლის სამართლის სტატუტის მიღებით, რომელიც კრძალავს მსხვერპლის ვინაობის ასეთ გამჟღავნებას. შესაბამისად, დაუშვებელია იმ შესაძლებლობის გამორიცხვა, რომ შესაბამის შემთხვევაში სამოქალაქო სანქციების დაწესება გაუპატიურების მსხვერპლის სახელის პუბლიკაციისთვის, შეიძლება იმდენად აუცილებელი იყოს ამ ინტერესთა დასაცავად, რომ *„დეილი მეილის“* სტანდარტებიც კი დააკმაყოფილოს. თუმცა, სამი დამოუკიდებელი მიზეზის გამო, პუბლიკაციისთვის პასუხისმგებლობის დაკისრება ამ საქმეში წარმოჩენილი გარემოებების არსებობისას ძალიან მკაცრი საშუალებაა ამ ინტერესთა დასაცავად და სასამართლოს დასარწმუნებლად, რომ არსებობს „საჭიროება“ *„დეილი მეილის“* ფორმულირების მნიშვნელობით, რათა ფლორიდამ გადადგას ეს უკიდურესი ნაბიჯი.

1) პირველი არგუმენტი შეეხება საშუალებას, რომლითაც აპელანტმა მოიპოვა სადავო საიდენტიფიკაციო ინფორმაცია. როდესაც ხელისუფლება თვითონ აწვდის მედიას ინფორმაციას, სავარაუდოა, რომ ინფორმაციის

გავრცელებისგან დასაცავად, ხელისუფლებას ჰქონდა, მაგრამ ვერ გამოიყენა სწორი პუბლიკაციისთვის პასუხისმგებლობის დაკისრებაზე ბევრად უფრო შეზღუდული საშუალებები. როდესაც ხელისუფლება ვერ ახერხებს საკუთარი თავის კონტროლს, ინფორმაციის გავრცელებისას, როგორც ეს მოცემულ შემთხვევაში მოხდა, *კოქსის მაუწყებლობის, ოკლაჰომის გამომცემლობისა და ლენდმარკ კომიუნიკეიშენის* საქმეებიდან აშკარა ხდება, რომ პრესისთვის ზიანის ანაზღაურების დაკისრება მისი თანამდევი პუბლიკაციისთვის, ნაკლებად შეიძლება ჩაითვალოს ანონიმურობის დასაცავ სწორ საშუალებად.

„2) მეორე პრობლემა, რომელიც უკავშირდება ფლორიდის მიერ პუბლიკაციისთვის პასუხისმგებლობის დანესებას, არის გაუფრთხილებლობის სტანდარტი, რომელიც შეეხება სამოქალაქო სარჩელის საფუძველს 794.03 მუხლიდან გამომდინარე. პირად საიდუმლოებაში ჩარევის საერთო-სამართლებრივ დანაშაულთან დაკავშირებული სარჩელებისაგან განსხვავებით, 794.03 მუხლზე დაფუძნებული სარჩელები არ მოითხოვს საქმეების მიხედვით იმის კვლევას, იქნებოდა თუ არა პირის პირადი ცხოვრების შესახებ ფაქტის გამჟღავნება საღად მოაზროვნე ადამიანისთვის შეურაცხმყოფელი. პირიქით, სასამართლოების მიერ მიღებული გაუფრთხილებლობის თეორიის მიხედვით, პასუხისმგებლობა ავტომატურად მომდინარეობს პუბლიკაციიდან.

3) 794.03-ე მუხლის შინაარსი, ერთი შეხედვით, იწვევს სერიოზულ ეჭვებს იმის თაობაზე, ფლორიდა ნამდვილად ცდილობს თუ არა ამ სტატუტით სამსახურის განწევას მნიშვნელოვანი ინტერესისთვის, რომელსაც აპელაციის მოპასუხე მხარე მტკიცებისათვის იყენებს. ფლორიდის სტატუტის 794.03 მუხლი კრძალავს საიდენტიფიკაციო ინფორმაციის პუბლიკაციას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის „მასობრივი კომუნიკაციის საშუალებაში“ მოხვედბა, თუმცა ამ ტერმინის დეფინიციას სტატუტი არ იძლევა. 794.03 მუხლი არ კრძალავს სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა ვინაობის სხვა საშუალებებით გამჟღავნებას. ასევე არაფერია ნათქვამი იმ პირის შესახებ, რომელიც ბოროტი განზრახვით ამჟღავნებს გაუპატიურების მსხვერპლის ვინაობას, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ინფორმაციის მიწოდებამ მსხვერპლის მეზობლებისთვის ან თანამშრომლებისთვის, შეიძლება ისეთივე გამანადგურებელი შედეგი გამოიწვიოს, როგორც მისი სახელის უამრავი უცხო პირისთვის გამჟღავნებამ.

ეს დადგენილება შეზღუდულია. სასამართლო არ ადგენს, რომ სწორი ინფორმაციის გამოქვეყნება ავტომატურად არის დაცული კონსტიტუციით და არც იმას ადგენს, რომ არ არსებობს პირადი საიდუმლოების სფერო, რომლის ფარგლებშიც შტატმა შეიძლება დაიცვას პირი პრესის ჩარევისგან;

სასამართლო არც იმაზე მიუთითებს, რომ შტატს არასოდეს შეუძლია დაანესოს პასუხისმგებლობა სქესობრივი დანაშაულის მსხვერპლის სახელის გამოქვეყნებისთვის. სასამართლო მხოლოდ ადგენს, რომ, როდესაც გაზეთი აქვეყნებს კანონიერი გზით მოპოვებულ სწორ ინფორმაციას, პასუხისმგებლობის დაკისრება, თუ ეს საერთოდ განხორციელდება, შეიძლება იყოს კანონიერი მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს გამომდინარეობს შტატის უზენაესი ინტერესიდან. ამ საქმეში არსებული ფაქტებიდან გამომდინარე, ასეთი ინტერესი არ არის სრულყოფილად დაცული 794.03 მუხლის მიხედვით აპელანტისთვის პასუხისმგებლობის დაკისრებისას.

კოქსის სამაჟნეებლო კორპორაცია კონის წინააღმდეგ (1975)

ფაქტები

ეს საქმე შეეხება პირადი საიდუმლოს ხელმოფი სამართალდარღვევის ისეთ სახესთან, რომელსაც ჯორჯიაში „საჯაროდ გამჟღავნების სამართალდარღვევა“ უწოდეს და რასაც მოსარჩელე ასაჩივრებს. მისი სარჩელი უკავშირდება უფლებას, იყოს დაცული პირადი საქმეების არასასურველი საჯაროობისგან, რაც ნამდვილად შეურაცხმყოფელია ადამიანისთვის. ამ საქმეში პირადი საიდუმლოების უფლება სიტყვისა და პრესის კონსტიტუციურ თავისუფლებებს უპირისპირდება.

მედია საშუალება ამტკიცებს, რომ დაუშვებელია, პრესას დაეკისროს სისხლის სამართლის ან სამოქალაქო პასუხისმგებლობა ისეთი ინფორმაციის გამოქვეყნების გამო, რომელიც არც ყალბია და არც არაზუსტი, მიუხედავად იმისა, რამდენად საზიანოა ეს ინფორმაცია ადამიანის რეპუტაციისათვის, ან რამდენად შელახავს მის პირად გრძნობებს.

ამ საუკუნეში ძლიერი მხარდაჭერა ჰქონდა ე.წ. პირადი ცხოვრების საიდუმლოების უფლებას. პირადი საიდუმლოების უფლება ახალი არ არის არც ჯორჯიის სამართალწარმოებისთვის, რომელმაც გარკვეული ფორმით ეს უფლება ადრეც განიხილა გადაწყვეტილების გამოტანისას საქმეზე *პავესიჩი ახალი ინგლისის სიცოცხლის დაზღვევის კომპანიის წინააღმდეგ* 1905 წელს.

ეს მნიშვნელოვანი მანდატია პირადი საიდუმლოების უფლების დაცვის თვალსაზრისით, თუმცა ამ საქმეში არ განიხილება ამ უფლების ხელმოფი ქმედება, რაც ვინმეს სახელის ან ფოტოსურათის მითვისებას, პირად სფეროში ფიზიკურ ან სხვაგვარ არსებით ჩარევას და პირადი ინფორმაციის გამოქვეყნებას გულისხმობს. ასეთ საქმეებში შესაძლოა ინფორმაცია იყოს ყალბი, თუმცა არა აუცილებლად დიფამაციური.

პირად საიდუმლოებასა და პრესის თავისუფლებასთან დაკავშირებული კოლიზიების შემთხვევაში ორივე მხარის ინტერესები საზოგადოებაში გაბატონებულ შეხედულებებსა და ტრადიციებში იღებს სათავეს. საკითხის უფრო ფართო ჩრილში განხილვას – შესაძლებელია თუ არა ისეთი სწორი ინფორმაციის შემცველი პუბლიკაციები ოდესმე დაექვემდებაროს სამოქალაქო ან სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას პირადი ცხოვრების არასასურველი საჯაროობისაგან დაცვის მიზნით, სჯობს, ყურადღება გამახვილდეს პრესისა და პირადი საიდუმლოების უფრო კონკრეტულ ურთიერთგადაკვეთაზე. ამ შემთხვევაში უნდა გაირკვეს, აქვს თუ არა შტატს უფლება, დაანესოს სანქციები გაუპატიურების მსხვერპლის ვინაობის, ანუ იმ ინფორმაციის სწორად გამოქვეყნებისთვის, რომელიც სასამართლოს ჩანაწერებიდანაა მოპოვებული. სასამართლო ჩანაწერები კეთდება საჯარო ბრალდებასთან დაკავშირებით და საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომია. სასამართლოს მიაჩნია, რომ შტატს ამის უფლება არა აქვს.

საზოგადოება, სადაც, როგორც წესი, ყოველ ადამიანს შეზღუდული დრო და რესურსები აქვს ხელისუფლების მოქმედებებისათვის თვალყურის სადევნებლად, ძირითადად პრესას ეყრდნობა, რათა ხელისუფლების საქმიანობის შესახებ შეიტყოს. უდიდესი პასუხისმგებლობა ეკისრება ახალი ამბების მედიას, რომელმაც სრულად და სწორად უნდა გააშუქოს ხელისუფლებაში მიმდინარე პროცესები. *მედიისათვის კი ხელისუფლების საქმიანობის შესახებ ინფორმაციის ძირითადი წყარო საზოგადოებისთვის ღია დოკუმენტები და ჩანაწერებია.*

სასამართლო პროცესზე მოპასუხე მხარემ განაცხადა, რომ მისი პირადი საიდუმლოების უფლება პრესის საქმიანობის შედეგად შეილახა, როცა ინფორმაცია მისი ქალიშვილის გაუპატიურების შესახებ მთელი მსოფლიოს მასშტაბით გავრცელდა. სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, მისგან გამომდინარე ბრალდებები და სასამართლო პროცესი, რომელიც ამ ბრალდებებს მოჰყვება, იმ ტიპის მოვლენებს განეკუთვნება, რომლებიც საზოგადოების ლეგიტიმური ინტერესის საგანია და პრესის მოვალეობაა მათ შესახებ ინფორმაციის გავრცელება.

შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება

სასამართლომ განაცხადა, რომ ჩამოყალიბების პროცესში მყოფი კანონი პირადი საიდუმლოების ხელმყოფი მართლსაწინააღმდეგო ქმედების შესახებ აღიარებს პრესის პრივილეგიას გავრცელოს ამომწურავი ინფორმაცია სასამართლო პროცესებზე განვითარებული მოვლენების შესახებ.

სამართალდარღვევათა ხელახალი დადგენის საცდელი პროექტი №13 პირადი საიდუმლოების ხელმყოფ სამართალდარღვევას ოთხ ნაწილად

ყოფს; პირადი ცხოვრების შესახებ არასასურველ პუბლიკაციასთან დაკავშირებით 652დ მუხლის კომენტარში ნათქვამია: „პასუხისმგებლობის საკითხი არ დაისმება, თუ დასაცავმა პირმა მოსარჩელის შესახებ გამოაქვეყნა ისეთი ინფორმაცია, რომელიც ისედაც უკვე ცნობილია საზოგადოებისთვის. ამრიგად, პასუხისმგებლობის საკითხი არ დგება მოსარჩელის ცხოვრების შესახებ ისეთი ფაქტების გამოქვეყნებისთვის, რომლებიც საზოგადოებრივი განსჯის საგანს წარმოადგენს“. ამ პროექტის მიხედვით საჯარო განხილვის საგნის შინაარსის გამოქვეყნებას უბრალოდ არ შეეხება ამ სახის პირადი საიდუმლოების დამცავი მექანიზმები.

ამრიგად, პირადი საიდუმლოების ხელყოფის შესახებ ძირითადი კანონიკი აღიარებს, რომ პირადი საიდუმლოების ინტერესი მცირდება, როდესაც განხილული ინფორმაცია უკვე საზოგადოების განსჯის საგანად არის ქცეული. დასკვნა უცვლელია იმ შემთხვევაშიც, თუ საკითხს კონსტიტუციის პირველი და მეთოთხმეტე შესწორებებისა და პრესის მიმართ საზოგადოების აქტიური ინტერესის ფონზე განვიხილავთ. ჯორჯიის სარჩელის საფუძვლიდან (რომელიც პირადი საიდუმლოების ხელყოფას ეხება, რაც გაუპატიურების მსხვერპლის სახელის საზოგადოებისთვის გამჟღავნებაში გამოიხატა) გამომდინარე, დაწესებულია სანქციები პუბლიკაციის შინაარსისთვის და არა მოქმედების ან სიტყვიერი და არასიტყვიერი ელემენტების კომბინაციისთვის, რომელიც სხვაგვარად შეიძლება რეგულირებას ან აკრძალვას დაექვემდებაროს.

ინფორმაციის განთავსებისას საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომ ადგილას სასამართლოს ოფიციალურ ჩანაწერებში, სავარაუდოა, რომ შტატმა საზოგადოებრივი ინტერესის დაკმაყოფილებაც დაუშვას. სასამართლო იძულებულია, აირჩიოს კურსი, რომელიც საჯარო ჩანაწერებს ხელმისაწვდომს გახდის მედიისათვის, მაგრამ აკრძალავს პუბლიკაციას, თუ ის შეურაცხმყოფელი იქნება საღად მოაზროვნე ადამიანის გრძნობებისთვის. ასეთი წესი ძალიან გაართულებს მედიისთვის მოქალაქეთა ინფორმირებას, თუმცა ეს კანონიერი იქნება. ეს წესი ხელს შეუწყობს თვითცენზურას და გამოიწვევს ბევრი ისეთი პუბლიკაციის შეზღუდვას, რომელიც სხვა შემთხვევაში გამოქვეყნდებოდა. კონსტიტუციის პირველი და მეთოთხმეტე შესწორებები არ დაუშვებს პრესის პასუხისგებაში მიცემას იმ ნამდვილი ინფორმაციის შემცველი პუბლიკაციისთვის, რომელიც სასამართლოს ოფიციალურ, საჯარო ჩანაწერებზე დაყრდნობით გამოქვეყნდა. თუ საჭირო იქნება პირადი საიდუმლოების ინტერესების სასამართლოს მეშვეობით დაცვა, მაშინ შტატებმა უნდა მიმართონ შესაბამის ზომებს, რომ თავიდან აიცილონ საჯარო დოკუმენტაციის ან პირადი ინფორმაციის სხვაგვარი გამჟღავნება. პოლიტიკურმა ინსტიტუტებმა უნდა შეადარონ ინფორმაციის მიღების პირადული

ინტერესები საზოგადოებრივ და პრესის ინტერესებთან. როგორც კი ინფორმაცია საჯარო სასამართლო დოკუმენტებში აისახება, პრესას აღარ შეიძლება აეკრძალოს მისი გამოქვეყნება. ამ შემთხვევაშიც უნდა დავეყრდნოთ იმ პირთა განსჯას, რომლებიც წყვეტენ, თუ რა უნდა გამოქვეყნდეს და რა გავიდეს ეთერში.

აპელანტ უასელის ტელერეპორტაჟი სასამართლო პროცესის მსვლელობისას გაკეთებულ ჩანაწერებს ემყარებოდა. ხოლო მსხვერპლის სახელი ჟურნალისტმა საბრალდებო დოკუმენტებიდან გაიგო, რომლებიც პროცესზე გამოცხადებული შესვენების დროს გამოითხოვა. მოპასუხე არ ამტკიცებდა, რომ სახელი არასათანადო გზით იყო მოპოვებული, ან ეს არ იყო საზოგადოებისთვის ღია, ოფიციალური სასამართლო დოკუმენტი. ამ სიტუაციაში კონსტიტუციის პირველი და მეთოთხმეტე შესწორებებით უზრუნველყოფილი პრესის თავისუფლების დაცვა უკრძალავს ჯორჯიის შტატს აპელანტის პასუხისგებაში მიცემას მის მიერ მომზადებული ტელერეპორტაჟის გამო.

ნიქსონი administration of General Services-ის წინააღმდეგ 433 U.S. 425 (1977)

ფაქტები:

მას შემდეგ, რაც მოსარჩელე ნიქსონი შეერთებული შტატების პრეზიდენტის თანამდებობიდან გადადგა, მან მოპასუხესთან გააფორმა ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, მოპასუხე ნიქსონის კალიფორნიის რეზიდენციასთან ახლოს უზრუნველყოფდა საპრეზიდენტო მასალების (დაახლოებით 42 მილიონი გვერდისა და 880 აუდიოჩანაწერის) შენახვას, რაც მისი თანამდებობაზე ყოფნისას დაგროვდა.

ხელშეკრულების პირობების თანახმად, არც ერთ მხარეს არ ჰქონდა უფლება მეორის თანხმობის გარეშე შესულიყო საცავში. ნიქსონს სამი წლის განმავლობაში არ ჰქონდა უფლება, საცავიდან გაეტანა მასალების ორიგინალები, მაგრამ მას შეეძლო ასლების გადაღება და მათი საცავიდან გატანა მოპასუხის თანხმობით. ხელშეკრულების გაფორმებიდან სამი წლის შემდეგ ნიქსონს უფლება ჰქონდა საცავიდან გაეტანა ნებისმიერი მასალა, აუდიოჩანაწერების გარდა. მათი საცავიდან გატანა ნიქსონს ეკრძალებოდა ხუთი წლის განმავლობაში, მაგრამ შეეძლო ასლების გაკეთება მოპასუხესთან შეთანხმებით. ხუთი წლის გასვლის შემდეგ მოპასუხე ვალდებული იყო გაენადგურებინა აუდიოჩანაწერების ის ნაწილი, რომელზეც ნიქსონი მიუთითებდა, ხოლო ყველა დანარჩენი ან ათი წლის შემდეგ უნდა განადგურებულიყო, ან ნიქსონის სიკვდილის შემდეგ – იმის მიხედვით, რა უფრო ადრე მოხდებოდა.

მას შემდეგ, რაც ამ შეთანხმების დადების შესახებ ცნობილი გახდა საზოგადოებისათვის, შეერთებული შტატების კონგრესში შეიტანეს კანონპროექტი, რომელიც მიზნად ისახავდა ამგვარი შეთანხმებების გაუქმებას. სამი თვის შემდეგ კონგრესმა მიიღო საპრეზიდენტო ჩანაწერებისა და მასალების დაცვის აქტი, რომელსაც პრეზიდენტმა ფორდმა მოაწერა ხელი. აქტის თანახმად, მოპასუხე ვალდებული იყო, ჩაებარებინა მოსარჩელის მასალები, დაეშვა სამთავრობო არქივის თანამშრომლები მათ შესამოწმებლად, რათა ნიქსონისთვის დაებრუნებინათ პირადი მასალები, ხოლო ისტორიული მნიშვნელობის მასალები დაცული ყოფილიყო და ხელმისაწვდომი გამხდარიყო როგორც საზოგადოებისათვის, ასევე სამართალწარმოების დროს გამოსაყენებლად.

იმავე დღეს, როდესაც აქტი ძალაში შევიდა, ექს-პრეზიდენტმა ნიქსონმა სასამართლოს მიმართა, სადაც დაობდა, რომ აქტი ანტიკონსტიტუციურია შემდეგი საფუძვლების გამო: 1. აქტი არღვევს ხელისუფლების დანაწილების პრინციპს; 2. აქტი არღვევს პრეზიდენტის პრივილეგიის უფლებებს; 3. აქტი არღვევს ნიქსონის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის უფლებას; 4. აქტი არღვევს ნიქსონის უფლებებს, რომლებიც პირველი შესწორებითაა დაცული (კერძოდ, გაერთიანების თავისუფლებას). ექს-პრეზიდენტი ნიქსონი სასამართლოგან ითხოვდა საპრეზიდენტო ჩანაწერებისა და მასალების დაცვის აქტის გაუქმებას. სააპელაციო სასამართლომ მხარი არ დაუჭირა ნიქსონის სარჩელს და საბოლოოდ საჩივარი შეერთებული შტატების უზენაეს სასამართლოში შევიდა.

*შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება:*⁸⁸

სასამართლოს წინაშე მოსარჩელე ნიქსონი აღიარებს, რომ მას შემდეგ, რაც იგი აქტიურ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩაება, მან ნებაყოფლობით თქვა უარი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის უფლების ნაწილზე. თუმცა იგი დაობს, რომ მას ნაწილობრივ მაინც აქვს ამ უფლების დაცვის მოთხოვნის უფლება. ოლქის სასამართლომ ნიქსონის პირადი ცხოვრების დაცვის არგუმენტი მხოლოდ სახელმწიფო არქივის მიერ მისი დოკუმენტების შემოწმების ჭრილში განიხილა, რადგან საზოგადოებისათვის დოკუმენტების ღიაობის საკითხი კვლავ დაურეგულირებელია, რადგან, აქტის თანახმად, მიღებულ უნდა იქნეს სპეციალური წესები. შესაბამისად, სასამართლომ საზოგადოების დაშვების კომპონენტის განხილვა ნაადრევად მიიჩნია.

⁸⁸ გადაწყვეტილების ქართულ თარგმანში განხილულია მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც ნიქსონის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის უფლებას ეხება.

ოლქის სასამართლომ ნიქსონის არგუმენტი დაუსაბუთებლად მიიჩნია. სასამართლომ დაადგინა, რომ მასალების მცირე ნაწილი შეიძლება პირადი ხასიათისა ყოფილიყო. დანარჩენი კი მისი პრეზიდენტობის დროს შექმნილი დოკუმენტები გახლდათ, რომლებისკენაც უდიდესი საზოგადოებრივი ინტერესი იყო მიმართული. დაარქივების პროცესის კანონიერების გადამწყვეტისას უმნიშვნელოვანესი საკითხი მისი გონივრულობა გახლავთ – რამდენად არსებობს ბალანსი ნიქსონის პირადი ცხოვრების დაცვის უფლებასა და საზოგადოებრივ ინტერესს შორის, შეიტყოს ექს-პრეზიდენტის ოფიციალური ფუნქციების განხორციელებისა და სხვა მრავალი დეტალის შესახებ, რომელიც მის პრეზიდენტობას უკავშირდება. ოლქის სასამართლომ დაადგინა, რომ სადავო აქტი გახლავთ გონივრული პასუხი ისეთ პრობლემურ საკითხზე, როგორცაა პირადი და საჯარო დოკუმენტების, ჩანაწერებისა და საუბრების აღრევა, უმეტესწილად საჯარო დოკუმენტებში. აქტივით დადგენილი დაარქივების წესი მინიმალურად იჭრება პირის პირად ცხოვრებაში და ადეკვატურად იცავს, როგორც ინდივიდის, ასევე სახელმწიფო ინტერესებს.

უზენაესი სასამართლო ეთანხმება ოლქის სასამართლოს, რომ ამ საქმეში ნიქსონის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა არ დარღვეულა. პირადი ცხოვრების დაცვის ერთ-ერთი განმარტება ასე უღერს: „ინდივიდის ინტერესი, არ დაუშვას მისი პირადი საქმეების საჯაროდ გამოშვებება“⁸⁹. სასამართლო ეთანხმება ბატონ ნიქსონს, რომ საჯარო ფიგურები გარკვეულწილად მაინც სარგებლობენ პირადი ცხოვრების დაცვის უფლებით, მათ შორის პრეზიდენტებიც. მაგალითად, როდესაც პრეზიდენტები საპრეზიდენტო ბიბლიოთეკებს აფუძნებენ თანამდებობის დატოვების შემდეგ, მათ უფლება აქვთ პირადი დოკუმენტები ამ ბიბლიოთეკაში არ შეიტანონ, ასევე საიდუმლოდ დაიტოვონ თავისი ოჯახის ფინანსური დოკუმენტებიც. ერთი შეხედვით, ზემოაღნიშნული მოსარჩელეს უფლებას აძლევს, ჰქონდეს დაცვის გონივრული მოლოდინი, თუმცა ამ საქმეში აუცილებელია, რომ პირადი ცხოვრების უფლება იმ საჯარო ინტერესის ფონზე განვიხილოთ, რაც ექს-პრეზიდენტის საქმიანობასთან დაკავშირებით არსებობს საზოგადოებაში.

უზენაეს სასამართლოს ადრე რამდენიმე გადამწყვეტილებაში გარკვეულ დოკუმენტებთან დაკავშირებით უღიარებია პირადი ცხოვრების დაცვის უფლება⁹⁰, მაგრამ ამ საქმეში კვლავ სხვაგვარი გარემოებები გვაქვს: სახელმწიფო მიზნად არ ისახავს დიდი ხნით დაიტოვოს ნიქსონის პირადი დოკუმენტები. აქტის თანახმად, ისინი ექს-პრეზიდენტს გადაეცემა. ამას-

⁸⁹ Whalen v. Roe, 429 U.S. 589, 599 (1977)

⁹⁰ უაღვიანი როუს წინაღმდეგ

თან, ნიქსონის სარჩელი პირად ცხოვრებასთან დაკავშირებით მხოლოდ იმ მცირე რაოდენობის მასალებს და დოკუმენტებს ეხება, რომლებიც მართლაც პირადი ხასიათისაა, მაგალითად, მისი პირადი მიმოწერა მეუღლესთან, ქალიშვილებთან, ადვოკატებთან, თავის სულიერ მოძღვართან, ახლო მეგობრებთან, პირად დიეტოლოგთან და ექიმებთან, ასევე მისი მეუღლის პირადი ფაილები. ეს ყველაფერი ძალიან მცირე ნაწილია იმისა, რაც მოპასუხის საცავშია დაცული და შერეულია საჯარო დოკუმენტებთან.

მიუხედავად ამისა, დოკუმენტების სიმცირე არ წარმოადგენს ერთადერთ საფუძველს, რომ ბატონი ნიქსონის სარჩელი უარყოფილ იქნეს. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მოსარჩელის უფლებები ჯეროვნად იქნეს დაცული დაარქივების პროცესში. ბატონი ნიქსონი დამატებით დაობს, რომ აქტის თანახმად, დოკუმენტების დაარქივება ძალიან ფართოდ მიმართული ჩხრეკის სანქციის ტოლია. იგი დაობს, რომ ასეთი ჩხრეკა ეწინააღმდეგება შეერთებული შტატების კონსტიტუციის მეოთხე შესწორებას, რომელიც მოქალაქეებს იცავს უკანონო და თვითნებური ჩხრეკისა და ამოღებისაგან. მოსარჩელე ეყრდნობა გადანყვეტილებას საქმეზე *სტენფორდი ტეხასის წინააღმდეგ*⁹¹, სადაც სასამართლომ უკანონოდ ცნო ჩხრეკის სანქცია. სტენფორდი უკანონო კომუნისტურ საქმიანობაში იყო ეჭვმიტანილი და პოლიციამ მოიპოვა სანქცია მისი პირადი დოკუმენტებისა და წიგნების ჩხრეკისათვის. ჩხრეკის დროს პოლიციამ ამოიღო მარქსის, სარტრის, თეოდორ დრეიპერისა და ჰიუგო ბლექის წიგნები. მოგვიანებით სასამართლომ ჩხრეკა უკანონოდ ცნო. მოსარჩელის მიერ ამ საქმეზე დაყრდნობა სწორი არ არის. ჩხრეკა სტენფორდის საქმეში და სახელმწიფო არქივის წარმომადგენლების მიერ ნიქსონის დოკუმენტების შემოწმება ანალოგიური ქმედება არ არის. სტენფორდის საქმეში ამოღებული დოკუმენტებიდან თითქმის არც ერთი არ გახლდათ ისეთი, რომლისკენაც საზოგადოებრივი ყურადღება ან სახელმწიფო ინტერესი იყო მიმართული. ამ საქმეში განსხვავებული გარემოებები გვაქვს: პირველი, მოსარჩელეც ეთანხმება სასამართლოს იმაში, რომ სადავო დოკუმენტებში უმეტესობა ისეთი დოკუმენტია, რომლის მიმართაც საზოგადოებას ლეგიტიმური ინტერესი აქვს. მეორე, სადავო აქტით გათვალისწინებული პროცედურა, რომლითაც ნიქსონს თავისი პირადი დოკუმენტები დაუბრუნდება. მესამე, სტენფორდის საქმისაგან განსხვავებით, აქ ადგილი არა აქვს ჩხრეკას სისხლისსამართლებრივი დანაშაულის გამოძიების მიზნით. შემოწმებას ერთადერთი მიზანი აქვს, რომ გამოაცალკევოს ნიქსონის პირადი დოკუმენტები ისტორიული და საჯარო დოკუმენტებისგან, რათა ისინი ჯეროვნად იქნეს შენახული და დაცული და საზოგადოებას მათი გაცნობის საშუალება მიეცეს.

⁹¹ *Stanford v. Texas*, 379 U.S. 476 (1965)

ამრიგად, მოსარჩელეს ლეგიტიმური ინტერესი აქვს, როდესაც დაობს თავისი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვაზე, თუმცა აქტის კონსტიტუციურობის საკითხი სასამართლომ უნდა განიხილოს შემდეგი საკითხების ფონზე: 1. პირად ცხოვრებაში ჩარევის მინიმალური ფარგლები (აქტის თანახმად), 2. მოსარჩელის, როგორც საჯარო ფიგურის სტატუსი, 3. მისი პირადი ცხოვრების დაცვის უფლების არარსებობა დოკუმენტების უმეტესობასთან დაკავშირებით, 4. საჯარო ინტერესი ყოფილი პრეზიდენტის მასალებისა და დოკუმენტების მიმართ, 5. პირადი დოკუმენტების გამოცალკევების შეუძლებლობა მთელი დოკუმენტების შემონახვის გარეშე.

უზენაესი სასამართლო ყოველივე ამას მხედველობაში იღებს, მაგრამ ეთანხმება ოლქის სასამართლოს, რომ ნიქსონის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის უფლების მოთხოვნა უსაფუძვლოა.

უილსონი ლეინის წინააღმდეგ 529 U.S. 603 (1999)

ფაქტები:

მოსარჩელების ვაჟის დაპატიმრების სანქციის აღსრულებისას პოლიციამ მოსარჩელების საცხოვრებელ სახლში მიიწვია მედიის წარმომადგენლები, მათ შორის გაზეთ „ვაშინგტონ პოსტის“ ჟურნალისტები. სასამართლოს სანქციაში არაფერი იყო ნახსენები იმის შესახებ, რომ დაპატიმრებას შეიძლება მედიის წარმომადგენლები დასწრებოდნენ. მოსარჩელების სახლში შესვლისას პოლიციამ აღმოაჩინა, რომ მათი ვაჟი სახლში არ იყო. ამასობაში მედიის წარმომადგენლებმა გადაიღეს ფოტოები, თუმცა სანქციის აღსრულებაში მონაწილეობა არ მიუღიათ. გადაღებული ფოტო-მასალა არ გამოქვეყნებულა.

მიუხედავად ამისა, მოსარჩელებმა სარჩელი შეიტანეს პირადად პოლიციის ოფიცრების წინააღმდეგ და მოითხოვედნენ ზიანის ანაზღაურებას, რადგან, მათი მტკიცებით, დაირღვა შეერთებული შტატების კონსტიტუციის მეოთხე შესწორება. ოლქის სასამართლომ მოპასუხეებს უარი უთხრა კვალიფიციური პრივილეგიით⁹² დაცვაზე. სააპელაციო სასამართლო არ დაეთანხმა ოლქის სასამართლოს, უარი თქვა, რომ დაედგინა მეოთხე შესწორების დარღვევა პოლიციელების მიერ, თუმცა აღნიშნა, რომ ვერ დადგინდა, თუ რომელი უფლება დაირღვა და პოლიციელებზე კვალიფიციური პრივილეგიის დაცვა გაავრცელა. მოსარჩელებმა საქმე შეერთებული შტატების უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრეს.

⁹² კანონით დადგენილი პასუხისმგებლობისგან პირის ნაწილობრივ ან პირობით გათავისუფლება.

შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება:

სახელმწიფო მოხელეები, რომლებსაც თავისი ფუნქციების განხორციელებისას დისკრეციული მოქმედების საშუალება აქვთ, როგორც წესი, კვალიფიციური პრივილეგიით სარგებლობენ. ამით ისინი დაცულნი არიან სამოქალაქო სარჩელებისაგან, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დადგინდება, რომ მათი ქმედებით დაირღვა სხვა პირების უფლებები, რომლის შესახებაც უნდა სცოდნოდა გონიერ (საშუალო) ადამიანს.⁹³ როდესაც სასამართლო პირისათვის კვალიფიციური პრივილეგიის მინიჭების საკითხს წყვეტს, აუცილებელია დადგინდეს, არსებობს თუ არა მოსარჩელის კონსტიტუციური უფლების დარღვევის ფაქტი, და თუ ეს ასეა, შემდგომ გაირკვეს, „ნათლად არის თუ არა სადავო უფლება აღიარებული დარღვევის დროისათვის“⁹⁴.

1604 წელს ინგლისის ერთ-ერთმა სასამართლომ ჩვენთვის კარგად ნაცნობი გამოთქმა გამოიყენა: „ნებისმიერი ადამიანისათვის მისი საკუთარი სახლი ციხესიმაგრეა ძალადობისა და ზიანისაგან თავის დასაცავადაც და დასასვენებლადაც.“⁹⁵ ისევე, როგორც ინგლისურ პრეცედენტულ სამართალში, ამერიკულ სამართალშიც დამკვიდრდა ეს რამდენიმე საუკუნის წინანდელი გამოთქმა. მეოთხე შესწორება სწორედ ამ დოქტრინაზეა აგებული და იცავს საცხოვრებელი სახლის ხელშეუხებლობასა და შეუვალობას თვითნებური და უკანონო ქმედებებისგან.

უდავოა, რომ პოლიციის მიერ სასამართლოს ბრძანების აღსრულებისას მედიის ან ნებისმიერი სხვა მესამე პირის საცხოვრებელ სახლში შეყვანა, როდესაც მათი იქ ყოფნა არანაირად არ ეხმარება პოლიციას ბრძანების აღსრულებაში, არღვევს მესაკუთრის მეოთხე შესწორებით დადგენილ უფლებებს. პოლიციელს აქვს უფლება, რომ სასამართლოს ბრძანების საფუძველზე შევიდეს საცხოვრებელ სახლში და დააპატიმროს ის პირი, რომელიც ბრძანებაშია მითითებული. ეს უფლება მას არ აძლევს დამატებით უფლებას, რომ სახლში შეიპატიჟოს სხვა პირები, მათ შორის მედიის წარმომადგენლები. კონსტიტუციის მეოთხე შესწორება ნათლად ადგენს, რომ პოლიციის ქმედებები სანქციის აღსრულებისას სანქციის მიზნებს უნდა შეესაბამებოდეს.⁹⁶ ასევე უდავოა, რომ მოსარჩელების სახლში ჟურნალისტების ყოფნა არ უკავშირდებოდა სანქციის მიზნებს და არ ემსახურებოდა მის კანონიერ აღსრულებას. ამ საქმეში არ არსებობს საფუძვლები, როდესაც მესამე პი-

⁹³ Harlow v. Fitzgerald, 457 U.S. 800, 818 (1982).

⁹⁴ Conn v. Gabbert, 526 U.S. 286 (1999)

⁹⁵ Semayne's Case, 77 Eng. Rep. 194, 5 Co. Rep. 91a, 91b, 195 (K. B.). In his Commentaries on the Laws of England

⁹⁶ Arizona v. Hicks, 480 U.S. 321, 325 (1987). Maryland v. Garrison, 480 U.S. 79, 87 (1987)

რების ადგილზე ყოფნა გამართლებული იქნებოდა. სასამართლომ დაადგინა, რომ, როდესაც პოლიცია მოპარული ნივთების ამოსაღებად შედის საცხოვრებელ სახლში და მესამე პირები მიჰყავს ამ ნივთების ამოსაცნობად, იგი სრულიად კანონიერად იქცევა.⁹⁷

მოპასუხე პოლიციელები დაობენ, რომ მედიის წარმომადგენლების, ამ შემთხვევაში „ვაშინგტონ პოსტის“ ჟურნალისტების, დასწრება ლეგიტიმურ მიზნებს ემსახურებოდა. სასამართლო არ ეთანხმება მოპასუხეებს, რომ ლეგიტიმური მიზნები, რომლებიც მედიის დასწრებით მიიღწევა და როგორცაა სახელმწიფოს მიერ დანაშაულის აღმოსაფხვრელად მიღებული ზომების საჯაროობა, პოლიციის მიერ კანონდარღვევების მინიმუმამდე დაყვანა, სამართალდამცავების საქმიანობის შესახებ ზუსტი ინფორმაციის მიწოდება საზოგადოებისათვის და თავად ეჭვმიტანილის დაცვა, გადანონის ინდივიდის პირადი ცხოვრების დაცვის უფლებას. ყოველივე ზემოხსენებული მნიშვნელოვანია, მაგრამ არ ამართლებს პოლიციის მიერ პრესის დასწრებას სანქციის აღსრულებისას. სასამართლო ადგენს, რომ პოლიციის მიერ პრესის ან სხვა მესამე პირების დასწრება სანქციის აღსრულებისას არღვევს შეერთებული შტატების კონსტიტუციის მეოთხე შესწორებას, თუ ეს პირები პირდაპირ და ცალსახად არ უწევენ პოლიციას დახმარებას სანქციის აღსრულებაში.

ამის შემდეგ სასამართლო განიხილავს, თუ რამდენად იყო აღიარებული სადავო უფლება დარღვევის დროისათვის. უფლების აღიარება ნიშნავს იმას, რომ სადავო უფლების ჩარჩოები და საზღვრები იმდენად ნათლად უნდა იყოს დადგენილი, რომ საშუალო ადამიანი უნდა შეძლოს იმის განსაზღვრა, რომ ის თავისი ქმედებით არღვევს რომელიმე უფლებას. არ არის აუცილებელი, რომ სასამართლოს მიერ ამგვარი ქმედება უკვე ჩათვლილი იყოს უკანონოდ, მაგრამ აუცილებელია, რომ კანონის საფუძველზე პირისათვის ნათელი იყოს თავისი ქმედების უკანონობა⁹⁸. იმ დროისათვის, როდესაც საქმეში მოყვანილი ამბები ხდებოდა, პოლიციელის მიერ დაპატიმრებისას მედიის მიყვანა და მისი აზრი, რომ ეს კანონიერი ქმედებაა, არ უნდა ყოფილიყო არაგონივრული. მედიის მიერ პოლიციის საქმიანობის ზუსტი გაშუქება მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესია. მეოთხე შესწორებიდან არც ის ჩანს ნათლად, რომ ასეთი ქმედება უკანონოა. იმ დროისათვის შტატის კანონმდებლობა არ იყო იმგვარად განვითარებული, რომ ასეთი ქმედება პოლიციას უკანონოდ ჩაეთვალა.

⁹⁷ Entick v. Carrington, 19 How. St. Tr. 1029, 1067 (K. B. 1765)

⁹⁸ Anderson v. Creighton, 483 U.S. 635, 639 (1987);

სასამართლო ადგენს, რომ სასამართლო ბრძანების აღსრულებისას საცხოვრებელ სახლში პოლიციასთან ერთად მედიის დასწრება არღვევს მეოთხე შესწორებას, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში, გამომდინარე იქიდან, რომ შტატის კანონმდებლობა პირდაპირ არ ადგენს ასეთ აკრძალვას და შესაბამის უფლებას, პოლიციელები დაცულნი არიან კვალიფიციური პრივილეგიით.

სიდისი F-R Publishing Corp-ის წინააღმდეგ 113F2d (2d circ. 1940)

ფაქტები:

უილიამ ჯეიმს სიდისი ოდესღაც საჯარო ფიგურა იყო. საზოგადოება მისგან დიდ საქმეებს და სერიოზულ ნაბიჯებს მოელოდა. 1910 წლისათვის მის მიმართ პრესას ლეგიტიმური ინტერესი ჰქონდა მისთვის დამახასიათებელი გარკვეული ექსტრავაგანტულობისა და გამორჩეულობის გამო. თუმცა სასამართლომ განაცხადა, რომ მისთვის პრესის დაინტერესების მოტივებს ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არ ჰქონდა.

ამჟამად სიდისი პოლიტიკოსი, საჯარო მმართველი ან სახელმწიფო მოხელე არ არის. იმ შემთხვევაშიც კი, სიდისი საჯარო ფიგურა რომ ყოფილიყო, უორენისა და ბრანდეისის აზრით, გამჟღავნებული პირადი ინფორმაცია შეიცავდა ფაქტებს, რომელთა „საზოგადოებრივი განხილვისგან დაფარვის უფლება ყოველ ადამიანს აქვს“.

თუმცა, ამგვარი მოსაზრების საპირისპიროდ, სასამართლომ ჩათვალა, რომ დაუშვებელი იყო პრესაში პირადი ცხოვრების დეტალების გაშუქების აკრძალვაზე აბსოლუტური იმუნიტეტის დაწესება. სასამართლომ გადაწყვიტა, რომ საზოგადოების ინტერესი, იყოს ინფორმირებული, პირადი ცხოვრების საიდუმლოების დაცვაზე ინდივიდის ინტერესზე მნიშვნელოვანია. უორენსა და ბრანდეისს ამ საქმეში საჯარო პირებისათვის ნიღბის ჩამოშორება სურდათ. სასამართლო უფრო შორს წავიდა, „სულ მცირე – აღნიშნა მან – ჩვენ ვუშვებთ იმ საჯარო პირის „პირადი ცხოვრების“ უფლების შეზღუდვას, რომელმაც „საჯარო ფიგურის“ სტატუსს მიაღწია.

შეერთებული შტატების მეორე სააპელაციო ოლქის სასამართლოს გადაწყვეტილება

სასამართლომ ჩათვალა, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ სიდისი საზოგადოების ყურადღების ცენტრში აღმოჩნდებოდა, მის გამორჩეულ პიროვნულ თვისებებს და საზოგადოებრივ მიღწევებს შესაძლოა ამგვარი ყურადღება

დასაშვები გაეხადა. ნიუ-იორკში დაბეჭდილმა სტატიამ გაახმაურა უცნაური პიროვნების ცხოვრების დეტალები, რომელიც მყისიერად მოექცა საზოგადოებრივი ინტერესისა და ყურადღების ცენტრში.

უორენი და ბრანდეისი სრულად აცნობიერებდნენ, რომ პირადი საიდუმლოების დაცვის ინტერესი აუცილებლად მოვიდოდა კონფლიქტში საზოგადოების უფლებასთან ინფორმაციის მიღებაზე. მათ მიაჩნიათ, რომ ისეთმა საჯარო ფიგურამ, როგორცაა ოფიციალური თანამდებობის პირი, საკუთარ საზოგადოებრივ მდგომარეობას უნდა შესწიროს პირადი ცხოვრების საიდუმლოება და პირადი ცხოვრების ნაწილი საჯარო განხილვისა და შესწავლის საგნად აქციოს. თუმცა, საჯარო პირებიც კი არ არიან ვალდებული, ბოლომდე „გამიშვლდნენ“.

სასამართლოს ამ საქმეში არ განუხილავს საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად დაექვემდებარება სრულ დაცვას გამოქვეყნებული მასალები. პირადი ცხოვრების საიდუმლოება და მისი გამჟღავნება, შესაძლოა, იმდენად ინტიმური და უნებართვო იყოს მსხვერპლის პოზიციიდან გამომდინარე, რომ შეურაცხყოფა საზოგადოების გრძნობებსაც მიაყენოს. მაგრამ, როდესაც ფოკუსში მოქცეულია საჯარო დეტალები, სინამდვილესთან შესაბამისი კომენტარები პირის ჩაცმულობაზე, გამოსვლებზე, ჩვევებსა და სხვა დეტალებზე, როგორც წესი, ზემოთ აღნიშნული ზღვარის გადალახვა არ ხდება.

სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, მეზობლებისა და საჯარო ფიგურების წარუმატებლობა ყოველთვის არის საზოგადოებრივი ინტერესისა და დისკუსიების საგანი.

სასამართლომ დაასკვნა, რომ საზოგადოებრივი განწყობის გათვალისწინებით, უგუნურება იქნებოდა ამგვარი ინფორმაციის გაზეთებში, წიგნებსა და ჟურნალებში გამოქვეყნების აკრძალვა სასამართლოს ძალით.

კაილო შეერთებული შტატების წინააღმდეგ 533 U.S. 27 2001

ფაქტები:

მას შემდეგ, რაც ფედერალურ აგენტებს ეჭვი გაუჩნდათ, რომ დენი კაილოს საკუთარ სახლში მარიხუანა მოჰყავდა, მათ გამოიყენეს სპეციალური ხელსაწყო (thermal imaging device), რათა დაედგინათ სითბოს გამოყოფის სიმძლავრე სამსართულიან სახლში, სადაც ერთ-ერთ ბინაში დენი კაილო ცხოვრობდა. ხელსაწყოს მეშვეობით მიღებული ინფორმაცია გრაფიკულად გამოისახება, სადაც ბინები, საიდანაც სითბო არ გამოიყოფა, თეთრად

აღინიშნება, საიდანაც მძლავრი სითბო გამოიყოფა – შავად, ხოლო საშუალო სითბოს გამოყოფის შემთხვევაში – რუხ ფერად.

ამ ინფორმაციის შედეგად დადგინდა, რომ კაილოს სახლის ერთ-ერთი კედლიდან და ჭერიდან დიდი ოდენობის სითბო გამოიყოფოდა. ამ ინფორმაციისა და ოპერატიული ინფორმაციის შედეგად სასამართლომ ბრალდების მხარის მოთხოვნით გასცა ჩხრეკის ბრძანება, რის შედეგადაც კაილოს სახლში 100 ძირი მარიხუანა აღმოაჩინეს. ჩხრეკის შედეგად მოპოვებული მტკიცებულებების არაკანონიერებაზე წარუმატებელი დავის შემდეგ დენი კაილომ პირობითი საპროცესო შეთანხმება⁹⁹ (Conditional Plea Agreement) დადო და შემდგომ ინსტანციებში მტკიცებულებების მოპოვების კანონიერებაზე დავა განაგრძო. საქმე შეერთებული შტატების უზენაეს სასამართლომდე მივიდა.

შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება

სასამართლოს გადაწყვეტილება წარმოადგინა მოსამართლე სკალიამ.

ამ საქმეში სასამართლოს წინაშე დგას კითხვა: არის თუ არა ქუჩიდან სპეციალური ხელსაწყოთი ბინიდან გამოყოფილი სითბოს ოდენობის გაზომვა კონსტიტუციის მეოთხე შესწორების მიზნებისათვის ჩხრეკა?

მეოთხე შესწორების ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპი ისაა, რომ ინდივიდს შეუძლია განმარტოვდეს საკუთარ სახლში და თავისუფალი იყოს სახელმწიფოს დაუპატიუბელი შეჭრისაგან. რამდენიმე გამონაკლისი გარემოების გარდა, ნებისმიერი ჩხრეკა, რომელიც სასამართლოს სანქციის გარეშე ტარდება, ანტიკონსტიტუციურია. თუმცა, მეორე მხრივ, კითხვას, ადგილი ჰქონდა თუ არა ჩხრეკას საერთოდ ამ შემთხვევაში, სასამართლომ არ უნდა უპასუხოს. მაგალითად, სახლის გარედან თვალთვალის შემთხვევაში პასუხი ნათელი იყო, რადგან მეოცე საუკუნემდე მეოთხე შესწორების ფუნდამენტი ფიზიკური შეღწევის ფაქტი გახლდათ. მაგრამ ბოლო დროს უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ ფიზიკური შეჭრა პირის საკუთრებაში მეოთხე შესწორების დარღვევის დადგენისათვის აუცილებელი არ არის.

იმის გადასაწყვეტად, არის თუ არა სახეზე ჩხრეკა, სასამართლომ დაადგინა სტანდარტი საქმით კატცი შეერთებული შტატების წინააღმდეგ¹⁰⁰. როგორც მოსამართლე ჰარლანი თავის განსხვავებულ აზრში აღნიშნავს, მეოთხე შესწორებით დადგენილ ჩხრეკას ადგილი აქვს, როდესაც სახელმწიფო არღვევს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის სუბიექტურ მოლო-

⁹⁹ პირობითი საპროცესო შეთანხმება – საპროცესო შეთანხმება, რომლის შემთხვევაშიც ბრალდებული უფლებას იტოვებს, გაასაჩივროს მის წინააღმდეგ არსებული მტკიცებულებების კანონიერება.

¹⁰⁰ იბ. გვ. 76

დინს, რომელსაც საზოგადოება გონივრულად მიიჩნევს. ამ გადაწყვეტილების შემდეგ უზენაესმა სასამართლომ არაერთხელ დაადგინა, რომ მეოთხე შესწორებით დადგენილ ჩხრეკას ადგილი აქვს მხოლოდ მაშინ, როდესაც პირს გონივრული მოლოდინი აქვს, რომ მისი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა დაცულია და როდესაც ეს მოლოდინი გონივრულად მიიჩნევა საზოგადოების მიერ.

სისულელე იქნებოდა გვეთქვა, რომ ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის ხარისხი არ შეცვლილა. წინამდებარე ფაქტები ცხადყოფს, რომ საქმე გვაქვს ისეთ შემთხვევასთან, როდესაც საცხოვრებელი სახლის ისეთი ადგილები და დეტალები ხდება საჯაროდ სანახავი, რაც ადრე წარმოუდგენელი იყო. სწორედ ეს ამოცანა დგას სასამართლოს წინაშე, რომ დადგინდეს, თუ სად გადის საზღვარი ადამიანის პირადი ცხოვრების სფეროსთან თანამედროვე ტექნოლოგიისათვის.

მოპასუხე, სახელმწიფოს წარმომადგენელი, სასამართლოს წინაშე დაობს, რომ სადავო ხელსაწყოს გამოყენება კონსტიტუციურია, რადგან იგი ადგენს მხოლოდ სითბოს გამოყოფის ხარისხს სახლის კედლებისა და სახურავის გარეთ, რადგან სახელმწიფო თვლის, რომ დიდი განსხვავებაა „სახლის გარეთ“ და „მის კედლებს მიღმა“ ინფორმაციის მოპოვებას შორის. ასეთი მექანიკური ინტერპრეტაცია სასამართლომ უკვე უარყო საქმეში კატცი შეერთებული შტატების წინააღმდეგ, სადაც გამოყენებული მიკროფონი მხოლოდ ტელეფონის ჯიხურს გარეთ გამოსულ ხმას იჭერდა, და განაცხადა, რომ ასეთი ქმედება ანტიკონსტიტუციური ჩხრეკაა. იმ შემთხვევაში, თუ ამ პრინციპს გვერდს ავუვლით, მაშინ ინდივიდის პირად ცხოვრებას თანამედროვე ტექნოლოგიებს შევნიშავთ, რადგან მიუხედავად იმისა, რომ ამ საქმეში გამოყენებული ხელსაწყო შედარებით მარტივია, მხედველობაში უნდა მივიღოთ მომავალში განვითარებული ტექნოლოგიების მოსალოდნელი სირთულე და შესაძლებლობები, გააკონტროლოს ინდივიდის ქმედებები თავის საკუთარ სახლში.

სახელმწიფო ასევე დაობს, რომ ამ ხელსაწყოს გამოყენების შედეგად არ ვლინდება „სახლის შიგნით მიმდინარე კერძო ქმედებები“ და იშველიებს გადაწყვეტილებას საქმეზე *Dow Chemical*¹⁰¹, სადაც კონსტიტუციურად იქნა მიჩნეული კომპანიის ოფისისთვის ჰაერიდან დამონტაჟებული მონივრებით გადაღებული ფოტოები, რადგან ისინი „ინტიმურ დეტალებს“ არ ამჟღავნებდა. სასამართლოსთვის მიუღებელია ეს არგუმენტი, რადგან ზემოხსენებულ საქმეში საქმე გვექონდა კერძო კომპანიის ოფისთან, ამ საქმეში კი

¹⁰¹ Dow Chemical Co. v. United States, 476 US 227, 1986

– საცხოვრებელ სახლთან, რომლის დაცვის ხარისხიც უფრო მაღალია, ვიდრე ოფისისა. სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებებით აღიარებულია, რომ სახლში ყველა დეტალი ინტიმურია, რადგან საცხოვრებელი სახლი გარეშე თვალისა და ყურისაგან დაცულია. შესაბამისად, ინტიმური დეტალია ისიც, თუ რა ოდენობის სითბოს იყენებს ბატონი კაილო თავისი ბინის გასათბობად.

შესაბამისად, როდესაც სახელმწიფო იყენებს ტექნოლოგიას, რომელსაც ზოგადი გამოყენება არ გააჩნია, იმისათვის, რომ დაადგინოს პირადი ცხოვრების ისეთი დეტალები, რომლებიც მანამდე ფიზიკური შეჭრის გარეშე უცნობი იქნებოდა, ფაქტია, რომ ჩხრეკასთან გვაქვს საქმე. სადავო ჩხრეკა კი მოსამართლის სანქციის გარეშე წარმოებდა და, შესაბამისად, ანტიკონსტიტუციურია.

რადგან სასამართლომ დაადგინა, რომ სადავო ხელსაწყოს გამოყენება უკანონო ჩხრეკაა, საქმე დაუბრუნა ოლქის სასამართლოს ხელახლა განსახილველად, იმის გათვალისწინებით, რომ სადავო ხელსაწყოთი მოპოვებული მტკიცებულებების გამოყენება დაუშვებელია. ოლქის სასამართლო ვალდებულია გადაწყვიტოს, არსებობს თუ არა დასაბუთებული ეჭვი ჩხრეკის სანქციის გასაცემად იმ მტკიცებულებების გარეშე, რომლებიც სასამართლომ უკანონოდ ცნო, ხოლო თუ არ არსებობს, მაშინ არის თუ არა სხვა მტკიცებულება, რომელიც გაამაგრებდა ბატონი კაილოს წინააღმდეგ ბრალდებას.

გადაწყვეტილება გაუქმებულია და საქმე დაბრუნებულია ხელახლა განსახილველად.

**Board of Education of independent School District
No.92 of Pottawatomie County et al. v. EARLS et al.
122 S. Ct 2559 2002**

ფაქტები:

ოკლაჰომის შტატის ტეკუმეშის ოლქის სკოლის საბჭოს მიერ მიღებული აქტით დადგინდა, რომ გაეტარებინათ მოსწავლეთა მიერ ნარკოტიკების მოხმარების შემონეშების პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც საშუალო სკოლის ყოველი მოსწავლე ვალდებული იყო ჩაებარებინა შარდი ანალიზისათვის, რათა სკოლის სპორტულ თუ სხვა აქტივობებში მონაწილეობის უფლება მიეღო. სკოლის მოსწავლეთა მშობლებმა სარჩელი შეიტანეს სასამართლოში, სადაც დაობდნენ, რომ ზემოაღნიშნული აქტი არღვევს კონსტიტუციის მეოთხე შესწორებას. მეათე სააპელაციო ოლქის სასამართლომ იხელმძღვა-

ნელა საქმით ვერნონიის სკოლის საბჭო აქტონის წინააღმდეგ¹⁰², სადაც კონსტიტუციურად იქნა მიჩნეული დასაბუთებული ექვის გარეშე სპორტსმენ მოსწავლეთა ნარკოტიკებზე შემონმება, დააკმაყოფილა სარჩელი და აღნიშნა, რომ აქტი არღვევდა კონსტიტუციის მეოთხე შესწორებას, რადგან მოპასუხემ ვერ დაამტკიცა, რომ სკოლაში იდგა ნარკოტიკების გამოყენების პრობლემა, რაც საჭიროა მასობრივი ნარკოტიკული ტესტების ჩატარებისათვის.

მეათე სააპელაციო ოლქის გადაწყვეტილება შეერთებული შტატების უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრეს.

*შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება
სასამართლოს მოსაზრება წარმოადგინა მოსამართლე ტომასმა.*

როგორც ცნობილია, კონსტიტუციური ჩხრეკის შემთხვევაში აუცილებელია „გონივრულობის“ და, შესაბამისად, გონივრული/დასაბუთებული ექვის არსებობა, თუმცა ეს ორივე კონცეფცია მხოლოდ სისხლისსამართლებრივი ჩხრეკისათვის გამოიყენება და, როგორც ამ სასამართლოს გადაწყვეტილებებიდან ჩანს, არ ვრცელდება ადმინისტრაციულ ჩხრეკებზე, რასთანაც აქ გვაქვს საქმე. სკოლის შემთხვევაში დასაბუთებული ექვის არსებობა ჩხრეკისათვის არ არის აუცილებელი, რადგან იგი უსაფუძვლოდ შეუშლიდა ხელს სკოლაში სასწავლო პროცესისა და წესრიგის შენარჩუნებას.

სასამართლო ასევე ადგენს, რომ მოსწავლეებს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის შეზღუდული მოლოდინი აქვთ. მოსარჩელები დაობენ, რომ, განსხვავებით ვერნონიის საქმისგან, სადაც ამგვარი შემონმებები კონსტიტუციურად იქნა ცნობილი სპორტსმენი მოსწავლეებისათვის, ძირითადად იმ არგუმენტით, რომ მათი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა ისედაც შეზღუდულია, რადგან ხშირად უწევთ სხვა პირების თანხლებით გახდა და შხაპის მიღება. ამ საქმეში შემონმებები ეხებათ იმ მოსწავლეებსაც, რომლებიც სპორტულ აქტივობებში არ იღებენ მონაწილეობას. შესაბამისად, მათი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის მოლოდინი უფრო მაღალია. სასამართლო ადგენს, რომ ასეთი განსხვავება არ ყოფილა მთავარი ვერნონიის საქმეში გადაწყვეტილების მიღებისას და მთავარი არგუმენტი სკოლაში წესრიგის შენარჩუნება და მოსწავლეთა ჯანმრთელობის დაცვა გახლდათ. სასამართლო თვლის, რომ მოსწავლეთა სხვადასხვა კლუბს სხვადასხვა წესები აქვს. ზოგი წესი ითვალისწინებს სკოლის ტერიტორიის გარეთ მოგზაურობას, სხვა პირების თანდასწრებით ტანსაცმლის გამოცვლას, რაც ასევე ამცირებს არასპორტსმენ მოსწავლეთა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის მოლოდინს.

¹⁰² VERNONIA SCHOOL DISTRICT v. WAYNE ACTON, SUPREME COURT OF THE UNITED STATES, 515 U.S. 646, June 26, 1995.

ამასთან, სასამართლო მხედველობაში იღებს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობაში ჩარევის ხარისხს და ადგენს, რომ იგი ამ საქმეში მინიმალურია. მის დასადგენად საჭიროა განვიხილოთ პროცედურა, რომლითაც ხდება შარდის ჩაბარება. სკოლის საბჭოს მიერ მიღებული აქტის თანახმად, მასწავლებელი დგას საპირფარეშოს გარეთ და უსმენს მხოლოდ ხმას, რათა დარწმუნდეს, რომ შარდით მანიპულირება არ ხდება. ანალიზის შედეგები კონფიდენციალურია და ინახება სკოლაში სტუდენტის პირადი საქმისგან განცალკევებით. ასევე აკრძალულია მისი სამართალდამცავებისათვის გადაცემა და იგი მხოლოდ სკოლის პერსონალისთვის შეიძლება გახდეს ცნობილი, ისიც მათი მხრიდან კონფიდენციალურობის დაცვის გარანტიით. ანალიზის შედეგები ასევე არანაირად არ აისახება მოსწავლის აკადემიურ მოსწრებაზე და არ იწვევს დისციპლინარულ სასჯელებს. ამას მხოლოდ ის მიზანი აქვს, რომ ნარკოტიკების მომხმარებელი მოსწავლეები სასკოლო კლუბებიდან გარიცხონ.

დაბოლოს, მნიშვნელოვანია სახელმწიფოს ინტერესის აღნიშვნა ამ საქმეში. სადავო აქტის მიზანია სკოლაში მოსწავლეთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვა, რაც მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესია. სკოლის საბჭომ ასევე წარმოადგინა სარწმუნო მტკიცებულებები, რომლითაც დგინდება მოსწავლეების მიერ ნარკოტიკების მოხმარების ფაქტები. წარმოდგენილი იქნა მასწავლებელთა ჩვენებები, რომლებსაც არაერთხელ უნახავთ მოსწავლეები ნარკოტიკის ზემოქმედების ქვეშ და მოუხმენიათ ლაპარაკი ნარკოტიკების გამოყენებაზე. პოლიციამ ასევე აღმოაჩინა ნარკოტიკები ერთ-ერთი კლუბის წევრი მოსწავლის ავტომობილში. ამ ფაქტების გამო საზოგადოება ხშირად მოუწოდებდა სკოლის საბჭოს, მიეღო ზომები ამ ვითარების გამო. თუმცა მოსწავლეთა მშობლები დაობენ, რომ ეს მტკიცებულებები საკმარისი არ არის ასეთი შემონმების ჩასატარებლად – სასამართლო ადგენს, რომ არ არის საჭირო უტყუარი მტკიცებულებების არსებობა ამგვარი შემონმების პროგრამების დასაწყებად სკოლებში. სკოლაში ნარკოტიკების აღმოფხვრის ინტერესი საკმარისი საფუძველია იმისათვის, რომ ამგვარი პროგრამები არსებობდეს. შესაბამისად, სასამართლო თვლის, რომ ამ საქმეში სამედიცინო შემონმების გამოყენება იმ მოსწავლეთა მიმართ, რომლებსაც სასკოლო კლუბების წევრობა სურთ საეხებით კონსტიტუციური იყო.

მეათე სააპელაციო ოლქის გადაწყვეტილება გაუქმებულია.

ქალაქი ინდიანაპოლისი ედმონდის წინააღმდეგ
531 U.S. 32 (2000)

ფაქტები:

1998 წლის აგვისტოში ქალაქ ინდიანაპოლისის პოლიციამ დაიწყო გზებზე საკონტროლო პუნქტების დაწესება, რომელთა ძირითადი მიზანი იყო ნასვამი მძღოლებისა და ნარკოტიკების გამოვლენა. პროგრამის მიხედვით ასეთ საკონტროლო პუნქტებზე მანქანებს აჩერებდნენ, პოლიცია ამოწმებდა მძღოლის მართვის მოწმობას, ზედაპირულად ათვალთვლებდა მანქანის სალონს და ნარკოტიკების აღმოჩენისათვის სპეციალურად განვრთნილი ძალი გარს უვლიდა მანქანას. ამის შემდეგ, მხოლოდ მძღოლის თანხმობით ან დასაბუთებული ეჭვის წარმოშობის შემთხვევაში, ეძლეოდათ პოლიციელებს დეტალური ჩხრეკის უფლება. შედეგად, შეამოწმეს 1161 მანქანა, მათგან 104 პირი დააპატიმრეს, აქედან 49 პირი დააპატიმრეს ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების გამო, ხოლო დანარჩენები ადმინისტრაციული გადაცდომისათვის. ჯეიმს ედმონდმა და ჯეოლს პალმერმა, რომლებიც ასეთ საკონტროლო პუნქტზე გააჩერეს, სარჩელით მიმართეს სასამართლოს, სადაც დაობდნენ, რომ ისინი დასაბუთებული ეჭვის გარეშე გააჩერეს და გაჩხრეკეს. შესაბამისად, დაირღვა კონსტიტუციის მეოთხე შესწორება. ინდიანის სამხრეთ ოლქის სასამართლომ სარჩელი წარმოებაში არ მიიღო, რადგან წინასწარ გადაწყვეტილებაში დაადგინა, რომ საკონტროლო პუნქტების დაწესება კონსტიტუციური იყო. ოლქის სააპელაციო სასამართლომ გააუქმა წინა ინსტანციის გადაწყვეტილება და საკონტროლო პუნქტების დაწესება ანტი-კონსტიტუციურად გამოაცხადა.

ინდიანაპოლისის ქალაქის პოლიციამ უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრა გადაწყვეტილება.

შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება
სასამართლოს მოსაზრება წარმოადგინა მოსამართლე ო'კონორმა.

სასამართლოს მიერ დადგენილ წესს – დასაბუთებული ეჭვის გარეშე ჩატარებულ ჩხრეკასა და ამოღებას ძალიან შეზღუდული გამოწვევების აქვს. ასეთი გამოწვევები სასამართლომ კონსტიტუციურად ცნო საქმეში *შეერთებული შტატები მარტინესისა და ფუერტეს წინააღმდეგ*¹⁰³ (სასაზღვრო შემოწმებები დასაბუთებული ეჭვის გარეშე, რომელთა მიზანიც იყო არალეგალური მიგრანტების გამოვლენა და ნარკოტიკების საზღვარზე გამოტანა), *მიჩიგანის პოლიციის დეპარტამენტი სიტცის წინააღმდეგ*¹⁰⁴ (საკონ-

¹⁰³ United States v. Martinez & Fuerte, 428 U.S. 543, 1973

¹⁰⁴ Michigan Dept. of State Police v. Sitz, 496 U.S. 444, 1990

ტროლო პუნქტები, რომელთა მიზანიც იყო ნასვამი მძღოლების გამოვლენა), და მართვის მოწოდების შემონმების მიზნით საქმეში დელავერი პროუსის წინააღმდეგ¹⁰⁵. ასევე სასამართლომ წინა გადაწყვეტილებებით კონსტიტუციურად ჩათვალა დასაბუთებული ეჭვის გარეშე შემონმებები, რომლებიც ე.წ. „სპეციალურ ინტერესს“ ემსახურება, საქმეში ვერნონის სკოლის საბჭო აქტონის წინააღმდეგ და სხვა რამდენიმე გადაწყვეტილება, სადაც კონსტიტუციურად იქნა ცნობილი სკოლის მოსწავლეთა შემონმება ნარკოტიკებზე, რომლის მიზანიც არ იყო სისხლისსამართლებრივი დევნა.

არც ერთ ზემოაღნიშნულ საქმეში სასამართლოს არ უთქვამს, რომ ამგვარი საკონტროლო პუნქტების გამოყენება დაიშვება სისხლისსამართლებრივი დევნისათვის მტკიცებულებების მოსაპოვებლად.

სწორედ ეს მიზანი (მტკიცებულებების მოპოვება სისხლისსამართლებრივი დევნისათვის) განასხვავებს ამ საქმეში საკონტროლო პუნქტებს სხვა ზემოაღნიშნული საქმეებისაგან, სადაც შემონმებების და საკონტროლო პუნქტების მიზანი გახლდათ სასაზღვრო და ავტოსატრანსპორტო უსაფრთხოების დაცვა. მიუხედავად ამისა, მოსარჩელები დაობენ, რომ ზემოაღნიშნულ საქმეებშიც (შერთებული შტატები მარინეს ფურტეს წინააღმდეგ, მიჩიგანის პოლიციის დეპარტამენტი სიტცის წინააღმდეგ) საბოლოო შედეგი პირის დაპატიმრება და მისი სისხლისსამართლებრივი დევნა გახლდათ. სასამართლო ვერ დაეთანხმება ამ არგუმენტს, რადგან ასეთი განზოგადების შედეგად შესაძლებელია ყველა სამართალდამცავი მიზნისათვის საკონტროლო პუნქტის დანესება. ასევე ვერ მიიღებს სასამართლო მხედველობაში იმ არგუმენტს, რომ ნარკოტიკები სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს, რაც საკონტროლო პუნქტების გამოყენებას გაამართლებს. სასამართლო ეთანხმება მოსარჩელებს, რომ ნარკოტიკები სერიოზული სოციალური პრობლემა და საფრთხეა, თუმცა ასეთი საფრთხე ვერ გაამართლებს ამგვარი მეთოდების გამოყენებას სამართალდამცავების მხრიდან. დასაბუთებული და ინდივიდუალიზებული ეჭვის არსებობის საჭიროების განსასაზღვრად საჭიროა გავანალიზოთ, თუ რა უფლებები ირღვევა მეორე მხარეს. სასამართლო ვერ დაეთანხმება მოსარჩელებს, რომ ინდივიდუალიზებული, დასაბუთებული ეჭვის გარეშე შემონმებები კონსტიტუციურად აღიაროს, როდესაც მისი ერთადერთი მიზანი დანაშაულის აღმოფხვრაა.

სასამართლო ასევე ვერ დაეთანხმება მოსარჩელებს იმაში, რომ, რადგან საკონტროლო პუნქტების ერთ-ერთი მიზანი ავტოსატრანსპორტო უსაფრთხოებაცაა (რომელიც, ცალკე აღებული, კონსტიტუციურად იქნა ცნობილი) მაშინ მთელი საკონტროლო პუნქტების იდეაც კონსტიტუციურად უნდა

¹⁰⁵ Delaware v. Prouse, 440 U.S. 648, 1979

ცნონ. ამით სასამართლო დააკანონებდა ნებისმიერი საკონტროლო პუნქტის კონსტიტუციურობას, თუკი მისი ერთ-ერთი მიზანი მართვის მონაწილის და მძღოლის სიფხიზლის შემოწმება იქნებოდა. სწორედ ამიტომ უნდა დადგინდეს ამგვარი საკონტროლო პუნქტების პირველადი მიზანი – ნარკოტიკების კონტროლი..

დაბოლოს, სასამართლოს სურს აღნიშნოს, რომ ამ გადაწყვეტილებით არ იკრძალება სასაზღვრო და სხვა შემონმებები, რომლითაც მონმდება მართვის მონმობა და გამოვლინდება ნასვამი მძღოლი.

ოლქის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში რჩება.

დიეტმანი Time Inc. წინააღმდეგ 449 F. 2D 245 (9th CIR.) 1971

ფაქტები:

მოსარჩელე დიეტმანი, მოხუცი ვეტერანი, რომელსაც მხოლოდ საშუალო განათლება ჰქონდა, ეწეოდა თიხით, მცენარეებით და სხვადასხვა მინერალებით მკურნალობას. დიეტმანის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი დევნა აღიძრა კალიფორნიის შტატში, რადგან ამ შტატში ექიმბაშობა, ანუ ლიცენზიის გარეშე საექიმო საქმიანობა სისხლის სამართლის დანაშაულს წარმოადგენდა.

მოპასუხემ, რომელიც გამოსცემდა Life Magazine-ს, 1963 წელს მის ერთ-ერთ ნომერში გამოაქვეყნა მოსარჩელის ორი ფოტოსურათი, ერთი – გადაღებული მის სახლში დაპატიმრებამდე, მეორე კი დაპატიმრებისას. მოპასუხე და ოლქის პროკურორი, რომელიც ამ საქმეზე მუშაობდა, შეთანხმდნენ, რომ მოპასუხე შევიდოდა დიეტმანის სახლში, გადაიღებდა მის ფოტოებს საქმიანობის დროს და ჩაინერდა მასთან საუბარს, რასაც შემდეგ ოლქის პროკურორს გადასცემდა და თან თავის ჟურნალში სტატიას გამოაქვეყნებდა.

1963 წლის სექტემბერში ჯეკი მეტკაფი და რეი უილიამსი – მოპასუხის კომპანიის თანამშრომლები – ბატონ დიეტმანს სახლში ეწვივნენ. მათ კარზე ზარი დარეკეს და დიეტმანს მოახსენეს, რომ ისინი მისმა მეგობარმა ბატონმა ჯონსონმა გამოგზავნა. ჯონსონის სახელი რომ გაიგო, დიეტმანმა ისინი სახლში შეუშვა. დიეტმანმა ჯეკი მეტკაფი გასინჯა, რომელმაც იცრუა, რომ მკერდზე ლიმფური ჯირკვალის მკვლელობის გამო სული, უილიამსმა კი ფარული ფოტოაპარატით ეს ყოველივე ფირზე აღბეჭდა. ამ დროს დიეტმანის სახლში სხვებიც იყვნენ. რაც შეეხება საუბარს, იგი გადამცემის საშუალებით გადაიცემოდა სახლის გარეთ მდგომ მანქანაში, სადაც კორესპონდენტი, პროკურორის ოფისისა და ჯანდაცვის დეპარტამენტის წარმომადგენლები ისხდნენ.

ეს საუბარი სტატიაში არ დაბეჭდილა, თუმცა მასში მოხსენიებულ იქნა, რომ კორესპონდენტმა იმ საუბრის ჩანაწერები გააკეთა, რომელიც ჯეკი მეტკაფის ჩანთაში დამალული გადამცემით გადაიცემოდა ავტომანქანაში. საუბარი ჩაიწერეს სამართალდამცავთა წარმომადგენლებმაც. მოპასუხისა და ოლქის პროკურორის შეთანხმებით, მოპასუხე მტკიცებულებების მოპოვებაში უნდა დახმარებოდა პროკურორს, რომელსაც შემდგომ თავის ყურნალში გამოაქვეყნებდა. ამასთან, ოლქის პროკურორს ამ შემთხვევამდე მტკიცებულებების სახით მოსარჩელის საუბრების სხვა ჩანაწერებიც ჰქონდა, რომლებიც მოპოვებულ იქნა Life Magazine-ის გარეშე. მოგვიანებით დიეტმანი დააპატიმრეს ულიცენზიო საექიმო პრაქტიკის გამო, Life Magazine-ის წარმომადგენლებმა მას დაპატიმრებისას ფოტოები გადაუღეს. დიეტმანი ფიქრობდა, რომ ამ ფოტოებს მას სამართალდამცავი მიზნებისათვის უღებდნენ. მოგვიანებით დიეტმანმა საპროცესო შეთანხმება დადო ოლქის პროკურორთან და მას სასჯელზე შეუთანხმდა (plea of Nolo Contendere).

1963 წლის ნოემბერში კი, როგორც ზემოთ აღინიშნა, Life Magazine-ში გამოქვეყნდა დიეტმანის ორი ფოტო. მან სასამართლოს მიმართა სარჩელით.

დიეტმანის სასარგებლოდ მოპასუხე Time Inc.-ს 1000 დოლარის გადახდა დააკისრეს, რის შედეგადაც მოპასუხემ გადაწყვეტილება გაასაჩივრა.

მეცხრე სააპელაციო ოლქის სასამართლოს გადაწყვეტილება

მოპასუხეები დაობენ, რომ მათ დიეტმანის პირადი ცხოვრება არ დაურღვევიათ, რადგან დიეტმანის სახლი საზოგადოებისათვის ღია იყო. ეს ფაქტი მტკიცებულებებით ვერ დასტურდება, რადგან დიეტმანი მკურნალობდა იმ ადამიანებს, ვინც მის სახლში მიდიოდა. იგი ექიმი არ არის, მას რეკლამა არ გაუწევია თავისი საქმიანობისთვის და არც სხვა სახით გაუწევია ინფორმაცია ამის შესახებ. მას არა აქვს ტელეფონი და სახლის კარი ჩაკეტილი აქვს. იმისათვის, რომ დიეტმანის სახლში შესულიყავით, საჭირო იყო, რომ კარზე ზარი დაგერეკათ, იგი საქმიანობას ეწეოდა შენობაში, რომელიც მისი საცხოვრებელი სახლი იყო. მოპასუხეები დიეტმანის სახლში მოტყუებით შევიდნენ.

სასამართლოს წინაშე ორი საკითხი დგას: 1. არის თუ არა კალიფორნიის კანონმდებლობის თანახმად მოპასუხეების ქმედება სარჩელის შეტანის საფუძველი, როდესაც მათ დიეტმანის თანხმობის გარეშე გადაიღეს მისი ფოტო და ჩაიწერეს მისი საუბარი? 2. იცავს თუ არა პასუხისმგებლობისგან პირველი შესწორება მოპასუხეებს, თუკი ისინი ამ ქმედებებს ახალი ამბების გამოსაქვეყნებლად სჩადიოდნენ?

ის ფაქტი, რომ დიეტმანს მისი თანხმობის გარეშე თავისსავე სახლში გადაუღეს ფოტოები და ჩაიწერეს მისი საუბარი, რამაც დიეტმანის ემოცი-

ური აშლილობა გამოიწვია, საკმარისია იმისათვის, რომ დავასკვნათ: კალიფორნიის კანონმდებლობის თანახმად, მას უფლება აქვს, მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება. მოსარჩელეს ჰქონდა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის გონივრული მოლოდინი, რომ მისი საუბარი ტექნიკური საშუალებებით მთელ ქვეყნიერებას არ გადაეცემოდა და მის ფოტოებს არ გადაიღებდნენ.

მოპასუხე დაობს, რომ იგი ამ საქმეში პასუხისმგებლობისგან დაცულია კონსტიტუციის პირველი შესწორებით, რადგან მისი თანამშრომლები ახალი ამბების შეგროვების პროცესში იყვნენ. რაც შეეხება ელექტრონული საშუალებების გამოყენებას, ისინი დაობენ, რომ საგამოძიებო ჟურნალისტიკაში მათი გამოყენება განუყოფელი ელემენტია. სასამართლო ეთანხმება მოპასუხეს, რომ ახალი ამბების შეგროვება მისი გავრცელების განუყოფელი ელემენტია, თუმცა კატეგორიულად არ ეთანხმება მათ იმაში, რომ ამგვარი ელექტრონული საშუალებები განუყოფელი ელემენტია ახალი ამბების შეგროვებისას. საგამოძიებო ჟურნალისტიკა უძველესი მეთოდია, რომელმაც ნაწილობრივ გამოიწვია მინიატურული კამერების და სხვა მსგავსი ტექნოლოგიების შექმნა. მაგრამ პირველი შესწორება იმისათვის არ შექმნილა, რომ დაიცვას კორესპონდენტები ზიანის ანაზღაურების სარჩელებისგან იმ დარღვევისა და გადაცდომებისათვის, რაც მათ ამ პროცესში დაუშვეს. პირველი შესწორება არ არის სახლში შეჭრის ან მოპარვის ლიცენზია.

ის პრივილეგიები, რომლებიც მედიისთვის ცილისწამების საქმეებში შეიქმნა და ნაწილობრივ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის საქმეებზეც ვრცელდება, აქ არარელევანტურია. მათი გამოყენება სახლში შეჭრისათვის პასუხისმგებლობის განსასაზღვრად არასწორი იქნებოდა. არც „ნიუ-იორკ ტაიმსი“ სალივანის წინააღმდეგ¹⁰⁶ და არც სხვა გადანყვეტილება, რომელიც მას შემდეგ იქნა მიღებული, არ აკანონებს ამგვარ ქმედებას.

პირველი შესწორებით დაცული არც ერთი ინტერესი არ ილახება იმის დადგენით, რომ პირს აუნაზღაურდეს ზიანი მის სახლში უკანონო შეჭრისა და ამის შედეგად სტატიის გამოქვეყნებისათვის.

ოლქის სასამართლოს გადანყვეტილება ძალაში რჩება.

ZaCini Scripps-Howard Broadcasting Co.-ს წინააღმდეგ
433 U.S. 562 , 1977

ფაქტები:

ჰიუგო ძაჩინი საკუთარ თავს უგრძესი ჯოხის მეშვეობით ბადეში აგდებდა 200 ფუტის სიმაღლეზე. ეს წარმოდგენა 15 წამს გრძელდებოდა. მოპას-

¹⁰⁶ New York Times, v. Sullivan, 376 U.S. 254 (1964)

უხემ ახალი ამბების თერთმეტსაათიან გამოშვებაში აჩვენა ჰიუ ძაჩინის წარმოდგენა, რომელიც მან ქალაქის ცენტრში ერთ-ერთ დღესასწაულზე გამართა. ახალ ამბებში 15-წამიანი წარმოდგენა სრულად აჩვენეს. ჰიუგო ძაჩინიმ სასამართლოს მიმართა, სადაც დაობდა, რომ მოპასუხემ წარმოდგენის სრული სატელევიზიო გადაცემით მისი საკუთრების უფლება დაარღვია. ის დაობდა, რომ ტელევიზიამ ეს მისი თანხმობის გარეშე გააკეთა.

ოჰაიოს შტატის უზენაესმა სასამართლომ ძაჩინის სარჩელი უარყო და დაადგინა, რომ ძაჩინის წარმოდგენა ახალი ამბების ნაწილი იყო, იგი საჯარო ინტერესის საგანს წარმოადგენდა და, შესაბამისად, სარჩელი არ დააკმაყოფილა.

ძაჩინიმ გადაწყვეტილება შეერთებული შტატების უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრა.

შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება

სასამართლოს აზრი მკვეთრად გაიყო. უმრავლესობის მოსაზრება წარმოადგინა მოსამართლე უაიტმა.

ოჰაიოს უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ მოპასუხე კონსტიტუციური პრივილეგიით სარგებლობს, როდესაც საჯარო ინტერესის საკითხებს გადასცემს ტელევიზიით. სხვა შემთხვევაში დასაცავი იქნებოდა „საჯაროობის უფლება“. ამ საქმეში მოპასუხეს რომ ტელევიზიით გადაეცა, რომ ჰიუგო ძაჩინი წარმოდგენას მართავს ქალაქის ცენტრში და თუნდაც მისი ფოტო ეჩვენებინა, სრულიად სხვაგვარ გადაწყვეტილებას მივიღებდით. თანაც ჰიუგო ძაჩინი არ დაობს, რომ მოპასუხეს არ ჰქონდა უფლება გამოეცხადებინა, რომ ძაჩინი წარმოდგენას მართავს, რადგან ეს ახალ ამბებს წარმოადგენს. ძაჩინი დაობს, რომ მისი წარმოდგენის სრულად ჩანერა და ტელევიზიით გადაცემა არღვევს მისი პროფესიონალურ საკუთრების უფლებას. თანაც ოჰაიოს უზენაესი სასამართლო დაეთანხმა მოსარჩელეს, რომ ძაჩინის ჰქონდა „საჯაროობის უფლება“ და უფლება ჰქონდა, თავად გაეკონტროლებინა თავისი ტალანტისა და ნიჭის კომერციული გამოყენება. მიუხედავად ამისა, ოჰაიოს უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ მოპასუხე დაცული იყო პრივილეგიით, რადგან პრესას აქვს დისკრეცია იმისა, რომ თავად გადაწყვიტოს, თუ რა მოცულობით გააშუქოს ესა თუ ის მოვლენა. შესაბამისად, ოჰაიოს უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ მოპასუხე **Scripps-Howard** ძაჩინის წარმოდგენის სრულად გადაცემის გამო პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება.

ოჰაიოს უზენაესი სასამართლო დაეყრდნო გადაწყვეტილებას საქმეზე *ტაიმი ჰილის წინააღმდეგ*¹⁰⁷. ამ საქმეში სრულიად სხვა დელიქტთან გვეკონდა საქმე ვიდრე „საჯაროობის უფლების“ დარღვევაა. საქმეში *ტაიმი ჰილის*

¹⁰⁷ იხ. გვერდი 78

წინააღმდეგე მოსარჩელე არ ყოფილა ადამიანი, რომლის სახელსაც კომერციული ღირებულება ჩაქვს და მოსარჩელეს არ უდავია „საჯაროობის უფლების“ დარღვევაზე. თანაც ამ ორ დელიქტს შორის ის განსხვავებაა, რომ პირველ შემთხვევაში (ტაიმი ჰილის წინააღმდეგ – პირის წარმოსახვა არასწორად) სახელმწიფო იცავს პირის რეპუტაციას, მის ემოციურ სტრესს თითქმის ისევე, როგორც ცილისწამების საქმეებშია. მეორე შემთხვევაში, რომელიც ამ საქმეში გვაქვს სახეზე, სახელმწიფო ცდილობს დაიცვას პირის საკუთრების უფლებები. ამ ორ დელიქტს შორის კიდევ ის განსხვავებაა, რომ პირის არასწორად წარმოდგენის შემთხვევაში დაცვის მექანიზმი ის არის, რომ მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი ის ინფორმაცია, რომელიც ზიანს აყენებს პირს; „საჯაროობის უფლების“ შემთხვევაში კი ერთადერთი კითხვა ისმის: ვინ არის გამომცემელი (ვინ ავცელებს ინფორმაციას)? ძაჩინის მსგავსი პირები, ცხადია, უარს არ ამბობენ მათი წარმოდგენების შესახებ ინფორმაციის გავრცელებაზე, თუკი ისინი ამისათვის საზღაურს მიიღებენ. სწორედ ამას ითხოვს ამ საქმეში ბატონი ძაჩინი. მას მიზნად არა აქვს დასახული, მოპასუხეს აუკრძალოს მისი წარმოდგენის ტელევიზიით გადაცემა, იგი მხოლოდ საზღაურს ითხოვს ამისათვის. თანაც ჩვენს მიერ გადანყვეტილ არც ერთ საქმეში, როგორებიცაა „ნიუ-იორკ ტაიმსი“ სალივანის წინააღმდეგ¹⁰⁸, გერცი რობერტ უელჩის წინააღმდეგ¹⁰⁹ *Rosenbloom v. Metromedia, Inc.*¹¹⁰, *Time, Inc. v. Firestone*¹¹¹ საქმე არ გვქონია პირის საკუთრების მითვისებასთან. ამ საქმეებში პრესას მიენიჭა დაცვა ცილისწამების საქმეებში, სადაც მოსარჩელები საჯარო მოხელეები ან საჯარო პირები იყვნენ. ყველა ამ საქმეში სადავო იყო ესა თუ ის პუბლიკაცია, თუმცა არც ერთ ამ საქმეში ადგილი არ ჰქონია ისეთი რამის სრულად გამოქვეყნებას, რისთვისაც მისი ავტორი ანაზღაურებას იღებს.

ავტორის წარმოდგენის ტელევიზიით სრულად ჩვენება ამ წარმოდგენას ეკონომიკურ საფრთხეს უქმნის, რადგან იგი ავტორის ნიჭის, ენერჯისა და დროის ნაყოფია. სწორედ მის ექსკლუზიურ კონტროლში ძვეს ამ წარმოდგენის ეკონომიკური წარმატება. თუ საზოგადოება ამ წარმოდგენას ტელევიზიით ნახავს, მაშინ ცოტა ვინმეს თუ მოუწდება ქალაქის ცენტრში მისვლა და მისი „ცოცხლად“ ნახვა.

ჩვენ ვთვლით, რომ ოჰაიოს შტატს შეუძლია ამგვარ საქმეებში პრესას პრივილეგია მიანიჭოს პასუხისმგებლობის თვალსაზრისით, თუმცა ერთს განვმარტავთ – პირველი და მეთოთხმეტე შესწორებები ამას არ მოითხოვს.

¹⁰⁸ იხ. გვერდი 62

¹⁰⁹ *Gertz v. Robert Welch, Inc.*, 418 U.S. 323 (1974);

¹¹⁰ *Rosenbloom v. Metromedia, Inc.*, 403 U.S. 29 (1971);

¹¹¹ *Time, Inc. v. Firestone*, 424 U.S. 448 (1976);

ოჰაიოს შტატის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება გაუქმებულია.

**სმიტი Daily Mail Publishing Co.-ს წინააღმდეგ
443 U.S. 97 (1979)**

ფაქტები:

1978 წლის 9 თებერვალს მოკლეს ჰაიესის სკოლის 15 წლის მოსწავლე. მისი 14 წლის თანაკლასელი, რომელიც რამდენიმე თვითმხილველმა მოწმემ ამოიცნო, ამ ფაქტის შემდგომ მალევე დააპატიმრეს. **Charleston Daily Mail** და **Charleston Gazette** ამ საქმეში მოპასუხეები არიან, ორივე გაზეთის კორესპონდენტებმა ამ ინციდენტის თაობაზე პოლიციის სამაუწყებლო ქსელის საშუალებით შეიტყვეს. მათ ასევე შეიტყვეს ეჭვმიტანილის სახელი და გვარი მოწმეების და პოლიციელების გამოკითხვის შედეგად. ორივე გაზეთმა მოამზადა საგაზეთო პუბლიკაცია. **Daily Mail**-მა სტატიაში არ მოიხსენია ეჭვმიტანილის სახელი, რადგან ამას კანონი კრძალავდა, ხოლო **Charleston Gazette**-მა დაბეჭდა სტატია, სადაც ეჭვმიტანილი. იდენტიფიცირებული იყო. იმავე დღეებში ეჭვმიტანილის სახელი სამი სხვა რადიომაუწყებლის მიერ გადაიცა. ამის შემდეგ **Daily Mail**-მა მიიღო გადაწყვეტილება, გამოექვეყნებინა სტატია 10 თებერვალს, სადაც ნახსენები იქნებოდა ეჭვმიტანილის სახელი და გვარი.

1 მარტს დიდმა ჟიურიმ დაამტკიცა საბრალდებო დასკვნა მოპასუხეების წინააღმდეგ დასავლეთ ვირჯინიის კანონის საფუძველზე, რომელიც დასჯადად აცხადებს იმ არასრულწლოვანი პირის სახელისა და გვარის მოსამართლის თანხმობის გარეშე გამოქვეყნებას, რომლის წინააღმდეგაც სისხლის-სამართლებრივი დევნა მიმდინარეობს. მოპასუხე გაზეთების წარმომადგენლებმა დასავლეთ ვირჯინიის უზენაეს სასამართლოს მიმართეს, სადაც დაობდნენ, რომ მათ წინააღმდეგ ირღვეოდა კონსტიტუციის პირველი და მეთოთხმეტე შესწორებები. შესაბამისად, ისინი მოითხოვდნენ, რომ შეწყვეტილიყო სისხლისსამართლებრივი დევნა მათ წინააღმდეგ.

დასავლეთ ვირჯინიის უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ სადავო კანონი არღვევს პირველი შესწორებით გარანტირებულ სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას და იგი წინასწარ შეზღუდვას წარმოადგენს. სახელმწიფომ, გამომდინარე წინასწარი შეზღუდვის *per se* ანტიკონსტიტუციურობიდან, ვერ დაადგინა ასეთი შეზღუდვის არსებობის აუცილებლობა.

აღნიშნული საქმე შეერთებული შტატების უზენაეს სასამართლოში გასაჩივრდა.

შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება სასამართლოს მოსაზრება წარმოადგინა მოსამართლე ბურგერმა.

მოპასუხეები ამ საქმეში დაობენ, რომ სადავო კანონი წინასწარ შეზღუდვას წარმოადგენს. ისინი აცხადებენ, რომ მოსამართლის წინასწარი თანხმობა არ არის კლასიკური წინასწარი შეზღუდვის მაგალითი, თუმცა მას ისეთივე შედეგები მოაქვს, როგორც წინასწარ შეზღუდვებს, რადგან იგი მოქმედებს ერთგვარ სალიცენზიო სქემასავით, რომელიც წინასწარი შეზღუდვების ერთ-ერთი სახეა. შესაბამისად, მოპასუხეები დაობენ, რომ ასეთ სადავო კანონს ანტიკონსტიტუციურობის გადალახვის მიძიმე ტვირთი აკისრია. ისინი თვლიან, რომ ასეთ ტვირთს ვერ გადანონის არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა ანონიმურობის დაცვის ინტერესი.

მოსარჩელები არ დაობენ იმის თაობაზე, რომ სადავო კანონი წინასწარ შეზღუდვას აწესებს. ისინი თვლიან, რომ, ამის მიუხედავად, ეს სადავო კანონი იცავს სახელმწიფოს მნიშვნელოვან ინტერესს, კერძოდ, არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა ინტერესებს.

ამ საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანით ჩვენ არ ვწყვეტთ, არის თუ არა მოსამართლის წინასწარი თანხმობა წინასწარი შეზღუდვა თუ შემდგომი სანქცია გამოქვეყნებისათვის. ამ საქმეში ეს მნიშვნელოვანი არ არის. მნიშვნელოვანი ის არის, რომ სწორი და მართალი ინფორმაციის გამოქვეყნება არ არის რეგულირებადი, ხოლო თუ იგი რეგულირდება, უნდა დამტკიცდეს მნიშვნელოვანი სახელმწიფო ინტერესი ამ რეგულირებისათვის. ჩვენი წინა გადაწყვეტილებებიდან ჩანს, რომ სწორი ინფორმაციის გამოქვეყნებისთვის სასჯელის შეფარდების კონსტიტუციურობის მტკიცება რთული საქმეა.

ერთ-ერთი საქმე, რომელშიც სახეზე იყო კლასიკური წინასწარი შეზღუდვა, საკმაოდ რელევანტურია ამ საქმისათვის: საქმეში *Oklahoma Publishing Co. v. District Court*¹¹² უზენაესმა სასამართლომ გააუქმა შტატის სასამართლოს განჩინება, რომლითაც მედიას აეკრძალა გამოქვეყნებინა 11 წლის ბიჭის სახელი და ფოტოსურათი, რომლის საქმესაც სასამართლო იხილავდა. სასამართლომ ღია სხდომაზე დაუშვა მედიისა და საზოგადოების წარმომადგენლები, მიუხედავად იმისა, რომ შტატის კანონმდებლობა ამგვარ საქმეებზე სხდომის დახურვას ითვალისწინებდა. შემდგომ კი აუკრძალა მედიას იმ ინფორმაციის გამოქვეყნება რომელიც სასამართლოს სხდომაზე მოისმინეს. ამ საქმეში უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ, როდესაც სწორი ინფორმაცია საჯარო გახდება, სასამართლოს აღარ შეუძლია მისი გავრცელების აკრძალვა.

არც ერთი ეს გადაწყვეტილება არ ბოჭავს და არ აკონტროლებს ამ სასამართლოს, თუმცა ცხადია, რომ, თუ მედია კანონიერი გზით მოიპოვებს

¹¹² *Oklahoma Publishing Co. v. District Court*, 430 U.S. 308 (1977)

ინფორმაციას და მას სწორი სახით აქვეყნებს, მაშინ სახელმწიფო მოხელეებს აღარა აქვთ უფლება, ხელი შეუშალონ გამოქვეყნებას, თუ საფრთხე არ ექმნება სახელმწიფოს უმაღლეს ინტერესებს.

მოსარჩელები დაობენ, რომ სახელმწიფოს ინტერესი მდგომარეობს არასრულწლოვანი სამართალდამრღვევის ანონიმურობის დაცვაში, რადგან მისმა საჯაროობამ შესაძლოა ხელი შეუშალოს პირის რესოციალიზაციას, ხელი შეუშალოს ამ პირს შემდგომ დასაქმებაში და სხვა.

აღნიშნული ინტერესი ამ საქმეში არ არის საკმარისი, რომ მოპასუხეებს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დავაკისროთ. მეტიც, კანონი კონსტიტუციურობის ფარგლებს სცილდება, რადგან იგი ელექტრონულ მედიას არ უკრძალავს მსგავს ქმედებებს და მხოლოდ „გაზეთებზე“ ვრცელდება. ამ საქმეში კი მოპასუხეებმა მხოლოდ მას შემდეგ გამოაქვეყნეს არასრულწლოვნის სახელი, რაც ის რადიოთი რამდენჯერმე გაჟღერდა. ამრიგად, იმის გათვალისწინებითაც, რომ კანონი მიზნად ისახავს არასრულწლოვან დამნაშავეთა დაცვას, იგი ამ მიზანს ვერ ემსახურება. ასევე ვერ მოემსახურება კანონის აღნიშნულ მიზანს მოპასუხეების სისხლის სამართლის წესით დასჯა.

დასავლეთ ვირჯინიის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში რჩება.

**დონალდ გალელა ჟაკლინ ონასისის წინააღმდეგ
487 F.2d 986, 1973**

ფაქტები:

დონალდ გალელა ფოტოგრაფია, რომელმაც თავისი პროფესიული კარიერა ცნობილი ადამიანების ფოტოების გადაღებით და მათი გაყიდვით შეიქმნა. მან ჟაკლინ ონასისს და საიდუმლო სამსახურის წარმომადგენლებს უჩივლა უკანონოდ დაპატიმრებისათვის. გალელა მას შემდეგ დააპატიმრეს, რაც იგი ბუჩქებიდან ფოტოაპარატით გადმოხტა და წინ გადაეღობა ჯონ კენედის, რომელიც პარკში ველოსიპედით სეირნობდა. საიდუმლო სამსახურის აგენტები (რომლებიც პრეზიდენტის შვილებს 16 წლამდე იცავენ) შეშფოთდნენ ჯონის უსაფრთხოების გამო, გალელა მცირე ხნით დააკავეს და დაკითხეს. მოპასუხეს საქმეში წარმომადგენს ჟაკლინ ონასისი, გარდაცვლილ პრეზიდენტ კენედის ქვრივი და მულტიმილიონერ არისტოკრატული ონასისის მეუღლე, ჯონი და კეროლაინ კენედების დედა. ჟაკლინ ონასისმა მას შემდეგ, რაც იგი მრავალჯერ გახდა გალელას მხრიდან არასათანადო ქცევის მსხვერპლი, შეგებებული სარჩელით მიმართა სასამართლოს, სადაც

ითხოვდა, გამოეტანათ შემზღუდავი ბრძანება გალელას წინააღმდეგ, რომელიც მას ამგვარ მოქცევას აუკრძალავდა.

ნიუ-იორკის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება

საქმეში დადგინდა ოცამდე ეპიზოდი, როდესაც გალელა შეიჭრა ჯონისა და კეროლიანის სკოლაში, მათი გადაღება დაიწყო პარკში, როდესაც ბავშვები ველოსიპედით სეირნობდნენ და საფრთხე შეუქმნა მათ ჯანმრთელობას (ბავშვები თითქმის შეეჯახნენ ფოტოგრაფს, როდესაც იგი ბუჩქებიდან გადმობტა ფოტოს გადასაღებად), გალელა მრავალჯერ შეიჭრა რესტორანში, სილამაზის სალონში, მალაზიაში, ეკლესიაში, რათა ჟაკლინ ონასისის ფოტო გადაეღო, მან მოისყიდა კენედების სახლის მსახურები, რათა მათგან გაეგო მათი ადგილსამყოფელი, იახტაზე ყოფნისას ნავით გამოცხადდა, რომ მოპასუხის ფოტო გადაეღო და სხვა.

აღნიშნულ საქმეში მოსარჩელე გალელა ასაჩივრებს სასამართლოს შემზღუდველ ბრძანებას და დაობს, რომ პირველი შესწორება მას იცავს.

სასამართლო ცალსახად უარყოფს გალელას განცხადებას, რომ პირველი შესწორება იცავს ნებისმიერ ქმედებას ახალი ამბების შეგროვებისას, რადგან შეურაცხმყოფელიც არ უნდა იყოს იგი. პირველი შესწორება არ იცავს დანაშაულებს, რომლებიც ახალი ამბების შეგროვებისას არის ჩადენილი.¹¹³

მოსარჩელე გალელას დაუსრულებელი ქმედებები ცალსახად წარმოადგენს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევას.

თავდაპირველად უნდა განვიხილოთ და მხედველობაში მივიღოთ ის ფაქტი, თუ როგორ აჩრდილივით დასდევს მოსარჩელე მოპასუხეს: იგი ბინის გარეთ ელოდება ჟაკლინ ონასისს და საათობით დაჰყევბა მას უკან. მისი თვალთვალი იმდენად აუტანელია, რომ გალელას, როგორც მან თავადვე განაცხადა სასამართლო პროცესზე, ცოლი იმიტომ არ მოჰყავს, რომ ვერ იპოვა ისეთი ქალი, რომელიც თანახმა იქნებოდა, ჟაკლინ ონასისისათვის ედია ნებისმიერ დროს.

ჟაკლინ ონასისი სწორად იქნა ცნობილი საჯარო ფიგურად საქმის წარმოებისას წინა ინსტანციის სასამართლოში და, შესაბამისად, იგი ახალი ამბების სუბიექტი შესაძლოა ხშირად გამხდარიყო. თუმცა გალელას ქმედებები იმ ზღვარს გასცდა, რომელიც ახალი ამბების შეგროვებისთვის არის დაწესებული. ჟაკლინ კენედის ყოველდღიური უმნიშვნელო საქმეების გაშუქება და ამ დროს მისი განუწყვეტელი თვალთვალი, ქმედებები, რომლებიც მას შეურაცხყოფს, არაგონივრული და დაუსაბუთებელია. ამ მხრივ თუკი რაიმე

¹¹³ Branzburg v. Hayes, 408 U.S. 665, 33 L. Ed. 2d 626, 92 S. Ct. 2646 (1972); Rosenbloom v. Metromedia, 403 U.S. 29, 29 L. Ed. 2d 296, 91 S. Ct. 1811 (1971); Diemann v. Time, Inc., 449 F.2d 245, 249-50 (9th Cir. 1971). See [996]

მოსაზრება გაჩნდებოდა გალელას სასარგებლოდ, მისი ქმედება კენედის შვილების მიმართ ყოველგვარ კეთილგანწყობას გაფანტავდა.

წინა ინსტანციის სასამართლომ გალელას წინააღმდეგ შემზღუდავი ბრძანება გამოსცა, რომლის თანახმადაც მას ეკრძალება: 1. 300 ფუტის რადიუსით მიუახლოვდეს კენედების სახლსა და სკოლას, სადაც ბავშვები სწავლობენ; 2. დაიცვას 225 ფუტის დისტანცია ბავშვებისგან და 150 – ჟაკლინ ონასისისაგან.

სასამართლო ძალაში ტოვებს ამ შემზღუდაველ ბრძანებას, თუმცა შემდეგი ცვლილებებით: მოსარჩელეს ეკრძალება: 1. 25 ფუტზე უფრო ახლოს მივიდეს ან შეეხოხოს ჟაკლინ ონასისს; 2. წინ გადაუდგეს ან ხელი შეუშალოს გავლაში საჯარო ადგილებში; 3. საფრთხე შეუქმნას მოპასუხის უსაფრთხოებას ან სიცოცხლეს; 4. ნებისმიერი ქმედება, რომელმაც შეიძლება შეურაცხყოფს, შეაშინოს ან ააღელვოს (გონივრულ ფარგლებში) ჟაკლინ ონასისი. სასამართლო არ უკრძალავს გალელას ფოტოების გადაღებას ან მათ შემდგომ გაყიდვას. სასამართლო ასევე ძალაში ტოვებს შემზღუდავ ბრძანებას იმ ნაწილში, რომელიც ეხება საიდუმლო სამსახურის აგენტების მიერ მათი ფუნქციების განხორციელებას (რაც კენედის შვილების 16 წლის ასაკამდე დაცვას გულისხმობს), კერძოდ, გალელას შეიძლება აეკრძალოს: 1. ბავშვების სკოლაში შესვლა, 2. მათთვის საფრთხის შექმნა, 3. ნებისმიერი ქმედების განხორციელება, რაც შეაშინებს, ააღელვებს ან შეურაცხყოფს ბავშვებს, 4. მათთან 30 ფუტზე ახლოს მისვლა.

შენიშვნა: სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, გალელა კვლავ დაუბრუნდა თავის საქმიანობას – ჟაკლინ ონასისის და მისი ოჯახის ფოტოების გადაღებას. იგი კვლავ აგრძელებდა მათ თვალთვალს, თუმცა 1982 წელს, 9 წლის შემდეგ, რაც სააპელაციო სასამართლომ ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება მიიღო, ნიუ-იორკის ფედერალურმა ოლქის სასამართლომ დაადგინა, რომ გალელას მხრიდან სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი შეზღუდვების გაუთავებელი დარღვევა სასამართლოს უპატივცემულობას წარმოადგენდა. გალელა სასამართლოს უპატივცემულობისათვის დამნაშავედ ცნეს და ჯარიმა დააკისრეს¹¹⁴.

¹¹⁴ Galella v. Onassis, 533 F. Supp. 1076 (S.D.N.Y. 1982).

ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო

კლასი და სხვები გერმანიის წინააღმდეგ
1978

ფაქტები:

სარჩელის შეტანის დროისათვის გერმანიაში ძალაში შევიდა კანონმდებლობა, რომლის თანახმადაც სახელმწიფო ორგანოებს უფლება ეძლეოდათ მოესმინათ ტელეფონით საუბრები და გაეკონტროლებინათ საფოსტო მიმონერა იმ „მყისიერი საფრთხეებისგან“ დაცვის მიზნით, რომელიც შეიძლება დამუქრებოდა დემოკრატიულ საზოგადოებას და სახელმწიფოს უსაფრთხოებას. კანონი ითვალისწინებდა პროცედურას, რომლის მიხედვითაც მოსმენისა და შემონმების სუბიექტისთვის შეიძლებოდა შეეტყობინებინათ მის მიმართ გატარებული ზომების შესახებ ამ ქმედების დასრულების შემდეგ. თუმცა კანონში ამის აბსოლუტური მოთხოვნა არ არსებობდა. სწორედ ეს ნორმა გახდა სასამართლოში სარჩელის შეტანის საფუძველი, რომელიც ხუთმა გერმანელმა იურისტმა შეიტანა. მოსარჩელები დაობდნენ, რომ ისინი აცნობიერებენ სახელმწიფო ორგანოების სატელეფონო და საფოსტო კონტროლის უფლებამოსილებას, მაგრამ თვლიან, რომ სუბიექტის შეტყობინების აბსოლუტური ვალდებულების არარსებობა არღვევს კონვენციის მერვე მუხლს.

ევროპის ადამიანის უფლებების სასამართლოს გადაწყვეტილება

სასამართლომ თავდაპირველად დაადგინა, რომ აუცილებელი იყო მოსარჩელების დარღვევის პოტენციურ მსხვერპლად მიჩნევა, რადგან სახეზე არ იყო კონკრეტული შემთხვევა, რომლის საფუძველზეც მოსარჩელები იდავებდნენ, რომ მათ მიმართ დაირღვა კონვენციის მერვე მუხლი. შესაბამისად, სასამართლო უშვებს ისეთ შემთხვევას, როდესაც ინდივიდის სარჩელის წარმოებაში მიიღება, თუკი ის დაობს, რომ დარღვევის პოტენციური მსხვერპლია და არსებობს გასაიდუმლოებული ზომების მიღების შესაძლებლობა მის წინააღმდეგ. ასეთ შემთხვევებში სასამართლომ კონკრეტული საქმის მიხედვით უნდა დაადგინოს მოსარჩელისა და გასაიდუმლოებული ზომების მიმართება და შესაძლებელი დარღვევა.

ამ საფუძველით მოცემულ საქმეში მოსარჩელებს უფლება აქვთ იდაონ, რომ არიან მერვე მუხლის დარღვევის პოტენციური მსხვერპლნი. სასამართლო აღნიშნავს, რომ ამ საქმის მასალების მიხედვით კონვენციის მერვე მუხლი შეიძლება სრულიად დაუცველი იყოს და დარღვევის საგანი გახდეს,

რადგან კონკრეტულ შემთხვევებში მოქალაქეებს არც აცნობებენ, რომ მათი მერვე მუხლით დაცული უფლებები შეილახა, შესაბამისად, მიღებული გასაიდუმლოებული ზომების გასაჩივრებაც შეუძლებელი ხდება. ასეთ შემთხვევებში კონვენციის მერვე მუხლის მოქმედება ნულამდე დადის.

ამის შემდეგ სასამართლო განიხილავს ამ კონკრეტულ საქმეში მერვე მუხლის დარღვევის შემთხვევას.

მიუხედავად იმისა, რომ სატელეფონო საუბრები პირდაპირ არ არის მოხსენიებული კონვენციის ტექსტში, სასამართლო თვლის, რომ ასეთი საუბრები დაცულია კონვენციის მერვე მუხლის „პირადი ცხოვრებისა და „კორესპონდენციის“ ცნებებით. ევროპის ადამიანის უფლებების კომისიამ დაადგინა, რომ გერმანიაში ამგვარი კანონმდებლობის არსებობით საქმე გვეკონდა მერვე მუხლით დაცული უფლებების განხორციელებაში ჩარევასთან. არც კომისიისა და არც სასამართლოს წინაშე სახელმწიფოს წარმომადგენლები ამ საკითხს სადავოდ არ ხდიან. ცხადია, რომ მაშინ, როდესაც ეს კანონმდებლობა მოქმედებას იწყებს, ნებისმიერი ინდივიდის პირადი ცხოვრება, საფოსტო და სატელეკომუნიკაციო ურთიერთობები ჩარევის სუბიექტი ხდება. მეტიც, ასეთი კანონმდებლობის თუნდაც მხოლოდ არსებობა ქმნის ასეთი ჩარევის საფრთხეს, რაც პირდაპირ ზიანს აყენებს სხვადასხვა მომხმარებელს შორის კომუნიკაციის თავისუფლებას. შესაბამისად, სახეზეა „სახელმწიფო ორგანოს ჩარევა“ მერვე მუხლით დაცული უფლებების განხორციელებისას.

უმნიშვნელოვანესი საკითხი ამ საქმეში შემდეგია: არის თუ არა ჩარევა გამართლებული კონვენციის მერვე მუხლის მეორე პუნქტში ჩამოთვლილი საფუძვლებით. იქიდან გამომდინარე, რომ მოცემული ნორმა წარმოადგენს საფუძვლებს, რომლის მიხედვითაც ჩარევა შეიძლება გამართლებულ იქნეს, საჭიროა მისი ვიწრო ინტერპრეტაცია.

სასამართლო არ განიხილავს იმ საკითხს, არის თუ არა კანონით დადგენილი ეს ჩარევა, რადგან სახეზეა კონკრეტული კანონმდებლობა გერმანიაში, რომელსაც მოსარჩელები სადავოდ ხდიან.

სასამართლოს განსახილველად რჩება ბოლო საკითხი: არის თუ არა საჭირო დემოკრატიულ საზოგადოებაში ამგვარი ჩარევა, ანუ არის თუ არა ასეთი ჩარევა პროპორციული. სახელმწიფოს წარმომადგენლები დაობენ, რომ ამგვარი ჩარევა გამართლებულია „დემოკრატიული საზოგადოებისათვის მყისიერი საფრთხით“, ასევე „საზოგადოების უსაფრთხოებისა“ და „სხვათა უფლებების დაცვის“ მიზნით. სასამართლო, კომისიის მსგავსად, ეთანხმება გერმანიის სახელმწიფოს წარმომადგენლებს, რომ სადავო კანონმდებლობის მიზანი მართლაც არის სახელმწიფოს უსაფრთხოების დაცვა. მიუხედავად ამისა, სასამართლომ უნდა დაადგინოს, არის თუ არა გზები და საშუალებები,

რომლითაც ზემოხსენებული მიზანი მიიღწევა, კონვენციის მერვე მუხლისა და დემოკრატიული პრინციპების შესაბამისი.

ამისათვის აუცილებელია, რომ სასამართლომ მიმოიხილოს სადავო კანონმდებლობა და მასში არსებული დაცვის მექანიზმები. კანონმდებლობის თანახმად, აუცილებელია გარკვეული პირობების დაკმაყოფილება, სანამ მისი გამოყენება დაიწყება, კერძოდ, ტელეფონის მოსმენა და სატელეკომუნიკაციო საშუალებების კონტროლი შეიძლება დაწესდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ფაქტობრივი მტკიცებულებები, რომ ესა თუ ის პირი ეჭვმიტანილია მძიმე სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში ან მომზადებაში. ეს ზომა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება იქნეს მიღებული, როდესაც სხვა საგამოძიებო მოქმედებები უკვე ჩატარებულია და ისინი არა-ეფექტური აღმოჩნდა, ან როდესაც მათი ჩატარება შეუძლებელია გარკვეული გარემოებების გამო. ასევე სადავო კანონმდებლობით იკრძალება ე.წ. „ზოგადი კონტროლი“ და კანონმდებლობა აწესებს მოთხოვნას, რომლის მიხედვითაც დაიშვება მხოლოდ ეჭვმიტანილის საუბრების კონტროლი.

სადავო კანონმდებლობის თანახმად, კონტროლი შეიძლება დაწესდეს მხოლოდ წერილობითი შუამდგომლობის საფუძველზე, სადაც დასაბუთებულია ასეთი ზომის გამოყენება. ამ შუამდგომლობას შემდგომ ფედერალური მინისტრი ამტკიცებს. შესაბამისად, კანონში ძვეს გარკვეული ადმინისტრაციული პროცედურები იმისგან თავის დასაცავად, რომ ეს ზომები არ იქნეს თვითნებურად გამოყენებული. ამასთან, საკონტროლო ზომების გატარება დასაშვებია მხოლოდ სამი თვის განმავლობაში და მისი გაგრძელება შეიძლება ახალი შუამდგომლობით. კონტროლი დაუყოვნებლივ უნდა შეწყდეს მას შემდეგ, რაც მოპოვებულია საჭირო ინფორმაცია, ან როდესაც გარემოებები აღარ ადგენს მის საჭიროებას. მოპოვებული ინფორმაცია არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვა მიზნით, გარდა შუამდგომლობაში მითითებული მიზნისა და იგი დაუყოვნებლივ უნდა განადგურდეს.

რაც შეეხება საკონტროლო ზომების განხორციელებას, მასზე ზედამხედველობას ახორციელებს მოხელე, რომელიც კვალიფიცირებულია მოსამართლის პოსტზე დასანიშნად. კანონმდებლობის თანახმად, რადგანაც გამოირიცხება სასამართლო კონტროლი, შექმნილია სპეციალური კომისია, რომელიც მის განხორციელებას ზედამხედველობს. სახელმწიფოს წარმომადგენელი დაობს, რომ ეს მექანიზმები ადეკვატურია ადამიანის უფლებების დაცვისა, ხოლო მოსარჩევეები დაობენ, რომ ეს სისტემა ე.წ. „პოლიტიკურ კონტროლს“ წარმოადგენს, რადგან სასამართლო კონტროლი მაზე არ ხორციელდება.

სატელეკომუნიკაციო საშუალებების კონტროლის ზედამხედველობა შეიძლება განხორციელდეს სამ სტადიაზე: პირველი, როდესაც კონტროლი

დაიწყება; მერე, როდესაც მას ახორციელებენ და მესამე, როდესაც იგი დასრულდა. რაც შეეხება პირველ ორ სტადიას, ცხადია, რომ საიდუმლო კონტროლის არსი ის არის, რომ ინდივიდმა არ უნდა იცოდეს მის მიმართ გატარებული ზომების შესახებ. სწორედ ამიტომ უნდა არსებობდეს ისეთი მექანიზმები, რომ დაცული იყოს ინდივიდის უფლებები. კანონის უზენაესობის პრინციპის თანახმად, რომელიც ევროპული კონვენციის პრეამბულაშია აღიარებული, საჭიროა, რომ აღმასრულებელი ხელისუფლების ქმედებებზე, რომლებიც ინდივიდის უფლებებს ეხება, არსებობდეს ეფექტური კონტროლი. ასეთი ეფექტური კონტროლი, როგორც წესი, სასამართლომ უნდა განახორციელოს, რადგან ამ შემთხვევაში უზრუნველყოფილია დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობის და სათანადო პროცედურების დაცვის გარანტიები.

სადავო კანონმდებლობით სასამართლო კონტროლი გამორიცხულია და ჩანაცვლებულია შიდა კონტროლით. შიდა კონტროლს კი აწარმოებს მოხელე, რომელიც კვალიფიცირებულია მოსამართლის თანამდებობისათვის, ხოლო შემდგომი კონტროლი ხორციელდება სპეციალური კომისიის მიერ. სასამართლო თვლის, რომ, სასურველია, ამ შემთხვევაში არსებობდეს სასამართლო კონტროლი, თუმცა სასამართლო ადგენს, რომ ის მექანიზმები, რომლებიც არსებობს, არ არღვევს დემოკრატიის აუცილებელ პრინციპებს.

მოსარჩელის ერთ-ერთი მთავარი სადავო საკითხი იმაში მდგომარეობს, რომ ინდივიდს, რომლის მიმართაც გამოყენებულია საკონტროლო ზომები, შეიძლება ყოველთვის არ შეატყობინონ ასეთი ზომების არსებობის შესახებ. შესაბამისად, ინდივიდი მოკლებულია მექანიზმს, რომლის თანახმადაც მას შეეძლება გადაამოწმოს ასეთი ზომების კანონიერება. ამის საპასუხოდ სასამართლო თვლის, რომ გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ ინდივიდის შეტყობინება აუცილებელი მოთხოვნა გახდა, რის შედეგადაც პირს მიეცა საშუალება მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას გამოყენებული ზომების შედეგად მიაღება. გამომდინარე იქიდან, რომ არ არსებობს მტკიცებულებები, რომლებიც დაადგენდა, რომ სადავო კანონმდებლობის ბოროტად გამოყენებასთან გვაქვს საქმე, სასამართლო ვერ იმსჯელებს ამ საკითხზე. თუმცა აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სადავო კანონმდებლობაში არსებობს ეფექტური მექანიზმები ინდივიდის უფლებების დასაცავად, მათ შორის მოთხოვნა, რომ მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი საკონტროლო ზომების გამოყენება. ამასთან, სასამართლოს აზრით, ამგვარი ზომების ბოროტად გამოყენების საფრთხე არც ერთ სისტემაში არ გამოირიცხება. ამიტომ ამ მიზნით სასამართლომ უნდა დაადგინოს ბოროტად გამოყენების ალბათობა, რაც, სასამართლოს აზრით, მაქსიმალურადაა მინიმუმამდე დაყვანილი.

ამ საფუძვლით სასამართლო ადგენს, რომ კონვენციის მერვე მუხლი არ დარღვეულა.

დანჯენი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ

ფაქტები:

ბელფასტში მცხოვრებმა ჯეფრი დანჯენმა გაასაჩივრა ჩრდილოეთ ირლანდიაში მოქმედი კანონმდებლობა, რომელიც მამაკაცებს შორის უხამს სქესობრივი აქტს დანაშაულად აცხადებდა. ამასთან კანონი ვრცელდებოდა ნებისმიერ ასეთ ქმედებაზე მიუხედავად იმისა მას ადგილი ჰქონდა საჯარო ადგილას, თუ კერძო ტერიტორიაზე; ასევე ნებისმიერი ასაკის მამაკაცებს შორის და პარტნიორებს შორის თანხმობის შემთხვევაშიც კი.

ჩრდილოეთ ირლანდიის მთავრობის მტკიცებით მსგავსი სქესობრივი აქტები ეწინააღმდეგებოდა ქვეყანაში იმ დროისათვის დამკვიდრებულ მორალს. ევროსასამართლომ განაცხადა ზნეობის ნორმების განსაზღვრა თავად ადგილობრივი საზოგადოების საქმეა და სახელმწიფოს აქვს შედარებით ფართო დისკრეცია მორალის საფუძველზე უფლებების რეგულირებისას. თუმცა ამ კონკრეტულ შემთხვევაში ვითარება სხვაგვარადაა. მიუხედავად სახელმწიფოს შეფასების ფართო ზღვარისა, სტრასბურგის სასამართლო წყვეტს რამდენად საჭიროა უფლება შეზღუდვა დემოკრატიული საზოგადოების არსებობისათვის. სასამართლომ აღიარა, რომ სახელმწიფოს შეიძლება ჰქონდეს ლეგიტიმური მიზანი დაიცვას არასრულწლოვნები, გონებრივად ავადმყოფები და სხვა ადამიანთა მგრძნობიარე ჯგუფები ჰომოსექსუალური მიდრეკილების მავნე ზეგავლენისაგან, მაგრამ ამ შემთხვევაში ზემო აღნიშნული კანონმდებლობა ადამიანის პირადი ცხოვრებაში ჩარევას წარმოადგენს. ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებში ბოლო დროს განვითარებულმა მოვლენებმა ცხადყო, რომ საზოგადოებისათვის ამ ქვეყნებში აღარ არის მიუღებელი ზრდასრული ადამიანის ნებაყოფლობითი ჰომოსექსუალური კონტაქტი. შესაბამისად ამ ქმედების კრიმინალიზაცია არ არის გამონვეული მწვავე სოციალური საჭიროებით.

პრინცესა კაროლინა გერმანიის წინააღმდეგ

ფაქტები:

მოსარჩელე იყო მონაკოს პრინც რანიერ III-ის უფროსი ქალიშვილი. პრინცესა კაროლინა 1957 წელს დაიბადა. იგი იყო მონაკოში მცხოვრები მონაკოს მოქალაქე, თუმცა წელიწადის გარკვეულ დროს პარიზშიც ატარებდა.

1990-იანი წლების დასაწყისში პრინცესა კაროლინა ფონ ჰანოვერი სასამართლოს მეშვეობით სისტემატურად ცდილობდა შეეჩერებინა მისი ფოტოების ბეჭდვა გერმანულ პრესაში. მან რამდენჯერმე მიმართა გერმა-

ნიის სასამართლოებს შემზღუდველი ბრძანების გამოცემის თხოვნით, რომლითაც აიკრძალებოდა 1990-იან წლებში მისი ფოტოების მთელი სერიის გამოქვეყნება გერმანულ ჟურნალებში **Bunte**, **Freizeit Revue** და **Neue Post**. იგი აცხადებდა, რომ ილახება მისი პირადი ცხოვრების დაცვისა და საკუთარი გამოსახულების გამოყენების უფლება.

1999 წლის 15 დეკემბრის ცნობილ საქმეში ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა იმ ფოტოებთან დაკავშირებით, რომლებშიც იგი თავის შვილებთან ერთად იყო გადაღებული, იმ მოტივით, რომ სრულწლოვანებზე უფრო მეტად მათი პირადი ცხოვრების დაცვა იყო აუცილებელი.

თუმცა პრინცესა კაროლინთან მიმართებაში საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მას, როგორც საჯარო პირს, უნდა მოეთმინა მისი ფოტოების საჯარო ადგილებში გამოქვეყნება იმ შემთხვევაშიც კი, თუ ფოტოებზე იგი აღბეჭდილი იყო ყოველდღიური საქმიანობის დროს და არა ოფიციალური მოვალეობების შესრულებისას. ამ მიმართებით საკონსტიტუციო სასამართლო მიუთითებდა პრესის თავისუფლებასა და საზოგადოების ლეგიტიმურ ინტერესზე, სცოდნოდა, თუ ზოგადად როგორ იქცევა ასეთი პირი საზოგადოებაში.

პრინცესა კაროლინმა ამის შემდეგ განცხადებით მიმართა ევროპის ადამიანის უფლებების სასამართლოს, სადაც დაობდა, რომ გერმანიის სასამართლოების გადაწყვეტილებები ხელყოფდა კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებულ მისი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას.

სასამართლოს გადაწყვეტილება

სასამართლომ ერთსულოვნად გადაწყვიტა, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევას.

თავდაპირველად სასამართლომ საქმის წარმოებიდან ამოიღო რამდენიმე ფოტო, რომლებზეც მოსარჩელე გადაღებული იყო თავის შვილებთან და მსახიობ მამაკაცთან ერთად რესტორნის შორეულ კუთხეში. აღარ წარმოადგენდა განხილვის საგანს, ვინაიდან ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ აკრძალა მათი ნებისმიერი დამატებითი გამოქვეყნება იმ მოტივით, რომ ისინი ხელყოფს მოსარჩელის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას.

რაც შეეხება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას, სასამართლომ თავდაპირველად მიმოიხილა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის კონცეფცია და აღნიშნა, რომ იგი შედეგება მრავალი ელემენტისგან, მათ შორის, პირის ფსიქიკური და ფიზიკური მდგომარეობისაგან, მისი იდენტიფიკაციისა და სხვა ელემენტებისგან. სასამართლოს აზრით, გერმანიის რამდენიმე ჟურ-

ნალის მიერ მოსარჩელის ფოტოების გამოქვეყნება, რომლებზეც იგი გამო-სახული იყო ყოველდღიური ცხოვრებისას ცალკე თუ სხვა პირებთან ერთად, მართლაც შედიოდა მოსარჩელის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის კატეგორიაში. შესაბამისად, მოქმედებდა კონვენციის მე-8 მუხლი.

აქედან გამომდინარე, აუცილებელი იყო მოსარჩელის პირადი ცხოვრების უფლების დაბალანსება გამოხატვის თავისუფლებით, რაც კონვენციის მე-10 მუხლით არის გარანტირებული.

სასამართლომ აქვე აღნიშნა, რომ გამოხატვის თავისუფლება ვრცელ-დება ფოტოების გამოქვეყნებაზეც, მაგრამ ეს ის სფეროა, სადაც სხვათა უფლებებისა და რეპუტაციის დაცვას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან იგი ეხება არა „იდევებს“, არამედ ისეთი გამოსახულებე-ბის გავრცელებას, რომლებიც შეიცავს მეტად პირადულ ან სულაც ინტიმურ „ინფორმაციას“ ინდივიდის შესახებ. უფრო მეტიც, ყვითელ პრესაში გამოქ-ვეყნებული ფოტოების გადაღება ხდებოდა მუდმივი გაღიზიანების გარე-მოში, რაც შესაბამისი პირისათვის იწვევდა პირად ცხოვრებაში ჩარევის ან დევნის გამძაფრებულ შეგრძნებას.

სასამართლომ მიიჩნია, რომ პირადი ცხოვრების დაცვისა და გამოხატვის თავისუფლებას შორის დაბალანსების გადამწყვეტ ფაქტორს წარმოადგენდა ის, თუ რა ადგილი ეჭირა გამოქვეყნებულ ფოტოებს და სტატიებს საჯარო ინტერესსა და საჯარო დებატებში. მოცემულ საქმეში გაზეთებში გამოსა-ხული იყო კაროლინ ფონ ჰანოვერის ყოველდღიური ყოფითი ცხოვრების სცენები, რომლებიც აშკარად პირადი ხასიათისა იყო. ამ მიმართებით, სასამართლომ გაითვალისწინა გარემოებები, რომლებშიც ფოტოები გადა-იღეს – მოსარჩელის ცოდნისა და თანხმობის გარეშე და ზოგ შემთხვევაში ფარულად. სასამართლომ დაადგინა, რომ ამ ფოტოების გამოქვეყნებას არანაირი წვლილი არ შეაქვს საჯარო დებატებში, ვინაიდან მოსარჩელე ოფიციალურ ფუნქციას არ ახორციელებს და ფოტოები და სტატიები ექს-კლუზიურად მისი პირადი ცხოვრების დეტალებს ეხება. სასამართლომ აღ-ნიშნა, რომ, მიუხედავად ყველაფრისა, საზოგადოებას აქვს ინფორმაციის მიღების უფლება, რაც დემოკრატიულ საზოგადოებაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უფლებაა. ეს უფლება არსებობს განსაკუთრებულ შემთხვე-ვებში საჯარო პირების პირადი ცხოვრების შესახებაც. მაგრამ ამ საქმეში მოცემული ფაქტები ასეთი დასკვნის საშუალებას არ იძლევა: საზოგადოებას არ ჰქონდა ლეგიტიმური ინტერესი სცოდნოდა, თუ სად იყო კაროლინ ფონ ჰანოვერი, ან როგორ იქცეოდა იგი საერთოდ პირად ცხოვრებაში, იმ შემთხ-ვევაშიც კი, თუ ის გამოჩნდებოდა ისეთ ადგილებში, რომელიც განცალკე-ვებული არ იყო და საზოგადოებისათვის იყო ცნობილი. იმ შემთხვევაშიც კი, თუ არსებობდა ამგვარი ინტერესი, მაგალითად, ფოტოებისა და სტატი-

ების ჟურნალებში გამოქვეყნების კომერციული ინტერესი, სასამართლოს აზრით, ეს ინტერესები უნდა გადაეფარა მოსარჩელის მიერ პირადი ცხოვრების ეფექტურად დაცვის უფლებას.

სასამართლომ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი პირადი ცხოვრების დაცვის ფუნდამენტურ მნიშვნელობას ყოველი ადამიანის პიროვნების განვითარების თვალსაზრისით და აღნიშნა, რომ ყველას, მათ შორის საზოგადოებაში ცნობილ პირებს, უნდა ჰქონდეთ „ლეგიტიმური მოლოდინი“, რომ დაცული იქნება მათი პირადი ცხოვრება. კრიტიკიუმში, დადგენილი შიდა სასამართლოების მიერ თანამედროვე საზოგადოების გამოჩენილი ფიგურის განსახვავებლად საჯარო პირისაგან, არ იყო საკმარისი მოსარჩელის პირადი ცხოვრების ეფექტურად დაცვისათვის და მას მოცემულ გარემოებებში უნდა ჰქონოდა „ლეგიტიმური მოლოდინი“, რომ მისი პირადი ცხოვრება დაცული იქნებოდა.

ზემოაღნიშნული ფაქტების გათვალისწინებით და ამ სფეროში სახელმწიფოების თავისუფალი განსაზღვრის პრინციპის მიუხედავად, სასამართლომ მიიჩნია, რომ გერმანიის სასამართლოებმა სამართლიანად ვერ დააბალანსეს ურთიერთდაპირისპირებული ინტერესები. შესაბამისად, მან დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევას და არ არსებობდა გადაწყვეტილების გამოტანის საჭიროება ოჯახური ცხოვრების უფლების დარღვევასთან დაკავშირებით.

ჰალფორდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ 1997

ფაქტები:

1983 წელს ელისონ ჰალფორდი დაინიშნა მერსისაიდის პოლიციის უფროსის თანაშემწედ. ამ დანიშვნით იგი გაერთიანებულ სამეფოში ყველაზე მაღალი თანამდებობის პირი ქალი გახდა. შემდგომი შვიდი წლის განმავლობაში ჰალფორდი რვაჯერ ეცადა პოლიციის უფროსის მოადგილის თანამდებობაზე გადასვლას, მაგრამ უშედეგოდ. 1990 წელს მან სარჩელი შეიტანა პოლიციის უფროსისა და შინაგან საქმეთა მდივნის (რომელსაც მისი დანიშვნა უნდა დაემტკიცებინა) წინააღმდეგ სქესობრივი დისკრიმინაციის ბრალდებით. ჰალფორდი დაობდა, რომ მის წინააღმდეგ კამპანია გააჩაღეს, რომლის ფარგლებშიც მის სატელეფონო საუბრებს უსმენდნენ, პრესას მისი საწინააღმდეგო ინფორმაციას აწვდიდნენ და მისი დისციპლინარული დევნა დაიწყეს. დევნის შედეგად 1991 წელს ჰალფორდს უფლებამოსილება შეუნ-

ყვიტეს. ჰალფორდმა გაასაჩივრა დისციპლინარული სასჯელი, რასთან დაკავშირებითაც სასამართლომ დაადგინა, რომ პოლიციის უფროსი და საპოლიციო ტრიბუნალი, რომელმაც თავდაპირველად განიხილა სარჩელი, არასამართლიანად მოქმედებდნენ. სქესობრივი დისკრიმინაციის სარჩელი 1992 წელს შეწყდა მას შემდეგ, რაც პოლიციის უფროსმა ეს გრატია ზიანი აუნაზღაურა ჰალფორდს 10000 ფუნტის ოდენობით, ხოლო შინაგან საქმეთა მდივანმა 5000 ფუნტის ოდენობით.

ქალბატონმა ჰალფორდმა ევროპის ადამიანის უფლებების კომისიაში სარჩელი შეიტანა, სადაც დაობდა, რომ მის მიმართ დაირღვა კონვენციის მერვე მუხლი, რადგან მის სამსახურებრივ და საშინაო სატელეფონო საუბრებს უსმენდნენ მის წინააღმდეგ სამხილის შეგროვების მიზნით.

ევროპის ადამიანის უფლებების სასამართლოს გადაწყვეტილება

სახელმწიფოს წარმომადგენელი დაობს, რომ ჰალფორდს სამსახურებრივ ტელეფონთან დაკავშირებით არ გააჩნია პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის გონივრული მოლოდინი. შესაბამისად, სამსახურებრივი ტელეფონით საუბრებზე არ ვრცელდება კონვენციის მერვე მუხლი. ამავე წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დამქირავებელს დაქირავებულისათვის წინასწარი შეტყობინების გარეშე უფლება აქვს ჩაატაროს მისი სატელეფონო საუბრების მონიტორინგი. სასამართლო თვლის, რომ მისი წინა გადაწყვეტილებებიდან ნათელია, რომ სამსახურებრივი ტელეფონით განხორციელებული საუბრები შეიძლება მოექცეს კონვენციის მერვე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ „პირადი ცხოვრების“ და „მიმოწერის/კორესპონდენციის“ ცნებაში.¹¹⁵ საქმეში არ არსებობს არანაირი მტკიცებულება, რომელიც დადასტურებდა, რომ ქალბატონი ჰალფორდი წინასწარ გააფრთხილეს იმის თაობაზე, რომ არსებობდა მისი სატელეფონო საუბრების მონიტორინგის შესაძლებლობა. ჰალფორდს ჰქონდა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის გონივრული მოლოდინი სამსახურებრივ ტელეფონებთან დაკავშირებით, რაც შემდეგი ფაქტორებით მტკიცდება: 1. ოფისს, სადაც იგი მუშაობდა, მხოლოდ ჰალფორდი იყენებდა და სხვა არავინ; 2. ჰალფორდის ოფისში ორი ტელეფონი იდგა, აქედან ერთ-ერთი ექსკლუზიურად მისი კერძო საუბრებისთვის იყო განკუთვნილი; 3. ჰალფორდს, მემორანდუმის თანახმად, ნება დართეს გამოეყენებინა სამსახურებრივი ტელეფონი სქესობრივი დისკრიმინაციის საქმის წარმოებისათვის. სასამართლო ადგენს, რომ ჰალფორდმა წარმოადგინა საკმარისი მტკიცებულება იმისათვის, რომ არსებობდა მისი სატელეფონო საუბრების მოსმენის ალბათობა, რასაც სახელმწიფოს

¹¹⁵ Klass and others v. Germany. Malone v. UK; Neimetz v. Germany

წარმომადგენელი ეთანხმება. ასეთი მონიტორინგი წარმოადგენს კონვენციის მერვე მუხლით დადგენილ „სახელმწიფო დაწესებულების მიერ კონტროლს“. ამის შემდეგ სასამართლო უნდა დარწმუნდეს, იყო თუ არა ამგვარი კონტროლი და ჩარევა კანონით დადგენილი. სასამართლო ადგენს, რომ კანონით არ არის გათვალისწინებული შიდა საკომუნიკაციო ქსელით განხორციელებულ ზარებზე კონტროლისა და მონიტორინგის შესაძლებლობა. შესაბამისად, ჩარევა არ არის დადგენილი გაერთიანებული სამეფოს კანონმდებლობით. შესაბამისად, სასამართლო ადგენს, რომ სამსახურებრივი ტელეფონით საუბრებთან დაკავშირებით დარღვეულია კონვენციის მერვე მუხლი.

რაც შეეხება საცხოვრებელი სახლის ტელეფონიდან განხორციელებულ საუბრებს, სასამართლომ არაერთხელ დაადგინა, რომ ისინი დაცულია კონვენციის მერვე მუხლით. შესაბამისად, ჰალფორდის საჩივრის ამ ნაწილზე ევროპული კონვენცია ვრცელდება.

ამასთან დაკავშირებით, სასამართლო არ დაკმაყოფილდა მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით, რომლის თანახმადაც იგი დაობს, რომ მისი საცხოვრებელი სახლის სატელეფონო საუბრებიც ისმინებოდა. ამასთან, სახელმწიფოს წარმომადგენელი უარს ამბობს, წარმოადგინოს მტკიცებულებები, რადგან სატელეკომუნიკაციო ტრიბუნალის გადაწყვეტილება კონფიდენციალურია. სასამართლო თვლის, რომ ამ შემთხვევაში მტკიცებულებების არასაკმარისობის გამო კონვენციის მერვე მუხლი არ დარღვეულა.

სასამართლოს გადაწყვეტილება:

1. სასამართლომ ერთხმად დაადგინა, რომ მერვე მუხლი ვრცელდება როგორც სამსახურებრივ, ასევე საცხოვრებელი სახლის სატელეფონო საუბრებზე;

2. სასამართლომ ერთხმად დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მერვე მუხლი სამსახურებრივ სატელეფონო საუბრებთან დაკავშირებით;

3. სასამართლომ ერთხმად დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მერვე მუხლი საცხოვრებელი სახლიდან განხორციელებულ სატელეფონო საუბრებთან დაკავშირებით;

4. სასამართლომ ერთხმად დაადგინა, რომ სახელმწიფომ ქალბატონ ჰალფორდს უნდა გადაუხადოს 10600 ფუნტი.

ლამბერტი საფრანგეთის წინააღმდეგ
1998

ფაქტები:

ბატონი ლამბერტი საფრანგეთის მოქალაქე და რეზიდენტი გახლდათ. 1991 წელს სასამართლო იძიებდა ქურდობის, ყაჩაღობის და იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონოდ ფლობის საქმეებს, რომელთა ფარგლებშიც გამოძიების მოსამართლემ ჟანდარმერიას დაავალა მოესმინა ვინმე ლ.ბ.-ს. სატელეფონო საუბრები 1991 წლის 11 დეკემბრიდან 1992 წლის 31 იანვრამდე. გამოძიების მოსამართლემ ამ ვადის გასვლის შემდეგ სტანდარტული ფორმის გამოცემის შემდეგ ვადა გააგრძელა 1992 წლის 31 მაისამდე. მოსმენების შედეგად მოსარჩელე ლამბერტი დააკავეს და ბრალი წაუყენეს ქურდობისთვის დამამძიმებელ გარემოებებში. მოგვიანებით იგი სასამართლო ზედამხედველობის ქვეშ გაათავისუფლეს. მომდევნო წლის 5 აპრილს მოსარჩელის ადვოკატმა სასამართლოში შეიტანა სარჩელი, სადაც ტელეფონის მოსმენის უკანონობის თაობაზე დაობდა. მოსარჩელე აცხადებდა, რომ ტელეფონის მოსმენის ვადის გაგრძელება უკანონოა, რადგან სტანდარტულ ფორმაში არ არის სათანადოდ დასაბუთებული ტელეფონის მოსმენის გაგრძელების საკითხი და 4-თვიანი ვადა, რომლის შემდეგაც, კანონის მიხედვით, მოსმენა უნდა შეწყდეს, 1992 წლის 11 აპრილს ამოიწურა. რიონის სააპელაციო სასამართლომ ბატონი ლამბერტის სარჩელი განიხილა და არ დააკმაყოფილა, რის შემდეგაც ლამბერტის ადვოკატმა საკასაციო სასამართლოს მიმართა.

საკასაციო სასამართლომ გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ ბატონი ლამბერტს არ ჰქონდა სარჩელის შეტანის უფლება, რადგან ტელეფონი, რომელსაც უსმენდნენ, არ იყო მისი საკუთარი.

ლამბერტმა ევროპის ადამიანის უფლებების სასამართლოს მიმართა, სადაც დაობდა, რომ დაირღვა ევროპის ადამიანის უფლებების კონვენციის მერვე და მეცამეტე მუხლები.

ევროპის ადამიანის უფლებების სასამართლოს გადაწყვეტილება

სასამართლოს წინაშე სახელმწიფოს წარმომადგენელი დაობს, რომ ბატონი ლამბერტის სარჩელი არ უნდა იქნეს დაშვებული, რადგან ის სარჩელის შეტანისათვის სათანადო მოსარჩელე არ გახლავთ. ბატონი ლამბერტი კი დაობს, რომ მესამე პირის სატელეფონო საუბრების მოსმენით დაირღვა მისი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა. სასამართლო კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმ პრინციპს, რომ სატელეფონო საუბრები დაცულია კონვენციის მერვე მუხლით. ამრიგად, სასამართლო თვლის, რომ უდავოა, რომ ადგილი

აქვს ჩარევას ბატონი ლამბერტის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაში. ამ საქმეში მნიშვნელობა არა აქვს იმ ფაქტს, რომ იმ ტელეფონის ნომერს უსმენდნენ, რომელიც ბატონ ლამბერტს არ ეკუთვნოდა.

ა) კანონით დადგენილი

სასამართლო სადავოდ არ ხდის საკითხს, რომ ტელეფონის მოსმენა კანონით იყო დადგენილი. გამოძიების მოსამართლემ იხელმძღვანელა საფრანგეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით და გამოსცა ვინმე R.B.-ის ტელეფონის მოსმენის ბრძანება. საფრანგეთის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა დეტალურად აღწერს ტელეფონის მოსმენის განხორციელების საფუძვლებს და მისი ჩატარების პროცედურას. შესაბამისად, სასამართლო სადავოდ არ ხდის კანონმდებლობის ხარისხს, რაც მის ვინრო ფორმულირებასა და განჭვრეტადობაში ვლინდება.

ბ) აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში

სასამართლო იზიარებს სახელმწიფოსა და ადამიანის უფლებების კომისიის აზრს, რომ ჩარევას ჰქონდა ლეგიტიმური მიზანი, რაც ამ საქმეში დანაშაულის აღმოფხვრა გახლავთ. გადანწყვეტილებაში კლასი და სხვები გერმანიის წინააღმდეგ¹¹⁶ სასამართლომ დაადგინა, რომ იმისათვის, რათა სასამართლო დარწმუნდეს, რომ სატელეფონო მოსმენასთან დაკავშირებული სისტემა ადეკვატურია, აუცილებელია, რომ ქვეყნის შიდა კანონმდებლობაში არსებობდეს დაცვის გარკვეული მექანიზმები. ეს მექანიზმები, სხვათა შორის, მოიცავს ასეთი ზომების გასაჩივრების უფლებასაც.

ამასთან, საზედამხედველო მექანიზმებში დემოკრატიისა და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპები ზედმიწევნით უნდა იყოს დაცული. ეს ორივე პრინციპი ხაზგასმულია კონვენციის პრეამბულაში. სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი, *ინტერ ალია*, ნიშნავს, რომ სახელმწიფო ორგანოების მიერ მის უფლებებში ჩარევისას ინდივიდს უნდა ჰქონდეს ეფექტური კონტროლის მექანიზმების გამოყენების საშუალება. მოსარჩელე დაობს, რომ მას ასეთი ეფექტური კონტროლის მექანიზმების გამოყენების უფლება წაერთვა საკასაციო სასამართლოს გადანწყვეტილებით. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია საფრანგეთის საკასაციო სასამართლოს გადანწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი, რითაც ბატონ ლამბერტს უარი ეთქვა სარჩელის განხილვაზე. გადანწყვეტილების თანახმად, ბატონ ლამბერტს არ გააჩნდა მოსარჩელის სათანადო სტატუსი, რადგან იგი დაობდა იმ ტელეფონის მოსმენის არაკანონიერებაზე რომელიც მას არ ეკუთვნოდა, თუმცა ლამბერტმა ის რამდენჯერმე გამოიყენა (რის საფუძველზეც მას ბრალი წაუყენეს). სასამართლო ადგენს, რომ ბატონმა ლამბერტმა გამოიყენა ეფექტური კონტრო-

¹¹⁶ *klaas and others v. Germany*

ლის მექანიზმი რიონის სააპელაციო სასამართლოში, რომელმაც დაადგინა, რომ გამოძიების მოსამართლემ კანონიერად გააგრძელა ტელეფონის მოსმენის ვადა, თუმცა სააპელაციო სასამართლომ იქვე ისიც აღნიშნა, რომ მისი ფუნქცია არ არის შიდა კანონმდებლობის ინტერპრეტაცია, რომელიც ეროვნული სასამართლოების ფუნქციას წარმოადგენს. საკასაციო სასამართლომ კი, რომელიც მთელი საფრანგეთის მასშტაბით კანონის დაცვის უმაღლესი გარანტია, გააკრიტიკა სააპელაციო სასამართლო იმისათვის, რომ მან ბატონი ლამბერტის საქმე არსებითად განიხილა. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილების დაკანონება იმას ნიშნავს, რომ მის შემდეგ ბევრ სხვა ამგვარ გადაწყვეტილებას მიიღებენ, რომლითაც უამრავ ადამიანს კანონით დაცვის უფლება აღარ ექნება. კერძოდ კი მათ, ვინც სხვისი ტელეფონით სარგებლობს. საფრანგეთის შიდა კანონმდებლობა დისკრიმინაციას არ ახდენს მესამე პირების მიერ ტელეფონით სარგებლობის შემთხვევებში.

სასამართლო ერთხმად ადგენს, რომ ბატონი ლამბერტის მიმართ დაირღვა ადამიანის უფლებების კონვენციის მერვე მუხლი.

ჩაპელი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, 1989

ფაქტები:

ბატონი ჩაპელი 1980 წლიდან 1981 წლის აპრილამდე სათავეში ედგა კომპანიას, რომელიც ვიდეოკასეტებზე ინერდა ფილმებს და თავისი კლუბის წევრებს სთავაზობდა. კომპანიის კლუბს 400 წევრი ჰყავდა. კლუბის მიერ შემოთავაზებულ ფილმთა უმეტესობა ჩანერილი იყო საავტორო უფლებების დარღვევით. მაგრამ ბატონი ჩაპელი აცხადებდა რომ თავისმა ადვოკატმა იგი დაარწმუნა, რომ ჩანანერები კანონიერი იყო. კლუბის არსებობის შესახებ შეიტყო რამდენიმე გაერთიანებამ, რომელიც ფილმების პროდიუსერთა ინტერესებსა და საავტორო უფლებებს იცავდა. მათ დაიქირავეს კერძო დეტექტივი, ყოფილი პოლიციელი, რომელმაც მათ აცნობა, რომ კლუბი საავტორო უფლებებს არღვევდა. ამის შემდეგ გაერთიანების წარმომადგენლებმა სარჩელი შეიტანეს კლუბის წინააღმდეგ და მოითხოვეს სარჩელის წინასწარი უზრუნველყოფა. სასამართლომ კლუბის წინააღმდეგ გამოსცა ე.წ. „ენტონ პილერის ბრძანება“ („anton piller order“) ბრძანებას საფუძვლად ედო ორი პირის ჩვენება: ერთი – გამოძიებლის, რომელიც მოსარჩელემ დაიქირავა და მეორე – მათი ადვოკატისა. კლუბის წარმომადგენლებმა არ იცოდნენ სარჩელის შეტანისა და მისი უზრუნველყოფის ზომების შესახებ, რაც გაერთიანებულ სამეფოში ამგვარ საქმეებში მიღებული პრაქტიკაა.

„ენტონ პილერის ბრძანება“ სამოქალაქო საქმეებში სარჩელის შეტანისას მტკიცებულებების უზრუნველყოფის ერთ-ერთი საშუალებაა, რომლის მისაღებადაც საჭიროა, რომ მოსარჩელემ დაასაბუთოს გარემოებები, რომლებიც განამტკიცებს სასარჩელო მოთხოვნებს და უჩვენოს, რომ სარჩელი, სავარაუდოდ, წარმატებული იქნება არსებითი განხილვისას; მოსარჩელისათვის პოტენციური და მატერიალური ზარალი დიდია და რომ არსებობს მტკიცებულებები იმის გასამაგრებლად, რომ უზრუნველსაყოფი ნივთები მოპასუხის მფლობელობაშია. „ენტონ პილერის ბრძანებების“ გაცემისას სასამართლო სხდომას არ ესწრება მოპასუხე, რომელსაც ბრძანებას მხოლოდ მისი აღსრულებისას აცნობენ. ინგლისის კანონმდებლობით, რადგან ასეთი ბრძანებები სამოქალაქო საქმეებში გამოიყენება, მოპასუხე არ არის ვალდებული თავის კერძო საკუთრებაში შეუშვას მოსარჩელე. მას აქვს უფლება, რომ საპასუხო შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს, თუმცა არსებობს საფრთხე, რომ, თუ მოპასუხე ბრძანებას არ დაემორჩილება, ის შეიძლება დამნაშავედ ცნონ სასამართლოს უპატივცემულობისათვის. ბრძანების აღსრულებისას შესაძლებელია პოლიცია შენობის გარეთ განლაგდეს, რათა აღკვეთოს შესაძლო დარღვევები, თუმცა მას ეკრძალება მონაწილეობა მიიღოს ბრძანების აღსრულებაში. მოპასუხეს, რომლის წინააღმდეგაცაა გაცემული ბრძანება, მოსარჩელის ადვოკატმა 1. უნდა გააცნოს ბრძანება მისთვის გასაგებ ენაზე; 2. უნდა აცნობოს, რომ მას აქვს ადვოკატის დახმარების უფლება; 3. უნდა უპასუხოს კითხვებს, რომლებიც მოპასუხეს აქვს; 4. უნდა შეადგინოს დაყადაღებული მტკიცებულებების სია; 5. უნდა გამოიყენოს შეგროვილი მტკიცებულებები მხოლოდ იმ სამოქალაქო საქმეში, რომლისთვისაც არის გაცემული ბრძანება; 6. სრულად უნდა გააკონტროლოს ბრძანების აღსრულების პროცესი და მისი კანონიერება.

მოცემულ საქმეში მოსარჩელის მიერ დაქირავებული კერძო დეტექტივი ბრძანების აღსრულებამდე კლუბში მივიდა როგორც ერთ-ერთი მომხმარებელი და რამდენიმე ფილმი წამოიღო. მან იქ ყოფნისას შენიშნა, რომ კლუბში ჰქონდათ პორნოგრაფიული ფილმებიც. ამის შემდეგ მან ეს პოლიციას აცნობა და შესთავაზა „ენტონ პილერის ბრძანებისა“ და პოლიციის მიერ პორნოგრაფიული მასალებისათვის ჩხრეკის ერთობლივად ჩატარება, რის შესახებაც მოსამართლისათვის არ უცნობებიათ. პოლიციამ მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე და უხამსი მასალების შესახებ კანონით მოიპოვა ჩხრეკის ორდერი. 1981 წლის 2 მარტს, კლუბში გამოცხადდნენ პოლიციისა და მოსარჩელის წარმომადგენლები. მოსარჩელის წარმომადგენლები, მოტყუებით, თითქოს კლუბის წევრები იყვნენ, შევიდნენ შენობაში და ბატონ ჩაპელს „ენტონ პილერის ბრძანება“ წარუდგინეს. ამის შემდეგ პოლიციაც შევიდა შენობაში და ჩხრეკა დაიწყო. პოლიციამ 274 ნივთი ამო-

ილო, უმეტესად ვიდეოკასეტები, რომელთა შესახებაც შეადგინა სათანადო დოკუმენტი ნივთების ჩამონათვალით. ამ დროს ბატონი ჩაპელის ადვოკატი ადგილზე არ გახლდათ. პოლიციის მიერ ჩატარებული ჩხრეკის შემდეგ მოსარჩელემ დაიწყო ჩხრეკა, რის შედეგადაც ამოიღეს 377 ვიდეოკასეტა, რომელიც საავტორო უფლებების დარღვევით იყო ჩაწერილი. ამის შემდეგ გაიჩხრიკა ბატონი ჩაპელის სამუშაო ოთახი. მას ნება არ დართეს, გამოეცალკეებინა თავისი პირადი დოკუმენტები, რომლებიც საქმეს არ ეხებოდა. დოკუმენტების ნაწილი მისი ოთახიდან გაიტანეს, რის შესახებაც არ შემდგარა სათანადო ოქმი ამ დოკუმენტების ჩამონათვალით. ამის შემდეგ პოლიციამ ნება დართო მოსარჩელეებს, დაეთვალიერებინათ პოლიციის ჩხრეკის შედეგად მიღებული ნივთები და დოკუმენტები და ასლები გადაეღოთ.

შიდა სასამართლოებში ბატონი ჩაპელის სარჩელი წარუმატებელი აღმოჩნდა, რის შემდეგაც მან ევროპის ადამიანის უფლებების სასამართლოს მიმართა, სადაც დაობდა, რომ მის მიმართ დაირღვა კონვენციის მერვე მუხლი.

ევროპის ადამიანის უფლებების სასამართლოს გადაწყვეტილება:

სასამართლოს წინაშე სახელმწიფოს წარმომადგენელი სადავოდ არ ხდის, რომ ადგილი ჰქონდა ჩარევას ბატონი ჩაპელის უფლებებში, რომლებიც მერვე მუხლითაა დაცული. თავის მხრივ, არც ბატონი ჩაპელი ხდის სადავოდ იმ ფაქტს, რომ ჩარევას ლეგიტიმური მიზანი ჰქონდა, კერძოდ, სხვისი უფლებების დაცვა – ფილმების პროდიუსერთა გაერთიანების წევრთა საავტორო უფლებებისა. შესაბამისად, სასამართლო არ მსჯელობს ამ ორ საკითხზე და განიხილავს, თუ რამდენად იყო ჩარევა კანონით დადგენილი და „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“.

ა) კანონით დადგენილი

სასამართლომ წინა გადაწყვეტილებებით დაადგინა, რომ სიტყვა „კანონი“ მოიცავს როგორც დაწერილ, ასევე დაუწერილ ჩვეულებითი სამართლის ნორმებს. მეორე პრინციპი, რომელიც კომისიამ და სასამართლომ დაადგინეს, არის ის, რომ ჩარევას უნდა ჰქონდეს გარკვეული სამართლებრივი საფუძველი ქვეყნის შიდა კანონმდებლობაში. ეს მოთხოვნა, თავის მხრივ, ორ მოთხოვნას უნდა აკმაყოფილებდეს: პირველი, კანონი ხელმისაწვდომი უნდა იყოს მოქალაქისათვის, რომ მან განსაზღვროს, თუ რა ქმედებაა ადეკვატური ამა თუ იმ გარემოებაში. მეორე, კანონი ზუსტად უნდა იყოს ფორმულირებული, რომ მოქალაქეს შეეძლოს მიახლოებით მაინც განსაზღვროს თავისი ქმედების შედეგები.

ბატონი ჩაპელი სასამართლოს წინაშე დაობს, რომ მის კონკრეტულ საქმეში კანონიერი არ იყო „ენტონ ჰილერის ბრძანების“ გამოცემა და აღსრუ-

ლება. ამ არგუმენტის გასამაგრებლად იგი აცხადებს (მისი ეს განცხადებები გაიზიარა ადამინის უფლებების კომისიის წევრთა უმცირესობამ):

ა) ფილმის პროდიუსერთა გაერთიანების წარმომადგენელთა მიერ მოსამართლისათვის ბრძანების აღსრულების ზუსტი თარიღის და გარემოებების შესახებ ინფორმაციის დაფარვა;

ბ) ბრძანების აღსრულებისას კერძო დეტექტივის მიერ კლუბში მოტყუებით შესვლა;

ც) პოლიციისა და ფილმის პროდიუსერთა გაერთიანების მიერ ჩხრეკის ერთობლივი განხორციელება, რამაც ბატონ ჩაპელს ხელი შეუშალა იმაში, რომ ზედამხედველობა გაენია ჩხრეკის პროცესისთვის (ჯამში მის ოფისს 16 კაცი ჩხრეკდა);

დ) ჩხრეკის დროს ბატონი ჩაპელისათვის იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობის არარსებობა;

ე) ჩხრეკისას ამოღებული ნივთების სრული ჩამონათვალისა და სათანადო ოქმის არარსებობა;

ფ) მისი პირადი დოკუმენტების ამოღება;

გ) ჩხრეკის შემდეგ ფილმის პროდიუსერთა გაერთიანების წარმომადგენელთა მიერ პოლიციის მიერ ამოღებული ნივთების დათვალიერება და ასლების გადაღება.

ინგლისში სასამართლო განხილვისას მოსამართლემ დადგინა, რომ ბატონ ჩაპელს არ ცნობენ დამნაშავედ სასამართლოს უპატივცემულობისათვის, როდესაც მან უარი განაცხადა გარკვეული დოკუმენტების სასამართლოსათვის გადაცემაზე, რადგან ფილმის პროდიუსერთა გაერთიანებამ სასამართლოს არ აცნობა პოლიციის მიერ ჩხრეკის ერთობლივად ჩატარების შესახებ. ამასთან, სასამართლომ განიხილა ბატონ ჩაპელის პირველი სამი საჩივარი და აღნიშნა, რომ მათი შეუსრულებლობა კანონის მიხედვით არ იწვევს ბრძანების ბათილობას. ევროპის სასამართლო ეთანხმება ბრიტანეთის უმაღლეს სასამართლოს. რაც შეეხება ჩაპელის არგუმენტს, რომ ბრიტანული კანონი ანტონ პილერის ბრძანებებთან დაკავშირებით არ არის ხელმისაწვდომი, რადგან იგი ამორფულია, სასამართლო არ იზიარებს. სასამართლო მხედველობაში იღებს იმ ფაქტს, რომ ბოლო დროს ბრიტანეთში მოხდა ამ ბრძანებების შესახებ წესების უნიფიცირება. მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი უნიფიკაცია კვლავ იძლევა გარკვეული დისკრეციის შესაძლებლობას, ის სასამართლოს მიერ ხორციელდება და საფრთხეს არ წარმოადგენს. სასამართლო ადგენს, რომ ჩარევა კანონით იყო დადგენილი.

ა) „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“

ყოველივე ზემოხსენებულის საფუძველზე სასამართლო ადგენს, რომ, მიუხედავად გარკვეული დარღვევისა, რამაც სირთულეები შეუქმნა ბატონ

ჩაპელს, ისინი არ იყო იმდენად სერიოზული, რომ ბრძანების აღსრულება ამ შემთხვევაში იმ მიზნის არაპროპორციულად ჩაითვალოს, რასაც ბრძანება ემსახურებოდა.

სასამართლო ერთხმად ადგენს, რომ ბატონი ჩაპელის მიმართ არ დარღვეულა ევროპის ადამიანის უფლებების კონვენციის მერვე მუხლი.

გასკინი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ 1989

ფაქტები:

მოსარჩელე გასკინი, მას შემდეგ, რაც დედა გარდაეცვალა, 2 წლის ასაკში ლივერპულის ქალაქის საბჭოს მეურვეობას გადაეცა. ჩგასკინი მეურვეობაში 18 წლამდე იყო. ამ ხნის განმავლობაში იგი რამდენჯერმე გააშვილეს. ლივერპულის ქალაქის საბჭო კი, როგორც კანონით იყო დადგენილი, გასკინის შესახებ ინფორმაციას აგროვებდა და ინახავდა. ეს ინფორმაცია მოიცავდა ჩანაწერებს და მოხსენებებს ექიმებისაგან, მასწავლებლებისგან, პოლიციისგან, პრობაციის ოფიცრებისგან, სოციალურ მუშაკთაგან, სკოლისა და მშვილელის ოჯახისაგან. მოგვიანებით გასკინმა მოითხოვა ამ ინფორმაციის გამჟღავნება, რადგან დაობდა, რომ მას უკანონოდ ექცეოდნენ მეურვეობაში ყოფნის დროს. გასკინმა მოითხოვა მის შესახებ არსებული ინფორმაციის გამჟღავნება, რათა აღეძრა სარჩელი საბჭოს წინააღმდეგ. სააპელაციო სასამართლოში მოსამართლემ საჯარო ინტერესის საფუძველზე მას დოკუმენტების გამჟღავნებაზე უარი განუცხადა.

გასკინმა ევროპის ადამიანის უფლებების სასამართლოს მიმართა, სადაც დაობდა, რომ მის წინააღმდეგ დაირღვა კონვენციის მერვე და მეთათე მუხლებით გარანტირებული უფლებები.

ევროპის ადამიანის უფლებების სასამართლოს გადაწყვეტილება:

სასამართლომ დაადგინა, რომ გაერთიანებული სამეფოს მთავრობა გასკინისთვის ინფორმაციის გამჟღავნებაზე უარის თქმით არ ჩარეულა მოსარჩელის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაში, თუმცა ამ შემთხვევაში გასარკვევია, ხომ არ დაურღვევია გაერთიანებული სამეფოს მთავრობას თავისი პოზიტიური ვალდებულებები ევროპის კონვენციის წინაშე. უდავოა, რომ ამგვარი დოკუმენტების კონფიდენციალურობა ხელს უწყობს გაერთიანებულ სამეფოში ბავშვთა დაცვის პროგრამების ფუნქციონირებას. ასეთი ზომა იცავს არა მხოლოდ დოკუმენტების ავტორებს, არამედ თავად ამ ბავშვის ინტერესებსაც ემსახურება.

სასამართლო ადგენს, რომ ბატონი გასკინისათვის ამ ინფორმაციის გამჟღავნებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ამის შედეგად მას ეცოდინებოდა თავისი ბავშვობის, გონებრივი განვითარების და განათლების შესახებ. ბრიტანული სისტემა, რომელიც ინფორმაციის გამჟღავნებას მხოლოდ იმ შემთხვევაში ითვალისწინებს, როდესაც დოკუმენტის ავტორის თანხმობა არსებობს, კონვენციის მერვე მუხლს შეესაბამება. ამასთან, სახელმწიფოებს ამ მხრივ გარკვეული დისკრეციული უფლებები აქვთ. თუმცა სასამართლო ითვალისწინებს იმ გარემოებებსაც, რომლის თანახმადაც ინფორმაციის გამჟღავნება უნდა მოხდეს იმ შემთხვევაში, როდესაც დოკუმენტის ავტორის უარი დაუსაბუთებელია. სისტემაში ასევე უნდა არსებობდეს დამოუკიდებელი ორგანოსადმი მიმართვის უფლებაც, რომელიც გადაწყვეტს, უნდა გამჟღავნდეს თუ არა ინფორმაცია.

სასამართლო ადგენს, რომ ბატონი გასკინის მიმართ დარღვეულია ადამიანის უფლებების კონვენციის მერვე მუხლი.

სილვერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ 1983

ფაქტები:

წინამდებარე საქმეში შვიდი მოსარჩელე, მათ შორის ბატონი სილვერი, დაობს, რომ ციხის საპყრობილის ადმინისტრაციის მიერ მათი პირადი კორესპონდენციის მათთვის გადაცემის შეჩერება და დაყოვნება არღვევს ევროპის ადამიანის უფლებების კონვენციის მერვე მუხლს. მოსარჩელები დაობენ, რომ გაერთიანებულ სამეფოში მათ ხელი არ მიუწვდებათ არანაირ ეფექტურ მექანიზმზე, რომლის მეშვეობითაც ისინი დაიცავდნენ თავის უფლებებს. მოსარჩელები ასევე დაობენ, რომ მათ უარი უთხრეს საქმის გაერთიანებული სამეფოს სასამართლოებში განხილვაზე, რითაც ასევე დამატებით დაირღვა კონვენციის მეექვსე მუხლი (სამართლიანი სასამართლოს უფლება).

ევროპის ადამიანის უფლებების სასამართლოს გადაწყვეტილება:

მოსარჩელების განცხადების ძირითადი ნაწილი ეთმობა საპყრობილეში შემავალი კორესპონდენციის შეჩერებასა და შეყოვნებას. სასამართლო სადავოდ არ ხდის იმას, რომ ამ საქმეში ადგილი აქვს ჩარევას კონვენციის მერვე მუხლით დაცულ უფლებებში. ასეთი ჩარევა კონვენციის დარღვევად ჩაითვლება, თუ არ დადგინდა, რომ იგი მიზნად ისახავდა ლეგიტიმური მიზნის მიღწევას და „აუცილებელი იყო დემოკრატიულ საზოგადოებაში“.

ა) კანონით დადგენილი

საქმეზე „სანდი ტაიმსი“ გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ¹¹⁷ სასამართლომ დადგინა ის ძირითადი კრიტერიუმები, რომლებიც აუცილებელია ჩარევის კანონიერების დასადგენად. პირველი პრინციპის თანახმად, აუცილებელია, რომ ჩარევას გარკვეული საფუძველი ჰქონდეს წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობაში. ამ საქმეში სრული თანხმობა არსებობს კომისიას, მოპასუხე სახელმწიფოს, სასამართლოსა და მოსარჩელეებს შორის, რომ ჩარევა დადგენილია გაერთიანებული სამეფოს პატიმრობის შესახებ აქტივით და წესებით, თუმცა არა იმ ბრძანებებითა და ინსტრუქციებით, რომელსაც შინაგან საქმეთა დეპარტამენტის ხელმძღვანელი გამოსცემს საპრობილის უფროსების სახელზე საპრობილეში წესრიგის დადგენის მიზნით. მათ კანონის ძალა არ გააჩნია. შესაბამისად, სადავო არ არის, რომ ჩარევას ამ საქმეში გაერთიანებული სამეფოს კანონმდებლობაში აქვს საფუძველი.

მეორე პრინციპის თანახმად, კანონი იმგვარად უნდა იყოს ჩამოყალიბებული, რომ მოქალაქეს მასზე ხელი მიუწვდებოდეს და შეეძლოს თავისი ქმედებების შედეგების განსაზღვრა დაახლოებით მაინც.

კანონმა, რომელიც სახელმწიფო მოხელეს ან დანესტრუქტურას რაიმე დისკრეციას ანიჭებს, უნდა განსაზღვროს ამ დისკრეციის ფარგლებიც. თუმცა სასამართლო არაერთხელ განუცხადებია, რომ აბსოლუტური სიზუსტის დადგენა საკანონმდებლო შემოქმედებაში მიუღწეველი და შეუძლებელია, განსაკუთრებით კი ამ შემთხვევაში, როდესაც წელიწადის განმავლობაში საპრობილეებში ათობით მილიონ წერილს ამონებენ. შეუძლებელია ყველა გარემოების კანონით გათვალისწინება. ამასთან, მოსარჩელეებიც არ დაობენ, რომ გარკვეული დისკრეცია ამ შემთხვევაში დასაშვებია. წინამდებარე საქმეში კორესპონდენციის კონტროლი ხორციელდებოდა არა მხოლოდ პატიმრობის კანონის საფუძველზე, არამედ შინაგან საქმეთა დეპარტამენტის უფროსის ბრძანებებისა და ინსტრუქციების საფუძველზეც. სასამართლო ადგენს, რომ, მიუხედავად იმისა, რომ მათ კანონის ძალა არ ჰქონდათ, საჭიროა მათი მხედველობაში მიღება, რადგან, როგორც უკვე აღინიშნა, შეუძლებელია ყველაფრის განმარტება და კანონში მოქცევა. შესაბამისად, სასამართლო არ ეთანხმება მოსარჩელეებს, რომ კორესპონდენციის კონტროლის დამატებითი წესები, რომლებიც ბრძანებებსა და ინსტრუქციებშია მოცემული, კანონში უნდა იყოს ჩამოყალიბებული.

ამის შემდეგ სასამართლო ადგენს, თუ რამდენად შეესაბამება კონკრეტული კორესპონდენციის კონტროლი ზემოხსენებულ პრინციპებს:

ა) არასადავო კორესპონდენცია

ადამიანის უფლებების ევროპულმა კომისიამ სასამართლო განხილვამდე დაადგინა, რომ ქვემოთ ჩამოთვლილი კორესპონდენციის კონტროლი და აკრძალვა არ იყო კანონით დადგენილი.

¹¹⁷ Sunday Times v. the United Kingdom, 26/04/1979 წლის გადაწყვეტილება

1. ადვოკატთან მიწერ-მოწერის შეზღუდვა იმის გამო, რომ პატიმარი უზრუნველყოფილი იყო იურიდიული დახმარებით (ბატონ კუპერის წერილი № 27)

ა) კორესპონდენცია, რომელიც ეხებოდა პატიმრის სასამართლო პროცესის, ბრალდებისა და სასჯელის მოხდის დეტალებს (ბატონ ნოუსა და მაკმაჰონის წერილები);

ბ) უნმანური გამოთქმების გამოყენება წერილებში (ბატონ კუპერის წერილები);

გ) წერილები, რომელთა შინაარსიც გამოქვეყნებისთვის იყო განკუთვნილი (ბატონების სილვერის, მაკმაჰონის და კარნის წერილები);

დ) ადვოკატებთან და პარლამენტის წევრებთან მიმოწერაში საპყრობილის ადმინისტრაციის შესახებ საჩივრების (ადმინისტრაციის მიერ ჯერჯერობით განუხილველი) ჩართვის აკრძალვა (ბატონების ნოუს, კუპერის, კარნის წერილები);

ე) საპყრობილეში მოპყობის შესახებ საჩივრების დაგზავნის აკრძალვა (ბატონების სილვერის, ტუტლის, კარნის წერილები);

ფ) საპყრობილის ადმინისტრაციის წევრების წინააღმდეგ ინფორმაციის გაგზავნის აკრძალვა (ბატონ სილვერის წერილი).

სახელმწიფოს წარმომადგენელი სასამართლოს წინაშე არ დაობს, რომ ამგვარი შინაარსის კორესპონდენციის აკრძალვა არ არის დადგენილი კანონით.

ბ) სადავო კორესპონდენცია

სადავო კორესპონდენცია სასამართლომ სამ ჯგუფად დაყო:

1. ქალბატონ კოლნის წერილები და ბატონ მაკმაჰონის წერილები, ასევე ჟურნალისტის წერილი მისდამი, რომელიც საპყრობილის ადმინისტრაციამ შეაჩერა, რადგან ისინი არ იყო გამოგზავნილი ოჯახის წევრის ან „უკვე არსებული“ მეგობრის მიერ. სახელმწიფო სადავოდ ხდის კომისიის დადგენილებას ამ წერილებთან დაკავშირებით, რომ მათი შეჩერება სცდება პატიმრობის შესახებ კანონის ნორმებს და კანონით არ არის დადგენილი. თუმცა სასამართლო ადგენს, რომ საკმაოდ ნათელია პატიმრობის შესახებ კანონის ნორმები, რომლებიც ადგენს, რომ იკრძალება უნებართვო მიწერ-მოწერა იმ პირებთან, რომლებიც არ არიან პატიმრის ოჯახის წევრები ან მეგობრები. შესაბამისად, სასამართლო არ ეთანხმება კომისიის გადაწყვეტილებას ამ საკითხზე.

2. მეორე კატეგორიაში შედის ბატონ კარნის წერილები პარლამენტის წევრისადმი, სადაც ლაპარაკია ციხეში არასათანადო მოპყრობის შესახებ. წერილი შეჩერდა იმის გამო, რომ დარღვეულ იქნა კანონის მოთხოვნა, რომლის თანახმადაც საჩივრები ციხეში მოპყრობის შესახებ, განცხადებები

ადმინისტრაციის წევრების წინააღმდეგ ჯერ შიდა საჩივრების სისტემით უნდა განხილულიყო და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლებოდა მათი გადაცემა მესამე პირისათვის. შესაბამისად, სასამართლო ადგენს, რომ ამ წერილის შერყევაც კანონით იყო დადგენილი.

3. მესამე კატეგორიაში შედის შემდეგი შინაარსის კორესპონდენცია:

- ბიზნესურთიერთობების შემცველი წერილები;
- წერილები ქცევის დადგენილი წესების დარღვევის შესახებ;
- წერილები, რომლებიც შეიცავს სხვა პატიმრების მიერ ჩადენილი დანაშაულის დეტალებს;
- წერილები ადმინისტრაციის წევრების მიერ სავარაუდო კანონდარღვევის შესახებ;
- მუქარის ან ძალადობის მუქარის შემცველი წერილები;
- ბატონი ნოუს წერილი, რომელიც შინაგან საქმეთა დეპარტამენტიდან ნებართვის მოთხოვნამდე შეჩერდა.

სასამართლო ამ წერილებთან დაკავშირებით ადგენს, რომ მათი შერყევა-ბაც კანონით იყო დადგენილი.

ა) „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“

ტერმინი „აუცილებელი“ არ არის „განუყოფელი“ სინონიმი. თუმცა ეს ტერმინი ისე მოქნილიც არ არის, რომ იგი „დასაშვებთან“, „სასარგებლოსთან“, „გონივრულთან“ და „სასურველთან“ გაავივივოთ. წევრი სახელმწიფოები შეზღუდვებთან დაკავშირებით გარკვეული დისკრეციით სარგებლობენ, თუმცა ეს დისკრეცია ევროპული სასამართლოს კონტროლს ექვემდებარება და საბოლოოდ ამ სასამართლოს გადასაწყვეტია, დაირღვა თუ არა სახელმწიფოს დისკრეციით ევროპული კონვენცია. ტერმინი „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“ ნიშნავს, რომ, ჩარევა რომ კონვენციის შესაბამისად იქნეს მიჩნეული, საჭიროა, იგი მიესადაგებოდეს „აუცილებელ სოციალურ მოთხოვნას“ და მიზნად ისახავდეს „ლეგიტიმური მიზნის“ მიღწევას. აუცილებელია, რომ კონვენციის ის უფლებები, რომლებიც შეზღუდვებს ექვემდებარება, ვინაშე იქნეს ინტერპრეტირებული.

სასამართლო ითავლისწინებს, რომ დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელია პატიმრების კორესპონდენციის გარკვეული კონტროლი.

სასამართლო ადგენს, რომ კონვენციის მერვე მუხლი არ დარღვეულა შემდეგ წერილებთან დაკავშირებით:

ა) ბატონ სილვერის წერილი, რომელიც სხვა პატიმრების მიერ ჩადენილ დანაშაულებებს ეხება;

ბ) ბატონ ნოუს წერილი, რომელიც ბიზნესტრანსაქციებს ეხება;

ვ) ბატონ კუპერის წერილები, რომლებიც მუქარას შეიცავს;
დ) ბატონ ნოუს წერილი, რომელიც მხოლოდ იმიტომ შეჩერდა, რომ ციხის ადმინისტრაცია შინაგან საქმთა დეპარტამენტიდან ნებართვას ელოდა.

სხვა ყველა დანარჩენ კორესპონდენციასთან დაკავშირებით დარღვეულია კონვენციის მერვე მუხლი.

კოპი შევიცარიის წინააღმდეგ 1998

ფაქტები:

ბატონ კოპის მეუღლე, ქალბატონი კოპი, შვეიცარიის ფედერალური საბჭოს წევრი და მართლმსაჯულებისა და პოლიციის ფედერალური დეპარტამენტის უფროსი გახლდათ. 1988 წელს მედიაში გავიდა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც ბატონ კოპს და ერთ-ერთ კომპანიას, რომლის დირექტორთა საბჭოს წევრიც ბატონი კოპი გახლდათ, ბრალი ედებოდათ ფულის გათეთრების ოპერაციებში. 1988 წლის ბოლოს, თავისი მეუღლის თხოვნით, ბატონი კოპი დირექტორთა საბჭოს წევრობიდან გადადგა. არსებობდა ინფორმაცია, რომ ბატონ კოპს თავისმა მეუღლემ მიაწოდა კონფიდენციალური ინფორმაცია, რომელიც მას სამსახურებრივად გაანდეს. იმის გამო, რომ ბატონი კოპი ეჭვმიტანილი იყო რამდენიმე დანაშაულის ჩადენაში, ქალბატონი კოპი აიძულეს, რომ თანამდებობიდან გადამდგარიყო. ამის შემდეგ შეიქმნა საპარლამენტო კომისია, რომელიც ზემოხსენებულ საკითხებს იძიებდა. მას უნდა დაედგინა, რამდენად კანონიერად იქცეოდა ქალბატონი კოპი თავისი სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას. პარალელურად შვეიცარიის პროკურატურამ დაიწყო გამოძიება, რომლის ფარგლებშიც ისმენდნენ ბატონი კოპის იურიდიული ფირმის სატელეფონო საუბრებს, თუმცა ბატონი კოპი ამ საქმეში ეჭვმიტანილი არ იყო. იგი მხოლოდ მესამე პირი გახლდათ. მაგრამ შემდეგ ტელეფონის მოსმენა დაიწყეს კოპის სახლშიც, მისი მეუღლის ტელეფონზე და მისი მეუღლის საიდუმლო ტელეფონზეც, რომელიც მას ეკუთვნოდა, როგორც ფედერალური საბჭოს ყოფილ წევრს. სანქციაში მითითებული იყო, რომ ფირმის ადვოკატთა კლიენტებთან საუბრები მხედველობაში არ უნდა ყოფილიყო მიღებული.

მოგვიანებით საპარლამენტო კომისიამ გამოძიება დაასრულა და დაადგინა, რომ ქალბატონი კოპი კანონის ფარგლებში მოქმედებდა და იგი არ იყო დამნაშავე ოფიციალური საიდუმლო ინფორმაციის გამჟღავნებაში. შესაბამისად, შეწყდა მათი სატელეფონო საუბრების მოსმენაც. ამის შესახებ

ადგილობრივმა გაზეთმა გამოაქვეყნა სტატია, სადაც ნახსენები იყო, რომ გამოძიების ფარგლებში სხვა პირებთან ერთად ბატონი კოპის ფირმისა და სახლის ტელეფონებიც ისმინებოდა.

ბატონმა კოპმა შვეიცარიის სასამართლოებში წარუმატებელი სარჩელების შემდეგ ევროპის ადამიანის უფლებების სასამართლოს მიმართა, სადაც დაობდა, რომ ტელეფონის მოსმენით დაირღვა ევროპის ადამიანის უფლებების კონვენციის მერვე მუხლი.

ევროპის ადამიანის უფლებების სასამართლოს გადაწყვეტილება:

თავდაპირველად სასამართლომ დაადგინა, რომ ამ საქმეში ადგილი ჰქონდა ბატონი კოპის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობაში ჩარევას, რადგან ტერმინი „პირადი ცხოვრება“ მოიცავს სამსახურებრივი ტელეფონების მოსმენას, ისევე, როგორც საცხოვრებელი სახლის სატელეფონო საუბრების მოსმენას.

ამის შემდეგ სასამართლო ადგენს, იყო თუ არა ჩარევა დადგენილი კანონით და „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“.

ა) დადგენილი კანონით

ამ საქმეში მოსარჩელე დაობს, რომ ჩარევა არ იყო დადგენილი კანონით, რადგან შვეიცარიის კანონმდებლობა პირდაპირ კრძალავს ადვოკატის სატელეფონო საუბრების მოსმენას მესამე პირების მიერ. ადამიანის უფლებების კომისია მოსარჩელის ამ არგუმენტს დაეთანხმა და დასძინა, რომ ასეთი აკრძალვა იცავს ადვოკატთა პროფესიას, მათ კონფიდენციალურ ურთიერთობას კლიენტებთან. სახელმწიფო დაობს, რომ მოსმენა წარმოებდა შვეიცარიის კანონმდებლობის, კონკრეტული წესების და სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, რის თანახმადაც, ადვოკატის პროფესიული პრივილეგიები მხოლოდ იმ საქმიანობაზე ვრცელდება, რომელიც უშუალოდ მის პროფესიასთან არის დაკავშირებული. სასამართლო გვერდს ვერ აუვლის სახელმწიფოს ამ პოზიციას, რადგან სასამართლოს ტერმინი „კანონი“ გაგებული აქვს არა მისი ფორმალური, არამედ შინაარსობრივი თვალსაზრისით. სასამართლო ეთანხმება სახელმწიფოს პოზიციას, რომ ჩარევას საფუძველი ჰქონდა ქვეყნის შიდა კანონმდებლობაში.

რაც შეეხება კანონის ხარისხის სტანდარტებს, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს სასამართლოს მიერ პრეცედენტული სამართლის შექმნისას დადგენილ კრიტერიუმებს, სასამართლო თვლის, რომ სახელმწიფოს არგუმენტებმა ის ვერ დაარწმუნა. სახელმწიფო დაობს, რომ შვეიცარიის კანონმდებლობიდან და აკადემიური ნაშრომებიდანაც გამომდინარეობს, რომ ადვოკატის პროფესიაში კონფიდენციალურობა დაცულია მხოლოდ კლიენტებთან ურთიერთობისას. ამ საქმეში ბატონი კოპის საუბრების ჩანაწერს წინას-

ნარ ისმენდნენ და ასე ადგენდნენ, იყო თუ არა ესა თუ ის ჩანანერი კლიენტებთან საუბარი. მაგრამ ყველა ჩანანერი გაეგზავნა პოლიციისა და მართლმსაჯულების ფედერალურ დეპარტამენტს.

მიუხედავად სახელმწიფოს ზემოხსენებული არგუმენტისა, სასამართლო შვეიცარიის კანონმდებლობაში ვერ ხედავს, თუ ვინ უნდა გააცალკევოს ადვოკატის საუბრები კლიენტებთან და მისი სხვა პირადი საუბრები. ასევე კანონში ნათლად არ ჩანს, თუ რა უნდა ჩაითვალოს კლიენტთან ურთიერთობად.

ამას გარდა, გასაოცარია სატელეფონო საუბრების კონტროლის მექანიზმები: კონტროლს აწარმოებს საფოსტო ოფისის იურიდიული დეპარტამენტი, რომელიც აღმასრულებელ ხელისუფლებას ეკუთვნის. სისტემაში არ არის გათვალისწინებული საუბრების მოსმენის ზედამხედველობა მოსამართლის მიერ, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება, როდესაც საქმე ეხება ადვოკატის ტელეფონით საუბრების მოსმენას.

შესაბამისად, სასამართლო ადგენს, რომ ბატონ კოპს ხელი არ მიუწვდებოდა დაცვის მინიმალურ მექანიზმებზეც კი, რაც დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელია.

სასამართლო ადგენს, რომ ბატონი კოპის მიმართ დარღვეულია ევროპის ადამიანის უფლებების კონვენციის მერვე მუხლი.

ნიმეცი გერმანიის წინააღმდეგ

1992

ფაქტები:

ფრაიბურგის ოლქის სასამართლოში, როდესაც ის განიხილავდა საქმეს ეკლესიის მოსაკრებლის გადაუხდელობის შესახებ, სასამართლომ ფაქსი მიიღო. ამ შეტყობინებაში საქმის განმხილველ მოსამართლეს ადანაშაულებდნენ, რომ მან ბოროტად გამოიყენა უფლებამოსილება და ზემოხსენებული საქმის განხილვისას არაკანონიერად მოიქცა. შეტყობინებას ხელს აწერდა ვინმე კლაუს ვაგნერი ერთ-ერთი ადგილობრივი პოლიტიკური პარტიიდან (Freiburg Bunte Liste). მიუხეხნის პროკურატურამ გამოძიება დაიწყო მოსამართლის შეურაცხყოფის საქმის გამო, რომლის ფარგლებშიც კლაუს ვაგნერისათვის უწყება უნდა გაეგზავნათ, მაგრამ მისი ადგილსამყოფელი ვერ დადგინდა. პროკურატურას გაუჩნდა ეჭვი, რომ სახელი და გვარი, კლაუს ვაგნერი, შესაძლოა, გამოგონილი ყოფილიყო. შესაბამისად, პროკურორმა, რომელიც ამ გამოძიებას ზედამხედველობდა, მოსამართლისგან ჩხრეკის სანქცია მიიღო ბატონი ნიმეცის წინააღმდეგ, რომელიც ადვოკატი და, იმავე-

დროულად, ფაქტში მოხსენიებული პოლიტიკური პარტიის თავმჯდომარე გახლდათ. სანქციის გაცემის საფუძველი ის იყო, რომ, რადგან პარტიის ოფიციალური კორესპონდენცია ბატონი ნიმეცის ოფისში მიდიოდა, შესაძლოა, მის ოფისში აღმოჩენილიყო დოკუმენტაცია, რომელიც კლაუს ვაგნერის ნამდვილ ვინაობას დაადგენდა.

ჩხრეკის დროს, რომელიც ერთ საათს გაგრძელდა, სამართალდამცავებმა ნიმეცის ოფისში დაათვალიერეს დოკუმენტაცია, რომელიც მისი კლიენტების იურიდიულ დავებს ეხებოდა და მათ პერსონალურ მონაცემებს შეიცავდა. ვაგნერის შესახებ სამართალდამცავებმა ვერაფერი აღმოაჩინეს. მოგვიანებით მოსამართლის შეურაცხყოფის საქმე მტკიცებულებების არასაკმარისობის გამო დაიხურა.

ბატონმა ნიმეცმა ევროპის ადამიანის უფლებების სასამართლოს მიმართა, სადაც დაობდა, რომ დაირღვა მისი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, რომელიც კონვენციის მეორე მუხლითაა დაცული.

ევროპის ადამიანის უფლებების სასამართლოს გადაწყვეტილება:

სასამართლო შეუძლებლად მიიჩნევს კონვენციის მეორე მუხლის ტექსტში მოხსენიებული „პირადი ცხოვრების“ ამომწურავი განმარტების შექმნას. თუმცა საკმაოდ შემზღვეველი იქნებოდა ამ ცნების მხოლოდ „პირად ვინაობას“ (inner circle) გათანაბრება, რომელშიც ინდივიდი თავისი პირადი ცხოვრებით ცხოვრობს და ამ წრიდან გამორიცხავს ყველას, მისი მონაწილეებისა და მისთვის სასურველი პირების გამოკლებით. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა ასევე გულისხმობს სხვა ადამიანებთან ურთიერთობების დამყარების უფლებას. შესაბამისად, გაურკვეველია, თუ რატომ არ უნდა მოიცავდეს „პირადი ცხოვრების“ ცნება ბიზნესსა და პროფესიულ საქმიანობასაც, რადგან უმეტესობა სწორედ ასე განავითარებს სხვა ადამიანებთან ურთიერთობების უდიდეს ნაწილს. თუმცა ადამიანის უფლებების კომისიამ სწორად აღნიშნა, რომ გამყოფი ხაზის გავლება პროფესიულ და პირად ცხოვრებას შორის საკმაოდ რთული საქმეა. და, უნდა აღინიშნოს, რომ ამ საქმეში, რადგან ბატონი ნიმეცი ლიბერალური პროფესიის წარმომადგენელია, მისი სამუშაო ისეთი ბუნებისაა, რომ პირადისა და პროფესიულის განცალკევება აქაც საკმაოდ ძნელდება.

სახელმწიფომ მოითხოვა ამ საქმეზე არ გავრცელებულიყო მეორე მუხლი. რადგან ჩხრეკა მხოლოდ ნიმეცის ოფისში ჩატარდა, ეს იმას ნიშნავს, რომ დაუცველი დარჩა ნიმეცის პირადი ცხოვრებაც, რადგან იგი იმდენად გადაჯაჭვულია მის პროფესიულ საქმიანობასთან, რომ მათი განცალკევება შეუძლებელია. თანაც ევროპის ადამიანის უფლებების სასამართლომ თავის ერთ-ერთ ნინა გადაწყვეტილებაში პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღ-

ვევად მიიჩნია პირის ოფისის სატელეფონო საუბრების მოსმენა¹¹⁸ და ასევე ოფისის ჩრეკა¹¹⁹.

რაც შეეხება სიტყვას „შინ“ (home), რომელიც კონვენციის მერვე მუხლის ტექსტში გვხვდება, სასამართლო მხედველობაში იღებს იმ ფაქტს, რომ ეს ცნება კონვენციის მონაწილე ზოგიერთ სახელმწიფოში, მათ შორის გერმანიაში, ბიზნეს ოფისზეც ვრცელდება.

თანაც, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ „საცხოვრებელი სახლისა“ და „პირადი ცხოვრების“ ცნებების ვიწრო ინტერპრეტაცია ქმნის საფრთხეს, რომ სხვადასხვა შემთხვევაში არათანაბრად იქნეს დაცული პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა. შესაბამისად, ამ ორი ცნების იმგვარად განმარტება, რომ იგი მოიცავდეს ოფისსაც, უფრო შეესაბამება კონვენციის მერვე მუხლის მიზანს და არსს – ინდივიდის სახელმწიფოსაგან თვითნებური ჩარევისგან დაცვას. სწორედ ამ საფუძვლით სასამართლო ადგენს, რომ საქმე გვაქვს განმცხადებლის პირად ცხოვრებაში ჩარევასთან.

ამის შემდეგ სასამართლო განიხილავს, თუ რამდენად აუცილებელი იყო ასეთი ჩარევა დემოკრატიულ საზოგადოებაში. სასამართლო ეთანხმება სახელმწიფოს, რომ დანაშაული, რომლის გამოძიებისასაც გაიცა ნიმეცის ოფისის ჩხრეკის სანქცია, ნამდვილად არ არის მცირე მნიშვნელობისა, რადგან გაგზავნილი ფაქსით გამგზავნი მხოლოდ შეურაცხყოფას კი არ აყენებდა მოსამართლეს, არამედ მასზე ზეწოლის მოხდენასაც ცდილობდა. თუმცა სადავო სანქცია საკმაოდ ფართოდ გახლდათ ფორმულირებული და მოიცავდა ჩხრეკის სანქციას ნიმეცის ოფისში არსებულ ნებისმიერ დოკუმენტზე. თანაც ადვოკატის ჩხრეკა პრობლემური და მნიშვნელოვანი საკითხია, განსაკუთრებით გერმანიაში, სადაც არ არსებობს პროცედურული დაცვის მექანიზმები, როგორცაა, ვთქვათ, დამოუკიდებელი დამსწრის დასწრება ადვოკატის ოფისის ჩხრეკისას.

ნიმეცის ოფისის ჩხრეკის დროს დათვალთვრებულ იქნა ნიმეცის კლიენტების დოკუმენტაცია, რის შედეგადაც პროფესიული საიდუმლოს დაცვის წესები და ეთიკა დაირღვა. შესაბამისად, სასამართლო ადგენს, რომ მიღებული სანქცია არაპროპორციული იყო დადგენილი გარემოებებისა, რადგან ჩხრეკას, შესაძლოა, ისეთი შედეგები მოეტანა, რომლებსაც შეიძლება გავლენა მოეხდინა ნიმეცის კლიენტების სამართლიანი სასამართლოს უფლებაზე და, ზოგადად, მართლმსაჯულების განხორციელებაზე.

სასამართლო ადგენს, რომ დარღვეულია ევროპის ადამიანის უფლებების კონვენციის მერვე მუხლი.

¹¹⁸ *Huvig v. France* Judgment of April 1990, Series A no 176-B

¹¹⁹ *Chappell v. United Kingdom* Judgment of 30 March 1989, Series A, no 152-A

**P.G. და J.H. გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ
2001**

ფაქტები:

მოსარჩელები, P.G. და J.H გაერთიანებულ სამეფოში დააკავეს შეიარაღებული ყაჩაღობის მცდელობის ბრალდებით. დაკავებისას, როდესაც მათ ბრალს აცნობდნენ, პოლიციის თანამშრომლები ფარულად იწერდნენ მათ საუბარს, შემდგომ კი ისმინებოდა მათი პირადი საუბრები საკანში ყოფნისას. პოლიციას ეს ჩანაწერები სჭირდებოდა მანამდე მათ საცხოვრებელ ბინაში დამონტაჟებული მოსასმენი აპარატის მეშვეობით ჩანერილ ხმასთან შესადარებლად, რათა დარწმუნებულიყვნენ, რომ ბინაში ჩანერილი ხმები მოსარჩელებს ეკუთვნოდათ. ეს ჩანაწერები და მათი შედარება მტკიცებულებებად დაუშვეს მოსარჩელების წინააღმდეგ საქმის არსებით განხილვაზე. ამასთან, ბინაში წარმოებული ჩანაწერების ნაწილი დაცვის მხარეს არ გააცნეს.

მოსარჩელებმა ევროპის ადამიანის უფლებების სასამართლოს მიმართეს, სადაც დაობდნენ, რომ მათ მიმართ დაირღვა კონვენციის მე-6, მე-8 და მე-13 მუხლებით გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვისა და ეფექტურ მექანიზმებზე ხელმისაწვდომობის უფლებები.

მოსარჩელებმა ითხოვეს მათი ანონიმურობის დაცვა, რაც ევროპის ადამიანის უფლებების სასამართლომ დააკმაყოფილა.

ევროპის ადამიანის უფლებების სასამართლოს გადაწყვეტილება:

თავდაპირველად სასამართლომ იმსჯელა განმცხადებლების ბინაში დამონტაჟებული მოსასმენი აპარატების შესახებ. სასამართლომ დაადგინა, რომ კონვენციის თანახმად ადგილი აქვს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობაში ჩარევას. თუმცა, რადგან ამ ზომის გამოყენების დროისათვის გაერთიანებულ სამეფოში არ არსებობდა კანონმდებლობა, რომელიც ამგვარ ზომებს დაარეგულირებდა, სასამართლომ ადგენს, რომ ჩარევა არ იყო კანონით დადგენილი. ამის საფუძველზე სასამართლომ აღარ განიხილა მესამე ელემენტი – იყო თუ არა ჩარევა „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“ და დაადგინა, რომ ბინაში დამონტაჟებულ მოსასმენ აპარატებთან დაკავშირებით მოსარჩელეთა მიმართ დარღვეულია კონვენციის მერვე მუხლი.

ამის შემდეგ სასამართლომ განიხილა პოლიციის განყოფილებაში მოსარჩელეთა ხმის ჩანერის საკითხი. „პირადი ცხოვრება“ ფართო ტერმინია, რომლის ამომწურავი განმარტებაც არ არსებობს. მაგრამ სასამართლომ თავისი

ნინა გადაწყვეტილებებით დაადგინა, რომ ისეთი ელემენტები, როგორცაა სქესის იდენტიფიკაცია, სახელი, სექსუალური ორიენტაცია და სქესობრივი ცხოვრება, პირის პირადი ცხოვრების მნიშვნელოვანი ელემენტებია. მერვე მუხლი ასევე იცავს პირის სახელის უფლებას, პირადი განვითარებისა და სხვა ადამიანებთან ურთიერთობის უფლებებს. ეს ურთიერთობები კი, თავის მხრივ შეიძლება მოიცავდეს ბიზნეს- და პროფესიულ ურთიერთობებსაც. შესაბამისად, არსებობს სხვა ადამიანებთან ურთიერთობების გარკვეული ზონა საჯარო და საზოგადოებრივ კონტექსტში, რომელიც შეიძლება პირადი ცხოვრების ნაწილად ჩაითვალოს.

არსებობს რამდენიმე ფაქტორი, რომლებიც მხედველობაში უნდა მივიღოთ, როდესაც საქმე გვაქვს პირის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევის დადგენასთან, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც გარკვეული გატარებული ზომები საჯაროდ, პირის საცხოვრებელი სახლის ან მისი კერძო საკუთრების გარეთ ხდება. რადგან საჯარო ადგილებში არსებობს შემთხვევები, როდესაც ინდივიდები გაცნობიერებულად ებმებიან ქმედებებში, რაც შეიძლება სხვა პირების მიერ იქნეს ჩანერილი ან სხვაგვარად დამახსოვრებული. შესაბამისად, პირის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის მოლოდინი მნიშვნელოვანია, მაგრამ არა გადამწყვეტი. პირს, რომელიც ქუჩაში მიდის, ხედავენ გამვლელები, ასევე შესაძლოა მის მოძრაობას აკვირდებოდეს სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელი სპეციალური ტექნიკური მოწყობილობის საშუალებით, რომელიც ქუჩაშია დამონტაჟებული (Closed Circuit Television CCTV). ამრიგად, გადამწყვეტი საკითხი აქ ინფორმაციის შეგროვების სისტემატურობა გახლავთ: პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევის საკითხი წარმოიშვება მაშინ, როდესაც ადგილი აქვს პირის შესახებ სისტემატურად ინფორმაციის მიღებას და შეგროვებას, თუნდაც ისეთი საჯარო ადგილებიდან, როგორცაა ქუჩა, პარკი და სხვა.

პრეცედენტული სამართალი იმაზე მეტყველებს, რომ ტელეფონის ფარული მოსმენა მერვე მუხლის დაცვით სარგებლობს, რადგან ტელეფონის მოსმენის ჩანაწერები ზოგადად იმისათვის კეთდება, რომ იგი შემდეგ გამოიყენონ, სასამართლო ადგენს, რომ ხმის ნიმუშები, რომლებსაც ამ საქმეში პოლიციის განყოფილებაში მოსარჩელისაგან ინერდენ, ასევე დაცულია კონვენციის მერვე მუხლით. პოლიციის განყოფილებაში საუბრის ჩანაწერი შემდგომი ანალიზისათვის გადაეცა შესაბამის ორგანოს, რის შედეგადაც მოხდა პირის და მისი პირადი მონაცემების იდენტიფიკაცია. ეს შემთხვევა განსხვავდება იმ შემთხვევისაგან, როდესაც პირს პოლიციელები პირადად უსმენენ დაკითხვისას, რადგან ამ შემთხვევაში არ ხდება ინფორმაციის ჩანერა და მისი შემდგომი პროფესიონალური გაანალიზება. ამრიგად, განმ-

ცხადებულთა ხმის ჩანერა და მისი შემდგომი გაანალიზება ამ საქმეში გადამწყვეტ როლს თამაშობს და სწორედ ამის საფუძველზე დგინდება, რომ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა მოსარჩელეთა მიმართ დარღვეულია.

შესაბამისად, სასამართლო ადგენს, რომ მოსარჩელების მიმართ დარღვეულია ევროპის ადამიანის უფლებების კონვენციის მერვე მუხლი.

როტარუ რუმინეთის წინააღმდეგ 2000

ფაქტები:

აურელ როტარუ, რომელიც რუმინეთის მოქალაქე იყო, 1948 წელს, ქვეყანაში კომუნისტური რეჟიმის დროს, დააკავეს და კომუნისტური რეჟიმის კრიტიკის გამო ერთი წლით პატიმრობა მიუსაჯეს. 1990 წელს, ქვეყანაში კომუნისტური რეჟიმის დამხობის შემდეგ, მთავრობამ მიიღო კანონი, რომელიც კომუნისტური რეჟიმის შედეგად რეპრესირებულ პირებს გარკვეულ უფლებებს ანიჭებდა. კანონში იდო მოთხოვნა, რომლის თანახმადაც ამ უფლებების მინიჭება იკრძალებოდა ფაშისტური მოძრაობის ყოფილი წევრებისათვის. როტარუმ შემოხსენებული კანონმდებლობის საფუძველზე 1992 წელს სარჩელი შეიტანა სასამართლოში გარკვეული უფლებამოსილებების მინიჭების მოთხოვნით. სასამართლოში ერთ-ერთმა მოპასუხემ, ქვეყნის შინაგან საქმეთა სამინისტრომ, წარმოადგინა წერილი, რომელიც რუმინეთის უშიშროების სამსახურის მიერ იყო გამოგზავნილი. წერილში ნათქვამი იყო, რომ ბატონი როტარუ 1937 წელს იყო ქრისტიან სტუდენტთა ასოციაციის – რადიკალ მემარჯვენეთა ლეგიონის წევრი.

როტარუმ ამ წერილში მოყვანილი ინფორმაცია მცდარად და შეურაცხმყოფელად მიიჩნია, კერძოდ, მისი მემარჯვენე ლეგიონერობა და სასამართლოში სარჩელი შეიტანა უშიშროების სამსახურის წინააღმდეგ. იგი მოითხოვდა ზიანის ანაზღაურებას და მცდარი ინფორმაციის შესწორებას ან მის სრულ განადგურებას. სასამართლომ მისი სარჩელი არ განიხილა, რადგან განაცხადა, რომ მას უფლება არ ჰქონდა მოეთხოვა უშიშროების სამსახურისათვის ამ ინფორმაციის განადგურება.

1997 წელს უშიშროების სამსახურმა იუსტიციის სამინისტროს აცნობა, რომ ინფორმაცია ბატონი როტარუს შესახებ მცდარი იყო და შეეხებოდა სხვა პირს, რომელსაც იგივე გვარი ჰქონდა და ლეგიონის წევრიც გახლდათ. აღნიშნული წერილის საფუძველზე როტარუმ კვლავ მიმართა სასამართლოს, რომელმაც ინფორმაცია როტარუს მემარჯვენე ლეგიონის წევრობის შესახებ ბათილად გამოაცხადა, თუმცა არ უმსჯელია როტარუსთვის ზიანის ანაზღაურებაზე, რაც მას ამ წერილის გამოქვეყნების შედეგად მიაღწია.

აურელ როტარუმ ევროპის ადამიანის უფლებების სასამართლოს მიმართა, სადაც დაობდა, რომ უშიშროების სამსახურის მიერ მასზე ინფორმაციის შენახვა, ის ფაქტი, რომ მას არ შეეძლო მოეთხოვა ამ ინფორმაციის განადგურება და ასევე სასამართლოს უარი, განეხილა მისთვის ზიანის ანაზღაურების საკითხი, არღვევს მის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას, რომელიც კონვენციის მერვე მუხლითაა გარანტირებული.

ევროპის ადამიანის უფლებების სასამართლოს გადაწყვეტილება:

სასამართლო მხედველობაში იღებს იმ ფაქტს, რომ რუმინეთის უშიშროების სამსახურის მიერ გაგზავნილ წერილში არსებობდა ინფორმაცია, რომელიც შეეხებოდა როტარუს ცხოვრებას, მის განათლებას, პოლიტიკურ მოღვაწეობას, მის ნასამართლეობას და ეს ინფორმაცია დაახლოებით 50 წლის მანძილზე გროვდებოდა. სასამართლო თვლის, რომ, როდესაც ადგილი აქვს ამგვარი ინფორმაციის ასეთი სისტემატური სახით მოპოვებასა და შეგროვებას, ის პირის „პირადი ცხოვრების“ ცნებაში ექცევა. შესაბამისად, მასზე ვრცელდება კონვენციის მერვე მუხლი.

სასამართლო თვლის, რომ ორივე ელემენტი – ინფორმაციის შენახვა და გამოყენება, რომლებსაც თან ერთვოდა ის ფაქტი, რომ პირს არ ჰქონდა შესაძლებლობა, დაესაბუთებინა მისი სიმცდარე, კონვენციის მერვე მუხლის მიზნებისათვის წარმოადგენს პირის პირად ცხოვრებაში ჩარევას.

ამის შემდეგ საჭიროა დადგინდეს, იყო თუ არა ჩარევა დადგენილი კანონით და იყო თუ არა იგი „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“. ამისათვის სასამართლო მხედველობაში იღებს რუმინეთის სასამართლოს გადაწყვეტილებას იმასთან დაკავშირებით, რომ რუმინეთის უშიშროების სამსახურს უფლება ჰქონდა არქივში შეენახა ინფორმაცია, რომელიც მას წინამორბედი კომუნისტური უშიშროების სამსახურებისგან გადმოეცა. ამის გათვალისწინებით, სასამართლო ადგენს, რომ სადავო ინფორმაციის შენახვას გარკვეული საფუძველი ჰქონდა რუმინეთის კანონმდებლობაში. რაც შეეხება საკითხს, არის თუ არა ეს საკანონმდებლო ბაზა ნათელი და განჭვრეტადი (რაც კონვენციის აუცილებელი მოთხოვნაა), სასამართლო ადგენს, რომ რუმინეთის კანონმდებლობაში არსად არ არის დეტალურად ჩამოყალიბებული ასეთი ინფორმაციის შენახვის წესები და მასზე შეზღუდვები. მაგალითად, კანონმდებლობა არ ითვალისწინებს დეტალურ საკითხებს იმასთან დაკავშირებით, თუ რა ინფორმაცია უნდა შეგროვდეს, რა კატეგორიის პირთა წინააღმდეგ უნდა მოხდეს ინფორმაციის შეგროვება, რა გარემოებების არსებობისას შეიძლება ინფორმაციის შეგროვება და სხვა. ასევე, კანონში არ არის დადგენილი, თუ რა ვადით შეიძლება ამ ინფორმაციის შენახვა და როდის უნდა განადგურდეს იგი.

ამასთან, კანონით დაადგენილია, რომ რუმინეთის უშიშროების სამსახურს ჩაბარდა ძველი რეჟიმის უშიშროების სამსახურის არქივები და რომ მის თანამშრომლებს უფლება აქვთ გაეცნონ ამ არქივში არსებულ დოკუმენტებს სამსახურის დირექტორის თანხმობის საფუძველზე. თუმცა არსად არ არის ჩამოყალიბებული წესები, თუ ვინ დაიშვება არქივში და რა პროცედურით. სასამართლო ასევე მხედველობაში იღებს იმ ფაქტს, რომ კანონმდებლობაში არ არსებობს არანაირი დაცვის მექანიზმი, კერძოდ, კანონმდებლობა არ ითვალისწინებს არანაირ პროცედურას, რომლის მიხედვითაც გამოიყენებენ აღნიშნულ ზომებს ამა თუ იმ პირის წინააღმდეგ.

ზემოთქმულის საფუძველზე სასამართლო ადგენს, რომ აურელ როტარუს მიმართ დაირღვა ევროპის ადამიანის უფლებების კონვენციის მერვე მუხლი.

Z ფინეთის წინააღმდეგ 1997

ფაქტები:

Z ფინეთის მოქალაქე გახლდათ, რომელიც დაქორწინებული იყო X-ზე. 1992 წელს X გაუპატიურებისთვის დაადანაშაულეს, და თანაც აცნობეს, რომ შიდსით იყო დაავადებული. მოგვიანებით მას ახალი ბრალდება წაუყენეს, რომლის თანახმადაც იგი მკვლელობის მცდელობაში დაადანაშაულეს, რადგან ბრალად ედებოდა M-ის გაუპატიურება და მისთვის შიდსის განზრახ გადადება. დახურულ სასამართლო სხდომაზე, რომელიც X-ის წინააღმდეგ მიმდინარეობდა, სასამართლომ მოითხოვა სამედიცინო შემოწმების დოკუმენტები. ექიმმა, რომელიც X-სა და Z-ს მკურნალობდა, სასამართლოს გაუგზავნა მოთხოვნილი დოკუმენტები, თუმცა იქიდან ამოშლილი იყო ინფორმაცია, რომელიც Z-ს შეეხებოდა. მოგვიანებით სასამართლომ სანქცია გასცა ექიმის წინააღმდეგ და მას მოუხდა მთელი დოკუმენტაციის სასამართლოსათვის წარდგენა. ამ პერიოდში Z უარს ამბობდა ჩვენების მიცემაზე, რადგან სარგებლობდა უფლებით, არ მიეცა ჩვენება მეუღლის წინააღმდეგ. მოგვიანებით ინფორმაცია, რომ Z შიდსით იყო დაავადებული, პრესაში გამოქვეყნდა. X ბრალდებულად ცნეს. მაგრამ სასამართლოს გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი 10 წლით გაასაიდუმლოეს, მიუხედავად მისი მოთხოვნისა, უფრო მეტი ხნით მომხდარიყო ამ დოკუმენტების კონფიდენციალურობის დაცვა.

Z-მა, რომელიც 1995 წელს გაეყარა მეუღლეს, ევროპის ადამიანის უფლებების კომისიაში შეიტანა სარჩელი, სადაც დაობდა, რომ მის მიმართ ზუთი

თვალსაზრისით დაირღვა კონვენციის მერვე და მეცამეტე მუხლები: 1. მის მიმართ გაიცა სანქციები, რომლებიც მოითხოვდა, რომ მას ჩვენება მიეცა საკუთარი თავისა და მეუღლის შესახებ; 2. მოიპოვეს მისი სამედიცინო შემონმების შედეგები და ჩართეს ისინი გამოძიების დოკუმენტებში; 3. მხოლოდ ათწლიანი შეზღუდვა დაანესეს სასამართლოს გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის კონფიდენციალურობაზე; 4. გაასაჯაროეს მისი ვინაობა და სამედიცინო შემონმების შედეგები სააპელაციო სასამართლოს ინსტანციაზე; 4. არ არსებობს ეფექტური მექანიზმები მისი უფლებების დასაცავად.

ევროპის ადამიანის უფლებების სასამართლოს გადაწყვეტილება:

პირადი მონაცემებისა და არა მხოლოდ სამედიცინო მონაცემების დაცვა უმნიშვნელოვანესია პირის უფლებებს შორის, რომლებიც დაცულია კონვენციის მერვე მუხლით. სამედიცინო მონაცემების დაცვა ევროპის ადამიანის უფლებების კონვენციის ყველა მონაწილის სამართლის სისტემაში უმნიშვნელოვანესი ელემენტია. მნიშვნელოვანია, რომ დაცულ იქნეს არა მხოლოდ პაციენტის პირადი მონაცემები, არამედ შენარჩუნდეს მისი ნდობაც ექიმის პროფესიისა და, ზოგადად, ჯანდაცვის სისტემის მიმართ. ასეთი დამცავი მექანიზმების გარეშე პაციენტები თავს შეიკავებდნენ თავისი ინტიმური ინფორმაციის გამჟღავნებისაგან, რაც აუცილებელია სწორი დიაგნოზის დადგენისა და მკურნალობისათვის. ეს ყოველივე კი საფრთხეს შეუქმნიდა არა მხოლოდ მათ სიცოცხლეს, არამედ საზოგადოების უსაფრთხოებასაც. შესაბამისად, შიდა კანონმდებლობა უნდა შეიცავდეს დაცვის ეფექტურ მექანიზმებს, რომლებიც აღმოფხვრიდა სამედიცინო მონაცემების არასწორ განკარგვას.

ზემოთქმული განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება, როდესაც საქმე ეხება შიდასით დაავადებულ პაციენტებს. შიდასით დაავადებულთა შესახებ სამედიცინო ინფორმაციის საჯაროდ გამომზეურებამ შესაძლოა ძალზე მძიმე შედეგები მოიტანოს, რასაც შემდგომ უარყოფითი გავლენა ექნება პირის პირად, ოჯახურ, სოციალურ ცხოვრებაზე, იმოქმედებს მის სამსახურში დაქირავებაზე და სხვა. ამის გამო, არსებობს საფრთხე, რომ პირი თავს შეიკავებს დიაგნოსტიკისა და მკურნალობისთვის ექიმთან მისვლისაგან, რასაც, შესაძლოა, სავალალო შედეგები მოჰყვეს. შესაბამისად, ასეთი მონაცემების დაცვა ბევრად გადაწონის სხვა ინტერესების და უფლებების დაცვას. ამრიგად, მეორე მხრივ, უნდა არსებობდეს მნიშვნელოვანი ინტერესი იმისათვის, რომ მერვე მუხლის დაცვის გარანტიები გაბათილდეს. სამედიცინო პერსონალის იძულება, გაამჟღავნოს პირის თანხმობის გარეშე მისი სამედიცინო მონაცემები, მკაცრად უნდა გაკონტროლდეს სასამართლოების მიერ.

სასამართლო მხედველობაში იღებს იმ ფაქტს, რომ სამედიცინო ინფორმაციის გამჟღავნება შეიძლება აუცილებელი გახდეს სისხლისსამართლებრივი დევნის მიზნებისათვის. თუმცა გამჟღავნება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ დადგინდება, რომ კონკრეტულ შემთხვევაში დანაშაულის აღკვეთას და გახსნას უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე პირის პირადი მონაცემების დაცვას.

რაც შეეხება ამ კონკრეტულ საქმეს, როგორც ცნობილია, ამ საქმეში მოსარჩელის ექიმი აიძულეს, თავისი პაციენტის სამედიცინო მონაცემები გაემჟღავნებინა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს ზომა მიღებულ იქნა მას შემდეგ, რაც განმცხადებელმა უარი თქვა, ჩვენება მიეცა თავისი მეუღლის წინააღმდეგ. მოსარჩელის სამედიცინო მონაცემები კი მისი მეუღლის წინააღმდეგ საქმეში გადაამწყვეტ როლს თამაშობდა, რადგან აქედან უნდა დადგენილიყო თარიღი, როდესაც X-მა შეიტყო თავისი შიდსით ინფიცირების შესახებ. ეს ინფორმაცია კი გადაამწყვეტი იყო, რადგან ეს წყვეტდა X-ის ბრალეულობის სიმძიმეს (იგი დამნაშავე მხოლოდ გაუპატიურებისთვის იყო, თუ მკვლელობის მცდელობისათვისაც, თუკი იცოდა თავისი დაავადების შესახებ, როდესაც მან, სავარაუდოდ, M გააუპატიურა).

სასამართლო მხედველობაში იღებს იმ ფაქტსაც, რომ ინფორმაციის გამჟღავნება სამედიცინო პერსონალის მიერ გამოძიების პროცესში ფინეთის კანონმდებლობით გათვალისწინებულია. ამასთან, ეს გამჟღავნება სასამართლო ზედამხედველობის ქვეშ მოხდა, ხოლო სასამართლოს სხდომის ოქმი და გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი მომდევნო 10 წლით კონფიდენციალურად იქნა ცნობილი.

ამრიგად, სასამართლო თვლის, რომ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობაში ჩარევა, რომელიც ამ საქმეშია სახეზე, გამართლებულია კონვენციის მერვე მუხლის მეორე ქვეპუნქტის თანახმად.

ევროპის ადამიანის უფლებების კონვენციის მერვე მუხლი განმცხადებლის მიმართ არ დარღვეულა.

პეკი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ 2003

ფაქტები:

1998 წლის აგვისტოს ერთ საღამოს ქუჩაში დამონტაჟებულმა კამერამ (CCTV) დააფიქსირა ბატონი პეკის გამოსახულება სამზარეულოს დანით ხელში, როდესაც ის ბრენტვუდ ჰაი სტრიტზე მიდიოდა. ბატონმა პეკმა თვითმკვლელობა სცადა და დანით მაჯაზე ვენები გადაისერა, რაც სამარ-

თაღდამცავებს კამერის მეშვეობით არ უნახავთ. მათ პოლიციის მანქანა გაგზავნეს შემთხვევის ადგილზე, მას შემდეგ, რაც დანით შეიარაღებული პეკი დაინახეს ქუჩაში. როდესაც პოლიცია ადგილზე მივიდა, მათ ვენებდასერილი ბატონი პეკი დახვდათ, რომელსაც სამედიცინო დახმარება აღმოუჩინეს.

ამ ამბის შემდეგ ადგილობრივმა საბჭომ გამოაქვეყნა პრესრელიზი, სადაც ლაპარაკი იყო ქუჩაში დამონტაჟებული კამერების ეფექტურობაზე და საილუსტრაციოდ ამ კამერით გადაღებული ბატონი პეკის ფოტოებიც იყო მოყვანილი, სადაც მისი სახე სათანადოდ დაფარული არ გახლდათ. ამ პრესრელიზის საფუძველზე ორმა გაზეთმა სტატია გამოაქვეყნა ფოტოებით. ასევე რეპორტაჟი მომზადდა და გადაიკა ანგლია TV-სა და BBC-ზე, სადაც ნაჩვენებია იყო ვიდეომასალა, რომელიც ადგილობრივმა საბჭომ ტელევიზიებს მიანოდა და რომელიც ბატონი პეკის თვითმკვლელობის მცდელობას ასახავდა. ადგილობრივმა საბჭომ ვიდეომასალის გადაცემისას ტელევიზიები გააფრთხილა, რომ ასახულ პირთა სახეები სათანადოდ უნდა დაფარულიყო, რათა შესაძლებელი არ გამხდარიყო მათი იდენტიფიცირება. მიუხედავად ამისა, ბატონი პეკის მეგობრებმა და ოჯახის წევრებმა BBC-ზე გადაცემის ხილვისას ის მაშინვე ამოიცნეს.

ბატონმა პეკმა სარჩელით მიმართა სატელეკომუნიკაციო მარეგულირებელს, რომელმაც მის სარჩელს მხარი დაუჭირა, თუმცა ამ ორგანოს, დიდი ბრიტანეთის კანონმდებლობის თანახმად, ზიანის ანაზღაურების პრეროგატივა არ გააჩნია. რაც შეეხება პრესას, ბატონმა პეკმა პრესის საჩივრების საბჭოში წარმატებას ვერ მიაღწია. საბჭომ დაადგინა, რომ ბატონი პეკის ფოტოები ქუჩაში იყო გადაღებული, რაც საჯარო ფორუმს წარმოადგენს. ამის გამო აქ ლაპარაკი ვერ იქნება მისი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევაზე. ბატონი პეკი უშედეგოდ ეცადა საბჭოს გადაწყვეტილება სასამართლოში გაესაჩივრებინა. სასამართლომ უარი თქვა მის განხილვაზე. მან საბოლოოდ ევროპის ადამიანის უფლებების სასამართლოს მიმართა.

ევროპის ადამიანის უფლებების სასამართლოს გადაწყვეტილება:

თავდაპირველად სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილობრივი საბჭოს მიერ ინფორმაციისა და ვიდეო- და ფოტომასალის გამჟღავნება მედიისათვის სერიოზულ ჩარევას წარმოადგენდა ბატონი პეკის პირად ცხოვრებაში. ამის დადგენის შემდეგ სასამართლომ იმსჯელა, იყო თუ არა ჩარევა კანონით დადგენილი. ბრიტანეთის სისხლის სამართლისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის აქტის თანახმად, ადგილობრივ საბჭოებს უფლება აქვთ ქუჩაში განათავსონ სპეციალური კამერები და, ამასთან, გაამჟღავნონ და

გაავრცელონ ამ კამერის მიერ გადაღებული მასალა. სასამართლო ეთანხმება მოპასუხე სახელმწიფოს, რომ ინფორმაციის ასეთ გამჟღავნებას საფუძვლად ედო ლეგიტიმური მიზანი – დანაშაულის აღმოფხვრა და სხვათა უფლებების დაცვა.

ყოველივე ამის დადგენის შემდეგ სასამართლოს გასარკვევი რჩება, თუ რამდენად იყო დადგენილი ჩარევა „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“. ამისათვის სასამართლო მხედველობაში იღებს ფაქტს, რომ ბატონი პეკი კამერის მიერ გადაღებული ინფორმაციის საფუძველზე ბრალდებულად არ ყოფილა ცნობილი რაიმე დანაშაულისათვის. შესაბამისად, სასამართლო თვლის, რომ ჩარევა არაპროპორციული გახლდათ, რადგან ასეთ შემთხვევაში ინფორმაციის გამჟღავნება სხვა მეთოდებითაც შეიძლებოდა, მაგალითად, ბატონი პეკის თანხმობის საფუძველზე და მედიისთვის მკაცრი მოთხოვნის წაყენებით, რომ სათანადოდ დაეფარათ გადაღებული პირის სახე.

ამ საქმეში სახელმწიფო დაობს, რომ ბატონი პეკის გადაღება საჯარო ადგილას, ქუჩაში მოხდა. შესაბამისად, მას პირადი ცხოვრების დაცვის გონივრული მოლოდინი არ უნდა გააჩნდეს. მხოლოდ ის ფაქტი, რომ მასალა გადაღებული იყო ქუჩაში, რომელიც ზოგადად საჯარო ფორუმს წარმოადგენს, არ არის საკმარისი იმის დასადგენად, რომ ბატონი პეკი „კერძო მდგომარეობაში“ არ იმყოფებოდა. ბატონი პეკი ქუჩაში იმისთვის არ გამოსულა, რომ რაიმე საზოგადოებრივ მოვლენას დასწრებოდა ან რაიმე საჯარო ღონისძიებაში მიეღო მონაწილეობა. იგი საჯარო ფიგურა არ გახლავთ და ვერ წარმოიდგენდა, რომ მისი ეს მდგომარეობა ისე ფართოდ გაავრცელდებოდა, როგორც ეს შემდეგ მოხდა. სასამართლო თვლის, რომ ადგილობრივ საბჭოს ინფორმაციის გამჟღავნებამდე წინასწარ უნდა მოეპოვებინა ბატონი პეკის თანხმობა და შემდგომ სათანადოდ დაეფარა მისი სახე, რომ იგი მის ოჯახსა და მეგობრებს ვერ ამოეცნოთ.

სასამართლო კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, რომ მხოლოდ ის ფაქტი, რომ ბატონი პეკი გადაღებისას ქუჩაში იყო, არ ართმევს მას პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას. მიუხედავად იმისა, რომ ქუჩა ტრადიციულად საჯარო ადგილია, ამ საქმეში მოსარჩელე ვერ წარმოიდგენდა, რომ მისი ქმედებები ცნობილი გახდებოდა იმ დროს ქუჩაში გამვლელების გარდა კიდევ სხვა პირებისათვისაც.

სასამართლო ადგენს, რომ მერვე მუხლთან ერთად დარღვეულია კონვენციის მეცამეტე მუხლიც (უფლება ეფექტურ შიდა მექანიზმებზე). ბატონი პეკი წარუმატებლად ეცადა სასამართლოში გაესაჩივრებინა პრესის საჩივრების საბჭოს გადაწყვეტილება. ამ შემთხვევაში შიდა სასამართლომ დაადგინა, რომ გასაჩივრება დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება,

რომ საბჭომ „არარაციონალურად“ იმოქმედა. ბუნებრივია, რომ ასეთი მოთხოვნა საკმაო სირთულეს ქმნის აპელანტიისათვის და ეს ზოგადად საკმაოდ მაღალი ბარიერია. ამასთან, არც სატელეკომუნიკაციო მარეგულირებელს და არც პრესის საჩივრების საბჭოს (რომ დაედგინათ კიდეც ბატონი პეკის წინააღმდეგ დარღვევა) არ შეუძლიათ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა დამრღვევის მიმართ. შესაბამისად, მხოლოდ მათი ხელმისაწვდომობა არ შეიძლება ჩაითვალოს ეფექტურ მექანიზმებად.

სასამართლო ადგენს, რომ ბატონი პეკის მიმართ დაირღვა ევროპის ადამიანის უფლებების კონვენციის მერვე მუხლი.

ლინდერი შვედეთის წინააღმდეგ

1987

ფაქტები:

მოსარჩელე ლინდერმა მუშაობა დაიწყო საზღვაო მუზეუმის ტექნიკოსის თანამდებობაზე სამხრეთ შვედეთში. გარკვეული დროის შემდეგ მას განუცხადეს, რომ დროებით უნდა დაეტოვებინა სამსახური და დალოდებოდა სპეციალური სამსახურის მიერ მისი შემონმების შედეგებს. ამის შემდეგ მუზეუმის დირექტორმა ლინდერს განუცხადა, რომ მისი შემონმების შედეგები უარყოფითი აღმოჩნდა და მას სამსახურის დატოვება მოსთხოვა. გლინდერმა მოითხოვა ინფორმაცია, თუ რის საფუძველზე გაათავისუფლეს, თუმცა ამასთან, რადგან პასუხად მიიღო, რომ ამ ინფორმაციის გამჟღავნება ეწინააღმდეგება ქვეყნის უსაფრთხოების ინტერესებს.

ლინდერმა სარჩელით მიმართა ევროპის ადამიანის უფლებების სასამართლოს, სადაც დაობდა, რომ უარი ინფორმაციის გამჟღავნებაზე, რომელიც მისი სამსახურიდან დათხოვნის მიზეზი აღმოჩნდა, არღვევს მისი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და ინფორმაციის მიღების უფლებას.

ევროპის ადამიანის უფლებების სასამართლოს გადაწყვეტილება:

ამ სასამართლოსათვის სადავო არ არის, რომ სპეციალური სამსახური (ამ შემთხვევაში – სახელმწიფო) ფლობდა ინფორმაციას ბატონი ლინდერის პირადი ცხოვრების შესახებ. ამას ერთვოდა ის ფაქტიც, რომ ასეთი ინფორმაცია ინახებოდა. იგი გარკვეული სამსახურებისთვის გახდა ცნობილი, დაბოლოს, ბატონ ლინდერს არ ჰქონდა საშუალება მას გასცნობოდა და, თუ საჭირო იყო, გაებათილებინა ეს ინფორმაცია. უდავოა, რომ ასეთ შემთხვევაში ადგილი აქვს ჩარევას პირის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის სფეროში. სახელმწიფო დაობს და სასამართლო ეთანხმება, რომ ასეთ

ჩარევას ლეგიტიმური მიზანი ჰქონდა – სახელმწიფოს უსაფრთხოების დაცვა.

სასამართლოს წინაშე გასარკვევია ორი საკითხი: პირველი, იყო თუ არა ჩარევა დადგენილი კანონით და მეორე, იყო თუ არა ჩარევა აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში.

სასამართლო კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს კონვენციის მერვე მუხლის მოთხოვნას, რომ ჩარევა ამ მუხლით დაცულ უფლებებში კანონით უნდა იყოს დადგენილი და, შესაბამისად, ჰქონდეს საფუძველი ქვეყნის შიდა კანონმდებლობაში. კანონის არსებობის მხოლოდ დადგენა კი არ ნიშნავს, რომ კანონი ვინაოდ ფორმულირებული და განჭვრეტადია. იმისათვის, რომ ეს ორი მოთხოვნა დაკმაყოფილდეს, უნდა განვიხილოთ, თუ რამდენად შეუძლია მოქალაქეს, წინასწარ განსაზღვროს ამა თუ იმ კანონის დარღვევის კონკრეტული შედეგები სასამართლო თუ ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების მეშვეობით.

ამ საქმეში ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებასაც მოსარჩელე ითხოვდა, ინახებოდა ერთ-ერთი ადმინისტრაციული აქტის თანახმად. ამ აქტის თანახმად, ფართო უფლებამოსილება ენიჭება ორგანოს, რომელიც ვალდებულია, რომ მოაგროვოს და შეინახოს ინფორმაცია, რომელიც მხოლოდ ქვეყნის უსაფრთხოების მიზნებისათვის არის გასაიდუმლოებული. სხვა სახის ინფორმაცია, მაგალითად, ინფორმაცია პირის პოლიტიკური პარტიის წევრობის შესახებ, არ შეიძლება საიდუმლო გრიფით იყოს დაცული. სადავო ადმინისტრაციული აქტით დეტალურად იყო აღწერილი, თუ რა სახის ინფორმაციის შეგროვება, შენახვა, რა პროცედურების გამოყენება დაიშვებოდა. სასამართლო თვლის, რომ ყოველივე ზემოხსენებული საშუალებას აძლევს მოქალაქეს, რომ განსაზღვროს ამ აქტის მოქმედების შედეგები. შესაბამისად, სასამართლომ ჩათვალა, რომ სადავო ადმინისტრაციული აქტი აკმაყოფილებს ვინაოდ ფორმულირებული და განჭვრეტადი კანონის სტანდარტებს.

ბოლო საკითხი, რომელიც სასამართლოს დარჩა განსახილველი, არის იმის გადაწყვეტა, იყო თუ არა ჩარევა „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“. ამ ყოველივეს გადასანწყვეტად საჭიროა, სასამართლომ დაადგინოს, რომ ჩარევა აუცილებელი იყო რაიმე სოციალური ინტერესის გამო და ლეგიტიმური მიზნის მიღწევას შეესაბამებოდა.

სასამართლო მხედველობაში იღებს ფაქტს, რომ პირადი მონაცემების წინასწარი კონტროლის სისტემა მნიშვნელოვანია პირის სამსახურში დაქირავების დროს. სასამართლო ეჭვქვეშ არ აყენებს იმ ფაქტს, რომ წევრ სახელმწიფოებს უფლება აქვთ მოაგროვონ და შეინახონ ინფორმაცია, რომელიც სამსახურში დასაქირავებელ პირს ეხება და ეს ინფორმაცია გამოიყენონ

ამ პირის თანამდებობისათვის შესაფერისობის დადგენისას. სასამართლო ადგენს, რომ მოპასუხე სახელმწიფოს აქვს გარკვეული დისკრეცია ამგვარი ინფორმაციის შეგროვებისა და გამოყენების რეგულირების საქმეში.

მოსარჩელე ამ საქმეში დამატებით დაობს, რომ მის მიმართ დაირღვა ინფორმაციის მიღებისა და გამომხატვის უფლება, რადგან მას უარი უთხრეს იმ ინფორმაციის გამჟღავნებაზე, რომელიც მისი სამსახურიდან დათხოვნის საფუძველი გახდა. სასამართლო ადგენს, რომ საჯარო მოხელეებსაც აქვთ გამომხატვის თავისუფლება. თუმცა სასამართლო არ თვლის, რომ ამ შემთხვევაში დაირღვა მოსარჩელის გამომხატვის თავისუფლება. სასამართლოს აზრით, ის შეამოწმეს და უარყოფითი დასკვნის გამო უარი უთხრეს სამსახურში დატოვებაზე.

სასამართლო ადგენს, რომ ასეთ შემთხვევაში კონვენციის მეათე მუხლი პირს არ აძლევს უფლებას, რომ მოითხოვოს ამგვარ ინფორმაციასთან დაშვება და არც სახელმწიფოს აკისრებს ვალდებულებას, რომ მან უზრუნველყოს ასეთი ინფორმაციის მიწოდება.

სასამართლომ დაადგინა, რომ ჰვეროპის ადამიანის უფლებების კონვენციის მერვე და მეათე მუხლები არ დარღვეულა.

მალოუნი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ

1984

ფაქტები:

1977 წელს ბატონ მალოუნს ბრალი წაუყენეს მოპარული ნივთებით ვაჭრობის გამო. სასამართლო სხდომის შედეგად მალოუნი რამდენიმე ბრალდებისათვის გაამართლეს, ხოლო სხვა ბრალდებებზე ნაფიცი მსაჯულები ვერ შეთანხმდნენ. პროკურატურამ ამ ბრალდებების გამო მალოუნს კიდევ ერთხელ წარუდგინა ბრალი, თუმცა კვლავ უშედეგოდ, რადგან პროკურატურამ რაიმე ახალი სამხილი ვერ წარმოადგინა, რაც მალოუნის ბრალეულობას დაამტკიცებდა.

სასამართლო პროცესის დროს აღმოჩნდა, რომ პოლიციის ოფიცერს, რომელიც საქმეს იძიებდა, თავის ჩანაწერებში ჰქონდა მალოუნის სატელეფონო საუბრების ტრანსკრიპტი. პროკურორმა სასამართლო პროცესზე განაცხადა, რომ მალოუნის სატელეფონო საუბრები ისმინებოდა შინაგან საქმეთა დეპარტამენტის მიერ გაცემული სანქციის შესაბამისად. მალოუნმა სამოქალაქო სარჩელი შეიტანა, სადაც დაობდა, რომ მისი სატელეფონო საუბრების მოსმენა და კორესპონდენციის კონტროლი უკანონო იყო.

სახელმწიფოს სადავოდ არ გაუხდია ის ფაქტი, რომ მალოუნის სატელეფონო საუბრები ისმინებოდა, მაგრამ ამტკიცებდა, რომ ტელეფონის მოსმენა კანონის ზუსტი დაცვით მიმდინარეობდა. ამასთან, სახელმწიფომ განმარტა, რომ მალოუნისათვის ეს არ შეუტყობინებიათ, რადგან ტელეფონის მოსმენას სათანადო შედეგი აღარ ექნებოდა.

ბატონი მალოუნი დამატებით დაობს, რომ მისი საუბრების მოსმენის გარდა სახელმწიფოს წარმომადგენლებს ხელი მიუწვდებოდათ აგრეთვე მის მიერ განხორციელებული და მიღებული ტელეფონის ზარების აღრიცხვის დოკუმენტზეც, სადაც ფიქსირდებოდა მალოუნის ტელეფონიდან დარეკილი და მის მიერ მიღებული ყველა ზარი და აბონენტის ტელეფონის ნომერი. მალოუნს ეჭვი აქვს, რომ ამის საფუძველზე ჩატარდა 20-მდე სხვა ადამიანის ბინის ჩხრეკა.

1978 წლის სექტემბერში მალოუნმა საფოსტო და სატელეკომუნიკაციო ორგანოს მოსთხოვა, რომ შეეწყვიტათ მისი მოსმენა. მაგრამ მათ უპასუხეს, რომ მათ ამის უფლება არ ჰქონდათ. მალოუნმა ევროპის ადამიანის უფლებების სასამართლოში იჩივლა, სადაც დაობდა, რომ მის მიმართ ირღვევა კონვენციის მერვე მუხლით დადგენილი უფლებები.

ევროპის ადამიანის უფლებების სასამართლოს გადაწყვეტილება:

1. სატელეფონო საუბრების მოსმენა

სახელმწიფოს წარმომადგენელი დაობს, რომ ჩარევა მერვე მუხლით დაცულ უფლებებში გამართლებული და დასაბუთებულია მერვე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად. კერძოდ, ჩარევას ადგილი ჰქონდა დანაშაულის აღმოჩენის და აღმოფხვრის მიზნით. სახელმწიფოს წარმომადგენელი დამატებით ითხოვს, რომ სასამართლომ არ დაადგინოს, რომ ზარების აღრიცხვით დაირღვა მოსარჩელის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება.

მოსარჩელე თავისი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევას ასაჩივრებს ორი საფუძვლის მიხედვით: პირველი, მისი უფლებები დაირღვა სატელეფონო და საფოსტო კონტროლის შედეგად, და მეორე, მისი უფლებები დაირღვა სატელეფონო ზარების აღრიცხვით ინფორმაციის მოპოვების შედეგად.

სასამართლო თავდაპირველად აღნიშნავს, რომ ამ საქმეში ადგილი არ ჰქონია საკომუნიკაციო საშუალებების ზოგად კონტროლს. საქმე გვაქვს ტელეფონის მოსმენასთან, რომელიც სამართალდამცავი მიზნებისათვის ხორციელდება. სახელმწიფოს წარმომადგენელი სადავოდ არ ხდის იმ ფაქტს, რომ პოლიცია უსმენდა მოსარჩელის ტელეფონით საუბარს შინაგან საქმეთა დეპარტამენტის სანქციის საფუძველზე. შესაბამისად, სასამართლო ადგენს, რომ ადგილი ჰქონდა მერვე მუხლით დაცულ უფლებებში ჩარევას.

სახელმწიფოს წარმომადგენელი უარს ამბობს გაამყლავნოს ინფორმაცია, რომელიც მოსარჩელის მიმართ გამოყენებული ზომების ხანგრძლივობას და მასშტაბს შეეხება. თუმცა სახელმწიფოს წარმომადგენელი აცხადებს, რომ ისინი მოსარჩელის საუბრებს კანონის საფუძველზე უსმენდნენ, რადგან იგი ექვემდებარებოდა იყო მოპარული ნივთებით ვაჭრობაში. რადგან სახელმწიფო არ დაობს, რომ ასეთ მოსმენას ადგილი ჰქონდა, სასამართლო აღარ თვლის საჭიროდ, რომ გაარკვიოს მოსმენის ხანგრძლივობა და მასშტაბი, რადგან დაადგინა, რომ კონვენციის მიზნებისათვის ჩარევას ამის გარეშეც ჰქონდა ადგილი.

ორი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს, ის არის, იყო თუ არა ჩარევა გამართლებული კონვენციის მერვე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, კერძოდ, იყო თუ არა ჩარევა კანონით დადგენილი და „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“.

ა) კანონით დადგენილი

სასამართლომ წინა გადაწყვეტილებებით დაადგინა, რომ სიტყვა „კანონი“ მოიცავს როგორც დაწერილ, ასევე ჩვეულებითი სამართლის დაუნერულ ნორმებს. მეორე პრინციპი, რომელიც კომისიამ და სასამართლომ დაადგინეს, ის არის, რომ ჩარევას გარკვეული სამართლებრივი საფუძველი უნდა ჰქონდეს ქვეყნის შიდა კანონმდებლობაში. ეს მოთხოვნა, თავის მხრივ, ორ მოთხოვნას უნდა აკმაყოფილებდეს: პირველი, კანონი ხელმისაწვდომი უნდა იყოს მოქალაქისათვის, რათა მან განსაზღვროს, თუ რა ქმედებაა ადეკვატური მოცემულ გარემოებებში; მეორე, კანონი ზუსტად უნდა იყოს ფორმულირებული, რომ მოქალაქეს შეეძლოს მიახლოებით მაინც განსაზღვროს თავისი ქმედების შედეგები. ამასთან, სასამართლო კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს დამატებით პრინციპს: იმისათვის, რომ დაკმაყოფილდეს კონვენციის მოთხოვნა, რომელიც ჩარევის კანონით დადგენას ეხება, მხოლოდ ის კი არ არის საჭირო, რომ შიდა კანონმდებლობაში იყოს გარკვეული საკანონმდებლო ნორმები, არამედ ისიც, რომ ეს ნორმები ხარისხიანი იყოს. კერძოდ, ეს ნორმები უნდა აკმაყოფილებდეს კანონის უზენაესობის პრინციპს, რომელიც კონვენციის პრეამბულაშია განმტკიცებული. კონვენციის მერვე მუხლისათვის კანონის უზენაესობის პრინციპი იმას ნიშნავს, რომ კონკრეტული კანონი, რომელიც ჩარევას ანებს, უნდა შეიცავდეს დაცვის გარკვეულ მექანიზმებს, რათა თავიდან იქნეს აცილებული თვითნებური ქმედებები სახელმწიფო ორგანოების მხრიდან. ეს საფრთხე განსაკუთრებით მაშინ იჩენს თავს, როდესაც აღმასრულებელ ხელისუფლებას საიდუმლო ზომების მიღების უფლება ეძლევა. უდავოა, რომ კანონის ზუსტად ფორმულირების მოთხოვნა ასეთ შემთხვევაში იგივე არ არის, რაც ჩვეულებრივ გარემოებებში იქნებოდა. მაგალითად, ეს პრინციპი ვერ დაადგენს მოთხოვნას, რომ

მოქალაქეს შეეძლოს განსაზღვროს, თუ როდის მოსმენენ მის საუბრებს სამართალდამცავი ორგანოები, რათა მან თავისი ქმედებები შესაბამისად დაარეგულიროს. მიუხედავად ამისა, კანონი ზუსტად უნდა განსაზღვრავდეს შემთხვევებს, როდესაც სამართალდამცავებს ფარული მოსმენის უფლება ეძლევათ. ინგლისისა და უელსის კანონმდებლობის განხილვისას სასამართლო ადგენს, რომ ეს კანონმდებლობა საკმაოდ ბუნდოვანი და ფართოდ ინტერპრეტირებადი. სასამართლოსთვის გაურკვეველია, აღმასრულებელი ხელისუფლების რა უფლებამოსილებაა მოცული კანონით მოსმენასთან დაკავშირებით და რა უფლებამოსილება რჩება მათ დისკრეციაში. შესაბამისად, სასამართლო ადგენს, რომ ამ საქმეში ჩარევა კანონით დადგენილი არ იყო.

ბ) აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში

სასამართლო აღიარებს ტელეფონის მოსმენის აუცილებლობას და მნიშვნელობას, როგორც ერთ-ერთ საგამოძიებო ქმედებას. სასამართლო ითვალისწინებს იმ ფაქტსაც, რომ გაერთიანებულ სამეფოში ბოლო დროს იმატა ორგანიზებულ დანაშაულთა რიცხვმა, რის შედეგადაც სამართალდამცავები უფრო ხშირად იყენებენ რთულ საგამოძიებო მოქმედებებს. თუმცა მათი გამოყენება ხშირად საფრთხეს უქმნის ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს. გარდა ამისა, სასამართლომ წინა გადაწყვეტილებებში დაადგინა, რომ ფარული მოსმენა მხოლოდ იმ შემთხვევაში დააკმაყოფილებს ტესტს „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“, თუ დადგინდება, რომ მოქალაქეს კანონის საფუძველზე აქვს გარკვეული დაცვის მექანიზმები და გარანტიები. სასამართლო ეთანხმება მოსარჩელეს, რომ ინგლისისა და უელსის კანონმდებლობა ამ სფეროში ასეთ მექანიზმებს არ იცნობს. შესაბამისად, სასამართლო ასკვნის, რომ ჩარევა არ იყო აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში.

2. ინფორმაცია ტელეფონის ზარების აღრიცხვის შესახებ

ტელეფონის ზარების აღრიცხვის პროცესი წარმოადგენს გარკვეული ტექნოლოგიის გამოყენებას, რომლის შედეგადაც ხდება კონკრეტული ტელეფონის აპარატიდან აკრეფილი ნომრებისა და ამ ნომერზე დარეკილი ნომრების რეგისტრაცია. ამ პროცესში ბრიტანეთის სატელეკომუნიკაციო სააგენტო აფიქსირებს მხოლოდ სიგნალს და სატელეფონო საუბარს არ ისმენს. აქედან გამომდინარე, სახელმწიფოს წარმომადგენელი დაობს, რომ, რადგან არ ხდება სატელეფონო საუბრების მოსმენა, არ არსებობს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაში ჩარევა.

სახელმწიფო აცხადებს, რომ ინფორმაცია ტელეფონის ზარების აღრიცხვის შესახებ ხელმისაწვდომია ტელეფონის ოპერატორისთვისაც, რათა მან

უზრუნველყოს ბილინგვის სწორად წარმოება და ბილინგთან დაკავშირებული საჩივრების მართებულად განხილვა. თუმცა სასამართლო არ ეთანხმება სახელმწიფოს, რომ ამ შემთხვევაში ჩარევა არ ხდება. ტელეფონის ზარების აღრიცხვისას ფიქსირდება იმ პირთა ტელეფონის ნომრებიც, ვისაც პირმა დაურეკა და მათიც, ვინც მასთან დარეკა. სასამართლოს აზრით, ეს ინფორმაცია სატელეფონო კომუნიკაციების განუყოფელი ნაწილია, რომლის აბონენტის თანხმობის გარეშე პოლიციისთვის გამჟღავნებაც პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაში ჩარევას წარმოადგენს. ინგლისისა და უელსის კანონმდებლობაში არაფერია ნახსენები ასეთი ინფორმაციის გამჟღავნების წესების შესახებ. შესაბამისად, სასამართლო ადგენს, რომ ჩარევა არ იყო დადგენილი კანონით, რაც გამორიცხავს აუცილებლობას, რომ სასამართლომ დაადგინოს, იყო თუ არა ჩარევა აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში.

სასამართლო ერთხმად ადგენს, რომ ევროპის ადამიანის უფლებების კონვენციის მერვე მუხლი დაირღვა.

გაერთიანებული სამეფოს მართლმსაჯულება

**მაიკლ დუგლასი და კეტრინ ზეტა ჯონსი „Hello!“ -ს წინააღმდეგ,
2000-2001**

**გაერთიანებული სამეფოს ინგლისის და
უელსის სააპელაციო სასამართლო (სამოქალაქო საქმეების კოლეგია)
21 December 2000, 2001 2 All ER 289 (Court of Appeal)**

ფაქტები:

2000 წლის 18 ნოემბერს, როდესაც მაიკლ დუგლასისა და კეტრინ ზეტა ჯონსის ქორწილი უნდა გამართულიყო, წყვილმა ხელშეკრულება გააფორმა ჟურნალ OK!-სთან. ხელშეკრულების თანახმად, წყვილმა ჟურნალს მინიჭა თავისი ქორწილის ფოტოების ექსკლუზიური გადაღებისა და ჟურნალში გამოქვეყნების უფლება. სამაგიეროდ, წყვილმა ჟურნალისგან 1 მილიონი ფუნტის ოდენობის საფასური მიიღო. მოსარჩელებმა ასევე შეინარჩუნეს უფლება, რომ შემდგომი პუბლიკაციის დროს უარი ეთქვათ მათ გამოქვეყნებაზე და შეერჩიათ გამოსაქვეყნებელი ფოტოები. ხელშეკრულების თანახმად, წყვილი ვალდებული იყო ქორწილის ცერემონიისას გაძლიერებული დაცვის ზომები მიეღო და ყველა სტუმრისათვის აეკრძალა ფოტოების გადაღება.

რუპერტ ტორპი, რომელიც პაპარაცი გახლავთ, მოტყუებით შეიპარა სასტუმროში, სადაც ქორნილი მიმდინარეობდა და ფოტოები გადაიღო, ამ ფოტოების გამოქვეყნების უფლება კი ჟურნალ „Hello!“-ს მიჰყიდა.

რამდენიმე დღის შემდეგ მოსარჩევეებმა და ჟურნალმა OKI-მ უკანონოდ გადაღებული ფოტოების შესახებ შეიტყვეს. ამასთან გაირკვა, რომ ჟურნალი Hello! გეგმავდა უკანონოდ გადაღებული ფოტოების გამოქვეყნებას, რის საპასუხოდაც, ჟურნალმა OKI-მ სასამართლოს მიმართა და მან კი მიიღო გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც ჟურნალ Hello!-ს აეკრძალა ფოტოების გამოქვეყნება. ჟურნალმა Hello!-მ გაასაჩივრა შემზღუდველი ბრძანება.

ინგლისისა და უელსის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება:

სასამართლოში სადავო არ არის საკითხი, იყო თუ არა წინა ინსტანციის სასამართლოს შემზღუდველი ბრძანება ჟურნალ Hello!-ს გამოხატვის თავისუფლების სფეროში ჩარევა. შემზღუდველი ბრძანება, რომელიც Hello!-ს წინააღმდეგ დაწესდა, მიზნად ისახავდა სხვა პირების უფლებებისა და რეპუტაციის დაცვას, კერძოდ, ამ შემთხვევაში ბატონი დუგლასის და ქალბატონი ჯონსისა. მთავარი საკითხი, რომელიც სასამართლოს წინაშე დგას, არის იმის გარკვევა, იყო თუ არა გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“. სასამართლომ დაადგინა, რომ კანონმდებლობის ნორმა, რომელიც სასამართლოებს ვალდებულებას აკისრებს, დიდი სიფრთხილით მოეკიდონ წინასწარი შემზღუდველი ბრძანების გაცემას, ევროპულ კონვენციასა და ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების საერთაშორისო და ევროპულ სტანდარტებს შეესაბამება. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ კონვენცია ერთ უფლებას მეორეზე მაღლა აყენებს. თუმცა კონვენციის სისტემის არსი ის გახლავთ, რომ გამოხატვის თავისუფლებაზე წინასწარი შეზღუდვების დაწესება რთული და ფაქიზი საკითხია. ევროპის ადამიანის უფლებების სასამართლომ საქმეში „გარდინი“ და „ობზერვერი“ გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ¹²⁰ დაადგინა: „წინასწარი შეზღუდვები იმდენად საფრთხილოა, რომ აუცილებელია მისი გამოყენების უმკაცრესი კონტროლი... ეს განსაკუთრებით ცხადი ხდება მაშინ, როდესაც საქმე პრესას, ახალ ამბებს – მალფუჭებად პროდუქტს – ეხება, რადგან ახალი ამბების გამოქვეყნების დაყოვნებამ შეიძლება ის შედეგი გამოიწვიოს, რომ ამ ახალმა ამბავმა ყველანაირი ღირებულება დაკარგოს.“

ევროპის ადამიანის უფლებების სასამართლო მხედველობაში იღებს იმ ფაქტსაც, რომ კანონმდებლობით სასამართლოს აკისრია ვალდებულება,

¹²⁰ Observer and Guardian v. United Kingdom, 26/111991 წლის გადაწყვეტილება

გაითვალისწინოს ქცევის ან ეთიკის არსებული წესები, რაც ამ შემთხვევაში პრესის ქცევის წესებია. ამ წესების მიხედვით კი ინდივიდის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვა მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე გვაქვს საჯარო ინტერესის ღირებულების მქონე საკითხებთან.

სასამართლო თვლის, რომ მოსარჩელების სადავო უფლებების დიდი ნაწილი კომერციული გარიგებების საგნად იქცა, ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, მათი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დიდი ნაწილი გაყიდულია. ამ უფლების „მონარჩენი“ მხოლოდ იმაში გამოიხატება, რომ მათ უფლება ჰქონდათ, OKI-ს მიერ გადაღებული ფოტოებიდან შეერჩიათ გამოსაქვეყნებელი მასალა. სასამართლო თვლის, რომ მხოლოდ ეს „მონარჩენი“ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებიდან არ არის საკმარისი Hello!-სთვის ფოტოების გამოქვეყნების ასაკრძალად.

სასამართლო ასევე ხაზს უსვამს პროპორციულობის მოთხოვნას და აღნიშნავს, რომ მოსარჩელების ზემოხსენებული „მონარჩენი“ პირადი ცხოვრების უფლება (რაც ფოტოების გამოქვეყნებისთვის დასტურის უფლებას ნიშნავს) არ არის საკმარისი, რომ გადაწონოს მოპასუხეების გამომხატვის უფლება, კერძოდ კი უკანონოდ გადაღებული ფოტოების გამოქვეყნების უფლება.

მიუხედავად იმისა, რომ გამომხატვის თავისუფლებას პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაზე პრიორიტეტი ავტომატურად არ ეძლევა, სასამართლო თვლის, რომ ამ შემთხვევაში გამომხატვის თავისუფლების შეზღუდვა დასაბუთებული და გამართლებული არ იყო.

ნაომი კემბელი (Cambell) MNG წინააღმდეგ გაერთიანებული სამეფოს ლორდათა პალატა, მაისი 2004

ფაქტები:

ნაომი კემბელი, პროფესიით მოდელი, საერთაშორისო მასშტაბით აღიარებული პიროვნებაა. მისი ნებისმიერი ქმედება ხშირად ხდება ახალი ამბების ყურადღების საგანი. 2001 წლის 1 თებერვალს გაზეთმა „Mirror“-მა გამოაქვეყნა სტატია, სადაც მოთხრობილი იყო იმის შესახებ, თუ როგორ მკურნალობდა კემბელი „ანონიმურ ნარკომანთა ჯგუფში“. სტატიასთან ერთად, რომლის სათაურიც იყო: „ნაომი: მე ნარკომანი ვარ“, გაზეთში დაიბეჭდა მოდელის ორი ფოტო: პირველი, რომელიც მას მოდების ერთ-ერთი ჩვენების დროს ასახავს და იქ კარგად გამოიყურება და მეორე, ოდნავ ბუნდოვანი ფოტო, სადაც ნაომი, ყოველდღიურ ჯინსებში გამოწყობილი, კლინიკის

შესასვლელთან დგას. სტატიაში მოთხრობილი იყო, რომ ნაომი კემბელს სერიოზული პრობლემები აქვს. იგი რამდენიმე თვის წინ საავადმყოფოში გადაიყვანეს. თვითონ ამბობს, რომ ალერგია დაემართა ანტიბიოტიკებისაგან, მაგრამ სინამდვილეში ეს ნარკოტიკების ზედმეტი დოზის გამო მოხდა. სტატიაში გრძელდებოდა, რომ ნაომი კემბელმა გადანყვიტა იმკურნალოს და თერაპიის ინტენსიური კურსი დაიწყო. სტატიის დასასრულს ნათქვამი იყო, რომ პოპულარული სუპერმოდელი ცდილობს თავისი ველური ცხოვრების სტილი შეცვალოს და ყველა გამოჯანმრთელებას უსურვებს მას.

იმავე დღეს, როდესაც სტატია გამოქვეყნდა, ნაომი კემბელის ადვოკატებმა სასამართლოს მიმართეს. ამას გაზეთ „Mirror“-ისგან საპასუხო სტატიების ციკლი მოჰყვა: 5 თებერვალს „Mirror“-ში გამოქვეყნდა სტატია სათაურით „საცოდავი“, სადაც ნათქვამი იყო, რომ ნაომი კემბელი, რომელიც წლების მანძილზე ნარკოტიკებს მოიხმარდა და ამას არ მალავდა, ახლა პირადი ცხოვრების დაცვას მოითხოვს. მეორე სტატია იმავე გაზეთში ასე იყო დასათაურებული: „ნაომი, ნუ დაიმალება“. მასში ნათქვამი იყო, რომ, თუ ნაომი კემბელს მონაზვნობა უნდა, მაშინ შეუერთდეს დედათა მონასტერს, ხოლო თუ შოუბიზნესში მონაწილეობა სურს, მაშინ ის საჯაროობა უნდა აიტანოს, რაც ამ ბიზნესს ახლავს თან. ორი დღის შემდეგ „Mirror“-მა კვლავ გამოაქვეყნა ახალი სტატია სათაურით „გრცხვენოდეს, ნაომი!“, სადაც ლაპარაკი იყო კემბელის გეგმებზე, დაეწყო კამპანია შოუბიზნესის მონაწილეთა პირადი ცხოვრების დასაცავად. სტატიაში ნათქვამი იყო, რომ ამ ბრძოლაში ნაომი კემბელი ისეთსავე ეფექტს მიაღწევს, როგორც ომში – შოკოლადის ჯარისკაცი. პირველი ინსტანციის სასამართლომ კემბელს დაუჭირა მხარი და „Mirror“-ს 3500 ფუნტის გადახდა დააკისრა. გაზეთის მიერ ამ გადანყვიტების გასაჩივრების შემდეგ სააპელაციო სასამართლომ გადანყვიტება გააუქმა და გაზეთი გაამართლა.

ნაომი კემბელმა გაერთიანებული სამეფოს უმაღლეს სასამართლო ინსტანციას – ლორდათა პალატას მიმართა.

გაერთიანებული სამეფოს ლორდათა პალატის გადაწყვეტილება:

ამ ქვეყანაში (დიდ ბრიტანეთში), განსხვავებით შეერთებული შტატებისაგან, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევა არ წარმოადგენს სარჩელის შეტანის საერთო და ყოვლისმომცველ საფუძველს. მიუხედავად ამისა, სასამართლო აცნობიერებს, რომ სამართლის ეს სფერო სწრაფად ვითარდება. აქ ჩვენ საქმე გვაქვს ორი მნიშვნელოვანი უფლების ურთიერთქმედებასთან, სადაც ერთმანეთს ეჯახება, ერთი მხრივ გამოხატვის თავისუფლება და, მეორე მხრივ, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა. არც ერთი უფლება არ არის მეორეზე პრიორიტეტული. გამოხატვის თავისუფლების

მნიშვნელობის შესახებ არაერთხელ უთქვამს ამ სასამართლოს, თუმცა პირადი ცხოვრების უფლება დემოკრატიული საზოგადოების მნიშვნელოვანი ელემენტია, რომლის მეშვეობითაც ინდივიდს საშუალება აქვს, განვითარდეს. ეს უფლება, მიუხედავად იმისა, რომ ინგლისური საერთო სამართლით არ არის აღიარებული, სავალდებულოდ დასაცავი გახდა ევროპული კონვენციის გაერთიანებული სამეფოს კანონმდებლობაში ინკორპორირების შედეგად, რაც 1998 წელს ადამიანის უფლებების აქტის მიღებით მოხდა.

დავუბრუნდეთ ქალბატონ კემბელის სარჩელს. ქალბატონი კემბელი დაობს, რომ ინფორმაცია, რომელიც გამჟღავნდა, კერძო ხასიათისა იყო. სასამართლო ამ ინფორმაციას ხუთ კატეგორიად ყოფს: 1. ფაქტი, რომ ნაომი კემბელი ნარკომანია; 2. ფაქტი, რომ ნაომი კემბელი ნარკომანიას მკურნალობდა; 3. ფაქტი, რომ ნაომი კემბელი მკურნალობდა „ანონიმურ ნარკომანთა ჯგუფში“; 4. მისი მკურნალობის ინტენსივობის, მეთოდის, ხანგრძლივობის შესახებ ინფორმაცია; 5. ნაომი კემბელის ფოტო, სადაც ჩანს, თუ როგორ გამოდის იგი კლინიკიდან.

სადავო არ არის, რომ ხუთივე კატეგორიაში მოქცეული ინფორმაცია ადამიანის უფლებების აქტის მერვე მუხლით (პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება) დაცული იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ საქმე გვექნებოდა ჩვეულებრივ პირთან. მაგრამ ამ საქმეში მოსარჩელე ნაომი კემბელია, რომელმაც არაერთხელ იცრუა საჯაროდ, რომ სხვა მოდელისაგან განსხვავებით, არც კი გაჰკარებია ნარკოტიკებს, რომელიც სამოდელო ბიზნესში უხვადაა. ამ განცხადების მრავლად გაკეთების შემდეგ, ქალბატონ კემბელს აღარ უნდა ჰქონოდა პირველი და მეორე კატეგორიის საკითხებზე პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის მოლოდინი. გაზეთის მიერ ინფორმაციის გამოქვეყნება, რომელიც კემბელის განცხადებების საპირისპიროა, არ წარმოადგენს პირადი ინფორმაციის გამჟღავნებას. ლორდთა პალატა ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს, რომელმაც დაადგინა, რომ, როდესაც საჯარო ფიგურა მცდარი იმიჯით წარმოადგენს საკუთარ თავს და არასწორ ინფორმაციას აწვდის საზოგადოებას, პრესას უჩნდება უფლება, რომ ეს ინფორმაცია სწორი სახით გამოაქვეყნოს.

ამის შემდეგ სასამართლო განიხილავს შემდეგ კატეგორიებში მოქცეულ (მესამე და მეოთხე) ინფორმაციას. ამ ინფორმაციის თანახმად, ნაომი კემბელი „ანონიმურ ნარკომანთა ჯგუფში“ მკურნალობდა. აქ ლაპარაკი იყო მკურნალობის მეთოდებსა და ინტენსივობაზეც. სასამართლო ითვალისწინებს, რომ ნაომი კემბელმა არაერთხელ „საჯარო გახადა“ და გამოააშკარავა ინფორმაცია თავის მიერ ნარკოტიკების მოხმარების შესახებ, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ კემბელი დაჟინებულად უარყოფდა ნარკოტიკების მიღებას. ამ გარემოებების გათვალისწინებით, ისმის კითხვა: შეიძლებოდა

თუ არა მკურნალობის მეთოდის, პერიოდულობისა და ინტენსივობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნება? სასამართლო თვლის, რომ ამ შემთხვევაში პასუხი დადებითია: ამ მეთოდით ნარკომანიის მკურნალობა მიღებული ფორმაა. იმის გამჟღავნება, რომ კემბელი ამ მეთოდით მკურნალობს, იგივეა, რომ გამჟღავნდეს, რომ პირს, რომელმაც ფეხი მოიტეხა, თაბაშირში ჩაუსვეს ფეხი, ან რომ კიბოთი დაავადებული ავადმყოფი ქიმიათერაპიით მკურნალობს. ამ საფუძვლით სასამართლო თვლის, რომ მოკლე აღწერა იმისა, თუ რა მეთოდით მკურნალობენ ნაომი კემბელს და რომ ის „ანონიმურ ნარკომანთა ჯგუფში“ თერაპიას გადის, მხოლოდ აზუსტებს იმას, რაც ისედაც საყოველთაოდაა ცნობილი.

სასამართლოს არ სურს, მხოლოდ ამ საფუძვლით დაადგინოს, რომ ინფორმაციის გამოქვეყნება დასაშვებია. მას სურს განიხილოს ის კონფლიქტი, რაც ამ საქმეში გამოხატვის და პირადი ცხოვრების თავისუფლებებს შორის არსებობს. პირველი ინსტანციის სასამართლო შეცდა, როდესაც გაზეთს კემბელის სასარგებლოდ თანხის გადახდა დააკისრა, რადგან სასამართლომ არ მოახდინა გამოხატვის თავისუფლების დაბალანსება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობასთან. გასაგებია, რომ ინფორმაციის გავრცელება ნაომი კემბელის ნარკომანობის შესახებ უფრო ნაკლებმნიშვნელოვანია საზოგადოებისთვის, ვიდრე სხვა პოლიტიკური მოვლენები, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამგვარი ინფორმაციის გავრცელების უფლება საერთოდ აღარ არსებობს.

რაც შეეხება მეხუთე კატეგორიას – ქალბატონი კემბელის ფოტოებს, სასამართლოსთვის სავსებით გასაგებია ქალბატონ კემბელის გრძნობები, როდესაც მან საკუთარი თავი გაზეთის გარეკანზე იხილა, განსაკუთრებით კი იმ დროს, როდესაც იგი ბოლომდე გამოჯანმრთელებული არ იყო. ზოგადად უნდა ითქვას, რომ ფოტოები ადამიანის შესახებ უფრო მეტს შეიცავს, ვიდრე მისი სიტყვიერი აღწერა. ამიტომ ამბობენ, ერთი ფოტო ათას სიტყვას უდრისო. მიუხედავად ამისა, გაზეთში გამოქვეყნებული ფოტო არავითარ პირად ინფორმაციას არ შეიცავდა, სტატიას ის არაფერს მატებდა. ეს ფოტო (სადაც კემბელი თბილად ესალმება თავის ჯგუფში სხვა პაციენტებს) სულაც არ იყო ქალბატონ კემბელისათვის შეურაცხმყოფელი და არაფერ ნეგატიურს არ ასახავდა. ამიტომ სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს, რომ ქალბატონ კემბელის სარჩელი წარუმატებლად უნდა ჩაითვალოს.

ამასთან, სასამართლო ითვალისწინებს ქალბატონ კემბელის ემოციურ მდგომარეობას, რომელიც გამოქვეყნებულმა სტატიებმა გამოიწვია, თუმცა სასამართლო თვლის, რომ ქალბატონ კემბელს იმაზე მეტი ემოციური განცდა სტატიების გამოქვეყნების გამო არ მიუღია, ვიდრე თერაპიის კურსის გამო მიიღო. შესაბამისად, ეს არასაკმარისია იმისათვის, რომ დაკმაყოფილდეს მისი სარჩელი „Mirror“- ის წინააღმდეგ.

კანადის უზენაესი სასამართლოს მართლმსაჯულება

დაგი კანადის ფინანსთა სამინისტროს წინააღმდეგ
2 S.C.R. 403. 1997

ფაქტები:

მოსარჩელემ კანადის ფინანსთა სამინისტროს მოსთხოვა ინფორმაცია, კერძოდ, დოკუმენტები, რომლებშიც შაბათ-კვირას შენობაში შემავალი სამინისტროს თანამშრომლები საკუთარ სახელსა და გვარს წერდნენ, აფიქსირებდნენ შენობაში შესვლის და გასვლის დროს და ყოველივე ამას ხელმონერით ადასტურებდნენ. ეს დოკუმენტაცია შენობის დაცვის სამსახურში ინახებოდა უსაფრთხოების მიზნებისათვის და არ გამოიყენებოდა ზეგანაკვეთური მუშაობის ასანაზღაურებლად. მოსარჩელე მიზნად ისახავდა ამ დოკუმენტების პროფესიული კავშირისთვის წარდგენას და კოლექტიური ხელშეკრულების დადების მოლაპარაკების პროცესში მის გამოყენებას. ფინანსთა სამინისტრომ მოსარჩელეს გადასცა მოთხოვნილი დოკუმენტები, თუმცა იქიდან ამოშალა თანამშრომელთა სახელები და გვარები, საიდენტიფიკაციო ნომრები და ხელმოწერები იმ არგუმენტით, რომ ისინი პერსონალურ მონაცემებს წარმოადგენს და მათზე ინფორმაციის თავისუფლება არ ვრცელდება. მოსარჩელე შეეცადა ეს გადაწყვეტილება, ფინანსთა მინისტრთან გაესაჩივრებინა, თუმცა მანაც იმავე არგუმენტით უარი უთხრა მოსარჩელეს პერსონალური მონაცემების გაცემაზე.

კანადის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება:

სასამართლოს წინაშე დგას კითხვა, არის თუ არა ინფორმაციის პერსონალურობა სადავო კანადის ფედერალური კანონმდებლობის თანახმად.

სამსახურში გატარებული დროის შესახებ ინფორმაცია წარმოადგენს მონაცემებს, რომელიც დაკავშირებულია პირის თანამდებობასთან ან ფუნქციებთან და რომელიც იძლევა შესაძლებლობას, დავადგინოთ, თუ რა დროა საჭირო ამა თუ იმ თანამდებობაზე სამუშაოს შესასრულებლად. ამ ინფორმაციაში არ არის არაფერი სუბიექტური. იგი იძლევა ზოგად მონაცემებს ამა თუ იმ თანამდებობაზე მუშაობისათვის საჭირო დროის შესახებ.

ინფორმაციის თავისუფლების კანონმდებლობის მთავარი მიზანი დემოკრატიის განვითარებაა. იგი ეხმარება მოქალაქეებს, მიიღონ ინფორმაცია და ეფექტურად მიიღონ მონაწილეობა ქვეყანაში მიმდინარე დემოკრატიულ პროცესებში. კანადის ინფორმაციის თავისუფლების კანონმდებლობა სახელმწიფოს მფლობელობაში არსებული საკმაოდ დიდი მოცულობის ინფორ-

მაცის მიღების უფლებას იძლევა. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დაცვის შესახებ კანონმდებლობის მიზანი კი ინდივიდის პირადი ინფორმაციის დაცვაა, რომელიც სახელმწიფო მფლობელობაშია. ამავე კანონმდებლობით, გარანტირებულია პირის უფლება, მიიღოს საკუთარი თავის შესახებ სახელმწიფო ორგანოებში დაცული ინფორმაცია და, საჭიროებისამებრ, მოითხოვოს მისი შესწორება.

კანონმდებლობის მიხედვით, პერსონალური ინფორმაცია განმარტებულია როგორც „ინფორმაცია იდენტიფიცირებადი ინდივიდის შესახებ, რომელიც დაცულია ნებისმიერი ფორმით და არ შემოიფარგლება მხოლოდ ქვემოთ ჩამოთვლილით...“ წინამდებარე განმარტება ნიშნავს, რომ მხოლოდ პირველი წინადადება უნდა იქნეს განმარტებული და შემდგომი ჩამონათვალი მხოლოდ ინფორმაციის დაცვის ფორმების მაგალითებს იძლევა. განმარტების ენა განზრახ ზოგადია და მისი მიზანია მოიცვას ყოველი შესაძლებელი ინფორმაცია, რომელიც ინდივიდის შესახებ შეიძლება არსებობდეს.

წინამდებარე საქმეში, მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი დოკუმენტაცია შეიცავდა ინფორმაციას ერთი თვის მანძილზე თანამშრომელთა სამუშაო ადგილებზე ყოფნის დროის მონაკვეთების შესახებ. ცხადია, ეს არის „ინფორმაცია იდენტიფიცირებადი ინდივიდების შესახებ“. შესაბამისად, კანონის თანახმად, ეს *prima facie* პერსონალური მონაცემები გახლავთ. ასევე მნიშვნელოვანია ისიც, რომ ფინანსთა სამინისტროში მომუშავე მუშაკებს ამ ინფორმაციასთან დაკავშირებით პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის გონივრული მოლოდინი ჰქონდათ. ისინი ნამდვილად არ ელოდნენ, რომ ეს ინფორმაცია ოდესმე ფართო საზოგადოებისათვის გახდებოდა ცნობილი. ნებისმიერ „საშუალო“ ადამიანს ექნებოდა მოლოდინი, რომ მისი ადგილსამყოფელი უქმე დღეების განმავლობაში ცნობილი არ გახდებოდა უცხო ადამიანებისათვის, მიუხედავად იმისა, რომ ეს მისი სამუშაო ადგილია.

მას შემდეგ, რაც გადაწყდა, რომ სადავო ინფორმაცია, კანონის თანახმად, პერსონალური მონაცემების ფარგლებში ექცევა, აღარ არის საჭირო იმის დადგენა, ხვდება თუ არა იგი პერსონალური მონაცემების განმარტების თანმხლებ ჩამონათვალში (ინფორმაციის დაცვის ფორმების სიაში). თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი მასალა მოიცავს პირის სახელს, გვარს და სხვა ინფორმაციას, რითაც მისი იდენტიფიცირება გახდებოდა შესაძლებელი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, კანონმდებლობით, საჯარო ინფორმაცია, რომელიც ეხება ამა თუ იმ თანამდებობას, როგორც ასეთს, და არა ინდივიდს. შესაბამისად, ინფორმაცია კონკრეტული თანამდებობის, ფუნქციების, მოვალეობების ან პასუხისმგებლობის შესახებ (ინფორმაცია, რომელიც ამა

თუ იმ თანამდებობის სამუშაოს აღწერაში არსებობს) არ არის პერსონალური მონაცემები. მაგრამ ინფორმაცია, რომელიც კონკრეტული ინდივიდის მიერ მისი ფუნქციების შესრულების ფორმას ან მეთოდებს ეხება, უკვე პერსონალურია.

ინფორმაცია, რომელიც მოსარჩელემ მოითხოვა, არ არის მონაცემები კონკრეტული თანამდებობის პირის შესახებ. ეს ინფორმაცია მოსარჩელეს ზოგად წარმოდგენას შეუქმნიდა უქმე დღეებში მუშაობის შესახებ და მას არ მიაწვდიდა ინფორმაციას კონკრეტული ინდივიდის მიერ მისი ფუნქციების განხორციელების ფორმებზე და სხვა პირად საკითხებზე.

მაგრამ იგივე დოკუმენტი შეიცავს ინფორმაციას, რომელიც კონკრეტულ ინდივიდებს ეხება და არ უკავშირდება მათ სამუშაოს (შენიშვნაში შესვლის და გასვლის დრო). მიუხედავად იმისა, რომ სადავო დოკუმენტი ზეგანაკვეთურ სამუშაო დროს ზუსტად აღრიცხავს, იგი შეიცავს პერსონალურ მონაცემებსაც, სადავო დოკუმენტში ისეთი არაფერია მოცემული, რაც ინდივიდის სამუშაოს ან მის შესრულებას შეეხება. ეს დოკუმენტები არ არის შექმნილი ამა თუ იმ თანამდებობის პირის მიერ სამუშაო პროცესში, ისინი დაცვის სამსახურის მიერ იქმნება და კონტროლდება და არაფერი აქვს საერთო კონკრეტული თანამდებობის პირის შრომისუნარიანობასა და ნაყოფიერებასთან.

სასამართლო ადგენს, რომ სადავო ინფორმაცია წარმოადგენს პერსონალურ მონაცემებს და ინფორმაციის თავისუფლების კანონმდებლობა მასზე არ ვრცელდება.

გოდბოუტი ლონგუელის წინააღმდეგ 3 S.C.R. 844, 1997

ფაქტები:

ქალაქ ლონგუელში მუნიციპალიტეტმა მიიღო დადგენილება, რომლის თანახმადაც, სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში მუდმივად მომუშავე პირი ვალდებული იყო მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ეცხოვრა. პოლიციის განყოფილების რადიოოპერატორის თანამდებობაზე მიღებისას მოსარჩელემ ხელი მოაწერა დოკუმენტს, სადაც პირობა დადო, რომ სანამ ამ თანამდებობაზე იმუშაებდა, საცხოვრებლად ლონგუელის ტერიტორიას აირჩევდა. დეკლარაციაში ჩანერილი იყო, რომ, თუ იგი მუნიციპალიტეტის საზღვრებს გარეთ გადავიდოდა საცხოვრებლად, მას შეტყობინების გარეშე შეუჩერებდნენ უფლებამოსილებას. ერთი წლის შემდეგ გოდბოუტმა ახალი სახლი იყიდა მეზობელ რაიონში და იქ გადავიდა

საცხოვრებლად. მას შემდეგ, რაც მან უარი განაცხადა უკან დაბრუნებაზე, მას უფლებამოსილება შეუჩერეს.

კანადის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება:

საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევა კანადის ქარტიის მეშვიდე მუხლით გათვალისწინებული უფლებების ნაწილია. ეს უფლება მოიცავს როგორც უფლებას ფიზიკურ თავისუფლებაზე და გადაადგილებაზე, ასევე პირის მიერ საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად აირჩევის უფლებას. საცხოვრებელი ადგილის არჩევანის უფლება თავისი შინაარსით უკიდურესად პირადი გადაწყვეტილებაა და ინდივიდის პირადი ავტონომიის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს. სახელმწიფოს არ უნდა ჰქონდეს უფლება და შესაძლებლობა, ჩაერიოს ამგვარი ხასიათის პირადი გადაწყვეტილების მიღებაში, თუკი არ არსებობს მნიშვნელოვანი და არსებითი სახელმწიფო ინტერესები. ამ არგუმენტის განსამტკიცებლად შეგვიძლია მოვიშველიოთ პაქტი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, რომლის ნეკრიც კანადის სახელმწიფოცაა. გოდბოუტს უარი არ უთქვამს ამ უფლებაზე, როდესაც ხელს აწერდა დეკლარაციას საცხოვრებელი ადგილის შესახებ. მას არ ჰქონია შესაძლებლობა, მოლაპარაკება ეწარმოებინა ამ საკითხზე, სადავოდ გაეხადა დეკლარაცია და ამის შედეგად მას უარი არ უთქვამს საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევის უფლებაზე. სახელმწიფოს მიერ კანადის ქარტიის მეშვიდე მუხლით აღიარებული უფლების შეზღუდვა კანონის დარღვევად არ ჩაითვლება, თუ იგი „სამართლიანობის ფუნდამენტურ პრინციპებს არ არღვევს“. იმის განსასაზღვრად, ირღვევა თუ არა ეს ფუნდამენტური პრინციპები, აუცილებელია სადავო უფლების განხილვა მუნიციპალიტეტის ინტერესების კონტექსტში. მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებმა სამი არგუმენტი წარმოადგინეს თავისი დადგენილების გასამართლებლად: პირველი, მუნიციპალიტეტის მიერ გაწეული მომსახურების მაღალი სტანდარტების შენარჩუნება; მეორე, ადგილობრივი ბიზნესის სტიმულირება და მუნიციპალური საგადასახადო სისტემის ეფექტურობისთვის ხელშეწყობა; მესამე, იმ მოშუაკთა სამუშაო ადგილთან სიახლოვე, რომლებიც მნიშვნელოვან საჯარო მომსახურებას გასწევენ.

პირველი ორი არგუმენტი არ არის ამ საქმესთან დაკავშირებული. რაც შეეხება მესამე არგუმენტს, მისი გავრცელება გამართლებული იქნებოდა გადაუდებელი სამსახურის პერსონალისათვის, თუმცა მაინც სადავო იქნებოდა მისი ასეთი ფართოდ ფორმულირებული სახე. მაგრამ, ასეც რომ იყოს, ამ საქმეში მოსარჩელე არ არის გადაუდებელი სამსახურის პერსონალის ნაწილი.

მუნიციპალიტეტის დადგენილება ასევე ეწინააღმდეგება კანადური ქართის მეხუთე მუხლს, რომლის თანახმადაც პირს უფლება აქვს მიიღოს პირადი გადაწყვეტილებები გარედან ჩაურევლად. ეს უფლება ასევე მოიცავს საცხოვრებელი ადგილის არჩევის უფლებას. გამომდინარე იქიდან, რომ მუნიციპალიტეტის დადგენილებამ სრულად წაართვა გოდბოუტს ამგვარი არჩევანის უფლება, იგი მეხუთე მუხლის დარღვევადაც უნდა ჩაითვალოს. კანადის ადამიანის უფლებების ქარტიის თანახმად, ნებისმიერი უფლების შეზღუდვისას სახელმწიფოს ევალება დაამტკიცოს, რომ ასეთი შეზღუდვა აუცილებელია ლეგიტიმური და არსებითი მიზნის მისაღწევად, რაც ამ შეზღუდვის პროპორციულია, გონივრულადაა დაკავშირებული მისაღწევ მიზანთან და უფლება რაც შეიძლება ნაკლებადაა შეზღუდული. სახელმწიფოს ამ საქმეში ზემოთჩამოთვლილი არგუმენტები არ მოუყვანია. ის სამი საფუძველი, რომლითაც იგი ცდილობდა, თავისი დადგენილება გაემართლებინა, საკმარისი არ არის უფლების შესაზღუდად.

R. ბერნშოუს წინააღმდეგ

1 S.C.R. 254, 1995

ფაქტები:

მას შემდეგ, რაც პოლიციელმა დაშვებულზე უფრო მაღალი სიჩქარით მომავალი პირი შენიშნა, მან იგი გააჩერა. პოლიციელმა მას ალკოჰოლის სუნი შეამჩნია და სასუნთქი ტესტის ჩატარება მოსთხოვა. კანადის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, პოლიციელს უფლება აქვს პირს ჩაუტაროს სასუნთქი ტესტი, თუკი მას გაუჩნდება დასაბუთებული ეჭვი, რომ ეჭვმიტანილი ნასვამია. ეჭვმიტანილის წინააღმდეგობა არ გაუწევია და ტესტის შედეგი დადებითი აღმოჩნდა. ამის შემდეგ პოლიციელმა დაასკვნა, რომ ეჭვმიტანილს არ შეეძლო ავტომობილის მართვა და იგი პოლიციის განყოფილებაში გადაიყვანა, სადაც მას ორი სასუნთქი ტესტი ჩაუტარდა. ორივე ტესტმა აჩვენა, რომ ალკოჰოლის ოდენობა დაშვებულ 0.8-ზე მაღალი იყო. სასამართლო პროცესზე ექსპერტმა აღნიშნა, რომ შემონმებისას ეჭვმიტანილის პირის ღრუში ალკოჰოლის არსებობამ შესაძლოა ხელოვნურად ასწიოს ხელსაწყოზე ალკოჰოლის შემცველობის მაჩვენებელი. შესაბამისად, პოლიციელებს მიღებული ჰქონდათ ინსტრუქცია, რომ იმ შემთხვევაში, თუ ვერ დაადგენდნენ ალკოჰოლის მიღების ბოლო დროს, მოეცადათ 15 წუთის განმავლობაში და ამის შემდეგ კიდევ ჩაეტარებინათ ტესტი, რათა ამასობაში პირის ღრუდან ალკოჰოლი გამქრალიყო. ხელსაწყო ინსტრუქციამაც იგივე ეწერა და ის გამომყენებლებს ურჩევდა, რომ 20

წუთი მოეცადათ ზუსტი რეზულტატის მისაღებად. ექვმიტანილი დაობდა, რომ, მას შემდეგ, რაც ავტომობილის გაჩერების ადგილას ჩატარებულმა ტესტმა დადებითი შედეგი აჩვენა, პოლიციელს უნდა სცოდნოდა, რომ ის შეიძლება მცდარი ყოფილიყო და, შესაბამისად, მას არ გააჩნდა დასაბუთებული ეჭვი განმეორებითი ტესტის ჩასატარებლად. მიუხედავად ამისა, სასამართლომ ეს შუამდგომლობა მხედველობაში არ მიიღო და იგი დამნაშავედ ცნო ნასვამ მდგომარეობაში ავტომობილის მართვის გამო.

კანადის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება:

როდესაც პოლიციელს აქვს დასაბუთებული და გონივრული ეჭვი, რომ პირმა ჩაიდინა დანაშაული, მას სასუნთქი ტესტის გამოყენების უფლება აქვს. კანადის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნების თანახმად, აუცილებელია, რომ პოლიციელს ასეთი ტესტის ჩატარებისთვის ობიექტური დასაბუთებული და გონივრული ეჭვი ჰქონდეს და სუბიექტურად პატიოსნად სჯეროდეს, რომ პირმა დანაშაული ჩაიდინა. ცხადია, რომ პირველადი ტესტის დადებითი შედეგი განამტკიცებს ზემოხსენებულ დასაბუთებულ და გონივრულ ეჭვს, თუმცა მხოლოდ ტესტის პასუხი საკმარისი არ არის დასაბუთებული ეჭვის დასადგენად.

მაშინ, როდესაც არსებობს მეცნიერული დასკვნები, რომ ექვმიტანილის მიერ ალკოჰოლის მიღებდან 15 წუთის განმავლობაში ტესტის პასუხი შესაძლოა მცდარი იყოს, სასამართლო ვერ განუმარტავს პოლიციელს, რომ მისი დასაბუთებული ეჭვი სწორი არ არის. პირველი ტესტის შემდეგ პოლიციელს გაუჩნდა დასაბუთებული ეჭვი, რომელიც საკმარისი იყო მეორე ტესტის ჩასატარებლად. პოლიციელი ვალდებულია დაეყდროს იმ ხელსაწყოს გამოყენებას, რომლის მოქმედებაც კანონით არის დადგენილი. შესაბამისად, ამ საქმეში ჩხრეკა და ამოღება კანონის ფარგლებში მოხდა.

სასამართლო ადგენს, რომ ტესტის ჩატარებისას არ დარღვეულა კანადის ადამიანის უფლებების ქარტიის მერვე მუხლი.

R. ბელნავისისის წინააღმდეგ

3S.C. R. 341, 1997

ფაქტები:

პოლიციამ გააჩერა ავტომანქანა სიჩქარის გადაჭარბების გამო. მას შემდეგ, რაც მძღოლმა (ბელნავისისმა) ვერ წარმოადგინა ავტომობილის საკუთრების ან მართვის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტები, პოლიციელმა პოლიციის შიდა ქსელის მეშვეობით დაიწყო ამ ავტომობილის შესახებ

ინფორმაციის მოძიება. სანამ კომპიუტერული პროგრამა ბრძანებას ამუშავებდა და ინფორმაცია იძებნებოდა, პოლიციელი ავტომანქანასთან დაბრუნდა და მისი დათვალიერება დაიწყო. ავტომანქანაში იმყოფებოდა აგრეთვე ქალბატონი ლორენსი, რომლის გვერდითაც დიდი პოლიეთილენის ნაგვის პარკები ენყო. ასეთივე პარკები ენყო ავტომობილის საბარგულშიც. დათვალიერებისას პარკებში აღმოჩნდა ახალი ტანსაცმელი, რომელზეც ფასის აღმნიშვნელი ბირკები არ იყო მოხსნილი. ორივე ქალბატონმა განსხვავებული ვერსია წარმოადგენა იმის შესახებ, თუ ვისი იყო ტანსაცმლით სავსე პოლიეთილენის პარკები და საიდან აღმოჩნდა ისინი ავტომობილში. მათ ბრალი წაუყენეს ქურდობისთვის.

სასამართლო პროცესზე მოსამართლემ დაუშვებლად ცნო ავტომობილის დათვალიერების შედეგად მიღებული მტკიცებულებები (ტანისამოსით სავსე პოლიეთილენის პარკები), რადგან იგი კანადის ადამიანის უფლებების ქარტიის მერვე მუხლის დარღვევით იყო ჩატარებული. შესაბამისად, სასამართლომ ეჭვიტანილები გაამართლა. სააპელაციო სასამართლომ გააუქმა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება და დაადგინა, რომ სადავო მტკიცებულებები სასამართლო პროცესზე უნდა დაეშვათ.

კანადის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება:

მთავარი საკითხი, რომელიც სასამართლოს წინაშე დგას, არის ის, ჰქონდა თუ არა ეჭვიტანილს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის გონივრული მოლოდინი ჩხრეკისა და ამოღებისას და დასაშვებია თუ არა ჩხრეკისას ამოღებული მტკიცებულებები. უდავოა, რომ ადამიანს, რომელიც ავტომობილს მართავს მისი მესაკუთრის თანხმობით, აქვს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის გონივრული მოლოდინი, როდესაც ის ავტომობილში იმყოფება. ავტომობილის ჩხრეკა შესაბამისი სანქციის გარეშე კანადის ადამიანის უფლებების ქარტიის მერვე მუხლის დარღვევას წარმოადგენს. თუმცა, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ჰქონდა თუ არა ეჭვიტანილს პირადი ცხოვრების დაცვის გონივრული მოლოდინი, დამოკიდებულია გარემოებების მთელ რიგ დეტალებზე. ამისათვის, ყველა ფაქტი და მოვლენა, რაც თან ახლავს პირის ავტომობილში ყოფნას, დეტალურად უნდა იქნეს განხილული. ამ საქმეში ფაქტები ცხადყოფს, რომ მძღოლს არ გააჩნდა პირადი ცხოვრების დაცვის გონივრული მოლოდინი. ავტომობილთან მისი კავშირი საკმაოდ დაუსაბუთებელი იყო. ეჭვიტანილი არ იყო ავტომობილის მესაკუთრე და არც მის მფლობელთან ჰქონდა რაიმე ურთიერთობა. არანაირი მტკიცებულება არ არსებობს ამ საქმეში, რომელიც სასამართლოს ეჭვიტანილის პირადი ცხოვრების დაცვის გონივრული მოლოდინის სასარგებლოდ გადახრიდა. თუმცა სასამართლოს აქვე სურს განმარტოს, რომ სხვა

შემთხვევებში არსებობს საფუძვლები, როდესაც პირს შეუძლია წარმატებულად იდაოს, რომ მას ავტომობილში ყოფნისას აქვს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის გონივრული მოლოდინი. ამასთან, ეჭვმიტანილმა ვერ დაამტკიცა, რომ ავტომობილში მოთავსებული ნაგვის პოლიეთილენის პარკები მისი იყო. სულ სხვა გარემოებებთან გვექნებოდა საქმე, ავტომობილში რომ ჩემოდანი ან ხელჩანთა ყოფილიყო, რომელზეც ამ პირის სახელი ან ინიციალები იქნებოდა აღბეჭდილი. რაც შეეხება პოლიციელის დასაბუთებულ და გონივრულ ეჭვს ჩხრეკის გასამართლებლად, აქ უნდა დადგინდეს, რამდენად დიდი იყო ქარტიით გარანტირებული უფლების დარღვევა, რომ გადაწყდეს ჩხრეკის შედეგად ამოღებული მტკიცებულებების დასაშვებობა. პოლიციელმა სწორად გააჩერა ავტომობილი, რადგან იგი დადგენილზე უფრო ჩქარა მოძრაობდა. მას უფლება ჰქონდა მოეთხოვა ავტომობილის და მისი მძღოლის დოკუმენტები. მათი არარსებობის დადგენის შემდეგ, უდავოა, რომ პოლიციელს გაუჩნდებოდა დასაბუთებული და გონივრული ეჭვი, რომელიც ჩხრეკის ჩასატარებლად არის საჭირო.

მტკიცებულებების დასაშვებობის შემთხვევაში უნდა განვიხილოთ სამი საკითხი: 1. მტკიცებულებების დაშვების შედეგები სასამართლო პროცესზე (მისი სამართლიანობა); 2. ქარტიით გარანტირებული უფლებების დარღვევის სიმძიმე; 3. მოპოვებული მტკიცებულებების დაუშვებლობის შემთხვევაში კი, მართლმსაჯულების განხორციელება. როდესაც მტკიცებულებების დასაშვებობის საკითხი განიხილებოდა, პროცესის სამართლიანობა სადავო არ გამხდარა. იქ ლაპარაკი იყო იმაზე, რომ ქარტიით დადგენილი უფლება ჩხრეკის შედეგად მნიშვნელოვნად შეილახა. სასამართლო არ ეთანხმება პირველი ინსტანციის მოსამართლეს, რომელმაც დაადგინა, რომ დარღვევა სერიოზული იყო. ავტომობილში, საცხოვრებელ სახლთან და ოფისთან შედარებით, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის მოლოდინი მცირდება, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც ავტომობილი ამ პირს არ ეკუთვნის. ამ საქმეში ქარტიით დადგენილი უფლებების დარღვევა რომ დადგინდეს კიდევ, იგი გაქარწყლდება, რადგან პოლიციელი კეთილსინდისიერად, გონივრული ეჭვის საფუძველზე მოქმედებდა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლემ მხედველობაში არ მიიღო მრავალი გარემოება, მათ შორის დანაშაულის ეფექტურად გამოძიებისა და აღმოფხვრის საჯარო და სახელმწიფო ინტერესი. შესაბამისად, სწორედ მტკიცებულებების დაუშვებლობა და არა დასაშვებობა ავნებდა მართლმსაჯულების სწორად აღსრულებას, რადგან სადავო მტკიცებულება დანაშაულის დევნისათვის მნიშვნელოვანი იყო.

პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლემ მხედველობაში არ მიიღო მრავალი გარემოება, მათ შორის დანაშაულის აღმოფხვრისა და

ეფექტურად გამოძიების საჯარო და სახელმწიფო ინტერესი. შესაბამისად, მკიცხვულებების დაუშვებლობა და არა დასაშვებობა ავნებდა მართლმსაჯულების სწორად აღსრულებას, რადგან სადავო მტკიცებულება დანაშაულის დევნისათვის მნიშვნელოვანი გახლდათ.

R. ევანსის წინააღმდეგ

1 S. C R, 1996

ფაქტები:

ანონიმური შეტყობინების შემდეგ პოლიციელებმა ევანსის საცხოვრებელი სახლის კარზე დააკაკუნეს. ევანსმა მათ კარი გაუღო. მას შემდეგ, რაც მარიხუანას სუნი იგრძნეს, პოლიციელები სახლში შევიდნენ და იქ მყოფი პირები დაუყოვნებლივ დააპატიმრეს. მათ ასევე ამოიღეს მარიხუანას რამდენიმე ნარგავი. პოლიციამ ჩხრეკის სანქცია პოსტ ფაცტუმ მიიღო და აღასრულა. ეჭვმიტანილებს ბრალი წაუყენეს და სასამართლო პროცესზე დამნაშავეებად ცნეს. მათი სააპელაციო საჩივარი არ დააკმაყოფილეს.

სასამართლოს წინაშე სადავო გახდა რამდენიმე საკითხი: 1. არის თუ არა პოლიციელის მიერ „შეყნოსვა“ ჩხრეკა; 2. თუ „შეყნოსვა“ ამ საქმეში ჩხრეკაა, იყო თუ არა იგი კანონიერი; 3. იყო თუ არა სახლის შემდგომი ჩხრეკა კანონიერი და 4. დაიშვება თუ არა ქარტიის მერვე მუხლის დარღვევით მიღებული მტკიცებულებები?

კანადის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება:

ინდივიდებს აქვთ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის მოლოდინი, როდესაც საკუთარ საცხოვრებელ სახლში არიან, მაგრამ ეს მოლოდინი მცირდება, როდესაც ისინი გარესამყაროსთან ურთიერთობას ამყარებენ. როდესაც მესამე პირი, თუნდაც პოლიცია, პირის საცხოვრებელი სახლის კარს უახლოვდება, კარზე აკაკუნებს და შესვლას ცდილობს, იგი კანონით დადგენილ საზღვრებს სცდება, თუკი ხელთ ჩხრეკის სანქცია არა აქვს. ამრიგად, როდესაც პოლიცია სისხლის სამართლის საქმისათვის მტკიცებულებების მოსაპოვებლად პირის საცხოვრებელ სახლში შესვლას ცდილობს, მაშინ საქმე გვაქვს ჩხრეკასთან. ხოლო ის, თუ რამდენად კანონიერია ეს ჩხრეკა, იმაზე დამოკიდებული, თუ რამდენად აკმაყოფილებს ჩხრეკა კანადის ადამიანის უფლებების ქარტიის მერვე მუხლით დადგენილ პირობებს. სასამართლოს სანქციის გარეშე ჩატარებული ჩხრეკა უკანონოა, თუ პოლიციელი ვერ დაამტკიცებს საწინააღმდეგოს. ამ საქმეში პოლიციამ მტკიცების ეს ტვირთი ვერ გადალახა და ჩხრეკის კანონიერება ვერ დაამ-

ტკიცა. მიუხედავად იმისა, რომ პოლიცია ეჭვმიტანილის სახლთან მისვლისას სანქციის გარეშე გონივრულად მოქმედებდა, ეს ქმედება მაინც არ ჯდება კანონის ფარგლებში.

ის სანქციები, რომლებიც მიღებულია მხოლოდ იმ ინფორმაციით, რომელიც კანადის ადამიანის უფლებების ქარტიის დარღვევით არის მიღებული, უკანონოა. იმ შემთხვევაში, როდესაც სანქციას საფუძვლად უდევს, ერთი მხრივ, კანონის დარღვევით მოპოვებული ინფორმაცია, ხოლო მეორე მხრივ, სრულიად კანონიერი ინფორმაცია, მაშინ მოსამართლემ უნდა დაადგინოს, საკმარისია თუ არა მხოლოდ კანონიერი ინფორმაცია სანქციის მოსაპოვებლად. ამ საქმეში სანქცია უკანონოა, რადგან ერთადერთი კანონიერად მოპოვებული ინფორმაცია გახლავთ ანონიმური პირის მიერ შეტყობინება პოლიციისთვის. შესაბამისად, სანქცია არ შეესაბამება კანადური ქარტიის პირობებს.

მაგრამ ამ დარღვევით მიღებული მტკიცებულებების სასამართლო პროცესზე გამოყენება უსამართლო არ იქნებოდა. იგი წარმოადგენს რეალურ მტკიცებულებებს, რომლებიც კეთილსინდისიერად მოქმედმა პოლიციელებმა მოიპოვეს. ამასთან, ქარტიის დარღვევაც არ იყო იმდენად სერიოზული და მძიმე, რომ მტკიცებულებების გამორიცხვა გამოენვია.

სასამართლო ადგენს, რომ მოპოვებული მტკიცებულებები დასაშვებია სასამართლო პროცესზე.

M.A. რაიანის წინააღმდეგ
1 S.C.R. 157, 1997

ფაქტები:

მოსარჩელე 17 წლისა იყო, როდესაც მკურნალობდა ვინმე ექიმ ფსიქიატრ რ.-სთან. რომელმაც პაციენტთან სქესობრივი კავშირი დაამყარა და მისი თანდასწრებით უხამსად იქცეოდა. მოსარჩელე დაობდა, რომ ამ ფაქტმა მასზე ცუდად იმოქმედა და ექიმს ზიანის ანაზღაურება მოსთხოვა, ამასობაში პაციენტმა მკურნალობა სხვა ექიმთან, ვინმე პ.-სთან გააგრძელა. მოსარჩელემ თავისი ახალი ექიმი გააფრთხილა, რომ მათ შორის საუბარი მკაცრად კონფიდენციალური უნდა ყოფილიყო. მან პასუხად ექიმისგან ამის გარანტია მიიღო. პ-მ ამ საუბრის შემდეგ გადაწყვიტა, რომ უმჯობესი იქნებოდა, თუ იგი სეანსის დროს ჩანაწერების გაკეთებას შეწყვეტდა. ექიმი რ.-ს შუამდგომლობის საფუძველზე, სასამართლომ პ.-ს მოსთხოვა მოსარჩელის მკურნალობის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება. პ-მ სასამართლოს გადასცა გარკვეული დოკუმენტები, თუმცა თავისი ჩანაწერების გა-

დაცემაზე უარი განაცხადა, რადგან ისინი დაცული იყო ექიმსა და პაციენტს შორის კონფიდენციალური ურთიერთობების საფუძველზე. სასამართლომ არ გაიზიარა პ-ს აზრი და მას რ-სთვის დოკუმენტების გადაცემა უბრძანა. ბრიტანეთის კოლუმბიის უზენაესი სასამართლო დაეთანხმა ქვედა ინსტანციის სასამართლოს და მისი გადაწყვეტილება დოკუმენტების გადაცემასთან დაკავშირებით ძალაში დატოვა. პ-მ გადაწყვეტილება ფედერალურ სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა. სასამართლომ დადგინა, რომ დოკუმენტები, მათ შორის პირადი ჩანაწერები, უნდა გადაეცეს, მაგრამ შემდეგი პირობების დაცვით: 1. დოკუმენტები მხოლოდ რ-ს ადვოკატებმა და ექსპერტებმა უნდა იხილონ. რ-ს ეკრძალება მათი გაცნობა; 2. ნებისმიერი პირი, რომელიც ამ დოკუმენტებს გაეცნობა, ვალდებულია მათი შინაარსი საიდუმლოდ შეინახოს; 3. დოკუმენტები მხოლოდ სამართალწარმოებისათვის უნდა იქნეს გამოყენებული, 4. რ-ს ადვოკატებს უფლება აქვთ ერთი ეგზემპლარი მიანოდონ თავის მოწმე ექსპერტებს, თუ ისინი ამას საჭიროდ ჩათვლიან.

კანადის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება:

საერთო სამართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრინციპი ის არის, რომ ყველა ვალდებულია, სასამართლოში ჩვენება მისცეს, იმისათვის, რომ დადგინდეს სიმართლე. ამ პრინციპიდან არსებობს გარკვეული გამონაკლისები, რომლებსაც „პრივილეგიას“ უწოდებენ. ამ პრივილეგიების თანახმად, გარკვეული პროფესიის ადამიანებს უფლება აქვთ, არ მისცენ ჩვენება. ასეთი პრივილეგიები ქვეყანაში სოციალური და სამართლებრივი რეალობის თანახმად წარმოიშვება. ფსიქიატრსა და სექსუალური ძალადობის მსხვერპლს შორის ურთიერთობების კონფიდენციალურობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია. წინამდებარე საქმეში ამ ურთიერთობის კონფიდენციალურობის პრინციპები დაცულია, კერძოდ, ურთიერთობის დეტალები გასაიდუმლოებული იყო, ხოლო მისი გამჟღავნება შესაძლებელია იმ შემთხვევაში როდესაც ეს ურთიერთობა ვერ გადაწონის საპირისპირო ინტერესს, რაც ამ შემთხვევაში სამართალწარმოების დროს სიმართლის დადგენა გახლავთ. თუ სასამართლო საქმის განხილვისას დაადგენს, რომ ამგვარი სახის ინფორმაცია სიმართლის გარკვევაში დაეხმარება მას, სასამართლოს შეუძლია ამ ინფორმაციის გამჟღავნება მოითხოვოს.

**R. გაროფოლის წინააღმდეგ
2 S.C.R. 1421, 1990**

ფაქტები:

მოსარჩელე ბრალდებულად ცნეს ნარკოტიკული ნივთიერებების იმპორტირებისათვის. ბრალდებულად ცნობისათვის საჭირო მტკიცებულებების უმეტესობა გამომდინარეობდა ბრალდებულის პირადი საუბრების მოსმენიდან, რისთვისაც სანქცია გასცა მოსამართლემ. მტკიცებულებების დასაშვებობის განხილვისას მოსამართლემ უარი უთხრა ბრალდებულს, გასცნობოდა მის მიერ გაცემული ბრძანების გასაიდუმლოებულ ასლს და ტელეფონის მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია საქმის არსებით განხილვაზე დასაშვებად ცნო. სასამართლომ დამნაშავედ ცნო ბრალდებული. საქმის გასაჩივრების სტადიაზე სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ ბრალდებულს უფლება უნდა ჰქონოდა, გასცნობოდა გასაიდუმლოებულ ბრძანებას. სააპელაციო სასამართლომ დოკუმენტის რედაქტირება იმგვარად მოახდინა, რომ საიდუმლო აგენტების ვინაობა არ გამჟღავნებულიყო და იგი ბრალდებულს გადასცა. სასამართლომ დააკენა, რომ დოკუმენტის რედაქტირება ხელს არ შეუშლიდა ბრალდებულის ადვოკატებს, რომ მათ ედავათ მის კანონიერებაზე. აპელაციისას მთავარი საკითხები გახლდათ შემდეგი: აქვს თუ არა ბრალდებულს გასაიდუმლოებული ბრძანებების გაცნობის უფლება; რა საფუძვლით შეუძლია მას იდაოს ბრძანების კანონიერებაზე, რა პროცედურით ხდება გასაიდუმლოებული დოკუმენტის რედაქტირება და არღვევს თუ არა კანადურ ქარტიას მოსამართლის მიერ მინიმიუმების წესების იგნორირება ტელეფონის მოსმენის შესახებ ბრძანების გაცემისას.

კანადის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება:

რადგან ტელეფონის მოსმენა, კანადის ადამიანის უფლებების ქარტიის თანახმად, ჩხრეკასა და ამოღებას ნიშნავს, მათი დაკანონება და განხორციელება იმ კონსტიტუციურ პრინციპებს უნდა შეესაბამებოდეს, რომლებიც ჩხრეკისა და ამოღებისათვის არის დადგენილი. ბრძანების გამცემი მოსამართლე უნდა დარწმუნდეს, რომ არსებობს დასაბუთებული და გონივრული ეჭვი, რომ ჩადენილია დანაშაული და რომ ტელეფონის მოსმენის შედეგად ამ დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მოპოვება შესაძლებელია.

სასამართლომ დაადგინა, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად გააღწევა ბრალდებულისათვის გასაიდუმლოებული ბრძანების რედაქტირებული ვარიანტის გაცნობა. მას შემდეგ, რაც ბრალდებული აღძრავს შუამდგომლობას, რომ ბრძანება უკანონოა, აუცილებელია, რომ განხილვა ჩატარდეს

იმ მოსამართლესთან, რომელიც საქმეს განიხილავს. თუმცა გასაიდუმლოებული დოკუმენტის გაცნობის მოთხოვნა უნდა წარედგინოს, იმ მოსამართლეს, რომელმაც ბრძანება გასცა (ეს მოსამართლე უმეტეს შემთხვევაში არ შეიძლება იყოს მოსამართლე საქმის არსებით განხილვაზე). იმის დასადგენად, არის თუ არა მოსმენა კანონიერი, მოსამართლე უნდა დარწმუნდეს, რომ არ არის დარღვეული კანონით დადგენილი მოთხოვნები. მას შემდეგ, რაც მოსამართლე დაადგენს, რომ მოსმენა უკანონო იყო, აუცილებელია, რომ მოსმენით მიღებული ყველა მტკიცებულება დაუშვებლად იქნეს მიჩნეული და არ იქნეს გამოყენებული ბრალდებულის წინააღმდეგ სასამართლო განხილვაზე. საიდუმლო აგენტების მიერ საიდუმლოდ გაკეთებული განცხადებები არ შეიძლება ერთადერთ საფუძვლად ჩათვალოს ტელეფონის მოსმენის დასაკანონებლად. ასეთი განცხადება ჯეროვნად უნდა გადამოწმდეს. თავისთავად მოსმენის შედეგად მიღებული ინფორმაციაც, *ex post facto*, არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს დასაბუთებულ და გონივრულ ეჭვად. უდავოა, რომ სასამართლოს უფლება აქვს, მოახდინოს თავისი შექმნილი დოკუმენტების რედაქტირება იმისათვის, რომ გარკვეული პირების ანონიმურობა დაიცვას. თუმცა აქაც მნიშვნელოვანია ბალანსი ანონიმურობის დაცვასა და ბრალდებულის მიერ ამ პირის ჯვარედინ დაკითხვას შორის.

სასამართლოები თანმიმდევრულად და მკაცრად იცავენ პირის ჯვარედინი დაკითხვის უფლებას. საიდუმლო აგენტების შემთხვევაში ჯვარედინი დაკითხვის უფლება არ არსებობს, რადგან აგენტები მოწმეებად არ გამოდიან. თუმცა მოსამართლეს უფლება აქვს, შეზღუდული სახით ჯვარედინი დაკითხვის უფლება მისცეს, თუ ბრალდებული დაამტკიცებს, რომ დაკითხვა აუცილებელია დაცვის ჯეროვანი განხორციელებისათვის და არსებობს ეჭვი, რომ ამ დაკითხვის შედეგად აღმოჩნდება მტკიცებულებები, რომლებიც დაამტკიცებს ბრძანების უკანონობას.

ამ საქმეში მოსარჩელემ ასეთი საფუძვლები ნათლად წარმოაჩინა. როდესაც საიდუმლო აგენტის დისკრედიტაცია, რომელსაც მეტისმეტად დაეყრდნო პოლიცია, ინვესტ ბრძანების დისკრედიტირებას, რომელიც ფაქტობრივად ამ აგენტის ინფორმაციაზე დაყრდნობით გაიცა. რადგან მოსარჩელეს უფლება არ მისცეს ჯვარედინად დაეკითხა პირი, რომელიც მის წინააღმდეგ ჩვენებას აძლევდა. საჭიროა, რომ ძალადაკარგულად ვცნოთ ყველა წინა პროცედურა და ახალი სასამართლო პროცესი ჩავატაროთ.

ამასთან, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ, მოსარჩელის მტკიცებით, ბრძანების გამცემმა მოსამართლემ მინიმიზების წესების იგნორირება მოახდინა. სამართალდამცავი ორგანოებისათვის სატელეფონო საუბრების უშუალო და პირდაპირი მონიტორინგის ვალდებულების დაკისრება უსაფუძვლო ტვირთი იქნებოდა სამართალდამცავებისათვის. თუმცა ასეთი ვალდებუ-

ლება მათ აკისრიათ, როდესაც საზოგადოებრივ ტაქსოფონს უსმენენ. ისინი ვალდებული არიან პირდაპირ უსმინონ და უყურონ კიდეც მოლაპარაკეს, რომ არ მოხდეს სხვა პირების საუბრის მოსმენა. თუმცა ასეთი ვალდებულება არ არსებობს საცხოვრებელი სახლის სატელეფონო საუბრის მოსმენისას. ამ დროს შესაძლებელია საუბრის ჩანერა და შემდგომ მისი მოსმენა სამართალდამცავების მიერ. ამ საქმეში მოსარჩელემ ვერ დაამტკიცა, რომ მისი ტელეფონის მოსმენის დროს მინიმუზაციის არაჯეროვანი არსებობის გამო დაირღვა კანადის ქარტიის მერვე მუხლი.

R ვაისის წინააღმდეგ 1 S.C.R. 527, 1992

ფაქტები:

მოსარჩელე თაღლითობისთვის ცნეს ბრალდებულად. ამის შემდეგ პოლიციამ მისი თვალთვალი დაიწყო და გაჩნდა ეჭვი, რომ იგი დაკავშირებული იყო ბოლო დროს ჩადენილ სერიულ მკვლელობებთან. პოლიციამ სასამართლოსგან ეჭვმიტანილის სახლისა და ავტომობილის ჩხრეკის სანქცია მოიპოვა, თუმცა ვერაფერი აღმოაჩინა, რაც ეჭვმიტანილს ამ მკვლელობებთან დააკავშირებდა. ჩხრეკის მიზნით პოლიციამ ავტომობილი პოლიციის განყოფილებაში მიიყვანა და იქ შეამოწმა. მას შემდეგ, რაც ჩხრეკის სანქციის მოქმედების ვადა ამოიწურა, პოლიციელებმა ავტომობილში სათვალთვალო აპარატურა დაამონტაჟეს და იგი ეჭვმიტანილს დაუბრუნეს. ამის საფუძველზე პოლიციამ შეძლო ეჭვმიტანილისათვის თაღლითობაში ბრალის წაყენება. მოსამართლემ, რომელიც საქმეს არსებითად იხილავდა, დაუშვებლად ცნო ყოველგვარი მტკიცებულება, რომელიც ავტომობილში დამონტაჟებული აპარატით იქნა მიღებული, რადგან იგი მიღებული იყო კანადის ადამიანის უფლებების ქარტიის მერვე მუხლის (პირადი ხელშეუხებლობის უფლება) დარღვევით. მოსამართლემ ეჭვმიტანილი გაამართლა. სააპელაციო სასამართლომ გააუქმა სასამართლოს გადაწყვეტილება და ახალი პროცესის ჩატარება გადაწყვიტა.

კანადის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება:

ეჭვმიტანილის მანქანაში სათვალთვალო აპარატის დამონტაჟება წარმოადგენს უკანონო ჩხრეკასა და ამოღებას, რაც კანადის ადამიანის უფლებების ქარტიის მერვე მუხლით აკრძალულია. მანქანის თვალთვალისა და ეჭვმიტანილის ქმედებების მონიტორინგი არღვევს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას. ამასთან, მონიტორინგის უფლება არ გახლდათ დაკანონებული სასამართლოს მიერ, რაც კანადური ქარტიის დარღვევაა.

მიუხედავად ამისა, ამ საქმეში ჩხრეკა მინიმალური გახლდათ. ავტომობილში პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის მოლოდინი უფრო ნაკლებია, ვიდრე საცხოვრებელ სახლში ან ოფისში. ავტომობილში დამონტაჟებული აპარატი მოძველებული და არაზუსტი ხელსაწყო იყო, თანაც ის დაამონტაჟეს ავტომობილში და არა უშუალოდ ეჭვმიტანილზე. ამასთან, პოლიციას ჰქონდა ლეგიტიმური მიზანი საზოგადოების დაცვის სახით – როდესაც ამ აპარატს ამონტაჟებდა, მას ჰქონდა ეჭვი, რომ პირი დაკავშირებული იყო სერიულ მკვლევლობებთან.

ამ საქმეში სადავო მტკიცებულებების დასაშვებობის სასარგებლოდ გადწყვეტა მართლმსაჯულებას შეცდომაში არ შეიყვანდა. ავტომობილის ადგილსამყოფელის შესახებ ინფორმაციის არსებობა სასამართლო პროცესის სამართლიანობაზე უარყოფითად სულაც არ იმოქმედებდა. ავტომობილში დამონტაჟებული აპარატი მეტ ინფორმაციას სულაც არ იძლეოდა, ვიდრე ეს მისი შორიდან თვალთვალთ იქნებოდა შესაძლებელი. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ პოლიცია კეთილსინდისიერად მოქმედებდა. მათ აპარატის დამონტაჟებისას გონივრული და დასაბუთებული ეჭვი ჰქონდათ პირის მიმართ. ამასთან მონიტორინგი 30 დღის განმავლობაში ხორციელდებოდა, რაც არ არის არაგონივრულად განელილი პერიოდი. ამ საქმეში მოსახლეობის დაცვა სერიული მკვლელისგან უფრო დიდი მნიშვნელობის ინტერესია, ვიდრე პოლიციის მიერ სადავო ზომების მიღება. შესაბამისად, სათვალთვალო აპარატით მოპოვებული ყველა მტკიცებულება ახალ სასამართლო პროცესზე დასაშვები უნდა გახდეს.

www.liberty.ge

თავისუფლების ინსტიტუტი

თბილისი 0108, გრიბოედოვის 23 / ტელ.: 93 66 15, ფაქსი: 93 67 84 / ელ-ფოსტა: liberty@liberty.ge